# კვირის პალიტრა

№ 15 (476) ◆ 12 – 18 აპრილი. 2004 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.

# ქრისტე აღსდგა! ჭეშმარიტად აღსდგა!



## სააღდგომო ეპისტოლე

დაე, სიხარული სუფევდეს თქვენს სულში.
ვილოცოთ ჩვენი ძვირფასი სამშობლოს
მშვიდობის, ერთობისა და კეთილდღეობისათვის.

ყოველწლიურად ჩვენ, ყველანი, ზეიმით ვეგებებით პასექის ბრწყინვალე დღესასწაულს, რომელსაც მუდამ ახალი, ადრინდელისგან განსხვავებული სიხარული მოაქვს. ესაა განცდა მარადიული ნეტარებისა... გვ.3

თქვენდამი სიყვარულით გამთბარი გულით კიდევ ერთხელ გილოცავთ ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაულს.

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

## მიხეილ სააკაშვილი:

...აუცილებლად უნდა შევქმნათ რეგიონში ყველაზე დაბალი საგადასახადო განაკვეთები...

...თუ დაგვჭირდა, მანევრებს ბათუმშიც ჩავატარებთ, მაგრამ ამჯერად შეიარაღებული ძალების ბათუმში გაგზავნას არ ვაპირებ... გვ.5,11

...ჯოხთაბერიძის პირადი ქონება 300 მილიონად არის შეფასებული – ეს ქონება მან მთლიანად საქართველოს ხარჯზე მიიღო... დააბრუნოს, რაც სახელმწიფოს ეკუთვნის და მერე წავიდეს და რაც უნდა, ის აკეთოს.

...აფხაზებს ვუთხარით – „თუ ქართველებს დაუყოვნებლივ არ გაათავისუფლებთ, მზად ვართ, ჩვენმა ავიაციამ განახორციელოს ქმედებები მათ გასათავისუფლებლად"

## ვინც გვყავდა:

„როდესაც სცენაზე დგახარ და მღერი, უნდა დააჯერო თავი, რომ ღმერთებს ელაპარაკები", – წერდა ზურაბ ანჯაფარიძე თავის დღიურში და ყველა, ვისაც ერთხელ მაინც მოუსმენია მისი ღვთაებრივი ხმისთვის, ერთხმად აღიარებს, რომ ანჯაფარიძე მართლაც ელაპარაკებოდა სიმღერით ღმერთებს.

**...საკრალური გამოდგა ეს რიცხვი მომღერლისათვის: 12 აპრილს დაიბადა, 12 აპრილს დაქორწინდა. 12 აპრილს შეეძინა მემკვიდრე, პატარა ზურა ანჯაფარიძე და 12 აპრილს გადავიდა მარადისობის საუფლოში.** გვ.16

# გილოცავთ! მრავალ აღდგომას დაგვასწროთ...

ყვითელი ლურჯი შავი წითელი

## ქრისტე აღსდგა! გიხაროდენ!

აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული მთელმა მსოფლიომ იზეიმა. 2004 წლის 11 აპრილს მართლმადიდებლებმა და კათოლიკეებმა ერთად აღნიშნეს უდიდესი დღესასწაული, ასეთი რამ რამდენიმე წელიწადში ერთხელ ხდება. იერუსალიმში ქრისტეს საფლავზე ზეციდან გადმოსული წმინდა ცეცხლი აღდგომის გვიან ღამით საქართველოში ჩამოიტანეს. წმინდა ცეცხლის გარდამოსვლის სასწაული თელ-ავივის დროით შუადღის 2 სთ-ზე მოხდა. ბერძენი პატრიარქი ირინეუსი ჩამქრალი სანთლებით ქრისტეს საფლავზე აგებულ სამლოცველოში შებრძანდა და 12 წუთში გაჩირაღდნებული სანთლებით გამოვიდა. ქართველ ერს აღდგომა იერუსალიმის პატრიარქმაც მიულოცა. მანამდე ყველა მართლმადიდებლურ ტაძარში საზეიმო ლიტურგია დაიწყო. ათასობით მორწმუნე და ხელისუფლების პირველი პირები აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს თითქმის მთელი ღამის განმავლობაში ზეიმობდნენ. საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სააღდგომო ზეიმი საპატრიარქოში სტუმრობით დაიწყო. პატრიარქთან შეხვედრის შემდეგ, პრეზიდენტი, პატრიარქი და პარლამენტის თავმჯდომარე სიონის ტაძრისკენ გაემართნენ, სადაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, ილია მეორემ წირვა აღავლინა. მიხეილ სააკაშვილი სიონიდან სალოცავად მარტყოფის მამათა მონასტერში გაემგზავრა. საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია კი კუმურდოს ტაძარს ესტუმრა, სადაც ოთხსაუკუნოვანი პაუზის შემდეგ სააღდგომო წირვა-ლოცვა პირველად ჩატარდა. ლიტურგიას ზურაბ ჟვანიასთან ერთად შს მინისტრი გია ბარამიძე და სხვა ჩინოსნებიც დაესწრნენ. ზურაბ ჟვანიას განცხადებით, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს უძველესი ჯავახეთის მიწაზე ყველა მართლმადიდებლურ ტაძარში აღდგეს წირვა-ლოცვა.

## „პრეზიდენტი ვერ მოითმენს..."

რამდენიმე დღეა საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენლები დაუბრკოლებლად მუშაობენ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში. ასლან აბაშიძე სტრასბურგის სასამართლოს განჩინებას ასრულებს და 11-წლიანი ტყვეობიდან ათავისუფლებს თენგიზ ასანიძეს. მის სატელევიზიო გამოსვლებში კი აშკარად შეიმჩნევა ცენტრის მიმართ შერბილებული ტონი, რომელიც შესაძლოა, იმითაც არის გამოწვეული, რომ მისი მთავარი მოწინააღმდეგე, პრეზიდენტი სააკაშვილიც აღარ აკეთებს აბაშიძის აჭარიდან წასვლის შესახებ კატეგორიულ განცხადებებს. თენგიზ ასანიძესთან შეხვედრისას გაკეთებული განცხადებების თანახმად, სააკაშვილი თანახმაა, აიტანოს აბაშიძე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი ხელისუფლის პოსტზე მანამ, სანამ „აჭარის ლომს" არ მოსწყინდება „მეფობა", მაგრამ სააკაშვილი ვერ აიტანს აჭარაში უკანონო შეიარაღებული ფორმირებების არსებობას, ადამიანის უფლებების დარღვევას, ბეტონის ფილებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზღვართან, საქართველოს კონსტიტუციის იგნორირებას. თუ აბაშიძეს სურს ავტონომიის ხელმძღვანელობა, მან უნდა მიიღოს პრეზიდენტის პირობები. წინააღმდეგ შემთხვევაში, პრეზიდენტი კონსტიტუციური უფლებამოსილების ფარგლებში გააუქმებს აჭარის უზენაეს საბჭოს და ხელახალ არჩევნებს დანიშნავს. „აბაშიძეს ეძლევა შანსი, გონს მოეგოს და ჩაეწეროს ქართულ სახელმწიფოებრივ ლანდშაფტში, ანუ დარჩეს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ, ამისათვის მან საქართველოს კონსტიტუცია უნდა დაიცვას," — ამბობს სააკაშვილი. ასლან აბაშიძე კი ტრადიციას არღვევს და პრეზიდენტის მითითებებს „საკუთარ" (აჭარის) ტელევიზიაში კომენტარს არ უკეთებს. ეს შეიძლება ცენტრსა და რეგიონს შორის არსებული ყინულის მართლაცდა დნობის დაწყების ნიშანი იყოს.

## ჯერ აჭარაში, მერე ჩოლპონ-ატაში

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია 16 აპრილს შესაძლოა ყირგიზეთში გაემგზავროს, სადაც იგი საკურორტო ქალაქ ჩოლპონ-ატაში დსთ-ის მთავრობათა მეთაურების საბჭოს სხდომას დაესწრება.

მანამდე კი ზურაბ ჟვანია შეიძლება აჭარაში ჩავიდეს ავტონომიის მეთაურთან, ასლან აბაშიძესთან შესახვედრად და რეგიონსა და ცენტრს შორის უფლებამოსილებების გამიჯვნის შესახებ საკონსტიტუციო პროექტის მოსამზადებლად. სავარაუდოდ, ამის შემდგომი მოვლენების განვითარება განაპირობებს პრემიერ-მინისტრისა და მისი დელეგაციის ყირგიზეთში გამგზავრებას.

## სობჩაკის ძეგლი თბილისში

9 აპრილის ტრაგედიიდან ზუსტად 15 წლის შემდეგ ტრაგედიის ადგილზე დაღუპულთა ხსოვნის მემორიალის ნაცვლად კვლავ პატარა ლოდი დევს, რომელსაც აწერია: „აქ აღიმართება 9 აპრილს დაცემულ მამულიშვილთა მემორიალი." მაგრამ როდის? — ეს კითხვა დიდი ხანია აწუხებდა ქართველ საზოგადოებრიობას. პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის თქმით, ეს მოხდება მიმდინარე წლის სექტემბერში. მანამდე კი მოეწყობა მემორიალისთვის შესარჩევი პროექტების კონკურსი. აქამდე ჩატარებულ კონკურსში გამარჯვებული პროექტი ქვეყნის ხელმძღვანელობამ დაიწუნა.

9 აპრილს კი თბილისში სანქტ-პეტერბურგის ყოფილი მერის, ანატოლი სობჩაკის ძეგლი დადგეს. ძეგლის გახსნის ცერემონიალს დაესწრო სობჩაკის ქვრივი ლუდმილა ნარუსოვა და ქალიშვილი ქსენია სობჩაკი. ლუდმილა ნარუსოვამ ბოდიში მოუხადა ქართველ ხალხს რუსთაველის პროსპექტზე დატრიალებული ტრაგედიის გამო. მისი თქმით, მსხვერპლთა ხსოვნა ყველა კეთილსინდისიერ ადამიანს, მით უმეტეს, პოლიტიკოსს ავალდებულებს, ერთმანეთს დახმარების ხელი გაუწოდოს. 9 აპრილი რუსეთის მიერ გადადგმული უარყოფითი ნაბიჯი იყო — განაცხადა მან. სობჩაკის ძეგლი სანქტ-პეტერბურგის ქართული სათვისტომოს ძალებით შეიქმნა. კვარცხლბეკისთვის კი თანხა თბილისის მერიამ გაიღო.

## აფხაზები კონტროლს ამკაცრებენ

სეპარატისტული სოხუმის თვითმარქვია ხელისუფლება აღშფოთებას გამოთქვამს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ გაკეთებული განცხადებების გამო, კატეგორიულად უარყოფს აფხაზეთის ტერიტორიის გავლით საქართველოში კონტრაბანდული საქონლის შეტანის ფაქტებსა და აფხაზეთის აკვატორიაზე კონტროლს ამკაცრებს.

თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის, სერგეი შამბას განცხადებით, აფხაზური მხარისათვის გაუგებარი და მიუღებელია საქართველოს უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებები, თითქოს ქართული მხარის კონტროლს დაუქვემდებარებელი ტერიტორიებიდან შემოდის დიდი რაოდენობით კონტრაბანდული საქონელი. მათი თქმით, საქართველოს ხელისუფლების მოთხოვნით აფხაზეთი „უკვე 9 წელია, თავისი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარებას ბლოკადის, ბაბუშერის აეროპორტის უმოქმედობისა და სოხუმის საზღვაო პორტის არასრული დატვირთვის პირობებში ცდილობს. საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებების მოსმენისას, იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს თბილისში ავიწყდებათ, რომ აფხაზეთს 10 წელზე მეტია, დამოუკიდებლობა აქვს გამოცხადებული და საშინაო და საგარეო საქმეებს დამოუკიდებლად წარმართავს. ამასთან, ბლოკადის გამო ჩვენ საკუთარი პრობლემების მოგვარება შემოვლითი გზებით გვიწევს", — აცხადებს შამბა, რომლის თქმით, „რომ არა აფხაზეთის ხელისუფლების აქტიურობა, აფხაზეთის მოსახლეობას უკიდურეს სიღარიბესა და სიდუხჭირეში მოუწევდა ცხოვრება".

## კონტრაბანდა ისევ შემოდის

საქართველოს ტერიტორიაზე ცხინვალიდან კონტრაბანდული ტვირთების შემოტანა ისევ გრძელდება. ფინანსური პოლიცია დანაშაულებრივი ფაქტების ხელშემწყობებად სამართალდამცველებს ასახელებს და მათ კონტრაბანდული ტვირთების გაცილებაში დებს ბრალს.

საფინანსო პოლიციის მეორე ქვეგანყოფილების ხელმძღვანელის მტკიცებით, 10 აპრილს, გვიან ღამით, ცხინვალიდან მომავალ „გაზელის" მარკის საბარგო ავტომანქანას შიდა ქართლის შინაგან საქმეთა სამხარეო სამმართველოს ორი სპეცრაზმელი აცილებდა. ეს ფაქტი აღკვეთეს ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა და ტვირთი გორის ტერმინალზე შეტანილი. სპეცრაზმელთა ბრალეულობა კი მოკვლევის შედეგად დადგინდება.

შიდა ქართლის სპეცდანიშნულების რაზმის ხელმძღვანელის, რევაზ კალდიაშვილის განცხადებით, თუ სპეცრაზმელთა ბრალეულობა საბოლოოდ დადგინდება, ისინი მკაცრად დაისჯებიან.

## წალკაში ქართველების რიცხვი გაიზრდება

სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე, სადაც მოსახლეობის ძირითად ნაწილს არაქართველები შეადგენენ, საქართველოს ხელისუფლება რეგიონში პრობლემების დაბალანსების მიზნით, აჭარლების ჩასახლებას აპირებს. პრეზიდენტის რწმუნებულმა ქვემო ქართლში სოსო მაზმიშვილმა და მოძრაობა „ჩვენი აჭარის" წარმომადგენლებმა წალკაში მიმდინარე პროცესებს საგანგებო ბრიფინგი მიუძღვნეს. მაზმიშვილის განცხადებით, უახლოეს ხანებში აჭარლების წალკაში ჩასახლებას ორგანიზებას ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაცია გაუწევს. ოპოზიციური მოძრაობა „ჩვენი აჭარა" და საქართველოში სამღვდელოება მხარს დაუჭერენ. „წალკაში მართლაც არის პრობლემები, მაგრამ ამას სხვადასხვა ფორმით და სოციალური საფუძველი აქვს და არა რელიგიური", — განაცხადა „ჩვენი აჭარის" წარმომადგენელმა მიხეილ მახარაძემ. ის წალკაში აჭარლებსა და ქრისტიან ბერძნებს ან სომხებს შორის არსებული დაპირისპირების რელიგიურ ხასიათს კატეგორიულად გამორიცხავს და ამის მიზეზად მიწის ნაკლებობის გადანაწილებას ასახელებს. ამ მოსაზრებას იზიარებს პრეზიდენტის რწმუნებული ქვემო ქართლში სოსო მაზმიშვილიც — „მიწების სამართლიანი გადანაწილება წალკაში დღეს არსებულ პრობლემებს მთლიანად აღმოფხვრის", მიაჩნია მას. აჭარლებს იმ სახლებში დაასახლებენ, რომლებიც დიდი ხანია დატოვეს ყოფილმა წალკელმა ბერძნებმა.

## ტერიტორიებს ისევ ვკარგავთ?!

საქართველომ შესაძლოა 200 ჰა მიწა დაკარგოს, რომელიც აზერბაიჯანის კუთვნილება გახდება. ლაპარაკია დედოფლისწყაროს საზღვრისპირა რაიონის ტერიტორიაზე. აზერბაიჯანის საკუთრებაში ქართული მიწის გადასვლის რეალურ საშიშროებას საქართველო-აზერბაიჯანის პირობით საზღვრად მიჩნეული მდინარე ალაზანი ქმნის, რომლის კალაპოტიც ყოველი წყალდიდობისას ჩამონგრეული მიწის ხარჯზე ფართოვდება და ვაშლოვანის ეროვნული პარკის საზღვრებში მდებარე ბუნების უნიკალურ ძეგლს შუაზე გაყოფას უქადის.

თითქმის კუნძულად ქცეულ ვაშლოვანის პარკის ტერიტორიას ამჟამად საქართველოსთან მხოლოდ 6 მეტრი სიგანის ფართობი აკავშირებს, ნაპირგამაგრებითი სამუშაოების ჩატარება და რკინა-ბეტონის ჯებირების აშენება კი დედოფლისწყაროს რაიონის ბიუჯეტით შეუძლებელია. ტერიტორიის დაკარგვის საფრთხის აქტუალობას ვერც ადგილობრივი მოსახლეობის მიერ მდინარესთან მიტანილი ქვა-ღორღი ამცირებს. რეგიონის ხელმძღვანელობა პირველ დახმარებას ბადრი პატარკაციშვილის საქველმოქმედო ფონდისგან ელის და ქართული მიწის შესანარჩუნებლად ზრუნვისკენ ხელისუფლებასაც მოუწოდებს.

## ბრაკონიერები ეკოკატასტროფას გვიმზადებენ

საქართველოს ტყეებს შესეული ვაიქართველი ბრაკონიერების კანონსაწინააღმდეგო ქმედებამ, შესაძლოა, მთელი ქვეყნის მასშტაბით ეკოლოგიური კატასტროფა გამოიწვიოს. ბრაკონიერები ხონის რაიონის მაღალმთიან სოფლებში უნიკალური ჯიშის მუხის ხეებს ანადგურებენ. ხონის სატყეო მეურნეობის წარმომადგენელთა განცხადებით, თუ ხელისუფლება და სამართალდამცავი ორგანოები დროულად არ ჩაერევიან ხეების უკანონო ჭრის პროცესში, შესაძლოა ეს იშვიათი ჯიში სრულიად გადაშენდეს. მათივე თქმით, უმძიმესი მდგომარეობაა სოფელ გორდში, სადაც მდინარე თურჩუს ხეობაში ათეულობით უნიკალური მუხა უკანონოდ მოჭრეს. საბედნიეროდ, ბრაკონიერებმა მოჭრილი მორების ტრანსპორტირება ვერ მოასწრეს. მათ მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. გარდა უნიკალური ჯიშების გადაშენებისა, ხეების მასობრივმა ჭრამ, შესაძლოა, სტიქიური უბედურებებიც გამოიწვიოს. ექსპერტთა ვარაუდით, მაღალმთიანი სოფლები მეწყერულ ზონად გადაიქცევა და ბრაკონიერთა მიერ ქვეყნისთვის მიყენებული ზარალი კატასტროფულ მასშტაბებს მიაღწევს.

## შეტაკებას კრიმინალები ემსხვერპლნენ

შიდა ქართლში, ქარელის რაიონის სოფელ ფცასთან, პოლიციასა და დამნაშავეებს შორის შეტაკება მსხვერპლით დასრულდა. ლიკვიდირებულია ორი დამნაშავე, ორი კი გაიქცა, ერთ-ერთი მათგანი დაჭრილია. ქარელის რაიონის პოლიციის თანამშრომელი კობა ხეთაგური, რომელიც ასევე დაიჭრა შეტაკებისას, გორის საავადმყოფოში იმყოფება და ექიმების თქმით, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. დამნაშავეებს ცხინვალის მიმართულებით მიჰყავდათ გატაცებული ავტომანქანა. სოფელ ფცასთან მათ სამართალდამცველების საპატრულო ავტომანქანას გაუხსნეს ცეცხლი. საპასუხო სროლის შედეგად ადგილზე დაიღუპნენ გამტაცებლები ცხინვალელი ოლეგ ცხოვრებოვი და გორელი არჩილ ბირთველიშვილი. გაქცეულების ვინაობა უცნობია, სავარაუდოდ, ერთი მათგანი ოსია, მეორე კი — ქართველი. შინდისფერი BMV თბილისიდან გატაცებული აღმოჩნდა. ავტომანქანიდან ამოღებულია ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, დიდი რაოდენობით ვაზნები, სამხედრო ფორმა და ნიღბები.

## „თხა თხაზე ნაკლებიო"

როგორც ჩანს, აჭარასთან სიახლოვის გამო, „გაევროპელება" გურულებსაც მოუნდათ. გურიის სამხარეო ადმინისტრაცია უახლოეს დღეებში გააკეთებს ოფიციალურ განცხადებას მხარის ევროპის რეგიონალურ ასამბლეაში გაწევრებასთან დაკავშირებით.

გურიის გუბერნატორის, ვახტანგ გოლიაძის თქმით, გურიის მხარის ევროპის რეგიონალურ ასამბლეაში გაწევრება დიდი სტიმული იქნება მხარეში ინვესტიციების მოზიდვისა და მრეწველობის განვითარებისათვის. დღეისათვის საქართველოში შემავალი მხარეებიდან ევროპის რეგიონალური ასამბლეის (ერა) წევრი მხოლოდ აჭარაა. აჭარის გარდა, გასულ წელს საქართველოდან ერა-ში გაწევრების სურვილი იმერეთმაც გამოთქვა.

გოლიაძის თქმით, გურიის მხარე სულ მალე ერა-ს სრულუფლებიანი წევრი გახდება. საწევროს სახით კი მხარე ყოველწლიურად 10.000 ლარს გადაიხდის, რაც იოლი არ იქნება მწირი შემოსავლების მქონე რეგიონისთვის. თუმცა, გურულების თქმით, ერა-ში გაწევრების შემდეგ უკეთესი მომავლის იმედი მათ კიდევ უფრო გაუმტკიცდებათ.

## ისევ ლენინის დროით ცხოვრობენ

რევოლუციის დიდ ბელადს, ვლადიმირ ლენინს ერთგული თაყვანისმცემლები ჰყავს საქართველოში. ახალქალაქის რაიონის სომხურ სოფელ ტარძახში აღმართულ ლენინის ძეგლს დრომ ვერაფერი დააკლო. მოსახლეობა მას დღემდე დიდი სიამაყითა და მოწიწებით უვლის.

ძეგლი სოფელში 1936 წლიდან დგას და ეროვნული მოძრაობის წლებშიც კი შეუძლებელი გახდა მისი აღება. მოსახლეობის განცხადებით, ერთადერთი, რაც მათ კომუნიზმიდან შემორჩათ, დიდი ბელადია, რომელიც კოლმეურნეობის ბედნიერ ხანას ახსენებთ.

სოფელ ტარძახში სულ 250 კომლი ცხოვრობს. სოფელში ქართულად არავინ ლაპარაკობს. აქ ყველაფერი რუსულ რუბლზე იყიდება, ქართული ტელეარხები არ უჩვენებს. მოსახლეობა ვერც ქართულ რადიოს უსმენს და ვერც პრესას ეცნობა. ტარძახში საათიც კი მოსკოვის დროით მუშაობს. ტარძახელებმა სწორედ ჟურნალისტებისგან შეიტყვეს, რომ საქართველოში საათმა წინ გადაიწია. სამაგიეროდ, ინფორმაციულ ვაკუუმში მყოფი სოფლელები მიხეილ სააკაშვილს მშვენივრად იცნობენ, ოღონდ თურქეთისა და ერევნის ტელეარხების წყალობით. ვიმედოვნებთ, საქართველოს ახალი ხელისუფლება ტარძახელებს 21-ე საუკუნეში გადმოსვლაში დაეხმარება და „ლენინის დანაკლისს" როგორმე შეაგუებს.

## სტუდენიკინი უკვე შინ არის

თბილისში, რუსეთის სამხედრო ჰოსპიტალის ადმინისტრაციის განცხადებით, ამიერკავკასიაში რუსეთის სამხედრო დაჯგუფების შტაბის უფროსი, გენერალი ალექსანდრ სტუდენიკინი ჰოსპიტალიდან უკვე გამოწერეს და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

სტუდენიკინის წინააღმდეგ განხორციელებულ ტერაქტს საქართველოს უშიშროების სამინისტრო იძიებს, თუმცა დანაშაული ჯერაც გაუხსნელია.

6 აპრილს, დაახლოებით 20.30 საათზე, თბილისში, ვაკე-საბურთალოს გადასასვლელზე, სადაც რუსი ოფიცრების საცხოვრებელი ბინებია, დისტანციური მართვის პულტის გამოყენებით ტროტილი აფეთქდა და სტუდენიკინი მსუბუქად დაიჭრა. იმ დროისათვის მოსკოვში საქმიანი ვიზიტით იმყოფებოდნენ ქართველი ძალოვანი მინისტრები და გენერალური პროკურორი. გავრცელდა მოსაზრება, რომ აფეთქება მიზანმიმართული პროვოკაცია იყო, რომელსაც ქართულ-რუსული ურთიერთობების გართულება უნდა მოჰყოლოდა. შესაძლოა, მომხდარი ფაქტი ქართველებთან ერთად მათმა რუსმა კოლეგებმაც გამოიძიონ.

## „ვარდების რევოლუცია სომხეთში"




სომხეთში სიტუაცია დღითი დღე იძაბება. ცენტრალურ, თავისუფლების მოედანზე შეკრებილი დემონსტრანტები პრეზიდენტ ქოჩარიანის გადადგომას და ვადამდელი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის შესახებ რეფერენდუმის ჩატარებას მოითხოვენ. ქუჩაში სამოციათასამდე დემონსტრანტი გამოვიდა, თუმცა, პოლიცია მხოლოდ ექვსი ათასს აცხადებს. საპროტესტო აქციას ოპოზიციური პარტია „ნაციონალური ერთიანობისა" და ბლოკ „სამართლიანობის" ლიდერები უდგანან. ისინი ქოჩარიანს უნდობლობას უცხადებენ და ამტკიცებენ, რომ ერთი წლის წინ ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნები გაყალბდა. სომხეთის სამართალდამცველებმა ოპოზიციის ლიდერთა წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრეს მთავრობის წარმომადგენლების შეურაცხყოფის მუხლით. პრეზიდენტ ქოჩარიანის განცხადებით, სომხეთში შექმნილ შიდაპოლიტიკურ სიტუაციაზე გავლენა საქართველოში ნოემბრიდან დღემდე განვითარებულმა მოვლენებმა მოახდინა. მისი თქმით, საქართველოში გასულ წელს ხელისუფლების შეცვლამ სომხეთის ოპოზიციას იმედები ჩაუსახა. თუმცა იგივე არ შეიძლება მოხდეს სომხეთშიც, — აცხადებს ქოჩარიანი, რომელიც როგორც ჩანს, ვერ გრძნობს, რა ძლიერად უბერავს საქართველოს ციდან სომხეთის ცაზე გარდამავალი „ვარდების რევოლუციის" ციკლონი, რომელიც შესაძლოა მთელ დსთ-ის ტერიტორიას მოედოს.

## პუტინს სხეფერის არ სჯერა

პუტინს ნატოს აღმოსავლეთით გაფართოების გეგმის გაგონებაც არ სურს. მოსკოვში სამუშაო ვიზიტად მყოფი ნატოს გენერალური მდივანი იაპ დე ჰოპ სხეფერი ამაოდ ცდილობდა რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი ნატოს აღმოსავლეთით გაფართოების მიზანშეწონილობაში დაერწმუნებინა...

სხეფერმა და სერგეი ივანოვმა 8 აპრილს ხელი მოაწერეს შეთანხმებას ნატოსა და რუსეთს შორის თანამშრომლობის შესახებ. მიუხედავად ამისა, რუსეთი კვლავინდებურად ეჭვის თვალით უყურებს ნატოს გაფართოებას და აცხადებს, რომ ეს აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებს ვერ გადაწყვეტს. კრემლს მიაჩნია, რომ ევროპას მძლავრი ინფრასტრუქტურა — დივიზიები და საავიაციო პოლკები არ სჭირდება, ანუ მოსკოვის აზრით, ალიანსი ან არასამხედრო ორგანიზაციად უნდა გარდაიქმნას, ან ნატო და რუსეთი ნამდვილი მეგობრები ვერასოდეს გახდებიან.

## საქართველოს წმიდა, მართლმადიდებელი ეკლესიის ყოველ ერთგულ და ღვთივკურთხეულ შვილს:

მთავარი სიბრძნე — სიბრძნის მოხვეჭაა; ყოველ მოსახვეჭელთაგან ცოდნა უნდა მოიხვეჭო. დააფასე იგი და აგამაღლებს; პატივს შეგმატებს, თუ გულში ჩაიკრავ.

***(სიბრძნე სოლომონისა 4, 7-8).***

***ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, მოძღვარნო, ბერ-მონოზონნო, მეცნიერნო და მუშაკნო, ხელისუფალნო და საზოგადო მოღვაწენო, ჩვენო საყვარელო ახალგაზრდებო, ყოველნო ღვთისმოყვარენო შვილნო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა, ღვთისმშობლის წილხვედრი ივერიის მკვიდრნო და სამშობლოს გარეთ დროებით მცხოვრებნო ჩვენო თანამემამულენო: „კურთხევა უფლისა თქვენ ზედა, მისითა მადლითა და კაცთმოყვარებითა, ყოვლადვე, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ!“***

***მაცხოვრის აღდგომის სიხარულით აღვსილი, ყველას გულითადად გილოცავთ პასექის ბრწყინვალე დღესასწაულს.***

# ქრისტე აღსდგა!



დაე, სიხარული სუფევდეს თქვენს სულში. ვილოცოთ ჩვენი ძვირფასი სამშობლოს მშვიდობის, ერთობისა და კეთილდღეობისათვის. ვილოცოთ მსოფლიოს მშვიდობისთვისაც. უფალი შეისმენს ჩვენს ვედრებას, რამეთუ ჩვენთან არს ღმერთი!

# ჭეშმარიტად აღსდგა!

## ქრისტე აღსდგა!

უფალი ბრძანებს: „..ამისთვის შობილ ვარ და ამისთვის მოვივლინე სოფლად, რათა ვწამო ჭეშმარიტი..“ (იოანე 18,37). ჭეშმარიტება! როგორ ახლოსაა და, ამავე დროს, როგორ მიუწვდომელია იგი. ყოველდღიურად თითქოს ვუახლოვდებით მას, მაგრამ ის მაინც შორეულად რჩება, ალბათ, იმიტომ, რომ ჭეშმარიტებას სადღაც გარეთ, საკუთარი თავის მიღმა ვეძიებთ და ვერ ვგრძნობთ, რომ იგი სინამდვილეში ჩვენშია.

მაშ, როგორ მივეახლოთ მას? უფლის პასუხი ასეთია: „მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე“ (იოანე 14, 6). რამდენადაც ახლოს ვართ უფალთან, იმდენად ახლოს ვართ ჭეშმარიტებასთანაც. მის მადლს, როგორც არასდროს, ყველაზე ძლიერად სწორედ პასექის დღეებში შევიგრძნობთ. ქრისტეს აღდგომით ზეიმობს ღვთაებრივი მარადიული ჭეშმარიტებაც და ჩვენც მონაწილენი ვხდებით ამ საოცარი სიხარულისა. რომ არა ეს დღესასწაული, ჩვენი სარწმუნოება აზრს დაკარგავდა. ამიტომაც წერს პავლე მოციქული ეპისტოლეში: „უკუეთუ ქრისტე არა აღდგომილ არს, ამაო საქმე არს ქადაგება ესე ჩუენი და ამაო არს სარწმუნოება ეგე თქუენი“ (1 კორ. 15, 14).

დღეს კაცობრიობა იმდენად მოცულია მიწიერი და მატერიალური პრობლემებით, რომ სულიერი და ზნეობრივი საკითხები თითქმის აღარ ახსოვს. სულიერებას მოკლებული ადამიანი ბოროტებას ლამის სიკეთედ მიიჩნევს და უფრო და უფრო ინთქმება ცოდვის, სიძულვილისა და სასოწარკვეთილების უფსკრულში. ყოველ ჩვენგანს დიდი დაკვირვება მართებს, რომ გამოიცნოს, სადაა ჭეშმარიტება და სად — სიცრუე. ამის გარჩევა უძველეს დროშიც უჭირდათ. ამიტომაც იყო, რომ წინასწარმეტყველმა სოლომონმა სამეფო ტახტზე ასვლის წინ უფლისგან სწორედ სიბრძნე და გონიერი გული ითხოვა, რათა ქვეყნის სიბრძნით მართვა და სიკეთისა და ბოროტების გამიჯვნა შესძლებოდა.

ამქვეყნად ცოდვა ყოველთვის არსებობდა, ადრე ადამიანები მისგან თავის დაღწევას ცდილობდნენ. დღეს ცოდვა მიუღებლად აღარ მიიჩნევა, პირიქით, საჯაროდ ხდება მისი პროპაგანდა და მას ადამიანის ბუნებისათვის დამახასიათებელ ჩვეულებრივ თვისებად წარმოაჩენენ. საზოგადოებაში უკვე გაჩნდა ასეთი ფილოსოფიური ტერმინიც — „ხრწნილებისადმი შეგუება“. სამწუხაროდ, ადამიანი მორალს იმდენად დასცილდა, რომ დამკვიდრდა ე.წ. „თავისუფლება“, ანუ პრინციპი — ყველაფერი ნებადართულია. ფილოსოფოსი ნიკოლოზ ბერდიაევი წერს: „ადამიანმა შეიყვარა ცრუ თავისუფლება. ამგვარ თავისუფლებას ის უჩვეულო დაჟინებით ესწრაფვის და მის გარეშე უკვე აღარაფერი სურს.“

ამ ზღვარდაუდებელი „თავისუფლების“ სახელით დღეს ურცხვად გვთავაზობენ გარყვნილების ლეგალიზაციას, სკოლის ასაკიდანვე ბავშვების გახრწნას, უხამს კინოპროდუქციას; შეუძლებელია არ გაგაოცოს სატელევიზიო პროგრამებით ძალადობის, ყაჩაღობის, მკვლელობის პროპაგანდამ, ზოგადსაკაცობრიო, ეროვნული, ზნეობრივი და სულიერი ფასეულობებისადმი უპატივცემულობამ, რაც ჩვენს დაბალ კულტურასა და პროვინციალიზმზე მეტყველებს. ამას არ შეიძლება ეწოდოს თავისუფლება, ეს არის მონობა ცოდვისა და მანკიერებისა, ესაა გზა თვითგანადგურებისა და სულიერი სიკვდილისა.

აღნიშნული საკითხი არა მარტო ზნეობრივი პრობლემაა, არამედ სახელმწიფოებრივიც. მორალის გარეშე დარჩენილი საზოგადოება ძლიერ ქვეყანას ვერ ააშენებს. ამიტომაც ამ საკითხს ცივილიზებულ ქვეყნებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ.

ეს თემა ჩვენი საზოგადოებისთვისაც მეტად მტკივნეულია. მასზე არაერთხელ გავამახვილეთ ყურადღება, მაგრამ ადრინდელმა მცდელობებმა შედეგი არ გამოიღო. ვიმედოვნებთ, ახალი ხელისუფლება, რომლის ნდობაც ხალხს დიდი აქვს, გაითვალისწინებს მოსახლეობის ფართო ფენების დამოკიდებულებას და ქმედით ნაბიჯებს გადადგამს მდგომარეობის გამოსასწორებლად.

განსაკუთრებულ ყურადღებას ასევე საჭიროებს სკოლებსა და სხვა სასწავლო დაწესებულებებში ჩვენი ახალგაზრდების აღზრდის საკითხი. უკვე რამდენიმე წელია მიმდინარეობს საუბარი სასწავლო პროგრამების განახლებაზე და ახლის შემუშავებაზე.

ბოლო დროს მოსახლეობაში დიდი მღელვარება გამოიწვია ბავშვების სექსუალური აღზრდის პროექტმა. ის, რაც კულუარულად იყო ცნობილი, ალბათ, ვერ განხორციელდება საზოგადოების მკვეთრად უარყოფითი პოზიციის გამო. ჯერჯერობით უცნობია, მოვლენები როგორ განვითარდება, მაგრამ უნდა ითქვას, რომ სასწავლო პროგრამებზე პასუხისმგებლობა მხოლოდ განათლების სამინისტროს არ უნდა დაეკისროს; განათლების რეფორმა ქვეყნის პრეზიდენტისა და მთავრობის განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს და, რადგან საქმე ერის მომავალს ეხება, მისი განხილვა ფართო საზოგადოებრიობის მსჯელობის საგნად უნდა იქცეს.

თუ ჯანსაღი, ქვეყნის ერთგული, ძლიერი თაობის აღზრდა გვსურს, დიდი დრო უნდა დაეთმოს ქართული ლიტერატურისა და საქართველოს ისტორიის სწავლებას, შრომის კულტურას, აზროვნების განვითარებას, სამშობლოსადმი თავდადებისა და ვაჟკაცობის ამსახველი ქართული და უცხოური ნაწარმოებების გაცნობას. კარგად გვესმის, რომ არ შეიძლება მხოლოდ ძველი სტერეოტიპებით ცხოვრება. ჯერ კიდევ რომაელები ამბობდნენ: დრონი იცვლებიან და ჩვენც ვიცვლებით მასთან ერთადო, მაგრამ ისიც აუცილებელია, რომ ახალი ღირებულებების შეთვისებასთან ერთად, არ დავკარგოთ ჩვენი ტრადიციული და ზნეობრივი ფასეულობანი.

ცალკე უნდა შეიქმნას აღზრდის პროგრამა, რაც გულისხმობს ურთიერთობების კულტურასა და ქცევის წესებს. დღეს ამისთვის მხოლოდ ოჯახი ზრუნავს. საჭიროა აღზრდის საერთო მეთოდით ხელმძღვანელობდეს და ურთიერთკავშირში იყოს ოჯახიც, ეკლესიაც და სასწავლებელიც. ცნობილი ხელოვანი, შესანიშნავი მკვლევარი, წარმატებული ფერმერი ან ბიზნესმენი, კარგი მუშა ან ნიჭიერი ახალგაზრდა, როგორც ადამიანი, შეიძლება სულაც არ იყოს ზნეობრივი პიროვნება. სულიერი ღირსებების გარეშე კი ნებისმიერი ადამიანი ფასს კარგავს და მისი არსებობა ქვეყანას დიდ სიკეთეს ვერ მოუტანს. იმედია, ჩვენ არ გვსურს ასეთი თაობის აღზრდა.

როგორც პიროვნების, ისე საზოგადოების ჩამოყალიბებაში გარკვეული წვლილი დღეს ეკლესიასაც შეაქვს. ამიტომ მინდა, შევჩერდე სასულიერო პირის მნიშვნელობასა და ფუნქციაზე.

მღვდლობა — მოძღვრობაა, ესაა ცხოვრება უფლისა და მოყვასისათვის. ჩვენს ეკლესიაში ეს განცდა ნამდვილად არის, მაგრამ, სამწუხაროდ, ისეთი შემთხვევებიც იჩენს თავს, როცა მღვდლები შეცდომას უშვებენ თავიანთ სულიერ შვილებთან მიმართებაში, უხეშად ერევიან მათ პირად ცხოვრებაში, ზოგჯერ კი ოჯახის შექმნას თუ ბერად აღკვეცას აიძულებენ.

ლონდონში მრავალი წელი მსახურობდა მიტროპოლიტი ანტონი (ბლუმი), რომელსაც კარგად ვიცნობდი. იგი დიდი სულიერებით გამოირჩეოდა. აი, რას წერს იგი ამ საკითხზე: „ჩემი აზრით, ამგვარი მდგომარეობა აღმაშფოთებელია, რადგან ძალადობა პიროვნებას სულიერად ამახინჯებს, ამიტომაც, უკიდურესად მკაცრი ზომები უნდა მივიღოთ, ასეთი რამ რომ არ მოხდეს, — რადგან ბერობაც და ოჯახის შექმნაც ადამიანის თავისუფალ ნებას და გონივრულ მიდგომას საჭიროებს.“

ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ მონასტრის წინამძღვარსა და მის მორჩილებაში მყოფ სასულიერო პირთა შორის ურთიერთობები განსხვავდება სამღვდელოებასა და მათ მრევლს შორის დამოკიდებულებისაგან. ეს განსხვავება კი იმას გულისხმობს, რომ მოძღვრები არიან თავისი სამწყსოს სულიერი მრჩევლები და არა მათი ბედის განმკარგველნი, „სიყუარულით მწყსიდეთ თქვენდამი რწმუნებულ სამწყსოს და ნუ ეუფლებით მას“ — გვმოძღვრავს პავლე მოციქული.

სამწუხაროდ, ისიც ხდება, რომ მოძღვრები თავის სულიერ შვილებს გამოყოფენ სხვა მრევლისგან, და ნებას არ აძლევენ, სულიერ საკითხებზე სხვა მღვდლებსაც მიმართონ, თვითონაც შეკითხვის ან აღსარებისთვის მისულ სხვა მოძღვრის სულიერ შვილებს არ იღებენ, რითაც მრევლში განყოფა შემოაქვთ. ასეთი დამოკიდებულება გაუმართლებელია და აუცილებლად უნდა გამოსწორდეს.

მეუფე ანტონი (ბლუმი) ჭეშმარიტი მოძღვრის მსახურებას წმიდა იოანე ნათლისმცემლის მისიას ადარებს. მოძღვარს ადამიანები უფალთან უნდა მიჰყავდეს და არა საკუთარ თავთან; მღვდელი არ უნდა ამაყობდეს იმით, რომ მასთან ბევრი ხალხი დადის. უმრავლესობა ამ ადამიანებისა სულიერად გამოუცდელია, ისინი სხვადასხვა განსაცდელით შეწუხებულნი, ნუგეშს და თანადგომას ეკლესიაში ეძებენ. მათთან მიმართებაში სასულიერო პირი უფლის მადლის გამტარი უნდა იყოს, და არა საკუთარი იდეების მქადაგებელი; იგი უნდა კრებდეს ადამიანებს ქრისტეს, ეკლესიისა და სახარების გარშემო და არა საკუთარი თავის ირგვლივ.

არის სამწუხარო შემთხვევები, როდესაც მოძღვარი თავის მრევლს ისეთ განწყობას უქმნის, თითქოს იგი უფრო მადლმოსილია, რითაც სხვა მღვდლებისადმი, ნებსით თუ უნებლიეთ, უნდობლობას უნერგავს. როგორც კი ვინმე მოძღვარს ამგვარ დამოკიდებულებას შეამჩნევს, უნდა განშორდეს მას და სხვას მიმართოს. ღვთის მადლით აღვსილი სასულიერო პირი არასდროს განიკითხავს და დაამცირებს სხვას, მით უმეტეს მღვდელს.

გახსოვდეთ, თუ ნებისმიერ ადამიანს, განსაკუთრებით ღვთისმსახურს გაუჩნდება განცდა საკუთარი უპირატესობისა, ეს მისი სულიერი დაცემის დასაწყისია.

მინდა, შეგახსენოთ მაგალითი წმინდანთა ცხოვრებიდან: ღირსმა ანტონი დიდმა, ეგვიპტეში ბერ-მონოზვნური ცხოვრების დამაარსებელმა, შეიტყო, რომ თებეს უდაბნოში მოღვაწეობდა წმიდა ბერი პავლე თებაიდელი. მოხუცებულობის მიუხედავად, იგი თებეში გაემგზავრა, რათა მისგან კურთხევა და წმიდა ლოცვები გამოეთხოვა. პავლე თებაიდელი დაყუდებული იყო და საერთოდ არავის იღებდა, მაგრამ ანტონი დიდის თხოვნამ თავისი ჰქნა და კარი გააღო. ცრემლმორეული ორი მეუდაბნოე ერთმანეთს გადაეხვია, მათ ერთმანეთი არასოდეს ენახათ, მაგრამ, როგორც უახლოესმა სულიერმა ძმებმა, ერთმანეთს საკუთარი გამოცდილება გაუზიარეს. პავლე თებაიდელის სიწმიდითა და სულიერი სიმაღლით შეძრული, უდაბნოში უკან დაბრუნებული ანტონი დიდი გოდებით ამბობდა: „ჰოი, როგორი უბადრუკი და გლახაკი ცოდვილი ვარ! მე ვიხილე ილია, ვიხილე იოანე უდაბნოში, ვიხილე პავლე სასუფეველში.“ ასე სწუხდა თავისი უღირსების გამო ეს უდიდესი მოღვაწე ბერი, მაშინ, როდესაც ათასობით ადამიანისთვის თვითონ იყო საოცარი მაგალითი სიმშვიდისა, სიწმინდისა, და ღვთივგანბრძნობილობისა...

ცნობილია დიალოგიც მის სულიერ შვილთან: ანტონი დიდი ეკითხება: „შვილო ჩემო, რატომ ხარ მდუმარედ?“ იგი კი პასუხობს: „მამაო ჩემო, ჩემთვის შენი ყურებაც საკმარისია და მრავლისმთქმელი.“ როგორი სიყვარული და მადლმოსილებაა ამ სიტყვებში!

არაფერი ისე არ აახლოებს ადამიანებს, როგორც სიყვარული და წმინდა ცხოვრება. უფალი მოგვიწოდებს: „..იყუარებოდით ურთიერთას, ვითარცა მე შეგიყუარეთ თქუენ“ (იოანე 15, 12). დღეს კი საზოგადოებას დაახლოების ახალ საშუალებას, გლობალიზაციას სთავაზობენ. როგორც დოსტოევსკი ამბობს: „კაცობრიობის მოთხოვნილებად იქცა მსოფლიო და საყოველთაო ერთობა“.

ჩვენ, ყველანი, ყურადღებითა და სიფრთხილით ვადევნებთ თვალს ამ პროცესს. თუმცა გლობალიზაცია, შესაძლოა, სხვადასხვაგვარად გავიგოთ და ამის მიხედვით, მისდამი დადებითად ან უარყოფითად განვეწყოთ.

ის, რომ პატარა სახელმწიფოები, უმეტეს შემთხვევაში, დიდი სახელმწიფოების გავლენის ქვეშ იმყოფებიან და საერთაშორისო ურთიერთობებშიც ხშირად ძალისმიერი პოლიტიკა დომინირებს, ფაქტია, მაგრამ ისიც რეალობაა, რომ ასეთი პოლიტიკა გლობალიზაციის პირობებში დიდი ზიანის მომტანი იქნება. ყველამ უნდა გაითვალისწინოს, რომ თუკი გლობალიზაცია აღქმული იქნება, როგორც მხოლოდ უძლიერესის ძალაუფლება, მას სტაბილურობა არ მოჰყვება, — პირიქით, მსოფლიოს მოიცავს დაძაბულობა. ასე რომ არ მოხდეს, გლობალიზაციის შესაძლო ნეგატიური გამოვლინებანი უნდა აღმოიფხვრას: ბატონობის პოლიტიკა ურთიერთნდობის, თანამშრომლობისა და მოლაპარაკებების პოლიტიკით უნდა შეიცვალოს, კონფლიქტური ან თავდაცვითი ტაქტიკა სამართლიან, ურთიერთხელსაყრელ და კონსტრუქციულ დიალოგად უნდა იქცეს. საჭიროა ამ პროცესებს ჩვენი ქვეყანა მომზადებული შეხვდეს. ვფიქრობ, ამისთვის საუკეთესო გზაა ჩვენი და უცხოელი მეწარმეებისა და მეცნიერების ერთობლივი პროექტების შემუშავება (სადაც ქვეყნის ინტერესები აუცილებლად იქნება დაცული), კულტურის მოღვაწეთა თანამშრომლობა, ცივილიზაციათა დიალოგი. საჭიროა ისეთი პოლიტიკის შემუშავება, რომელიც საფრთხეს არ შეუქმნის როგორც ჩვენი, ისე ნებისმიერი სხვა ერის თვითმყოფადობას, მის ეროვნულ ღირებულებებს და ამასთან ყველას მისცემს საშუალებას მეზობელ სახელმწიფოებთან კონფლიქტის გარეშე ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და შენარჩუნებისა. ჩვენი ქვეყნის წინსვლისა და განვითარებისათვის აუცილებელია ერის გამთლიანება. ამ მიმართულებით ხელისუფლებამ პირველი ნაბიჯები უკვე გადადგა და ჩვენმა ეკლესიამაც თავისი წვლილი შეიტანა საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ბატონ ზვიად გამსახურდიას დაბადების 65 წლისთავთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებებში.

საუკუნეების მანძილზე გარეშე ძალა ყოველთვის ცდილობდა ქვეყნის დაყოფას და კუთხურობის ნიშნით დაპირისპირების შექმნას. დღესაც, თბილისსა და აჭარას შორის წარმოქმნილი პოლიტიკური დაძაბულობა, გარკვეულმა ძალებმა სცადეს ქართველებსა და აჭარლებს შორის დაპირისპირებად წარმოეჩინათ. ამ პროვოკაციას ჩვენმა ხალხმა, მათ შორის აჭარის მოსახლეობამაც საკადრისი პასუხი გასცა, — ჩვენ ვართ ერთი ერი, ერთი სახელმწიფო, გვაქვს ერთი კულტურა და ერთი ისტორია. ჩვენი განუყოფელი ნაწილია აფხაზეთიც და სამაჩაბლოც.

როდესაც ამ პრობლემებზე ვსაუბრობთ, თავისთავად დგება საკითხი ეკლესიის როლის შესახებაც. მართლმადიდებელი ეკლესია ეს არის ღვთის მიერ მოწოდებულ ადამიანთა ერთობა, რომელთა მიზანია დაიცვან უფლის მცნებები და აღასრულონ მისი ნება. გვწამს, რომ ამქვეყნიურ ყოფაში სულიერი ცხოვრებისა და საეკლესიო საიდუმლოებებში მონაწილეობის გარეშე სულიერი ამაღლება და ღმერთთან სიახლოვე შეუძლებელია. ეკლესია კაცობრიობისათვის უდიდესი მადლია. ესაა ღვთის წყალობა, მომნიჭებელი ცოდვათა მიტევებისა და განწმენდისა, სიკვდილზე გამარჯვებისა და ხსნისა.

საუკუნეთა მანძილზე ბოროტი ძალა სხვადასხვა სახით ებრძოდა ქრისტეს ეკლესიას. ეს ბრძოლა დღესაც გრძელდება. ხშირია შემთხვევა, როდესაც იბეჭდება ცილისმწამებლური წერილები და გამიზნულად ხდება ხელისუფლებასა და ეკლესიას შორის უნდობლობის გაღვივება. მათ ავტორებს ავიწყდებათ, რომ ეკლესია მაცხოვრის მისტიკური სხეულია, რომელიც კლდესა ზედა არის დაშენებული და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ მოერევიან მას. ეკლესია „სუეტი და სიმტკიცეა ჭეშმარიტებისა“ (1 ტიმ. 3, 15).

წმიდა ბასილი დიდი ასე გვარიგებს: „შენ ხარ კეთილმოწყობილი ჭურჭელი, რომელმაც უფლისაგან სიცოცხლე მიიღე: ადიდე შენი შემოქმედი, რადგან იმისთვის ხარ მოწოდებული, რომ იყო ღირსეული გამოვლინება ღვთის მადლისა; ეს სამყარო შენთვის, ცოცხალი წიგნია, რომელიც უფლის სიდიადეს ქადაგებს და შენ, გონიერ არსებას, მის იდუმალ და უხილავ ბრწყინვალებას გაზიარებს, რათა შეიცნო ჭეშმარიტების ღმერთი“ (გრ. დიაჩენკო, „სარწმუნოება“, გვ. 176).

ყოველწლიურად ჩვენ, ყველანი, ზეიმით ვეგებებით პასექის ბრწყინვალე დღესასწაულს, რომელსაც მუდამ ახალი, ადრინდელისგან განსხვავებული სიხარული მოაქვს. ესაა განცდა მარადიული ნეტარებისა. ყოველ წელს ჩვენს გულებში ინთება ახალი კანდელი, ცათა სასუფევლისკენ ჩვენი მომავალი მსვლელობის გზის გამნათებელი.

შეიმუსრა ბჭენი ჯოჯოხეთისანი და ჩვენ სიკვდილის დათრგუნვასა და მარადიული ცხოვრების დაწყებას ვდღესასწაულობთ.

სააღდგომო საგალობელში ვკითხულობთ: „დღეს მეუფემან წარმოსტყვენა ჯოჯოხეთი და აღადგინა კრულნი, რომელნი საუკუნითგან ბოროტად პყრობილ იყვნეს მას შინა“.

მაშ, დავივიწყოთ მიწიერი განსაცდელი და ამ წარმავალი წუთისოფლიდან მარადიულობას მოვაპყრათ თვალი. მოვიგონოთ ჩვენი მშობლები და კეთილმორწმუნე წინაპრები. დაე, მარად გიცავდეთ დედის სითბო და მამის მზრუნველობა. პატივი მიაგეთ მათ, ხოლო თუ ისინი გარდაცვლილნი არიან, მაინც ჩვეულებრივ ესაუბრეთ და დახმარებაც სთხოვეთ. გახსოვდეთ, მათ ყოველივე ესმით, კვლავინდებურად უყვარხართ და ლოცულობენ თქვენთვის.

სერბი მღვდელმთავარი, ნიკოლოზი წერს: ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს დედის ღიმილი, დამტევნელი სიბრძნისა, წყალობისა, სიყვარულისა და, რაც მთავარია, მარადიულობისა, რადგან სიცილიცა და ტირილიც დროებითია და წარმავალი და მხოლოდ ღიმილია — მარადიული.

თქვენდამი სიყვარულით გამთბარი გულით კიდევ ერთხელ გილოცავთ ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაულს.

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი**

***აღდგომა ქრისტესი***
***თბილისი, 2004 წ.***

# უფალმა ინება, რომ ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოში ეს საჩუქარი შემობრძანებულიყო

ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაულზე ჩვენი გაზეთის მკითხველი უკვე მეხუთედ მიიღებს საჩუქარს: იერუსალიმის წმინდა მიწიდან ჩამოტანილ, ქრისტეს საფლავის მარადიულ ცეცხლზე თავმომწვარ სანთელსა და ხატს.



„კვირის პალიტრის" სააღდგომო საჩუქრის კურთხევა

## ზეციური ცეცხლის საიდუმლო

ზეციური ცეცხლი იერუსალიმის აღდგომის ტაძარში პირველად III საუკუნეში გადმოსულა — სააღდგომო ლიტანიობაზე კანდელებში ზეთი შემოაკლდათ. პატრიარქმა ნარცისმა გასცა კურთხევა, მათში სილოამის ემბაზის წყალი ჩაესხათ. როცა პატრიარ-



იერუსალიმის აღდგომის ტაძარი. წმინდა ცეცხლი არ წვავს...

ქის კურთხევა შეასრულეს, ზეციდან ცეცხლი გადმოვიდა და აანთო კანდელები, რომლებიც მთელი ლიტანიობის მანძილზე არ ჩამქრალა. მას შემდეგ, ყოველი აღდგომას, ცეცხლი სასწაულებრივად აღმოცენდება ხოლმე მაცხოვრის საფლავიდან.

მართლმადიდებელი პატრიარქი ემზადება წმინდა ცეცხლის მისაღებად — აღდგომის ტაძარში, მაცხოვრის საფლავზე აგებული, დალუქულ სამლოცველოში შესვლამდე განიმოსება და კვართითღა რჩება. როცა ის წმინდა ცეცხლით შემოდის ტაძარში, სირიელი, კოპტი და სომეხი მღვდელმსახურები მიეახლებიან და თაყვანს სცემენ ნიშნად იმისა, რომ ცეცხლი მხოლოდ მართლმადიდებელი პატრიარქის ხელით შეუძლიათ მიიღონ. ტაძარში შეკრებილ მორწმუნეებს ხელში უჭირავთ კონად შეკრული 33-33 სანთელი, რაც მაცხოვრის მიწიერი ცხოვრების სიმბოლოა. ძე ღვთისას საფლავიდან გარდამოსული ცეცხლი თბილი და საამოა, რაც მიანიშნებს მის ღვთაებრიობას, იესოს დიდ სიყვარულს ჩვენდამი და მოვვიწოდებს სინანულისკენ. მლოცველნი მას თავსა და სახეზე შემოიტარებენ — იგი არ წვავს. ცეცხლი ამ თვისებას 10-15 წუთი ინარჩუნებს.

უკვე რამდენიმე წელია, ჩვენს ეკლესიას მადლმოსილი ცეცხლი საქართველოში ჩამოაქვს. წელსაც იერუსალიმიდან მისი ჩამობრძანება აღდგომის ლიტანიობის დაწყებამდე მოხერხდა. აღდგომის ცეცხლი სიონის საკათედრო ტაძრის საკურთხეველში მთელი წლის მანძილზე ჩაუქრობლად ანთია და ამ მადლის შინ წაღება ნებისმიერ მორწმუნეს შეუძლია.

იერუსალიმიდან საქართველოში „კვირის პალიტრის" მიერ ჩამოტანილ წმინდა სანთლებს დიდი და რთული გზა უნდა გამოევლოთ...

უფალმა ინება, რომ ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოში ეს საჩუქარი დაუბრკოლებლად შემობრძანებულიყო...

სანთლები წმინდა მამა გერასიმეს მონასტერში ჩამოქნეს. მკითხველს შევახსენებთ, რომ წმინდა მამა გერასიმეს მონასტერში მოქცეულია ის გამოქვაბული, სადაც ეგვიპტისკენ მიმავალმა, ჰეროდეს რისხვას გამოქცეულმა, იოსებმა და მარიამ ღვთისმშობელმა შეისვენეს. აქვეა ლოდი, რომელზეც ბეთლემიდან წამოსულ ღვთისმშობელს მიუწვენია ძე ღვთისა.

სანთლების ჩამოტანაში უანგაროდ დაგვეხმარა იერუსალიმში მცხოვრები ქართველი **ნიკო მერეკლიშვილი**.

— მიხარია, რომ ყველაფერი მოგვარდა, ყველა სირთულეს გავუმკლავდით. სანთლების საქართველოში გამოგზავნის ფაქტი ყველას უკვირს, მარტო ებრაელებს კი არა, რუსებსაც. გვეკითხებოდნენ, — რა, საქართველოში სანთლები არა გაქვთო? ჩვენ ვუხსნიდით, რატომ ვგზავნით საქართველოში ამ წმინდა საჩუქარს და რამხელა მადლია ამაში. წმინდა ტვირთი საბაჟოს თვითმფრინავის გაფრენამდე ერთი საათით ადრე ჩავაბარეთ. საბაჟოს თანამშრომლებმა მის გატარებაზე ცივი უარი გვითხრეს. არც ხვეწნამ გასჭრა, არც ნაცნობების ჩარევამ. საოცრება კი მაინც მოხდა: ნახევარი საათი რჩებოდა თვითმფრინავის გამოფრენამდე. უცებ, ღვთის ნებით, სანთლები გაატარეს... ეს მართლა სასწაული იყო...

**— ბატონო ნიკო, ისრაელში ქართველები ბევრნი არიან?**

— დიახ. მე თელ-ავივის წმინდა პეტრეს სახელობის რუსულ მონასტერში ვმსახურობ. ბევრი ქართველი მორწმუნე დადის ამ ტაძარში. შაბათობით ჩვენს მონასტერში ქართულადაც გალობენ. აქ არის დასვენებული 2000 წელს საქართველოდან შემოწირული ხატი — „საქართველოს დიდება".

სააღდგომო საჩუქარი — სანთლები და ხელთუქმნელი ხატები, რომლებსაც ორშაბათს ჩვენი მკითხველი გაზეთთან ერთად მიიღებს, ნარიყალას წმინდა ნიკოლოზის ტაძრის წინამძღვარმა, დეკანოზმა **გიორგი თევდორაშვილმა** აკურთხა:

— მადლობას ვწირავ ღმერთს, რომ შესაძლებლობა მომეცა, თქვენი გაზეთის საშუალებით მაცხოვრის ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაული მივულოცო ჩვენს ქვეყანას, — გვითხრა მამა გიორგიმ, — გისურვებთ ალორძინებას, გამთლიანებას, სიყვარულს, სიხარულს. ჩვენი ხალხი დაპურებულიყოს სულიერად და ხორციელადაც...

ჩვენ კი, უფლის წყალობით, გვაქვს კეთილი ნება, მაცხოვრის საფლავზე ანთებული სანთელი და წმინდა ხატი შემოვაბრძანოთ თქვენს ოჯახებში. მათთან ერთად შემოაბიჯოს ბედნიერებამ, ხოლო თქვენ უფალმა მოგცეთ ამ ბედნიერების მიღების ძალა...

# სიცოცხლე შვენობს შენითა...

რაც კაცობრიობამ დღესასწაულები იცის, ყველაზე მშვენიერი და ბრწყინვალე მათ შორის აღდგომაა. ეს არის ყველაზე იმედიანი და სიხარულის მომგვრელი დღე, სიცოცხლის საგალობელი, რომელიც არასოდეს დასრულდება.

აღდგომის მთელი კვირა დღესასწაულია და სასაფლაოზე ტირილსა და გლოვას არ უნდა გავატაროთ ქართველებმა, თუმცა ტრადიცია, რომელსაც საუკუნეების ფესვები აქვს, დღესაც ცოცხალია. აღდგომის მეორე დღეს — ორშაბათს (ზოგან კვირასაც კი) სასაფლაოს მიაშურებენ. როცა ჩემს სტუმარს მოვუსმინე, მივხვდი, ქართველები სასაფლაოზე სადღესასწაულოდ მიდიოდნენ, ხშირად სიმღერებითაც კი ჩამოუვლიდნენ საფლავებს და ამით იმ კედელს ებრძოდნენ, სააქაოსა და საიქიოს გამყოფი რომ ჰქვია: ერთადერთი ამ დღეს ხდებოდა სრულიად საქართველო ზედრულო და საუკუნეთა წინ გარდაცვლილი თუ ცოცხალი ქართველები ერთად შეხვდებოდნენ უფალს...

...მოვდივართ და ბევრ ტრადიციას, ბევრ კარგ შეგრძნებას ვკარგავთ. გათითოკაცებულები ერთმანეთსაც ვერ ვპოულობთ მოსაფერებლად. აღდგომის დღესასწაული კიდევ ერთხელ გვაძლევს ერთმანეთის სიყვარულის ძალას.

მინდა შემოგთავაზოთ რამდენიმე სააღდგომო სურათი, რომელსაც, სამწუხაროდ, ჩვენი თანამედროვეები ველარ ნახავენ, იმიტომ, რომ ყველაფერი შეიცვალა და სოფელიც და ქალაქიც მაკრატლით ერთნაირად გადაკრეჭილ ქუჩებს დაემსგავსნენ. მაშ ასე, როგორი იყო აღდგომის დღესასწაული.

**გოდერძი ჩოხელი:** — აღდგომისათვის მზადებას ბალღები ზამთარშივე ვიწყებდით. როგორც კი თებერვალი დადგებოდა და „ხეში წყალი ჩადგებოდა", მივდიოდით მშვილდ-ისრისათვის ტოტების მოსაჭრელად. შვიდნაწილას ეძახდნენ მშვილდ-ისრის ხეს, იქიდან გამოდიოდა კარგი... აღდგომის მეორე და მესამე დღეს ჩოხში ტაბლობა იყო... სასაფლაოზე გავდიოდით, დიდ სუფრას ვშლიდით. კაცები ცალკე სხდებოდნენ, ქალები — ცალკე. ჩემს დროს ჩოხი იმხელა იყო, ერთ დღეს ვერ მორჩებოდნენ ხოლმე შესანდობარის თქმას. მიცვალებულის სულისთვის ხავიწის კვერებს გამოაცხობდნენ, მოშორებით დადებდნენ. ყველა მამაკაცი ისარს ესროდა, ვინც მოარტყამდა, იმას უნდა შეეჭამა კვერი, თან საჩუქრებს მოაყოლებდნენ: წინდებს, კვერცხებს. საჩუქრები ძალიან გვიხაროდა. ისარი კვერისთვის ბევრჯერ გამირტყამს. ცოტა ხიფათიანიც ვიყავი. ერთხელ ვილაცამ ხელი მიაფარა კვერს, ჯერ არ ისროლოთო, მე ხელში მოვარტყი ისარი. აღდგომას იმაშიც ვეჯიბრებოდით, ვინ უფრო მაღლა ისროდა ისარს. ერთხელ ციდან დაბრუნებული ჩემი ისარი ერთ კაცს ბეჭებში ჩაესო. ასეთი მოისარი ვიყავი. აღდგომის დღეს ხატში ვატარებდით. დარბაზში ვათენებდით ღამეს. შუაღამისას გარეთ გამოვდიოდით, სანთლებს ვანთებდით და ხევისბერი ილოცებოდა, გვილოცავდა აღდგომას. ხატში დაძინება სირცხვილი იყო, ყოველი წუთი უნდა გვედღესასწაულა. თან უფროსები საინტერესო ამბებს ჰყვებოდნენ წარსულ გმირებზე... გაფაციცებულნი შევყურებდით მათ. აღდგომას საკლავს შეწირავდნენ ხატს, გაიხსნილებდნენ, მოხარშავდნენ და თითო ნაჭერ ხორცს ყველას აძლევდნენ, ხატში მყოფებსაც და სოფელში დარჩენილ ქალებსაც.

სააღდგომოდ ლუდსაც ვადუღებდით. ეს მთელი რიტუალი იყო. მოვხნავდით, ქერს დავთესავდით, გავლეწავდით, მერე ხატს შევწირავდით. ხატში იყო ქვაბი, რომელსაც პინა ერქვა. ამ პინით ჩამოივლიდნენ ხატის დასტურები და ყველა ოჯახი გაიღებდა შესაწირ ქერს. ერთი სავსე პინა უნდა შეგეწირნა ხატისთვის და დაგემატებინა იმდენი პეშვი, რამდენი კაციც იყო იმ ოჯახში. მერე ამას შინ დაგიტოვებდნენ და დასტურები ახლა სხვა ოჯახში გადავიდოდნენ, ხატის შესაწირი რომ აეწყოთ. ამ შესაწირს კულუხი ერქვა. ქერს დავალბობდით, გავალივებდით, გავაშრობდით, დავფქვავდით. აღდგომამდე ორი კვირით ადრე უნდა მოგვედუღებინა ლუდი. ხატში მივიტანდით, ჩავყრიდით სალუდე ქვაბში და ვადუღებდით ლუდს. ცალკე ვადუღებდით სვიას, მერე ერთმანეთში შევურევდით. ამას მხიარულება ახლდა. ყველას თავისი წილი შეშა უნდა მიეტანა. კი მოჰქონდათ გაზაფხულობით რადიო, მაგრამ მალე ელემენტები დაუჯდებოდა და ჩვენთვის ერთადერთი საშუალება რაიმეს გაგებისა, უფროსების მოსმენა იყო.

ლუდი უწმინდესი სასმელია ჩოხში. რომ ჩამოვედი და ვნახე, აქ როგორ ილანძღებიან ლუდის სმისას, გავგიჟდი. დღემდე ვერ შევეჩვიე ამას. მწყინს... ეტყობა, იმიტომ სჩადიან ამას, რომ ლუდის ყადრი არ იციან, ჩვენ ვიცოდით. ვიცი ქერის დათესვის, ხატისთვის შეწირვის ფასი. იმისიც გვჯეროდა, რომ ქერის თითო მარცვალი ჩოხის წმინდა გიორგის ერთ ხარად ულირს. გასაშრობად რომ გავდგამდით, ვყარაულობდით, ფრინველს მარცვალი არ მოეპარა. აქ ხომ ეს არ იციან. ამათთვის ლუდი „პივაა", მეტი არაფერი...

კვერცხებს წითელ პარასკევს ვღებავდით. ან ხახვის ფურცელში ან მწვეროს ქერქში. მწვერო მცენარეა, რომელიც წითელ ნაყოფს ისხამს და ქერქიც მოწითალო აქვს. იმაში საფარდაგე ძაფსაც ღებავენ. გაგებული გვქონდა, რომ არსებობდა ციცრის კვერცხი, მაგრამ არ გვენახა. იმ კვერცხს ყველა კვერცხის გატეხვა შეუძლიაო, — ამბობდნენ. თუ ვინმეს ქვის ან ხის კვერცხი ექნებოდა საყალთაბანდოდ შეღებილი და გაუგებდნენ, იმას აღარ მიაკარებდნენ თავიანთ კვერცხებს.



სააღდგომო საკითხავი

სკოლაში რომ მიმიყვანეს, ორშაბათსა და სამშაბათს, როცა ჩვენთან ტაბლობა იყო, გაკვეთილები გვიტარდებოდა. მასწავლებლები ხელებს გვითვალიერებდნენ. ვისაც კვერცხის საღებავით ექნებოდა გაწითლებული, წკეპლას გვირტყამდნენ. მეც მომხვედრია. ისე მწყინდა, ცრემლები მომდიოდა. იმ დღეს გვიანობამდე არ გვიშვებდნენ შინ. რომ გაგვიშვებდნენ, ფერდობს — 2 კილომეტრს სირბილით ავდიოდით. ერთადერთხელ დაემთხვა აღდგომის მეორე დღე პირველ მაისს. მაშინ კი ველარაფერი გვითხრეს. წავედით სასაფლაოზე. ჩვენთან „პარადი" არ იყო და გუდამაყრელებმა სასაფლაოზე ჩავატარეთ „პარადი".

აღდგომა რომ მოდიოდა, უფრო ხშირად სასაფლაოები თოვლით იყო დაფარული. ორი კვირით ადრე გავწმენდდით საფლავებს. მზე თბილ მიწას დახედავდა (თოვლის ქვეშ ხომ მიწა თბილია) და იები ამოვიდოდა. აღდგომისთვის სასაფლაო — თეთრი ზეწარი — ლურჯი იებით იყო მოფარდაგებული... იშვიათად — თოვლი დამდნარი ხვდებოდა აღდგომას. მაშინ ყველაფერი ყვაოდა ირგვლივ...

**ეთერ თათარაიძე:** თუშეთში აღდგომას სასაფლაოზე ღამით გავდიოდით. ამას გოგბახულა ერქვა, ულამაზესი სანახავი იყო. წარმოიდგინეთ, ალაზნისპირის ღამე, მთელი სოფელი სასაფლაოზეა გაფენილი. ხელში ყველას სანთელი უჭირავს, საფლავებზე ანთებენ. თითოეულ საფლავზე მარტო ოჯახი კი არ ანთებს სანთელს, მთელი სანათესავო. ამიტომ ირგვლივ უთვალავი სანთელი იწვის. ამ ღამეს სასაფლაო ციურ სხეულს ჰგავს. ეს არის დღესასწაული და არა დატირება. არავინ ტიროდა იმ ღამით, ყველა იცინოდა, მღეროდა. ის კი არა, დოლ-გარმონი დაგვყვებოდა. მერე ზემო ალვანში, სამების ეკლესიაზე ადიოდნენ. იქ გოგო-ბიჭები ერთმანეთს ათვალიერებდნენ, გულის სწორს ირჩევდნენ.

სიცოცხლის დიდი ზეიმი ეწყობოდა აღდგომას. ორშაბათს თუშები ნათლისმცემლობას აღნიშნავდნენ, სამშაბათს — სამებობას და ამას მიცვალებულებთან ერთად „განიცდიდნენ". თუშს არასოდეს გაუვლია ზღვარი სიკვდილ-სიცოცხლეს შორის. სადღეგრძელოსაც ასე სვამდნენ: ახმაროს მიცვალებულებს, ჩვენ კი გაგვიმარჯვოსო.

*„ღმერთმა გიშველოს, სიკვდილო,*
*სიცოცხლე შვენობს შენითა"*, — ვაჟამ რომ თქვა, სწორედ ეგ ხდებოდა თუშეთში აღდგომის ღამეს.

***გვერდი მოამზადა ლელა ჯიყაშვილმა***

## მკითხველის პრემია * მკითხველის პრემია

ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის" ჟურნალისტებს თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი. იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 50 ლარს გადასცემს. გამარჯვებული ჟურნალისტის ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ. *რეიტინგის ქვითარი იხ. 35-ე გვერდზე.*

## წინა ნომრის მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:

1. **ვაჟა გავაშელი** — „ყბამოტეხილ ყაჩაღს მთელი დასავლეთ საქართველო ეძებდა..." — 82 ხმა
2. **ლელა ჯიყაშვილი** — „ქართველებს თავგანწირვა შეგვიძლია" — 59
3. **ზვიად ჩაკვეტაძე** — „მისმა კაცმა შემომთავაზა, მოგების 93 მუმლაძისთვის დამეთმო" — 50
4. **ინგა ჩადუნელი** — „რა ღირს საქართველოში „კაშკაშა ვარსკვლავობა?" — 25
5. **ირაკლი ალადაშვილი** — „სამხედრო თემაზე" — 23
6. **ლელა ჯიყაშვილი** — „მიჭირს სოლოლაკში იმ სახლის ნახვა, სადაც დავიბადე..." — 22

მკითხველის სახელით პრემია გადაეცემა რუბრიკა ვერსიის ავტორს — **ვაჟა გავაშელს.**

***„მკითხველის პრემიის" მფლობელი 376-მა რესპონდენტმა გამოავლინა***



# „თუ აბაშიძე არ განიარაღდება, თავისი ტანკები ვერ დაიცავენ“

## „მთავრობამ იცის, რომ ხალხთან ერთად მეც ვადევნებ თვალყურს მის საქმიანობას და მაქვს მისი დათხოვის ბერკეტი“

რამდენიმე დღის წინ, ბრიუსელში ყოფნისას, პრეზიდენტმა სააკაშვილმა ნატოში გაწევრების დიდი სურვილი კიდევ ერთხელ გამოთქვა და 2009 წლისთვის საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრებაც იწინასწარმეტყველა. ჯერჯერობით, ჩვენი ახალგაზრდა პრეზიდენტი დასავლეთსაც მოსწონს და რუსეთსაც.

უცხოელი მეგობრების ასეთი კეთილგანწყობა სასიხარულოცაა და დასაფასებელიც, მაგრამ თუ ჭკუით არ მოვიქეცით, ეს კეთილგანწყობაც არ იქნება წარუვალი. ახალ ხელისუფლებას არც წინამორბედთა მწარე გამოცდილების დავიწყება მართებს. იმისა, რომ ერთ დროს დასავლეთი შევარდნაძესაც ეხმარებოდა, მაგრამ მან ისე არივდარია ქვეყანაში ყველაფერი, ისე ახარა კორუფცია და ახეირა კორუმპირებულნი, რომ საქართველოსკენ გამოხედვის სურვილი მეგობარ უცხოელ პოლიტიკოსებსაც დაუკარგა და მათ თანამემამულე ბიზნესმენებსაც.

ახალ პრეზიდენტს შნოს გამოჩენა უპირველესად ქვეყნის შიგნით მოუწევს და მერე შეუძლია საგარეო წარმატებაზე იოცნებოს. ფხიანობა სააკაშვილმა რამდენჯერმე უკვე გამოავლინა. ამის დასტურად ამ რამდენიმე დღის წინ აჭარის უშიშროების იზოლატორიდან თენგიზ ასანიძის გათავისუფლებაც კმარა. თუმც მისი აჭარული პრობლემები ამით არ ამოწურულა. ცენტრისა და რეგიონის ურთიერთობებში ბევრი საჩოთირო და სახიფათო საკითხია. სწორედ ამ თემით დავიწყეთ საქართველოს პრეზიდენტთან, **მიხეილ სააკაშვილთან** ექსკლუზიური ინტერვიუ.

— აჭარის საკითხში სერიოზული პროგრესი გვაქვს და ყველა იმ უთავმოყვარეო კაცის განცხადება — აჭარასთან მკაცრი ლაპარაკი არ შეიძლებაო, აბსოლუტური სისულელე აღმოჩნდა — ეს რეალობამ დაამტკიცა. ასლან აბაშიძეს ენის მოჩლექით შევარდნაძე ელაპარაკებოდა. შედეგად კი ის მივიღეთ, რომ რეგიონში ცალკე რეჟიმი და ცალკე სახელმწიფო შეიქმნა თავისი ყველა ატრიბუტით — საზღვრებით, არმიით, პოლიციურ-რეპრესიული რეჟიმით, რომელიც პრაქტიკულად არ ემორჩილებოდა საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას. ეს პრობლემა მემკვიდრეობით მივიღეთ, მაგრამ ასლან აბაშიძის პირველივე შანტაჟმა — აჭარაში საპრეზიდენტო არჩევნებს არ ჩავატარებო, არ გაჭრა. რაკი ჩვენგან ძალზე მკაცრი რეაქცია იყო, იძულებული შეიქნა, არჩევნები ჩაეტარებინა. აბაშიძე არც საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას აპირებდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც დაინახა, არ ვხუმრობთ — იძულებული გახდა, საპარლამენტო არჩევნებიც ჩაეტარებინა. შედეგად კი 6-ჯერ ნაკლები ხმა მიიღო, ვიდრე წინა არჩევნებში (უფრო სწორად, მეტის დაფიქსირება ვერ მოახერხა). მას შევარდნაძე არასდროს დაუშვია არც საბაჟოსა და არც პორტში. დღეს კი ჩემი წარმომადგენლები უკვე აკონტროლებენ ბათუმის პორტსა და სარფის საბაჟოს. უკვე შემიძლია ვთქვა, რომ აჭარაში შემოსული ყველა ტვირთი აჭარაშივეა განბაჟებული.

ასლან აბაშიძეს აქამდე არც კი უფიქრია თენგიზ ასანიძის გათავისუფლება, დღეს კი იძულებული გახდა, ეს ნაბიჯი გადაედგა. უნდა ვთქვა, რომ ასანიძის გათავისუფლება მხოლოდ ევროსასამართლოს გადაწყვეტილების შედეგი არ ყოფილა. ევროსასამართლომ ჩვენი პრინციპული პოზიცია გაიზიარა...

ყოველივე ამის შემდეგ რჩება მთავარი — განიარაღების საკითხი. აჭარაში ადგილობრივ ხელისუფლებას აქვს 4 ტ-72 ტანკი, რამდენიმე ჯავშანმანქანა, საზენიტო და „გრადის“ ტიპის საარტილერიო დანადგარები, „სტრელას“ სახის რაკეტები და უკანონო ვერტმფრენები. ასლან აბაშიძემ ყველაფერი ნებაყოფლობით უნდა ჩააბაროს ცენტრალურ ხელისუფლებას — არა და ჩავაბარებინებთ. ბევრ ლაპარაკს არ ვაპირებ. ჩვენ გვაქვს ყველა იმ დანადგარის, რომელიც კი არის რეგიონში, ვიდეო და ფოტომასალა, გვაქვს ზუსტი ინფორმაცია, სად რა შეიარაღებაა. ვიცით, რომ ავტონომიის ხელმძღვანელი სისტემატურად უცვლის მდებარეობას იმ დანადგარებს, შენიღბული აქვს ტანკები, გამაგრებული აქვს ციხესიმაგრე, ქობულეთი სავსეა იარაღით, ჩოლოქზე სანგრებია გათხრილი. სანაპიროს გასწვრივ განლაგებულია „გრადები“, აქვს წყალქვეშა ტექნიკა, ჰყავს აკვალანგისტები... დანაღმულია ნახევარი აჭარა. ასლან აბაშიძეს აქვს დაცვის ყოლის უფლება, მაგრამ არ დავუშვებთ, რომ მას საკუთარი არმია ჰყავდეს. ჩვენ არ გვინდა შეიარაღებული ძალების გამოყენება აჭარაში, მაგრამ არც ამ განუკითხაობას დავუშვებთ. გვინდა, ეს პრობლემები რეგიონთან პოლიტიკური გზით, მოლაპარაკებებით გადაწყდეს. ამიტომაც ვაგზავნით ამ კვირაში ზურაბ ჟვანიას აჭარაში...

თუ ასლან აბაშიძე განიარაღდება, აჭარაში დემოკრატიული პროცესები დაიწყება. თუკი იქაურ საბაჟოსა და საგადასახადოს გავაკონტროლებთ, მაშინ ასლან აბაშიძესთანაც პრობლემები აღარ გვექნება. ორ წელიწადში ჩატარდება უზენაესი საბჭოს არჩევნები. თუ ხალხი მას აირჩევს, კი, ბატონო, არავინ შეედავება. თუ არა, ვინმე ახალი მოვა. თუკი ასლან აბაშიძე შეიარაღებულ რაზმებს არ გააუქმებს, იძულებული ვიქნებით გამოვიყენოთ კონსტიტუციით გათვალისწინებული უფლება — შევაჩეროთ აჭარის ადგილობრივი ხელისუფლების უფლებამოსილება და ვადამდელი არჩევნები დავნიშნოთ. ავტონომიის საკითხს არც წამოვჭრით. ადგილობრივი ხელისუფლება ავრცელებს ინფორმაციას, თითქოს მეჩეთების დახურვას ვგეგმავდეთ. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ — ეს ბინძური პროვოკაციაა. ჩვენ პატივს ვცემთ ყველა, მათ შორის მუსლიმანი ქართველების აღმსარებლობას, მას არავინ შეეხება. მხოლოდ ერთს მოვითხოვ — საქართველო ერთიანი უნდა იყოს.

ჩვენი გათვლებით აჭარაში ყოველწლიურად 220 მლნ დოლარამდე იკარგება. ამ ფინანსური განუკითხაობის გამო ადგილობრივი ხელისუფლებისა და ზოგიერთი რუსი ბიზნესმენის ჯიბეში 120 მლნ დოლარი ნავთობის ტერმინალიდან მიდის. ეს თანხა ახალი იარაღის, იქაურ ხელისუფალთათვის დაჯავშნული მანქანების შესაძენად და ფუფუნებით ცხოვრებისთვის იხარჯება. ყველაფერი ეს უნდა დამთავრდეს. სხვათა შორის, ამავე აზრს იზიარებს რუსეთის ხელისუფლება. საოცრად მხარდამჭერი და სწორი პოზიცია დაიკავა თურქეთმაც. აღარაფერს ვამბობ ჩვენს სხვა მოკავშირეებზე. ასე რომ, ასლან აბაშიძეს გასაქცევი აღარსად აქვს. ნაბიჯ-ნაბიჯ ვაიძულებ (ხვეწნას არ ვაპირებ) თამაშის წესები დაიცვას. რამდენჯერმე გამომცადა — ვაპირებდი თუ არა შევარდნაძის პოზიციის გაგრძელებას და რაკი იმედი გაუცრუვდა, ზოგიერთ სფეროში თანამშრომლობას დათანხმდა. ღმერთმა ქნას, ასევე ითანამშრომლოს ჩემთვის უმთავრეს — განიარაღების საკითხშიც. თუ აბაშიძე არ განიარაღდება, თავისი ტანკები ვერ დაიცავენ.

ნაბიჯ-ნაბიჯ ვაიძულებ (ხვეწნას არ ვაპირებ) თამაშის წესები დაიცვას. რამდენჯერმე გამომცადა — ვაპირებდი თუ არა შევარდნაძის პოზიციის გაგრძელებას და რაკი იმედი გაუცრუვდა, ზოგიერთ სფეროში თანამშრომლობას დათანხმდა. ღმერთმა ქნას, ასევე ითანამშრომლოს ჩემთვის უმთავრეს — განიარაღების საკითხშიც. თუ აბაშიძე არ განიარაღდება, თავისი ტანკები ვერ დაიცავენ.

**— აჭარის ხელისუფლება შეშფოთებით უყურებს ფოთში სამხედრო მანევრებს. ეჭვობს, რომ მანევრები მხოლოდ საბაბია და სინამდვილეში ცენტრალური ხელისუფლება ავტონომიაში შეიარაღებული ძალების შეყვანას გეგმავს.**

— ცენტრალური ხელისუფლება სადაც საჭიროდ ჩათვლის, იქ ჩაატარებს მანევრებს, ეს არავის საქმე და გადასაწყვეტი არ არის. თუ დაგვჭირდა, მანევრებს ბათუმშიც ჩავატარებთ, მაგრამ ამჯერად შეიარაღებული ძალების ბათუმში გაგზავნას არ ვაპირებ, ფოთში კი უეჭველად ჩატარდება მანევრები. გვინდა, ბათუმის შეიარაღებული ძალების ნაწილებმაც მიიღონ ამ ღონისძიებაში მონაწილეობა. როგორც ჩანს, გენერალმა დუმბაძემ უღალატა საქვეყნო ინტერესებს. მას რამდენიმე დღე მივეცი — თუ გამოცხადდება, პასუხისმგებლობისაგან გავათავისუფლებთ. თუ უახლოეს პერიოდში ის ამას არ გააკეთებს და ბათუმის სამხედრო ნაწილი მონაწილეობას არ მიიღებს ფოთის მანევრებში, თვითონ უზრუნველვყოფ, რომ გენერალი დუმბაძე საშვილიშვილოდ, უმკაცრესად დაისაჯოს.

**— ახლა აჭარიდან ცენტრალურ აღმასრულებელ ხელისუფლებაზე გადავინაცვლოთ — მთავრობის მუშაობა რამდენად გაკმაყოფილებთ?**

— მთავარი ის არის, რომ მთავრობა ერთიანი მექანიზმია. მარჯვენა ხელმა იცის, მარცხენა რას აკეთებს. აღარ არის ქიშპი და ის ვითარება, როცა თავდაცვის, იუსტიციის, შინაგან საქმეთა და უშიშროების მინისტრები ერთმანეთს ვერ იტანდნენ. დღეს ისინი ერთობლივად ახორციელებენ ზედამხედველობას და ამან დადებითი შედეგი მოიტანა. საქართველოში არსებული თითქმის ყველა კრიმინალური ბანდა განადგურებულია. მთავრობის ეკონომიკური ბლოკის ძალისხმევით შემოსავლები ნაღდი ფულის სახით ორჯერ გაიზარდა (ოქრუაშვილის გარეშე). ეს იმას ნიშნავს, რომ საბაჟოზე და საგადასახადოში ხალხი ფულს იხდის. თბილისის ბიუჯეტი 2,5-ჯერ გადაჭარბებით შესრულდა (ჩათვლების გარეშე). გაიზარდა პენსიები და სახელმწიფო აპარატის მოხელეთა ხელფასები. უპირველესად, ეს შეეხება მათ, რომლებზეც საბიუჯეტო შემოსავლებია დამოკიდებული — საგადასახადოს ინსპექტორებს, საგადასახადო პოლიციას, საბაჟოს, საგზაო პოლიციასა და პროკურატურას (ზოგადად, პოლიციას), პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის აპარატის, სამინისტროების ხელმძღვანელებს. ამას უთუოდ მოჰყვება ხელფასების ზრდა მთლიანად სახელმწიფო სექტორში. მოსალოდნელია, რომ წლის ბოლოსთვის საბიუჯეტო ორგანიზაციებსა და სახელმწიფო აპარატში მინიმალური ხელფასი 100 ლარი იყოს. ვიცით, რომ არსებული საგადასახადო სისტემა მანკიერია და ამიტომ ინტენსიურად მზადდება ახალი საგადასახადო კოდექსი. აუცილებლად უნდა შევქმნათ რეგიონში ყველაზე დაბალი საგადასახადო განაკვეთები. ერთი მხრივ, გადასახადი ყველას ერთნაირად უნდა გადავახდევინოთ (ადრე ერთი ფირმა იხდიდა და ათი — არა), მეორე მხრივ, გადასახადის განაკვეთი დაბალი უნდა იყოს. მომავალი წლიდან დიდ ინვესტიციებს უნდა ველოდოთ. ეს იქნება რუსული კაპიტალი. მცირე და საშუალო ბიზნესში უნდა შემოვიდეს თურქული და ევროპული კაპიტალიც. ფული უნდა ჩაიდოს სოფლის მეურნეობაში. სერიოზული გადამამუშავებელი წარმოება გვჭირდება ჩვენი პროდუქციის რუსეთში გასატანად. აჭარაში იმიტომ გვინდა სიტუაციის დარეგულირება, რომ 2 წლის განმავლობაში ანაკლიიდან გონიომდე მთელი საწარმო ტურისტულ მექად ვაქციოთ. ბევრს უნდა შავზღვისპირეთში დასვენება, მაგრამ საამისო პირობების შესაქმნელად ნორმალური საინვესტიციო გარემო უნდა არსებობდეს. დღეს ბათუმის ბულვარზე ისევ ის კაფეებია, რომლებიც ჩემი ბავშვობიდან მახსოვს, ბევრი არაფერი მიმატებია.

პრეზიდენტის ოჯახმა ვაშინგტონში პიარფირმა დაიქირავა. ადგა ეს ხალხი და ლაპარაკობს — საქართველო ცუდი ქვეყანააო. რამდენიც უნდათ, იმდენი ილაპარაკონ და იარონ, მე ჩემი პრინციპები მაქვს. არა მგონია, ამერიკის პრეზიდენტმა დამირეკოს, მაგრამ რომც დამირეკოს, ჩემს პრინციპებს არ გადავუხვევ. ამ პრინციპებისა და პრინციპულობის გამო მოვწონვართ ამერიკასაც და რუსეთსაც. ჯოხთაბერიძემ კი დააბრუნოს ფული და მერე გინდ 10 კომპანია ჰქონია, გინდ 100, ეს არ მაინტერესებს.

კარგია, რომ ბადრი პატარკაციშვილმა დაიწყო რაღაცის გაკეთება ურეკში, მაგრამ ეს მცირე მონაკვეთია. სანაპირო ზოლის უმეტესობა კერძო აგარაკებს უჭირავს. მთავრობამ უკვე აკრძალა იქ კერძო მშენებლობები. ვისაც მიწა აქვს, ღმერთმა შეარგოს, ოღონდ სასტუმროები აშენონ. თუ საკუთარი სახსრებით არ შეუძლიათ, ინვესტორი იპოვონ. ისე გააკეთონ, რომ მთელმა რეგიონმა იხეიროს და მხოლოდ თავისთვის არ მოიწყონ მყუდრო კუთხე.

ვფიქრობთ, არსებული საწარმოების გაფართოებასაც. კერძოდ, „ბოინგთან“ გვაქვს მოლაპარაკება, რომ საავიაციო ქარხანა როგორც რეგიონალური სარემონტო ცენტრი, ისე აილოს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ გამოვნახეთ სუ-25-ების კლიენტები. უახლოეს თვეებში 10-მდე სუ-25 გაიყიდება. ინვესტიციები უნდა განხორციელდეს საბანკო სექტორშიც. პირველი ინვესტიციები უკვე წამოვიდა რუსეთიდან. გვინდა უცხოურ, განსაკუთრებით, რუსეთის კაპიტალს შევუქმნათ სერიოზული გარანტიები. ყველაფერი ეს კი დაგვეხმარება იმაში, რომ საქართველო მოწინავე ქვეყნად იქცეს.

უკვე გვაქვს მოლაპარაკება და ჩვენს ქვეყანაში მალე დაიწყებენ ფრენას ისრაელის, ჰოლანდიური, შვეიცარიული და ბრიტანული კომპანიები. ამდენ უცხოურ ავიაკომპანიას საქართველოში არასდროს უფრენია. ამ გზით ქვეყანაში ფული შემოვა. ამ პროცესს უთუოდ მოჰყვება ტურისტებისა და ბიზნესმენების ჩამოსვლა. ასეთია საქართველოს განვითარების ჩემეული ხედვა. რაც მთავარია, ადამიანს უნდა შეეძლოს საქმეში თანხის ისე ჩადება, რომ ვინმემ ფული არ გამოსძალოს. პრეზიდენტი არ უნდა წყვეტდეს, ვინ სად და რამდენი უნდა დააბანდოს.

**— თქვენი საუბრიდან ისე გამოდის, რომ ყველაფერი კარგად არის და მთავრობასაც ხარვეზები არ ჰქონია?**

— რა თქმა უნდა, ეს არ არის იდეალური მთავრობა. ზოგიერთ სფეროში არის პრობლემები, მაგრამ შედეგი დიდად განსხვავებულია იმისგან, რაც აქამდე იყო. თუმც ისიც მინდა ვთქვა, რომ ამით არ ვკმაყოფილდებით და მეტს ვითხოვთ მათგან.

თუნდაც თავდაცვის სამინისტროს მაგალითი მოვიყვანოთ. გუშინ კოჯრის ბატალიონის მეთაურებს ვესაუბრე. ყველა ამბობს, რევოლუციის შემდეგ ჯარში კვება მკვეთრად გაუმჯობესდაო. ეს ნიშნავს, რომ ამ სამინისტროში ფულს ძველებურად აღარ იპარავენ. მალე სამხედრო ტექნიკასაც შემოვიყვანთ. ხელისუფლებაში ჩვენი მოსვლის დროს ჯარს 1,5 დღის საკვებისა და 3 საათის ტყვია-წამლის მარაგი ჰქონდა. ახლა 1 თვის სამყოფი ტყვია-წამლის მარაგი გვაქვს. აქამდე ჩვენი ავიაციაც უმოქმედოდ იყო. მხოლოდ პრეზიდენტის მგზავრობისას დაფრინავდნენ. ახლა სუ-25-ები, ფაქტობრივად, ყოველდღე, შვეულმფრენები კი დღეგამოშვებით ფრენენ. ბუნებრივია, მცირე პერიოდში ასეთი პროგრესი რაღაცას ნიშნავს.

ცოტა ხნის წინ აფხაზეთში ქართველები აიყვანეს მძევლებად. აფხაზებს ვუთხარით — „თუ ქართველებს დაუყოვნებლივ არ გაათავისუფლებთ, მზად ვართ ჩვენმა ავიაციამ განახორციელოს ქმედებები მათ გასათავისუფლებლად“... ნახევარ საათში გამოუშვეს მძევლები. ისინი ხედავენ, რომ არ ვხუმრობთ და შანტაჟი ჩვენთან არ გაუვათ. მძევლების აყვანასა და ხალხის ხოცვას არც გალში მოვითმენთ და არც სხვაგან.

**— ხომ არ ფიქრობთ, რომ აფხაზებს რუსეთისგან აღარ აქვთ ძველებურად მხარდაჭერის იმედი?**

— რუსეთი დღეს ბევრად უკეთ თანამშრომლობს ჩვენთან, ვიდრე აქამდე. ამის დასტური თუნდაც ის იყო, რომ აჭარაში შექმნილი დაძაბულობის დროს რუსული სამხედრო ბაზა არც განძრეულა. ფაქტი, რომ ასლან აბაშიძემ იარაღის შესყიდვა დააპირა ბელორუსიაში, იმაზე მეტყველებს, რომ რუსებმა მას უარი უთხრეს იარაღის მიყიდვაზე. მოსკოვიდან მყარი გარანტია მაქვს მიღებული, რომ აგრესიულ ქმედებებს ადგილობრივი რუსული ბაზა მხარს არ დაუჭერს. საიმედოდ მიმაჩნია ეს გარანტიები. ეს აბაშიძემაც იცის და ამიტომ არის შედარებით მორჯულებული. ენის მოჩლექით ვინმესთან ლაპარაკი დაანგრევს ჩვენს სახელმწიფოს. სხვადასხვა ჯურის სეპარატისტები ჩვენ სხვადასხვა ადგილას გვყავს და ისინი აკვირდებიან, როგორ ვიქცევით. დადარაჯებულნი არიან, სისუსტეს გამოვიჩენთ თუ არა.

**— უნდა გკითხოთ გია ჯოხთაბერიძის თაობაზე. პრეზიდენტის ოჯახის წევრები აცხადებენ, მზად ვართ, გადავიხადოთ თანხა, რომელსაც გამოძიება ედავება კომპანიას, მაგრამ რაკი ხელისუფლების ზოგიერთ წარმომადგენელს „მაგთიზე“ უჭირავს თვალი და უნდათ ამ ბიზნესზე აგვაღებინონ ხელი, არც ფულს იღებენ და არც ჯოხთაბერიძეს ათავისუფლებენ. თორემ მხოლოდ ფული რომ აინტერესებდეთ, მასაც ისევე გამოუშვებდნენ ციხიდან, როგორც სხვა გამოუშვესო.**

— ისინი, რომლებიც ფულის გადახდის შემდეგ გათავისუფლდნენ, შორს არ წასულან. უკლებლივ ყველა გასამართლდება იმიტომ, რომ თითოეულზე სერიოზული მამხილებელი მასალები არსებობს და არ გამოვრიცხავ, რომ ბევრი მათგანი ისევ ციხეში შებრუნდეს ან კიდევ პირობითი სასჯელი მიიღოს. არიან ისეთებიც, რომელთაც რამდენიც უნდა გადაიხადონ, ციხეს მაინც ვერ დააღწევენ თავს.

ჯოხთაბერიძე არ ყოფილა თანამდებობის პირი. ამერიკელი ინვესტორები ჩემთან იყვნენ და განაცხადეს, — ჯოხთაბერიძის დაპატიმრება ჩვენი ბიზნესის შელახვააო. ვკითხე — თავის დროზე რატომ გაიხადეთ ჯოხთაბერიძე პარტნიორად-მეთქი? ხომ გასაგები იყო, რატომაც... ამ ბიზნესს არ ვეხები და არც ვინმე შეეხება (ამის გარანტია მათ მიიღეს), მაგრამ ჯოხთაბერიძემ უნდა დააბრუნოს ის, რაც გადასახადების სახით არ გადაუხადა სახელმწიფოს... და ეს თანხა არ არის 700 ათასი... ჯოხთაბერიძის პირადი ქონება 300 მილიონად არის შეფასებული — ეს ქონება მან მთლიანად საქართველოს ხარჯზე მიიღო... დააბრუნოს ჯოხთაბერიძემ ის, რაც სახელმწიფოს ეკუთვნის და მერე წავიდეს და რაც უნდა, ის აკეთოს.

პრეზიდენტის ოჯახმა ვაშინგტონში პიარფირმა დაიქირავა. ადგა ეს ხალხი და ლაპარაკობს — საქართველო ცუდი ქვეყანააო. რამდენიც უნდათ, იმდენი ილაპარაკონ და იარონ, მე ჩემი პრინციპები მაქვს. არა მგონია, ამერიკის პრეზიდენტმა დამირეკოს, მაგრამ რომც დამირეკოს, ჩემს პრინციპებს არ გადავუხვევ. ამ პრინციპებისა და პრინციპულობის გამო მოვწონვართ ამერიკასაც და რუსეთსაც. ჯოხთაბერიძემ კი დააბრუნოს ფული და მერე გინდ 10 კომპანია ჰქონია, გინდ 100, ეს არ მაინტერესებს.

*(გაგრძელება იხ. გვ. 11)*

CMYK

# ვისთვის „იხარშება“ მანგანუმი ფეროში



ფეროში არ შეგვიშვეს და ფოტო ქარხანას გალავნის გარედან გადავუღეთ

ჩვენი გაზეთის გასულ ნომერში სტატია ამ სიტყვებით დავამთავრე: „...თბილისის გზა ზესტაფონში პირდაპირ ფეროშენადნობთა ქარხნის გვერდით გადის. ქარხნის რამდენიმე საამქრო ყვითელ კვამლში იყო გახვეული, რაც იმას ნიშნავდა, რომ მანგანუმის შენადნობი „იხარშებოდა“. ვისთვის? სახელმწიფო ბიუჯეტისათვის თუ... ამას მომავალში შეიტყობთ“. დღეს დანაპირებს ვასრულებთ და შევეცდებით, საზოგადოებას ავუხსნათ, მართლაც ვისთვის და რისთვის „იხარშება“ ფეროშენადნობები ზესტაფონის ქარხანაში და სად მიდის ფეროშენადნობების რეალიზაციიდან მიღებული მილიონები.

აქაურ ომის ვეტერანებს რომ ჰკითხო, ფაშისტებს კავკასიის დაპყრობა არა მარტო ბაქოს ნავთობსარეწების, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის გამოც სურდათ. ეს ქარხანა მანგანუმის თითქმის ყველა შენადნობს აწარმოებს. მანგანუმის შენადნობის გარეშე ტანკის ჯავშანი თურმე კარაქივით რბილი იქნება. შენადნობების ხარშვისას გამოყოფილი მანგანუმის ყვითელი ორთქლის მავნებლობას კომუნისტები გულდასმით მალავდნენ, მაგრამ, როცა რაიონში კატასტროფულად გაიზარდა მკვდრადშობილთა რიცხვი, ქარხნის ხელმძღვანელობამ იკადრა და 70-იან წლებში ძვირად ღირებული ფილტრები იყიდა, რათა მავნე გამონაბოლქვს გარემო არ დაებინძურებინა. როგორც იქნა, ფილტრები ჩამოიტანეს და რის ვაივაგლახით დაამონტაჟეს კიდეც, მაგრამ რამდენიმე დღეში ყველა მწყობრიდან გამოვიდა. მიზეზი ის იყო, რომ ფილტრები ჯინსის ქსოვილით იყო დამზადებული და ზესტაფონელმა „სტილიაგებმა“ ქარხნის რამდენიმე თანამშრომლის ხელშეწყობით შარვლებისთვის მოიხმარეს. ერთი სიტყვით, ავად იყო თუ კარგად, ფაშისტებსა და ადგილობრივ „სტილიაგებს“ გადარჩენილი ქარხანა მაინც მუშაობდა და სახელმწიფო ბიუჯეტში მილიონობით ვალუტა შეჰქონდა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქართული ეკონომიკისა და მრეწველობის მამები იმედოვნებდნენ, რომ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, რუსთავის მეტალურგიულ კომბინატთან ერთად, ბიუჯეტის ძირითადი შემავსებელი იქნებოდა, მაგრამ ნურას უკაცრავად — წინა ხელისუფლებამ თავისი ზეობის თითქმის ცამეტი წლის განმავლობაში საქართველოს მრეწველობის ორივე ფლაგმანს იმდენი წურბელა დაასვა, ბიუჯეტის შევსება კი არა, ისიც გასაკვირია, როგორ არსებობენ ისინი დღესაც.

აფხაზეთის ომის შემდეგ თითქმის გაჩერებული ზესტაფონის ფეროშენადნობთა ჯერ კიდევ გაუძარცვავი ქარხნის ამუშავების საკითხი მთავრობის სხდომაზე განიხილეს და 1994 წელს, ყოფილმა სახელმწიფო მინისტრმა ოთარ ფაცაციამ ქარხნის დირექტორად ადგილობრივი კადრი, თემურ კოკოჩაშვილი წარადგინა, თუმცა სჯობს, თავად **თემურ კოკოჩაშვილს** მოვუსმინოთ: „ზესტაფონის ქარხნის დირექტორი ვიყავი. ფეროშენადნობთა ქარხნის უწყვეტი მუშაობის აუცილებელი ატრიბუტი, მარგანეცის მადნის შემდეგ, ელექტროენერგიაა. გახსოვთ, ალბათ, იმ დროს ელექტროენერგია ძალიან ჭირდა. იქვე ახლოს, თერჯოლის რაიონის სოფელ ძევრში კი ავსტრიელების აშენებული კარგი ჰიდროელექტროსადგური იყო, მაგრამ ზეთის უქონლობის გამო ვერ ამუშავებდნენ. წავიღე ქარხნიდან ორი ტონა ზეთი და ძევრულაჰესი ავამუშავე, რა თქმა უნდა, სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს წინასწარ შევუთანხმდი, რომ სადგურის ამუშავების შემთხვევაში, გამომუშავებული ელექტროენერგიის უდიდეს ნაწილს მე წავიღებდი. ყოველდღიურად 25-30 მეგავატს ვიღებდი, საიდანაც დაახლოებით 7 მეგავატს ჭიათურას ვაძლევდი მადნის მოსაპოვებლად, დანარჩენით კი 6 ღუმელი ავამუშავე. ერთი წლის განმავლობაში ყველაფერი კარგად მიდიოდა — მანგანუმის შენადნობის რეალიზაციის ფასი ერთ ტონაზე 380-დან 440 დოლარამდე გავზარდე და კარგადაც იყიდებოდა საზღვარგარეთ. ხალხს ხელფასები გავუზარდე და ბიუჯეტშიც წმინდა მოგების სახით მილიონობით დოლარი შემქონდა. როგორც კი გაიგეს, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანას ბიუჯეტში მილიონები შეაქვსო, იმწამსვე გამოჩნდნენ სვავები. მათ შორის ერთ-ერთი პირველი იყო დავით შალიკაშვილის კუთვნილი რუსულ-ქართული ბანკი „მიკროდინი“. დავით შალიკაშვილი პრეზიდენტის ქალიშვილთან მეგობრობდა და ამას არც მალავდა. ერთი სიტყვით, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მისაკუთრება გადაწყვიტეს. არადა, საკმაოდ საეჭვო ბანკი იყო — უზენაესი სასამართლოს შენობაში რამდენიმე ოთახი ჰქონდა ნაქირავები. გავიკითხე და ჩემი ეჭვი დადასტურდა — ბანკი და მისი პარტნიორები რუსეთის რამდენიმე საწარმოდან გამოძევებული ყოფილან. ყოველივე ეს არ დამიმალავს, ოფიციალურად განვაცხადე, მაგრამ ყურადღება არავინ მომაქცია და ხელისუფლების კულუარებში გადაწყდა ბანკის, როგორც ინვესტორის, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში შემოსვლა. ქარხანა უკვე აწყობილი იყო, მუშაობდა, მოგებასაც იძლეოდა და კარგი პარტნიორებიც ჰყავდა საზღვარგარეთ. თუ მაინცდამაინც ინვესტორი იყო საჭირო, საიმედო და ავტორიტეტული მაინც გვეპოვა? მიუხედავად ამისა, ხელისუფლებამ თავისი შეხედულებისამებრ გადაწყვიტა ყველაფერი.

— **კონკრეტულად, რა?**

— ხელისუფლებამ ათი წლით ქარხნის მართვის უფლებით საკონტროლო პაკეტი გადასცა ამ ბანკს, რაც ჩემი აზრით, დანაშაულებრივი ქმედება იყო. ამასთან, ხელშეკრულება რამდენჯერმე გადააკეთეს. მონაცემები დაამახინჯეს, ხოლო ხელმოწერები ძველი დატოვეს. ამხელა ქარხანა თითქმის უფასოდ დაუთმეს შალიკაშვილის ბანკს და სანაცვლოდ სახელმწიფო არაფერს იღებდა. ის შვიდი მილიონი დოლარის ინვესტიცია, რომელიც უნდა განეხორციელებინა ბანკს, ქიმერა გამოდგა — შვიდი მილიონის მხოლოდ პროდუქცია იყო წარმოებული ქარხანაში. რადგან არასაიმედო პარტნიორად მიმაჩნდა, შალიკაშვილის საწარმოში შემოსვლის შემდეგ ქარხნიდან გამაგდეს და მკაცრად გამაფრთხილეს — ქარხნის ტერიტორიაზე თუ გამოჩნდები, დაგაპატიმრებთო.

— **როგორც მახსოვს, სიტყვა შეასრულეს...**

## „მთავრობის სხდომაზე განწირული ხმით ვიღრიალე, ცრუობს ეგ კაცი-მეთქი“

— ქარხნისკენ აღარც გამიხედავს, მაგრამ ინვესტორის რეალური სახე მალე გამოჩნდა — ხელფასების დარიგებაც შეწყვიტა და მუშებს მუქთად ამუშავებდა. მალე საწარმოს, რომელიც მნიშვნელოვან მოგებას იძლეოდა, იქით დაედო ვალები. დარწმუნებული ვარ, შალიკაშვილმა და მისმა პარტნიორებმა ქარხანას ვალი ხელოვნურად შეუქმნეს. უხელფასოდ დარჩენილი მუშები გაიფიცნენ, გაფიცვის ორგანიზატორად კი შალიკაშვილმა მე მიმიჩნია და მისი მითითებით უშიშროებამ დამაპატიმრა. თითქმის სამი თვე ვხეხე უშიშროების იზოლატორის საკანი, მაგრამ ვერაფერი რომ ვერ დამიმტკიცეს, გამათავისუფლეს... დღესაც არაფერი შეცვლილა, თითქოს ამჟამად ქარხანას სხვა ინვესტორი ჰყავს, მაგრამ სინამდვილეში ზესტაფონის ფეროს ისევ შალიკაშვილი და ყოფილი პრეზიდენტის კლანი მართავს...

**— მილიონებს აკეთებენ ერთეულები და სახელმწიფო ინტერესები არავის ახსოვს. წელს მანგანუმის შენადნობებზე ფასები მსოფლიო ბაზარზე სამჯერ მაინც გაიზარდა. ოღონდ მანგანუმის შენადნობი გაიტანე გასაყიდად და ხელიდან გტაცებენ. მიუხედავად ამისა, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანას მაინც უამრავი ვალი დაედო და მოგება არა აქვს(?!). იქნებ თქვენ გამაგებინოთ, როდესაც პროდუქციაზე ფასი სამჯერ გაიზრდება, ხოლო მისი დასამზადებელი სხვა კომპონენტების ფასი იგივე დარჩება, საწარმომ მოგება არ უნდა ნახოს?**

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ყოფილ დირექტორთან საუბრის შემდეგ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, შემოგთავაზოთ ინტერვიუ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორთან, **სეირან მაზმიშვილთან**.

— **ბატონო სეირან, რა ხდებოდა და რა ხდება ამჟამად ზესტაფონის ფეროში?**

— რა ხდება და მილიონებს აკეთებენ ერთეულები და სახელმწიფო ინტერესები არავის ახსოვს. წელს მანგანუმის შენადნობებზე ფასები მსოფლიო ბაზარზე სამჯერ მაინც გაიზარდა. ოღონდ მანგანუმის შენადნობი გაიტანე გასაყიდად და ხელიდან გტაცებენ. მიუხედავად ამისა, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანას მაინც უამრავი ვალი დაედო და მოგება არა აქვს(?!). იქნებ თქვენ გამაგებინოთ, როდესაც პროდუქციაზე ფასი სამჯერ გაიზრდება, ხოლო მისი დასამზადებელი სხვა კომპონენტების ფასი იგივე დარჩება, საწარმომ მოგება არ უნდა ნახოს? ჩვენს შემთხვევაში მარგანეცის მადნის ფასი არ გაზრდილა. იგივე დარჩა ელექტროენერგიის ტარიფი და სატრანსპორტო მომსახურების ღირებულებაც. მანგანუმის შენადნობის მიღებას სხვა არაფერი სჭირდება, მაშინ სად მიდის მოგება? დასკვნა თქვენ გააკეთეთ.

— **როგორც გავიგეთ, თურმე თქვენ და ასევე მეტალურგ მეცნიერებს ფეროში არ გიშვებენ. რატომ?**

— დიახ, ასეა. მივედი ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნაში, თან სტუდენტები მახლდნენ. ქარხნის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა თბილისის ოფისში დარეკა და მოახსენა, პროფესორია მოსული და რა ვქნათო? მესმოდა, იქიდან რომ უპასუხეს — რას ვიზამთ, უნდა შევუშვათ, მაგრამ იმ საამქროებში არა, სადაც იაპონური ღუმელები დგასო. შევედი ქარხანაში, ზის სავარძელში დევივით კაცი, როგორც მითხრეს, ქარხნის მთავარი ინჟინერი ყოფილა, შალიკაშვილის მარჯვენა ხელი. აგდებულად შემომხედა და ვინა ხარო, — მკითხა. მივუგე — შენ ვინა ხარ ან რა უნდა იცოდე მეტალურგიაში, როდესაც მე, ამ დარგის პროფესორს, ვერ მცნობ-მეთქი.

— **რატომ არ უნდოდათ, რომ იაპონური ღუმელები გენახათ?**

— მეტალურგს ბუღალტრულ საბუთებში ჩახედვა სრულიად არ სჭირდება, თვალის გადავლებითაც მოგახსენებს, რა ხდება ქარხანაში, რამდენი ღუმელი მუშაობს, რა რაოდენობის მანგანუმის შენადნობი ისხმება. სწორედ ეს არ უნდოდათ, რომ გამეგო. არ უნდოდათ, მენახა მეხუთე საამქრო, სადაც ძვირად ღირებული უნიკალური ღუმელებია დამონტაჟებული. გვაქვს ინფორმაცია, რომ ყველა მათგანი გაძარცულია... დაუშვებელი იყო, მათ ხელში ფეროს ჩაგდება, მაგრამ ყოფილმა ხელისუფლებამ ტრადიციისამებრ საკითხი სპეციალისტების გარეშე გადაწყვიტა. ამჟამად ფეროში „მიკროდინი“ აღარ არის, სამაგიეროდ, საწარმოს მემკვიდრეობად დიდძალი ვალები დაუტოვა. მის ნაცვლად „დეკომეტალი“ მოვიდა. ეს ინვესტორიც „მიკროდინის“ შირმაა — შალიკაშვილი და მისი მარჯვენა ხელი კოკაია „დეკომეტალს“ დიდ თანხას უხდიან ამისთვის. ერთი სიტყვით, რამდენიმე წელია ცდილობენ ფეროშენადნობთა ქარხნის გაკოტრებას. დავით შალიკაშვილი მთავრობის სხდომებზე ქარხნის წამგებიან მუშაობას და ვალების ზრდას ხან უხარისხო მარგანეცს აბრალებდა, ხან კი შენადნობების გაუსაღებლობას. მთავრობის ერთ-ერთ სხდომაზე ისიც კი განაცხადა უსირცხვილოდ, რომ თითქოს ნიკოპოლის ფეროშენადნობთა ქარხანა ვერ ასაღებდა პროდუქციას — რვა მილიონი ტონა შენადნობი აქვს დასაწყობებულიო. ამის მოსმენაზე, მახსოვს, განწირული ხმით ვიღრიალე, ცრუობს ეგ კაცი-მეთქი, მაგრამ რად გინდათ! იმავე მთავრობის სხდომაზე მოვითხოვე, რომ ქარხნის „მეპატრონეებს“ მანგანუმის ფორმულა დაეწერათ. ვერავინ გარისკა ამ გამოცდის ჩაბარება. დარწმუნებული ვარ, ახლაც არ იციან ზესტაფონის ფეროს ინვესტორებმა ამ ქიმიური ელემენტის სწორად დაწერა. ნახეთ, ფეროს საბუღალტრო დოკუმენტებში რა ფასი ადევს მანგანუმის შენადნობებს და რეალურად კი რამდენად ყიდიან საზღვარგარეთ? სხვათა შორის, საქართველოს კონტროლის პალატამ შეამოწმა ქარხნის საქმიანობა და გენერალურ პროკურატურაში მრავალტომიანი საქმე გაიგზავნა. როდესაც მოლაშვილი დაინტერესდა, მიეცა თუ არა მსვლელობა მოკვლეულ მასალებს, აღმოჩნდა, რომ მაშინდელ გენერალურ პროკურორს საქმე არც კი გადაეშალა...

უფრო კატეგორიული აღმოჩნდა რუსეთის საინვესტიციო კომპანიის წარმომადგენელი. ეს კომპანია ამჟამად ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის აქციების 25%-ის მფლობელია.

რუსეთის საინვესტიციო კომპანია „პრომიშლენნიე ინვესტორის“ ვიცე-პრეზიდენტი, **კოზა ნაყოფია:** — ჩვენი საინვესტიციო ორგანიზაცია ზესტაფონის ფეროთი 2002 წელს დაინტერესდა. მაშინ, როდესაც საქართველოს მთავრობამ და პრეზიდენტმა გადაწყვიტეს, რომ უნდა გაეყიდათ ზესტაფონის ფეროს აქციების საკონტროლო პაკეტი. სანამ ტენდერი გამოცხადდებოდა, შვეიცარიულ ფირმა „ნოვარკოსგან“ შევისყიდეთ ფეროს აქციების 25%, რომელსაც ეს ფირმა ფლობდა. კარგად ვიცოდით, რომ აქციების ამ პაკეტით ფეროს მართვას ვერ შევძლებდით, უბრალოდ, გვინდოდა დაგვემტკიცებინა ტენდერზე ჩვენი უპირატესობა და სურვილი ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში სერიოზული მუშაობისა. როგორც კი ჩვენი კომპანიის მიზანი გახმაურდა, საქართველოს ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებმა სერიოზული ბრძოლა დაგვიწყეს. ისინი ყველანაირად ცდილობდნენ, ხელი აგვეღო განზრახვაზე და ფეროს საკონტროლო პაკეტი „დეკომეტალს“ ჩაეგდო ხელში. მეტიც, იმ 25%-საც გვთხოვდნენ. როგორც გავიგეთ, ავსტრიული „დეკომეტალის“ უკან საქართველოს ყოფილ ხელისუფლებასთან დაახლოებული პირები იდგნენ და მათ შორის, ზოგიერთი პარლამენტარიც. ტენდერამდე ისიც შევიტყვეთ, რომ ავსტრიულ ფირმა „დეკომეტალს“ მეტალურგიაში მუშაობისა და საწარმოს მართვის გამოცდილება არ გააჩნდა. არც რაიმე აქტივები ჰქონიათ მსგავს საწარმოებში. ერთი სიტყვით, მათ გარდა, სხვა სერიოზული კონკურენტი ნამდვილად არ გვყავდა და თუ ტენდერი გამჭვირვალედ ჩატარდებოდა, ფეროს საკონტროლო პაკეტი (51%) ჩვენ დაგვრჩებოდა. იმავდროულად, დავით შალიკაშვილი და მისი თანამზრახველები ინტენსიურად მართავდნენ მოლაპარაკებებს ხელისუფლებასთან.

— **და რა გადაწყდა კულუარებში?**

— თითქმის ყველაფერი. მსოფლიო პრაქტიკაში არსებობს საწარმოების გაყიდვისა და ტენდერის ჩატარების პრაქტიკა. სამწუხაროდ, ყოფილმა ხელისუფლებამ ყველა სატენდერო პირობა დაარღვია.

— **თუ შეიძლება, უფრო დაწვრილებით აგვიხსენით...**

— ხელისუფლება გვპირდებოდა, რომ ტენდერი კანონიერად ჩატარდებოდა. რამდენჯერმე ჩამოვედით თბილისში, მაგრამ ამაოდ. ბოლოს, 2003 წლის მაისში სახელმწიფო მინისტრ ჯორბენაძესთან გადაწყდა, პირობები პრესაში გამოქვეყნებულიყო და ტენდერიც 25 ივნისამდე ჩატარებულიყო. 29 ივნისს პრეზიდენტის ხელმოწერით გამოქვეყნდა ბრძანებულება, სადაც ნათქვამია, რომ ფეროს საკონტროლო პაკეტის 51% პირდაპირი მიყიდვის გზით, 7 მილიონ დოლარად გადაეცა „დეკომეტალს“. ეს ბრძანებულება უნიკალური და სამაგალითო უნდა იყოს მსოფლიოს იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც კორუფციას ებრძვიან.

— **რით არის ბრძანებულება უნიკალური?**

— „დეკომეტალს“ ხუთი წლით ძველი ტარიფები დაუწესეს ელექტროენერგიაზე — ე. ი. არსებულზე ნაკლები. ხუთი წლის განმავლობაში „ჭიათურმანგანუმმა“ მადანი ფეროს იმავე ფასში უნდა მიაწოდოს, რა ფასადაც ბრძანებულების გამოსვლის პერიოდში აძლევდა. ერთი სიტყვით, სახელმწიფომ „დეკომეტალს“ სასათბურე პირობები შეუქმნა. უფრო სწორად, ხელისუფლებამ საკუთარ თავს შეუქმნა საუკეთესო პირობები დიდი ფულის საშოვნელად.

— **როგორც შევიტყვეთ, „დეკომეტალისთვის“ საკონტროლო პაკეტის მიყიდვის შემდეგ, მსოფლიო ბაზარზე მანგანუმის შენადნობების თითქმის ყველა ნაირსახეობაზე ფასები გაიზარდა.**

— მართალი ბრძანდებით. ამჟამად ერთი ტონა სილიკომანგანუმის შენადნობის ფასი ნაცვლად 450 დოლარისა, 1.700-1.800 დოლარამდე გაიზარდა, ხოლო საშუალო ნახშირბადიანი მანგანუმის ფასმა ტონაზე 2.000 დოლარს გადააჭარბა. აქედან გამომდინარე, საწარმომ დიდი მოგება უნდა ნახოს, მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, პირიქითაა, საბუღალტრო დოკუმენტებში არც გვახედებენ. სად მიდის მანგანუმის შენადნობების მცირე თვითღირებულებასა და მის რეალურ რეალიზაციის ფასს შორის სხვაობა, ალბათ მიხვდებით...

ჩვენ დავუკავშირდით საქართველოს მეტალურგიული ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომელს, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატს, **გოგი წიკოლაიშვილს**. მისი განცხადებით:

— მე ეროვნული სათათბიროს თანათავმჯდომარეც ვარ. სწორედ ეროვნული სათათბიროს დამსახურებაა ის, რომ დღეს კიდევ არსებობს საქართველოში მეტალურგია. დიდი ხანია, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა კერძო ინტერესებს ემსახურება.

ქარხანა პრეზიდენტის კორუმპირებული კლანის საკუთრება გახდა. დავით შალიკაშვილის ხელმძღვანელობით, ამ კლანმა ფეროში ბევრი ელექტროღუმელი დაჭრა და ჯართად გაყიდა. ასევე გაანადგურა და თურქეთის გზას ჯართად გაუყენა ფეროს აგროფაბრიკა. იგივე ბედი ეწია იაპონურ ელექტროღუმელებს. დღეს უკვე ცნობილი ფაქტია, თუ როგორ წამლავდა ზესტაფონის მოსახლეობას მანგანუმის ყვითელი ორთქლი. იგი ნერვულ დამბლას იწვევს. თუნდაც ის ფაქტი, რომ ელექტროღუმელთან მომუშავე მეფოლადეები და დამხმარე მუშები 45 წლის ასაკში პენსიაზე გადიოდნენ და ისე იყვნენ დაავადებულები, რომ ხელში კალმის დაჭერაც უჭირდათ, მრავლისმეტყველია. ზესტაფონში თითქმის ყოველი მეოთხე ახალშობილი მზის სინათლეს ვერ ნახულობდა. საბჭოთა ხელისუფლება იძულებული გახდა, იაპონური წარმოების უნიკალური ღუმელები შეესყიდა. ღუმელები ჰერმეტული იყო და მანგანუმის ორთქლს გარეთ არ უშვებდა. ჩემი ინფორმაციით, ეს ღუმელები დღეს გაძარცულია და არ მუშაობს. ნეტავ ვცდებოდე და ის იაპონური ელექტროღუმელები მართლაც მუშაობდეს ქარხანაში.

(გაგრძელება იხ. გვ. 11)

# „ვერ შევეგუებით დაპატიმრებებსა და საწარმოების დახურვას“

## „პროფესიული კრიტიკით შემოვიფარგლებით, რათა ნაკლები შეცდომა დაუშვან“

მემარჯვენე ოპოზიციის სახით საქართველოს პარლამენტში ერთადერთი ოპოზიციური ძალა შევიდა. თუმც მავანთ მათი ოპოზიციონერობა ეჭვქვეშ დააყენეს და ირწმუნებიან — ეგენი ნამდვილი ოპოზიციონერები რომ ყოფილიყვნენ, პარლამენტში არავინ შეუშვებდაო. როგორ მოიქცევიან, იოპოზიციონერებენ თუ არა „მემარჯვენე ოპოზიციონერები“, ამას მალე ვნახავთ, მანამდე კი **დავით გამყრელიძესთან** იმის გარკვევა ვცადეთ, როგორ მოახერხეს მისმა თანაგუნდელებმა რევოლუციურად განწყობილ საზოგადოებაში იმდენი მომხრის მოძებნა, რომ 7%-იანი ბარიერი დაეძლიათ.



— წინასწარი კვლევების დროს გამოიკვეთა, რომ ამომრჩევლის 80%-ს აუცილებლობად მიაჩნდა პარლამენტში ოპოზიციის შესვლა. მათგან 70% კი ფიქრობდა — პარლამენტში „მემარჯვენე ოპოზიცია“ უნდა მოხვდესო. იმან, რომ მემარჯვენეები და მრეწველები გავერთიანდით, საზოგადოებაში პოზიტიური განწყობა შექმნა. ჩვენი წარმატების მიზეზი მოკრძალებული, მაგრამ აქტიური წინასაარჩევნო კამპანია იყო. ჩვენ და ჩვენმა აქტივისტებმა მოვახერხეთ ყველა ოჯახში მისვლა. არ დაგვეზარა კარდაკარ სიარული და შედეგიც შესაბამისი იყო. ჩვენ ვიქნებით კონსტრუქციული ოპოზიცია, რომელიც პარლამენტში განსხვავებულ აზრს დაიცავს და უმრავლესობას გააკონტროლებს.

— **ანუ ზოგიერთივით „შემოქმედებითი“ ოპოზიცია არ იქნებით?**

— ამომრჩეველს შევპირდით, რომ მრეწველებსა და ახლებს პარლამენტში ერთი ფრაქცია გვეყოლებოდა. უახლოეს დღეებში ამ ორი პოლიტიკური ძალიდან ერთი პარტია ჩამოყალიბდება და ამით დავიწყებთ ამომრჩევლისთვის მიცემული დაპირებებისა და ვალდებულებების შესრულებას. ჩვენ არ ვაპირებთ ხელისუფლების გაუთავებელ ლანძღვა-გინებას, პროფესიული კრიტიკითა და დებატებით შემოვიფარგლებით, რათა რაც შეიძლება ნაკლები შეცდომა დაუშვან. ჩვენ ვეცდებით, რომ ქვეყანაში დაცული იყოს დემოკრატია, ადამიანის უფლებები და კერძო საკუთრება. ასევე ვეცდებით შეიქმნას ყველა პირობა საბაზრო ეკონომიკის განვითარებისათვის. დღეს ამომრჩევლის უდიდეს ნაწილს აწუხებს ნორმალური შემოსავლისა და ნორმალური სამუშაო ადგილის პრობლემა. ადამიანს უნდა შეეძლოს საკუთარი შრომით ისეთი შემოსავლის მიღება, რაც საკმარისი იქნება ღირსეულად საცხოვრებლად.

— **რევოლუციისგან განზე დგომის გამო მრეწველებისა და ახლების რეიტინგი არცთუ მაღალი იყო. როგორ მოხდა, რომ მაინც მოახერხეთ 7%-იანი ბარიერის გადალახვა. ზოგიერთი ეჭვობს, რომ ხელისუფლებამაც წაგაშველათ ხელი...**

— დაბალი რეიტინგი არ გვქონია და ამის მიზეზი სწორედ ის იყო, რომ რევოლუციაში არ ვმონაწილეობდით. რევოლუციას ბატონი აკაკი ასათიანიც და ჯუმბერ პატიაშვილიც ემხრობოდნენ, მაგრამ ისინი პარლამენტში ვერ მოხვდნენ, რადგან ამომრჩეველთა იმ ნაწილმა, რომელიც რევოლუციას თანაუგრძნობდა, ხმა მიხეილ სააკაშვილს მისცა; მოსახლეობის იმ ნაწილმა კი, რომელსაც არც რევოლუცია მოეწონა და არც ხელისუფლების შემდგომი ქმედებები, მხარი ჩვენ დაგვიჭირა.

რაც შეეხება ხელისუფლებისგან მიღებულ დახმარებას, გულწრფელად გეტყვით, პირიქით იყო. ჩვენზე მიზანმიმართული ზეწოლა 28 მარტის 8 საათის შემდეგ დაიწყო. მანამდე ბრძანება იყო გაცემული, — არც ერთ ოპოზიციურ პარტიას 7%-იანი ბარიერის გადალახვის საშუალება არ მისცეთო. იყო ხალხის დაშინებისა და დაჭერის მცდელობა. მაგრამ, როდესაც გაირკვა, რომ „მემარჯვენე ოპოზიციამ“ ბარიერი წარმატებით გადალახა, საარჩევნო უბნებში დაიწყო კომისიის წევრებზე ზეწოლა. სამწუხაროდ, ზოგმა ჩვენმა თანაპარტიელმაც ვერ გაუძლო ასეთ წნეხს. მათ პირდაპირ სთავაზობდნენ — რისთვის იქმნით პრობლემებს, მაინც აქ უნდა იცხოვროთ და ტყუილად ნუ იტკივებთ თავსო. ათიათასობით ხმა დავკარგეთ იმის გამო, რომ უბნებზე ხმების დაცვა ვერ შევძელით. როდესაც ასეთი ქმედებების შედეგადაც ვერ დაგვტოვეს 7%-იანი ბარიერის მიღმა, ხელისუფლებამ იმ უბნების შედეგების გაუქმება დაიწყო, სადაც დიდი მხარდაჭერა გვქონდა. ეს სქემა ამოვიცანით და ამის შესახებ ინფორმაცია გავუგზავნეთ ეუთოს, საელჩოებს, ევროკავშირის წარმომადგენლებს, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტს. ვაცნობეთ ბრიუსელსაც. ამან შედეგი გამოიღო. ძნელად, მაგრამ მაინც მოუხდა ხელისუფლებას შეგუება იმასთან, რომ პარლამენტში ჩვენც ვიქნებოდით. გახსოვთ, ალბათ, რა გვიან აღიარა პრეზიდენტმა, — პარლამენტში ორი ძალა გავიდაო. ვისურვებდი ჩვენთან ერთად სხვა ოპოზიციური ძალებიც მოხვედრილიყვნენ პარლამენტში.

— **კეთდება პროგნოზი, რომ თქვენ ფორმალური ოპოზიცია იქნებით. პარლამენტში, სადაც ხელისუფლებას უმრავლესობა აქვს, თქვენ ამინდს ვერ შეცვლით.**

— როგორც წესი, ოპოზიცია ყოველთვის უმცირესობაშია ხოლმე... როდესაც უმცირესობაში ხარ, პრინციპულობასა და თანამიმდევრულობას მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე რაოდენობას. წინა პარლამენტში ჩვენი 10-კაციანი ფრაქცია მონსტრს — „მოქკავშირს“ შეეჭიდა და სერიოზული წვლილი შეიტანა მის დანგრევაში. თუ თანამიმდევრულ პოლიტიკას გავატარებთ, ვფიქრობთ, მალე თანამოაზრეები ამ პარლამენტშიც გამოგვიჩნდებიან. ვხედავ, ხელისუფლებაში მყოფი ადამიანები დღეს შიშზე დაფუძნებულ სახელმწიფოს აშენებას აპირებენ. ყველაფერს გავაკეთებ, რომ ეს არ მოხდეს. არ დავუშვებ, რომ ამ ადამიანებმა სუბიექტური შეხედულებებიდან გამომდინარე მართონ ქვეყანა. ვერ შევეგუებით დაპატიმრებებსა და საწარმოების დახურვას. ჩვენი მიზანია ქვეყანა კანონებისა და კონსტიტუციის დაცვით იმართებოდეს, რომ ხელისუფლება და მთავრობა ხალხის სამსახურში იყოს და უმთავრესი — კანონის უზენაესობა იყოს. თუ ამ პრინციპებს გადავუხვევთ, მაშინ გაგვაკრიტიკონ ამომრჩევლებმა და სხვა პარტიებმაც.

არის სხვა საკითხებიც... არ მომწონს დამოკიდებულება კერძო საკუთრებისადმი, განათლების სფეროში განხორციელებული პირველი ნაბიჯები, დამოკიდებულება მართლმადიდებლური სარწმუნოების მიმართ და ის, რაც ეჭვქვეშ აყენებს ჩვენს დასავლურ ორიენტაციასა და ევროატლანტიკურ სივრცეში გაერთიანების შესაძლებლობას. მართალია, ბრიუსელში ყოფნისას პრეზიდენტმა განაცხადა ნატოში გაწევრება გვინდაო, მაგრამ მას არაფერი უთქვამს რუსეთის ბაზების გაყვანაზე. ამიტომაც მოუწოდა ნატოს გენერალურმა მდივანმა სააკაშვილსა და პუტინს, — საქართველოდან რუსეთის ბაზების საკითხზე სასწრაფოდ იმსჯელეთ და მიიღეთ გადაწყვეტილებაო.

**(გაგრძელება იხ. გვ. 11)**

# „მეტორმეტზე“ არ ვარ, რომ ვიღაც დავამეცხრეტო“

## „ოპოზიცია ის არის, ვინც პარლამენტში არ არის“



სანამ პრეზიდენტი საქართველოს ნატოში გაწევრებისკენ დგამს ნაბიჯებს, პრემიერ-მინისტრი სამთავრობო გუნდისგან შემტევი აღმასრულებელი ხელისუფლების ჩამოყალიბებას ცდილობს, ძველი პარლამენტის თავმჯდომარე კი ნაცნობ სავარძელზე (კიდევ ერთი ვადით) დასაბრძანებლად ემზადება. ოპოზიციას ისღა დარჩენია, ხელისუფლება „გარედან“ აკრიტიკოს. თუმც განწყობა პარლამენტს გარეთ დარჩენილთა შორისაც არაერთგვაროვანია — თუ ნათელაშვილი სასამართლოებში დადის, აკაკი ასათიანი თავისუფლებით ტკბება.

მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტში ვერ მოხვდა, ტრადიციონალისტთა ლიდერი ერთგვარად კმაყოფილიც კია, რომ პიჯაკისა და ჰალსტუხის გარეშე უწევს სახლიდან გასვლა. საყვარელი ჯინსის ქურთუკი მენატრებოდა და ამ ნატვრას ახლა ვისრულებო. რას აპირებს სამომავლოდ დამოუკიდებელი ქართული პარლამენტის პირველი სპიკერი **აკაკი ასათიანი**, ამას ინტერვიუდან შეიტყობთ.

— **თქვენი პარტიის პარლამენტს მიღმა დარჩენის მიზეზი რა იყო?**

— ამას სუბიექტური მიზეზებიც ჰქონდა და ობიექტურიც. დავიწყოთ იმით, რომ ბევრი ვერ მიხვდა, რატომ გამოვეყავით ბურჯანაძე-დემოკრატებს. სასაცილოა, როდესაც მსაყვედურობენ — მოგებულებთან რატომ არ დარჩიო. ჩემი აზრით, მთავარი მოგებულებთან დარჩენა კი არა, ისაა, ვისთანაც ვიქნები, მისაღები იყოს ჩემთვის. როდესაც შევარდნაძის წინააღმდეგი ვიყავი, მაშინ ვიყავი ბურჯანაძე-დემოკრატებთან. მათთან პიროვნული პრობლემა არ მქონია, მაგრამ სააკაშვილია ჩემთვის მიუღებელი. მე არ ვარ ხეირისა და თანამდებობის მაძებარი კაცი. რაღაც თანამდებობას მეც მომცემდნენ და ჩემს მეგობრებსაც, მაგრამ რისთვის ვიყო ამ ხელისუფლებასთან — მინისტრების ნახევარმა არ იცის, რისთვის არიან მთავრობაში.

— **თუნდაც იმიტომ, რომ ყოფილიყავით ხელისუფლების გვერდით, ახალგაზრდებისთვის რომ გამოცდილება გადაგეცათ და, არასწორი გადაწყვეტილების მიღებისას, შეგეჩერებინათ.**

— „მეტორმეტზე“ ხომ არა ვარ, რომ ვიღაც დავამეცხრეტო. იმასაც ხომ აქვს მნიშვნელობა, ვისთან გაქვს საქმე? არიან ადამიანები, რომლებიც არანაირ ლოგიკას არ ექვემდებარებიან.

არ ვიცი, რა უნდა ამ ხალხს, რომელიც დღეს ხელისუფლებაში მოვიდა, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ჩემს მოსაწონს ვერაფერს გააკეთებენ. ამიტომ ჩემი ამოცანა იყო, მათ გავმიჯნოდი და ეს მიღწეულია. იმ 2,5 პროცენტსაც, რომელიც გაყალბების შედეგად დაგვიფიქსირეს, არა უშავს რა. 400-500 ათასი ყალბი ბიულეტენი რომ არ ჩაეყარათ, ჩვენ 5%-ს მაინც ავიღებდით. მილიონ 700 ათასი კაცი ნამდვილად არ მისულა 28 მარტის არჩევნებზე... მაგრამ 15% რომც აგვეღო, მაინც არ შეგვიშვებდნენ პარლამენტში, ჩვენნაირი ხალხი ამათ არ აწყობთ.

— **400-500 ათასი ყალბი ხმა ვის ჩაუყარეს?**

— ხელისუფლებამ თვითონ ჩაიყარა და ალბათ პარლამენტში მოხვედრილ მეორე ძალასაც ჩაუყარეს. ეჭვიც არ მეპარება, რომ 7%-იანი ბარიერი ლეიბორისტებმაც გადალახეს და „თავისუფლებამაც“.

— **ლეიბორისტები და „თავისუფლება“ რატომღა დატოვეს გარეთ?**

— ხომ უნდა დააბინაონ მომხრეები. აღმასრულებელ ხელისუფლებაში ამდენი თანამდებობა არ იყო და ამიტომ პარლამენტში შეიყვანეს. რა თავში იხლის ეს ხალხი ისეთი პარლამენტის დეპუტატობას, სადაც პოლიტიკური ბრძოლა არ იქნება. ფაქტია, რომ ასეთ პარლამენტში ოპოზიცია ვერ ვიქნებოდით. დღეს მარტივად გაიყო პოლიტიკური სპექტრი — ხელისუფლება პარლამენტშია, ოპოზიცია კი გარეთ. ოპოზიცია ის არის, ვინც პარლამენტში არ არის. ამაში სულ მალე თავად დავრწმუნდებით. ამ პარლამენტში თანამდებობების გამო იქნება წვრილ-წვრილი ბრძოლები. ჩვენი საზოგადოება, მიუხედავად რევოლუციის შემდგომი ეიფორიისა, მაინც ჯანსაღია. სააკაშვილმა იანვარში 96% აიღო, მარტში კი 66% (ხომ ფაქტია, რომ ხალხმა ხმა მიშას მისცა და არა — სახელისუფლებო პარტიას); ანუ სახეზე ხელისუფლების მხარდამჭერების 30%-იანი კლება გვაქვს. მალე გონს მოვა ჩვენი მოსახლეობა. 15 წლის მანძილზე ვცდილობდი, წვლილი შემეტანა ჩემი ქვეყნის ისეთი მიმართულებით განვითარებაში, როგორიც სწორად მიმაჩნდა. ისტორია გამოაჩენს, მართალი მე ვიყავი თუ ისინი, რომლებიც ნახტომებითა და მალაყებით მოდიან პოლიტიკაში...

— **მაგრამ ისიც ფაქტია, პოლიტიკოსმა ისეთი იდეები უნდა შესთავაზონ მოსახლეობას, რომ მათზე მოთხოვნილება იყოს. თქვენზე არ იყო ამჯერად მოთხოვნილება?**

— გასაგებია თქვენი შეკითხვა, მაგრამ ხალხს ტყუილს ვერასოდეს ვეტყვი. ვერ ვიტყვი, რომ ყველაფერი უფასო იქნება, რომ გადასახადები აღარ იქნება. ხელფასი კი არ უნდა გაორმაგდეს, უნდა გაათმაგდეს, ოღონდ — როგორ? ვთქვი, როგორი გზითაც იყო ეს შესაძლებელი, მაგრამ მაპატიეთ და ვიღაცის მოსამხრობად სიცრუის ლაპარაკს ვერ დავიწყებ. ვერც ვარდებით ვირბენ. ვიღაცას ცირკი მოსწონს, ვიღაცას კარგი თეატრი. მე თეატრი მირჩევნია. ვისაც ცირკი ურჩევნია — კი, ბატონო, ცირკს უყუროს, მაგრამ ასეთებს მინდა ვუთხრა — გაუთავებელი ცირკი სასჯელია და ამ ცირკს კი ისინი გაუთავებლად ნახავენ. ამასთან, ეს ცირკი ზოგჯერ სახიფათოც არის. ამის დასტურად ჩოლოქის მოვლენებიც იკმარებდა.

— **რაკი აჭარა ახსენეთ, აბაშიძეზეც მინდა გკითხოთ...**

— ასლან აბაშიძე ჩემი მეგობარია, მაგრამ მეგობრობას ვერ გადავაყოლებ ჩემს ქვეყანას. მეგობრობად ის მიმაჩნია, რომ კაცს სიმართლე ვუთხრა. სიმართლე კი ის არის, რომ ასანიძე ევროსაბჭოს გადაწყვეტილებამდეც უნდა ყოფილიყო გარეთ. როცა კაცი ამას ვერ ხვდება, ასეთთან შეიძლება მეგობრობაც გაწყვიტო.

— **ადრე თუ გითქვამთ აბაშიძისთვის ამის თაობაზე?**

— მეც ვეუბნებოდი, ვახტანგ ბოჭორიშვილიც, მუხრან მაჭავარიანიც და ბევრი სხვაც.

მე და ასლან აბაშიძეს განსხვავებული პოზიცია გვაქვს, თუნდაც რუსეთის ბაზების საკითხზე, მაგრამ სხვანაირად გაზრდილი კაცი ვარ და მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, არ მინდა რამე დაუშავდეს მის ოჯახს, შვილსა და შვილიშვილს.

ჩემთვის სათაყვანებელი ადამიანია ზვიად გამსახურდია, მაგრამ რაღაც ეტაპზე ჩვენი გზებიც გაიყო. როდესაც 1992 წელს არჩევნებში ვმონაწილეობდით, თქვა, — აკაკი ასათიანის მონაწილეობა ამ არჩევნებში არასწორად მიმაჩნია, ეს ღალატის ტოლფასიაო. ჩემი აზრით, მაშინ მე კი არა, ზვიადისტებსაც უნდა მიეღოთ არჩევნებში მონაწილეობა. ზვიადისტები რომ მაშინდელ პარლამენტში ყოფილიყვნენ, დსთ-შიც არ აღმოვჩნდებოდით; ანუ დრომ დაადასტურა ჩემი სიმართლე. მათ, რომლებიც მოღალატეს მეძახდნენ 1992 წელს, მანანა არჩვაძის გარდა, უკლებლივ მიიღეს მომდევნო არჩევნებში მონაწილეობა. თუ ამის გაკეთებას აპირებდნენ, მანამდე ეთქვათ ზვიად გამსახურდიასთვის, მაგრამ მაშინ ეტყობა ან ნამუსი არ ეყოთ, ან ტვინი. მიმაჩნია, რომ მეგობარს ყოველთვის უნდა უთხრა სიმართლე. უნდა უთხრა, რა არის ობიექტური, რა არის მისთვის და ქვეყნისთვის უკეთესი, მაგრამ თუ საკითხი ასე დგება — ქვეყანა თუ კაციო, მაშინ ქვეყანა წინ უნდა დავაყენოთ...

— **„ალორძინება“ და ლეიბორისტები არჩევნების შედეგებს აპროტესტებენ, თქვენც შეუერთდებით მათ?**

— მათ მხარს დავუჭერთ, რადგან არჩევნები ნამდვილად გაყალბდა, მაგრამ აქციების გამართვას არ ვფიქრობთ.

— **სამომავლოდ ასლან აბაშიძის ბედი როგორ გესახებათ?**

— ყველა ადამიანი თვითონ წყვეტს თავის ბედს. ყველაფერი ბატონ ასლანზეა დამოკიდებული. არ შეიძლება, აბაშიძისა და სააკაშვილის დაპირისპირება ორი კაცის ახირებად იქცეს და ამას ქვეყანა გადაჰყვეს... გაბრაზებული სააკაშვილი ხომ ეახლა აბაშიძეს ბათუმში და შეჰპირდა, ვალესა და ფოთში წარმომადგენლებს დაგინიშნავო, მერე საჯაროდ კი სხვა რამე ილაპარაკა. ამიტომ ითხოვდა ასლან აბაშიძე, სააკაშვილმა თავისი პირობა შეასრულოსო. ჩემი აზრით, ორივენი შეცდომებს უშვებენ. რა ჩემი და სხვისი საქმეა, კაბინეტში რაზე ილაპარაკებენ აბაშიძე და სააკაშვილი? დადონ ხელმოწერილი, სახელმწიფო დოკუმენტი და ის დაიცვან. ეს იქნება ნორმალური სახელმწიფოებრივი ქმედება და პრობლემებიც ნაკლებად წარმოიქმნება.

— **როგორი იქნება მომავალი პარლამენტი? ზოგი ამბობს, ის მოსაწყენი სხდომების პერსპექტივას გვიქადისო?..**

— ჩემი პარტია რომც გასულიყო პარლამენტში, იქ მაინც არ ვიქნებოდი. იქაური სიტუაცია ერთ კოლოფში ტარაკანების ბრძოლასავით იქნება და ამაში მონაწილეობას არაფრით არ მივიღებდი. მომავალი პოლიტიკური ბრძოლები სამომავლოდ სხვაგვარად წარიმართება. ეს იქნება ბრძოლა ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის. საზოგადოებასთან ვიქნები, ისე როგორც ნოემბრის მოვლენების დროს ვიყავი. არ ვიქნები არც სააკაშვილთან, არც ბურჯანაძესა და არც ჟვანიასთან. ამ ბრძოლის გამწვავებას 2 წელიწადში ველით.

— **ასეთ ვითარებაში „მრეწველები“ და „ახლები“ რას იზამენ?**

— მათ უნდოდათ პარლამენტში ყოფნა და არიან კიდეც — მათ თავიანთი ბიზნესი აქვთ დასაცავი, მაგრამ მეეჭვება ასეთ პარლამენტში ეს შეძლონ. ახლა გავიგე, ვიცე-სპიკერის პოსტს ითხოვენო. ვერ გამიგია, რაში სჭირდებათ...

— **ამას წინათ ბრძანეთ, ჩვენ მემარჯვენე ოპოზიცია და მონათესავე იდეოლოგიის პარტიები ვართ და ერთად უნდა ვყოფილიყავითო...**

— ფორმალურად ასეა, მაგრამ როგორც წესი, ტაქტიკურად სხვადასხვანაირ გზას ვირჩევთ ხოლმე. ისინი ყოველთვის მიდიან ხელისუფლებასთან გაუმართლებელ კომპრომისზე. დამისახელებთ ისეთ საკითხს, რომელშიც ამ ხელისუფლებას შეეწინააღმდეგნენ? კონსტიტუციურ ცვლილებებზე დაეთანხმნენ, აჭარის მოვლენების დროს ხელისუფლებას მხარი დაუჭირეს. ერთადერთი, დროშაზე ახირდნენ და ესეც არ იყო ასახირებელი საკითხი. ასევე იყო შევარდნაძესთანაც. ამიტომ ამ ეტაპზე ჩვენი თანამშრომლობა შეუძლებელი შეიქნა. მართლები არიან, რომ ამბობენ, ასათიანს არ უნდოდა ჩვენთან ბლოკის შექმნაო. ნამდვილად არ მინდოდა პარლამენტში ერთად შევსულიყავით, პასუხისმგებლობა გამეზიარებინა და მერე მათ ხელისუფლებისთვის დაეჭირათ მხარი და მე — არა...

— **ჩვენი გაზეთი აღდგომის შემდგომ, ბრწყინვალე შვიდეულის ორშაბათს გამოდის. რა არის თქვენთვის აღდგომის დღესასწაული?**

— აღდგომა ყველაზე დიდი დღესასწაულია. ჩემთვის, როგორც მართლმადიდებელი ქრისტიანისთვის, ეს დიდი ოპტიმიზმის, მუდმივი განახლების დღესასწაულია. ამ დღეს საოცარი სიხარული მეუფლება, რომელიც მომდევნო აღდგომამდე მყოფნის.

**იზო რეკაძე**

# „ირიბად გამაფრთხილა, ღმერთი არ გაგიწყრეს და კენჭი არ იყაროო“

## ცისფერი, უბორკილო დღეები დაიწყო

მინდა ვნახო „ცისფერი, უბორკილო დღე“ — ასეთი იყო წუთი წუთზე თავისუფლების მომლოდინე თენგიზ ასანიძის ბოლო განცდები საკანში. „კვირის პალიტრასთან“ საუბარში იგი არ მალავდა, რომ მოუთმენლად ელოდა აჭარის უშიშროების მინისტრის პირველი მოადგილის გოგი კუპრეიშვილის გამოჩენას და მისგან წარმოთქმულ სიტყვებს „ასანიძე „სვეშჩამი“. „ცისფერი, უბორკილო დღეები“ დაიწყო, 11-წლიანი ასანიძისეული საპყრობილის ოდისეა წარსულს ჩაჰბარდა. „აჭარის ლომმა“ სტრასბურგის გადაწყვეტილების გამო უკან დაიხია, თუმცა, ფაქტია, რომ ბრძოლას ყოფილი ტუსაღის წინააღმდეგ კვლავაც გააგრძელებს, რადგან საყოველთაოდ ცნობილია, რომ აბაშიძეს იოლად დანებება არ სჩვევია. აბაშიძის ახალ სიურპრიზამდე „კვირის პალიტრა“ გათავისუფლებულ **თენგიზ ასანიძესთან** ინტერვიუს გთავაზობთ.

**— ბატონო თენგიზ, თქვენს გათავისუფლებამდე რამდენიმე საათით ადრე ასლან აბაშიძემ განაცხადა, რომ იგი ამ ხნის მანძილზე თქვენს უსაფრთხოებაზე ზრუნავდა და შურისმაძიებელი მტრებისაგან გიცავდათ. რას გულისხმობდა აბაშიძე, ვისგან გემუქრებოდათ საფრთხე და რამდენად რეალურია იგი დღეს?**

— პირველ რიგში, „კვირის პალიტრას“ უღრმესი მადლობა უნდა გადავუხადო, მძიმე წლები რომ გადამატანინა. ერთადერთი გაზეთი იყო, რომელსაც მუდმივად მაწოდებდნენ და მთელი კვირის მანძილზე ვკითხულობდი. დიდი მადლობა იმისათვის, რომ სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობაში შეგაქვთ წვლილი. 11 წლის განმავლობაში მიღებულ 11 ათასი იარის მოშუშებაში ახლაც მეხმარებით. რაც შეეხება აბაშიძის განცხადებას, ეს იყო სტრასბურგის სასამართლოს განაჩენით ნირწამხდარი კაცის მონოლოგი. ცდილობდა, იხტიბარი არ გაეტეხა, თან თავიც ხომ უნდა ემართლებინა ჩემი ხანგრძლივი უსამართლო ტყვეობის გამო. როცა ჩემი შრომა-გასწორების კოლონიაში გადაყვანის საკითხი გადაწყდა, მან მაშინვე გამოთქვა მოსაზრება, თითქოს ვიღაცა მოკვლით მემუქრება და ამიტომ ჩემი გადაყვანა სახიფათოა. დამტოვა უშიშროების იზოლატორში, ვითომ ვიღაცისგან მიცავდა. იმიტომ არ მიშვებდა, რომ როგორც კი გავიდოდი მისი გავლენის სფეროდან, მისი შეთითხნილი სიცრუე საპნის ბუშტივით გასკდებოდა. აჭარაში არ არსებობს პიროვნება, რომელსაც გააჩნია ჩემს მოსაკლავად რაიმე მიზეზი. ამ განცხადებით ეცადა, „დიდი პოლიტიკოსი“ გამოჩენილიყო. ერთხელ ასეთი სიბრძნე თქვა — „იცით, რა არის პოლიტიკა? ბათუმში რომ გამოკრავ ჩახმახს და სტრასბურგში რომ გავარდება“. ერთი ფაქტორიცაა, ხულოს რაიონში განმეორებით ჩატარდება მაჟორიტარული არჩევნები, სადაც ჯემალ გოგიტიძე კენჭს აღარ იყრის. ამიტომ აბაშიძემ „თავი დაიზღვია“ და ირიბად გამაფრთხილა, ღმერთი არ გაგიწყრეს და ხულოში კენჭი არ იყაროო.

**— რას გერჩოდათ აბაშიძე ამდენხნიანი ტყვეობით?**

— ჩემი დაპატიმრებით და შემდგომ ტყვეობით, მან აჭარელთა დიდ ნაწილს აგრძნობინა, რაც არ უნდა ძლიერი და რისკიანიც არ უნდა იყოთ, ნებისმიერს „მოგბოლტავთ“ და ციხეში შეგკუჭავთო. ძალის დემონსტრირება მოახდინა ამით. ეგ ძალას უწევს ანგარიშს და არა კანონს. შევარდნაძის მიერ ჩემი შეწყალებაც ფეხებზე დაიკიდა, იცით. შევარდაძის ნაცვლად უსამა ბინ ლადენს ან შამილ ბასაევს რომ შემოეთვალა — აბაშიძე, ჩვენ უსამართლობას ვებრძვით და ასანიძე ციხიდან გამოუშვიო, იმათ გაუწევდა ანგარიშს, რადგან აბაშიძემ იცის, რომ ამ ხალხს ხუმრობა არ უყვარს. სტრასბურგს და ახალ ხელისუფლებას იმიტომ გაუწია ანგარიში, რომ მათ ხელში ძალაა, ასლან აბაშიძემ იცის, რომ სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებას ისე ჰაიჰარად ვერ გაატარებს ყურებს შორის, როგორც შევარდნაძის შეწყალების აქტს.

**— უშიშროების თანამშრომლისაგან თქვენი მოკვლის მცდელობას მართლა ჰქონდა ადგილი?**

— აბაშიძე მაგას თამაზზე, ჩემს ძმაზე ამბობს, თითქოს საკანში ვიღაც მის მოწამვლას აპირებდა, რაც ასლანის უშიშროებამ ვითომ გაშიფრა. „მკვლელი“ თურმე სამსახურიდანაც გააგდეს. ღმერთმა იცის, სინამდვილეში რა მოხდა... თუ აბაშიძეზე სისხლის სამართლის საქმე აღიძვრება, უამრავ საიდუმლოს აეხდება ფარდა. სამართალი გაირჩევა და უამრავი საქმე ამოტივტივდება.

**— რისი თქმა არ შეგეძლოთ საკანში ყოფნისას, იქნებ ახლა გვითხრათ?**

— ჩემს საკანში, 11 წლის მანძილზე მეთვალყურეთა ოთხი ცვლა მორიგეობდა დღის განმავლობაში. მათგან 80% ასლანის დისიდენტებად ვაქციე. ვესაუბრებოდი, ვიწვევდი, ვალაპარაკებდი და ბევრი მათგანი დავაყენე გზაზე. იქ ბევრი ღირსეული ადამიანი მუშაობს და მარტო იმიტომ, რომ ასლანს ემსახურებიან, მათი დასჯა არ შეიძლება. რაც შეეხება იმას, რასაც ვერ ვამბობდი საკანში, მხოლოდ პროკურორთან ვიტყვი.



**— პატიმრობის მანძილზე საკანში ისეთმა ვინ გინახულათ, ვისი სტუმრობაც გაგიკვირდათ?**

— ერთადერთხელ მეწვია აჭარის უშიშროების პირველი მოადგილე გოგი კუპრეიშვილი, რომელიც უშუალოდ კურირებდა ჩემს საქმეს, ქარაგმებით მიმანიშნებდა, ასლანის ნებას დაჰყევიო. აბაშიძემ მანამდე ეკრანიდან ღიად თქვა, მოჰბეზრდება იმ კაცს საკანში ჯდომა და დაასახელებს იმ ხალხს, ვინც მას თბილისიდან აქეზებდა ჩემს წინააღმდეგო.

**— ვის დასახელებაზე ოცნებობდა აბაშიძე?**

— ედუარდ შევარდნაძის. დაპატიმრებამდე ასლანი მესაუბრა ამის შესახებ და ვუპასუხე, რა სისულელეა, აბაშიძის კი არა, ნებისმიერი ადამიანის სიცოცხლის ხელყოფა რომ მომთხოვოს, შევარდნაძეს კი არა, გაცილებით გავლენიან პირსაც კი მსოფლიოში, არ დავემორჩილები-მეთქი. ცნობილი ფაქტია — სხვის შესახებ საშინელებებს ფიქრობს ის, ვისაც თვითონ შეუძლია ამის ჩადენა. აბაშიძეს, მისი ჭკუით, შევარდნაძის საწინააღმდეგოდ უნდოდა ჩემი გამოყენება. მეცინება, უკაცრავად და, შევარდნაძე მაგის ჩიტი იყო, მსგავსი ჩანაფიქრი მართლა ჰქონოდა და თენგიზ ასანიძისთვის დაევალებინა ეს. ეს არის ფობიებით შეპყრობილი ადამიანის აზროვნების პროდუქტი.

**— უკვე არ მალავთ, რომ პოლიტიკურ საქმიანობაში ჩაერთვებით, ნიშნავს თუ არა ეს, რომ აბაშიძის ოპოზიციაში მდგომ „ჩვენს აჭარაში“ გიხილავთ?**

— „ჩვენი აჭარის“ ლიდერებთან შესანიშნავი ურთიერთობა მაკავშირებს და აბაშიძის ხალხის მიერ გავრცელებული მოსაზრება, თითქოს მათთან დაპირისპირებული ვარ, სისულელეა. ვიცი, რომ მათ ნამდვილად უყვართ სამშობლო. ასეთ ხალხთან კი, მოსისხლე მტერიც რომ იყოს, მაინც გამოვნახავ საერთო ენას.

**— ე.ი. აჭარაში დაბრუნებას აპირებთ?**

— რა თქმა უნდა, იქ უნდა მოვინადირო „ვეფხვის ბოკვერი“. ლექსია ასეთი — „დრო მოვა, ბოკვერს ვეფხვისას, აჭარას მეც ვინადირებ“.

**— ბატონო თენგიზ, ასლან აბაშიძისაგან ფულადი კომპენსაციის მიღების იმედი თუ გაქვთ?**

— ევროპის სასამართლოს მიერ ჩემთვის გამოყოფილი თანხა საქართველოს დაცინვაა. სხვა, ცივილიზებული ქვეყნის მოქალაქეს უსამართლო ტყვეობაში რომ გაეტარებინა არა 11 წელი, არამედ 30 დღე, 10 მლნ ევროს ჯარიმას ვერავინ დაუძვრებოდა. ახლა, თუ დაკისრებულ თანხას არ გადამიხდის ათ დღეში აბაშიძე, ევროსასამართლოს კანონის თანახმად, ჯარიმა გაორმაგდება. აბაშიძე 150 მლნ ევროს გადაიხდიდა, ოღონდ მის სასარგებლოდ გამოეტანა სტრასბურგს გადაწყვეტილება.

ახლა რას იზამს, კაცმა არ იცის...

***ეკა ლომიძე***



აირზენა

# ოთხწლიანი „ტყვეობიდან“ „დახსნილი“ ქართული შვეულმფრენები

## ექსკლუზიური ინტერვიუ საქართველოს საჰაერო ძალების სარდალთან, ბრიგადის გენერალ ამირან სალუქვაძესთან

შვეულმფრენები თვის ბოლომდე დაბრუნდებიან და ამით დამთავრდება ის ოთხწლიანი ეპოპეა, რომელიც 1999 წლის მიწურულს უკრაინაში გასარემონტებლად გაგზავნილ 7 ქართულ სამხედრო შვეულმფრენს გადახდა.

„კვირის პალიტრა“ მუდმივად აშუქებდა სამშობლოსგან „მიტოვებული“ შვეულმფრენების რთულ „ბედს“ და ვფიქრობთ, გარკვეულწილად, ჩვენმა სტატიებმაც იქონია გავლენა საქართველოს ახალ ხელისუფლებაზე, რომელმაც მოახერხა ვალის დაფარვა და შვეულმფრენების სამშობლოში დაბრუნების პროცესი დაიწყო.



*ექსკლუზიური ფოტო — გარემონტებული ქართული საბრძოლო შვეულმფრენი Ми-24 უკრაინაში, კონოტოპის საავიაციო-სარემონტო ქარხნის ტერიტორიაზე. ეს და მისი „თანამოძმე“ ექვსი შვეულმფრენი იძულებითი ოთხწლიანი „ტყვეობის“ შემდეგ საქართველოში დაბრუნდება.*

ჩვენი ინტერვიუ საქართველოს საჰაერო ძალების სარდალთან, ბრიგადის გენერალ **ამირან სალუქვაძესთან** მისი უკრაინიდან დაბრუნებისთანავე შედგა.

— **ბატონო ამირან, ბოლოს და ბოლოს, გარემონტდა თუ არა ჩვენი შვეულმფრენები უკრაინაში?**

— სამი საბრძოლო Ми-24 ტიპის შვეულმფრენის გარემონტება დამთავრდა კონოტოპში, ორი ამფიბია-შვეულმფრენი Ми-14-ის რემონტიც დღე-დღეზე დამთავრდება სევასტოპოლში, ხოლო ორი Ми-2-ის გარემონტების მიზანშეწონილობის საკითხი ახლა წყდება.

— **რატომ გაჭიანურდა შვეულმფრენების რემონტი?**

— ხელშეკრულების თანახმად, შვეულმფრენების სარემონტო თანხა უნდა გამოძებნილიყო ქართულ ავიაციაში დაგროვილი ზენორმატიული ქონების, ძირითადად საბრძოლო მასალების გაყიდვის შედეგად. ამ პროცესს უკრაინული მხარე ხელმძღვანელობდა, მაგრამ გარკვეულ ეტაპზე ზენორმატიული ქონების გაყიდვის პროცესი შეწყდა.

— **რა სახის რემონტი ჩაუტარდა შვეულმფრენებს და რამდენად ხარისხიანად?**

— გარემონტდა შვეულმფრენების პლანერები, რადიოელექტრონული მოწყობილობები, სხვა აგრეგატები, შეიცვალა საჰაერო ხრახნები. რემონტის ხარისხი მართლაც მაღალია. მათ მიღებას 8 ქართველი სპეციალისტი დიდი გულისყურით ახორციელებს.

— **როდის „დაბრუნდებიან“ შვეულმფრენები საქართველოში?**

— ალბათ თვის ბოლოს, მაგრამ გასაგები მიზეზების გამო, მე მათი ჩამოყვანის ვერც თარიღს და ვერც მარშრუტს ვერ დაგიზუსტებთ.

— **ცოტა უცნაურად მოჩანს — „თბილავიამშენი“ თურქმენულ შვეულმფრენებს არემონტებს, ხოლო ქართული — უკრაინაში გაიგზავნა?**

— მართალი ბრძანდებით, ოღონდ „თბილავიამშენი“ ბოლო პერიოდში შეუდგა შვეულმფრენების რემონტს. საჰაერო ძალებს საუკეთესო ურთიერთობა აქვთ „თბილავიამშენის“ ხელმძღვანელობასთან, მათ უკვე ჩაატარეს ჩვენი სამი Су-25 მოიერიშე თვითმფრინავის 24-თვიანი სარეგლამენტო სამუშაოები, მალე დანარჩენ მოიერიშეებსაც შეგვიკეთებენ და ამიერიდან ჩვენ შვეულმფრენებსაც მათთან გავარემონტებთ.

— **16 აპრილს იწყება ფართომასშტაბიანი წვრთნები ფოთში. რა სახით მიიღებს მასში მონაწილეობას საქართველოს საჰაერო ძალები?**

— წვრთნებში გამოყენებული იქნება ხუთი Су-25 ტიპის მოიერიშე თვითმფრინავი, მათ შორის პირველად Су-25КМ „სკორპიონიც“. მოიერიშეები ყულევის პოლიგონზე განახორციელებენ დაბომბვებს, უმართავი რაკეტების გაშვებასა და საავიაციო ქვემეხების სროლას. ამის გარდა, წვრთნაში მონაწილეობას მიიღებს ექვსი შვეულმფრენი.

# NATO საქართველოს „ინდივიდუალურად“ „ეპატიჟება“

## რა პროგრამა წარადგინა პრეზიდენტმა სააკაშვილმა ბრიუსელში?

7 აპრილს საქართველოს ოფიციალური დელეგაციის, რომელსაც თავად პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მეთაურობდა, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის შტაბბინაში სტუმრობა ფართოდ გაშუქდა ქართულ მასმედიაში.

მაგრამ თითქმის არსად თქმულა ამ დოკუმენტის მთავარი არსისა და შინაარსის შესახებ. ზოგან გამოჩნდა ინფორმაცია, რომ თითქოს საქართველოს ხელისუფლებამ აირჩია NATO-სთან ინდივიდუალური პარტნიორობის გეგმა. თუმცა სინამდვილეში აქ თამაშის წესებს ჩრდილოატლანტიკური ალიანსი გვკარნახობს.

ჩეხეთისა და პოლონეთისგან განსხვავებით, რომლებიც თავის დროზე პირდაპირ მიუერთდნენ NATO-ში „გაწევრების სამოქმედო გეგმას“ (MAP), მათზე ბევრად ჩამორჩენილმა (გინდ ეკონომიკური და გინდ სამხედრო თვალსაზრისით) საქართველომ ჯერ „ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა“ (IPAP) უნდა შეიმუშაოს.

როგორც თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის პოლიტიკისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის დეპარტამენტის უფროსმა **ნიკა ლალიაშვილმა** „კვირის პალიტრას“ განუცხადა, 40-გვერდიანი „ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა“ NATO-ს შტაბბინაში ქართული დელეგაციის ჩასვლამდე რამდენიმე კვირით ადრე გაიგზავნა და შეძლებისდაგვარად დაიხვეწა. მასში სრულად არის მოცემული, თუ რას წარმოადგენს დღეს თავდაცვის სამინისტრო და შეიარაღებული ძალები და რა უახლოესი გეგმები აქვთ (თუნდაც რეფორმების მხრივ). გეგმას ადევს გრიფი — „მხოლოდ სამსახურებრივი მოხმარებისთვის“; ამიტომაც მას დეტალურად მასმედიას არ აცნობენ.

„ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა“ საბოლოო სახით სტამბოლის სამიტზე იქნება წარდგენილი ა.წ. ივლისის ბოლოს. მანამდე კი ქართულმა მხარემ უნდა განახორციელოს ამ გეგმის ზოგიერთი მოთხოვნა. მაგალითად, მთელი მძიმე საბრძოლო ჯავშანტექნიკა შინაგან საქმეთა სამინისტროს შეიარაღებიდან თავდაცვის სამინისტროს უნდა გადაეცეს (ისე, ცოტა ძნელი სათქმელია, როგორ შეეგუება თავისი T-72 და T-55 ტიპის ტანკების გაჩუქებას უზარმაზარ ჟანდარმერიად გარდაქმნის მსურველი დღევანდელი შინაგანი ჯარები).

ასევე საჭირო იქნება, ერთ თვეში დასრულდეს შეიარაღებული ძალების ახალ სტრუქტურაზე გადასვლა და ეროვნული გვარდიის რეორგანიზაცია მისი რიცხოვნობის მკვეთრი შემცირების გზით და ა.შ.

ამავე გეგმით ა.წ. სექტემბერში დაიწყება ძირითადი პროცესი სახელწოდებით „თავდაცვის სისტემის სტრატეგიული მიმოხილვა“, რომლის ფარგლებში მომავალი წლის ბოლომდე დეტალურად უნდა გაანალიზდეს ყველა ის რესურსი (მატერიალური, ფიზიკური, ინტელექტუალური და ა.შ.), რომელსაც ფლობს შეიარაღებული ძალები.

ნიკა ლალიაშვილის თქმით, თუკი რამდენიმე წლის განმავლობაში არ შესრულდება „ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა“, მაშინ საქართველო ვერ გადავა „გაწევრების სამოქმედო გეგმის“ შესრულებაზე და, შესაბამისად, უფრო გაჭიანურდება NATO-ში საქართველოს სრულფასოვანი გაწევრების პროცესი.

NATO-ში გაწევრება, უპირველესად, სერიოზული ვალდებულებების აღებასაც გულისხმობს, მათ შორის იმასაც, რომ შეიარაღებული ძალების სამხედრო ბიუჯეტი ქვეყნის მთლიანი შიდაპროდუქტის 2% მაინც უნდა გახდეს. დღეს ეს მაჩვენებელი 0,8%-ს უახლოვდება. ამიტომაც საქართველოს ხელისუფლებას მოუწევს წლევანდელი, 67 მლნ დოლარიანი სამხედრო ბიუჯეტის ორ-სამ წელში მკვეთრად გაზრდა.

მაგრამ გაუძლებს კი ამას გაჭირვებული ქვეყნის ეკონომიკა?!

# ქართველები ბრუნდებიან ერაყის ომში

## სადამ ჰუსეინის ჩამოგდების წლისთავზე ამერიკელებს აღებული ქალაქებიდან აძევებენ

9 აპრილს ზუსტად ერთი წელი შესრულდა, რაც ბაღდადში თითქმის უბრძოლველად შესულმა კოალიციურმა ძალებმა სადამ ჰუსეინის რეჟიმი დაამხეს.

მაგრამ ერთი წლისთავზე ერაყში ბრძოლები ახალი ძალით გაჩაღდა. ქ. ფალუჯაში მძიმე შეტაკებების შედეგად დიდია მსხვერპლი, როგორც ადგილობრივ მოსახლეობაში, ისე კოალიციურ ძალებშიც. ამერიკელები კარგავენ კონტროლს რამდენიმე დასახლებულ პუნქტზე და იძულებული არიან, იქ გამაგრებული ერაყელები არაჰუმანური იარაღით — ნემსებიანი საავიაციო ბომბებით დაბომბონ.

თეთრი სახლისთვის, ეტყობა, ყველაზე მოულოდნელი არის ის, რომ ანტიამერიკულად განწყობილ ერაყელ სუნიტებს შიიტები და ქურთებიც კი შეუერთდნენ. ახალგამოჩენილ ლიდერს მუქთადა სადრს კი სურს, შექმნას ისეთი გამაერთიანებელი ძალა, რომელიც ამერიკელებს და მათ მოკავშირეებს საბოლოოდ გააძევებს ერაყიდან.

და სწორედ ასეთი, ძალზე დაძაბული სიტუაციის დროს, ერაყში გაემგზავრა მორიგი ქართული სამშვიდობო კონტინგენტი. ამ ტაქტიკურ ჯგუფში გაერთიანებულია საჩხერის მე-16 სამთო ბატალიონის 159 სამხედრო მოსამსახურე, რომელთაც მაიორი ვლადიმერ ჩაჩიბაია მეთაურობს. წინასწარი ინფორმაციით, ქართველი მებრძოლების დისლოკაციის ადგილები იქნება ქალაქები: ბაღდადი, ბეიჯი და თიქრიტი. მათ ამ ადგილებში ამერიკელ სამხედროებთან ერთად მოუწევთ ბაზის ტერიტორიის დაცვა, საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე მორიგეობა, დასახლებულ პუნქტებში პატრულირება და რეიდებში მონაწილეობა.

ანუ ისინი შეასრულებენ ყველა სახიფათო საბრძოლო დავალებას და ალბათ უშუალო საცეცხლე შეხებაც ექნებათ ერაყელ პარტიზანებთან.

ახალი ქართული სამშვიდობო კონტინგენტის მოქმედება უფრო მეტ რისკთან იქნება დაკავშირებული, ვიდრე მათი წინამორბედებისა, რომლებიც, ერაყში შვიდთვიანი ყოფნის შემდეგ, ა.წ. მარტში სამშობლოში, საბედნიეროდ, მსხვერპლის გარეშე დაბრუნდნენ.

გარკვეულ იმედს იძლევა ის გარემოება, რომ საჩხერის მე-16 სამთო-მსროლელი ბატალიონის პირადმა შემადგენლობამ სულ ახლახან დაამთავრა ქართულ-ამერიკული „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამის 100-დღიანი სასწავლო კურსი და ჯერ დავიწყებული არ ექნებათ ნასწავლი. მაგრამ ერთია პოლიგონზე სწავლა და სულ სხვა — უშუალოდ ბრძოლის ველზე მოხვედრა, თანაც პარტიზანული მოქმედების ზონაში და ისიც უცნობი ქალაქების კვარტალებში.

ამ საშიშროებას ემატება ერაყელი პარტიზანების ახალი, შემზარავი ტაქტიკა — მძევლად აჰყავთ კოალიციის ქვეყნების მოქალაქეები (ჟურნალისტებიც კი), რათა მათი ხელისუფლება აიძულონ, ერაყიდან გაიყვანონ სამხედრო კონტინგენტები.

ამიტომაც არ არის გამორიცხული, სუნიტების ან შიიტების ლიდერების დავალებით მათ გარკვეული ზემოქმედების მოხდენა სცადონ საქართველოს პრეზიდენტზეც, რომელიც ერაყელების უპირველეს მტერს, აშშ-ის პრეზიდენტს ერაყში ქართული სამხედრო კონტინგენტის 600 კაცამდე გაზრდას დაჰპირდა.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახალი ქართული სამხედრო კონტინგენტი (მათ ერთ თვეში შეიძლება 16 მენაღმე და სპეცდანიშნულების ოცეულიც — 34 კაცი — დაემატოთ) ნახევარი წლის შემდეგ, ისევე სრულად დაბრუნდება ერაყში მიმდინარე ომიდან, როგორც მათი წინამორბედები.

P.S. ბოლო ინფორმაციის თანახმად, ქართული სამშვიდობო ტაქტიკური ჯგუფი მშვიდობიანად ჩაფრინდა ბაღდადში, სადაც მათ აშშ-ის შეიარაღებული ძალების 1-ლი დივიზიის წარმომადგენლები დახვდნენ და ქართველი მებრძოლები ადგილებზე დააბინავეს.

# პირველი ფართომასშტაბიანი წვრთნები უმაღლესი მთავარსარდლისთვის

## სამხედრო სწავლებები ფოთში, ტრადიციულად, სეპარატისტული სოხუმის შეშფოთებას გამოიწვევს, რა რეაქცია ექნება ბათუმს?



*16 აპრილს ზღვაში 15 ქართული სამხედრო ხომალდი და კატარღა გავა.*

16-18 აპრილს საქართველოს სამხედრო ძალები 2004 წლის ყველაზე ფართომასშტაბიან სამხედრო სწავლებებს გამართავენ ფოთსა და ყულევში.

ეს სწავლება ასევე პირველი იქნება საქართველოს პრეზიდენტისთვის, რომელსაც ძილშიც კი ახსოვს, რომ ქვეყნის სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალიცაა. სწავლებებს სამხედრო-საზღვაო ძალების სარდალი, ვიცე-ადმირალი ზურა ირემაძე უხელმძღვანელებს. სწავლების დანიშნულებაა სამხედრო ძალების სხვადასხვა შემადგენელი უწყებების ურთიერთშეთანხმებული მოქმედება კრიზისული სიტუაციების დროს საზღვაო მიმართულების რაიონში.

სწავლებაში მონაწილეობას მიიღებენ საზღვაო ქვეითები, სამედიცინო ასეული, ეროვნული გვარდიის დანაყოფი, საჰაერო ძალების ავიაცია და, რაც მთავარია, 15-მდე სამხედრო ხომალდი და კატარღა.

ერთდროულად ზღვაში გავლენ ჩვენი ქალაქებისა და რაიონების მოსახელე სამხედრო კატარღები: „თბილისი“, „ქუთაისი“, „ახმეტა“, „წყალტუბო“, „ქობულეთი“, „ლანჩხუთი“, „გურია“.

ნებისმიერი სწავლება, რასაკვირველია, ყოველთვის სჯობს ყაზარმებში უქმად დგომას. ინტენსიური სწავლებები და წვრთნები, თუკი ისინი ემსახურებიან სამხედრო ძალების სხვადასხვა უწყების ურთიერთშეთანხმებული მოქმედებების დახვეწას, ცხადია, ერთიათად წაადგება ქართულ არმიას, რადგან რეალური საბრძოლო მოქმედებების დაწყების შემთხვევაში, მას მეტ-ნაკლებად უკვე დახვეწილი ექნება ურთიერთშერწყმული მოქმედების ტაქტიკა.

16-18 აპრილის ფართომასშტაბიან წვრთნებს, ეტყობა, კვლავინდებურად გააპროტესტებენ აფხაზი სეპარატისტები სოხუმიდან. უკმაყოფილებას ალბათ ვერ ავცდებით ვერც ბათუმიდან, ასლან აბაშიძის რეჟიმის მხრიდან — სააკაშვილი წვრთნების საბაბით ფოთში ჯარსა და ფლოტს უყრის თავს, რათა იერიში მიიტანოს აჭარაზეო.

თავის გამოსვლებში პრეზიდენტი სააკაშვილი წვრთნების დაწყებამდე უფრო და უფრო აძლიერებს ზეწოლას აბაშიძის რეჟიმზე უკანონო შეიარაღებული ფორმირებების სასწრაფოდ განიარაღების უპირობო მოთხოვნით.

მალე! ყოველთვიური სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი „არსენალი“! — „კვირის პალიტრისაგან“

*რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა*

# „აფხაზეთში მოწინააღმდეგის ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელი სერგეი შოიგუ იყო(!)“




რაღა დაგიმალოთ და მოქმედ თუ თადარიგში გასულ პოლიციელებს (მიუხედავად იმისა, მეც მათ რიცხვს ვეკუთვნი) ერთი სიგლახეც სჭირთ — ისეთ საგმირო საქმეებზე დადებენ თავს, ბარონ მიუნჰაუზენსაც რომ შეშურდებოდა. მაგრამ თუკი დაჟინებით ჩასდევ მათ ნაამბობს, აღმოჩნდება, რომ ამ ბაქიებს გასახსენებელიც არაფერი აქვთ. ამას უმრავლესობაზე მოგახსენებთ, თორემ ერთეულებს, იცოცხლეთ, იმდენი აქვთ მოსაგონარი, თითოზე რამდენიმე წიგნის დაწერაც შეიძლება. ამჯერადაც ერთ ამგვარ ვეტერანს ვეწვიე და ჩემთვის ნაცნობი თუ უცნობი ზოგიერთი ამბის გახსენება ვთხოვე. ვესაუბრები პოლიციის გადამდგარ პოლკოვნიკს, **ფრიდონ ადამიას:**

— *ბატონო ფრიდონ, ვეცადე, მაგრამ დღევანდელთაგან ვერავინ გავიხსენე ისეთი, ვისაც თქვენნაირი წელთა ნამსახურობა ჰქონდეს შინაგან საქმეთა ორგანოებში. არადა, ისე გამოიყურებით, შინაგან საქმეთა მინისტრი რომ ვიყო, გთხოვდით მესამე წრეზე წასულიყავით (რას ვგულისხმობთ, ქვემოთ შეიტყობს მკითხველი).*

— 1950 წელს მივედი შინაგან საქმეთა ორგანოებში. მაშინ ეს უწყება უშიშროების სამინისტროში შედიოდა. არც თბილისის მილიცია არსებობდა, როგორც ცალკე სტრუქტურა. ყველაფერზე სამინისტრო აგებდა პასუხს. მე ჯიბის ქურდების დევნა მევალებოდა. მალე ისე გავიწაფე, რომ ქუჩებში ჯიბის ქურდების მეტს ველარავის ვამჩნევდი. ბიჭები ხუმრობდნენ — ეტყობა, ფრიდონი თვითონაც ჯიბის ქურდი იყო, თორემ ამდენ ჯიბგირს სად პოულობს ან როგორ აუდისო. გავიდა ხანი და ლენინგრადში, სახელმწიფო უშიშროების სამინისტროსთან არსებულ ლავრენტი ბერიას სახელობის სისხლის სამართლის სამძებროს სკოლაში მიმავლინეს. სულ ორი ქართველი ვსწავლობდით. თუ არ ვცდები, არც ჩვენამდე, არც ჩვენ შემდეგ ამ სკოლაში აღარავის უსწავლია — ახალი შექმნილი იყო და ბერიას დაპატიმრებისთანავე დაიხურა. ვინ მავალებდა, მაგრამ იქაც კი სკოლის კურსანტმა ორიოდ თვეში ჩვიდმეტი ჯიბის ქურდი დავიჭირე და საკავშირო მინისტრის მადლობაც დავიმსახურე.

— *როგორც ვიცი, თქვენ მილიციის ყველაზე ახალგაზრდა უფროსი იყავით მთელ საბჭოთა კავშირში.*

— ასე იყო... ვფიქრობ, ეს ერთმა არცთუ სასიამოვნო შემთხვევამ დააჩქარა. მაშინ საქართველოში, რომ იტყვიან, ჩაის ციებცხელება იყო — დიდსა და პატარას, მათ შორის მოსწავლეებსაც, ჩაის კრეფას აიძულებდნენ. ასე იყო მარტვილის რაიონშიც და უტრანსპორტობის გამო პლანტაციებამდე ხალხის გადასაყვანად ხან რას იყენებდნენ და ხან — რას. ერთ დღესაც ბავშვები დასხეს თვითმცლელზე, რომლის ძარაც ერთ-ერთ აღმართში აიწია და ორმოცი მოსწავლე ხევში გადაიჩეხა. ამის გამო რაიონში ყველა ხელმძღვანელი მოხსნეს, მათ შორის მილიციის უფროსიც და მის ადგილზე მე, იმ დროისთვის აფხაზეთის სისხლის სამართლის სამძებროს თანამშრომელი, დამნიშნეს.

— *ხომ არ გაიხსენებდით რაიმე ეპიზოდს იმ დროიდან?*

— რატომაც არა. სულ რაღაც კვირები იყო გასული ჩემი ამ პოსტზე დანიშვნიდან, რომ შემზარავი მკვლელობა მოხდა. ფიზკულტურის მასწავლებელმა მოსწავლეების თვალწინ დანით მოკლა სკოლის დირექტორი, ომგამოვლილი, პატიოსანი კაცი. მკვლელმა ტყეს შეაფარა თავი. მოგვიანებით მაცნობეს, რომ იგი სოფელ ახუთში ერთ-ერთ მიტოვებულ სახლში იმალებოდა. მე და რაიონის პროკურორი გავემგზავრეთ ამ ინფორმაციის შესამოწმებლად. სოფელი დაცლილი იყო. იმხანად გამალებით მიმდინარეობდა მთიანი სოფლების მოსახლეობის გაგრის ზონაში გადასახლება. ამ საქმეს საგანგებოდ შექმნილი ტრესტი „აფხაზპერესელენსტროი“ უძღვებოდა და როგორც შემდეგ გაირკვა, არცთუ უანგაროდ. ასე დაიცალა ახუთიც. როცა სახლს მივადექით, მასზე მიდგმულ ფარდულში ჭრაქის შუქზე ქალი ძროხას წველიდა. ვკითხე, ვინ ცხოვრობს-მეთქი ამ სახლში და ცოტა არ იყოს, ნერვიულად გვიპასუხა, არავინაც არ ცხოვრობსო. აშკარა იყო, რაღაცას მალავდა და აღარც მე დამიყოვნებია. რამდენიმესაფეხურიანი კიბე ავირბინე, კარი შევანგრიე და ერთბაშად სიბნელეში ამოვყავი თავი. იმავე წამს გულზე მომებჯინა თოფის ცივი ლულა, რასაც ბრძანებაც მოჰყვა — არ გაინძრე, თორემ გაგათავებო. ეს სწორედ ის მასწავლებელი იყო, რომელსაც ვეძებდი. მაჯობა, იქით ამიყვანა მძევლად, მაგრამ მეც ხომ შეიარაღებული ვარ? პისტოლეტი მიჭირავს, მაგრამ ერთ-ერთმა რომც ვისროლოთ, მეორეც ისვრის და ორივე შევაკვდებით ერთმანეთს. მშვიდად ვუთხარი: არ გინდა ეს ცირკი, ადამია ვარ-მეთქი და თუ დამიჯერებთ, მაშინ პირველად ვიგრძენი, რომ ანგარიშს მიწევდნენ — ძებნილმა თოფი დააგდო. ღმერთმა შეუნდოს, არ ჩანდა ცუდი ბიჭი. იმ დღეს, გზად, მე და პროკურორმა სადილზეც ვიახლეთ, რამდენიმე კვირაში კი დახვრიტეს.

— *ახლა საბედისწერო ოთხმოცი-ოთხმოცდაათიანი წლები გავიხსენოთ, ის დრო, როცა თქვენ უკვე თადარიგში ხართ გასული.*

— 1985 წელს, ოცდათხუთმეტწლიანი სტაჟით, პენსიაში გავედი, მაგრამ ქვეყანა რომ აირია, გამომიძახეს და აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ დამნიშნეს. ეს იყო ყველაზე მძიმე პერიოდი ჩემთვის და ალბათ ყველა ქართველისთვისაც. იმას, რაც მანამდე მქონდა ნანახი და განცდილი (რა თქმა უნდა, ცუდს ვგულისხმობ, ჩვენ ხომ ამისთვის გვიხდიდნენ ხელფასს), ვერაფრით შევადარებ აფხაზეთში ნანახსა და განცდილს. მე ხომ იქაური ვარ... სოხუმი, რომელიც ოდესღაც ჩემ თვალწინ შენდებოდა, ამჯერად ჩემსავე თვალწინ ინგრეოდა. ჩემი მოვალეობა პოლიციის ჯარების კოორდინირება იყო და აქედან გამომდინარე, სამთავრობო დონეზე გამართულ ყველა შეხვედრას ვესწრებოდი სოხუმშიც, გაგრაშიც, ადლერშიც, სოჭშიც და სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო: ჩვენ აფხაზებთან არ გვიომია. ჩვენ ომი გვქონდა რუსებთან, რომელთა ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი (ამჟამად საგანგებო სიტუაციების მინისტრი) სერგეი შოიგუ(?!) იყო. მიკვირს, რომ აფხაზეთის საქმეში „ჩახედულები“ ამ გვარს არასოდეს ახსენებენ. ამ კაცმა პირნათლად შეასრულა პრეზიდენტ ელცინის დავალება — ზუსტად დათქმულ დღეს უპატაკა სოხუმის აღება.

— *გულახდილად გითხრათ, შოიგუს ხსენება აფხაზეთთან დაკავშირებით ჩემთვისაც სიახლეა. ამიტომ ნება მომეცით გკითხოთ: — რა არგუმენტები გაქვთ ამასთან დაკავშირებით?*

— აკი გითხარით, სამთავრობო დონეზე გამართულ ყველა შეხვედრას ვესწრებოდი-მეთქი. იქ ვხვდებოდი შოიგუს, რომელსაც თან თავისი ხალხი ახლდა. უპირველეს ყოვლისა, ის რუსი გენერლები, რომლებმაც დაგეგმეს და განახორციელეს კიდეც სოხუმის შტურმი. შოიგუსთან ხშირად ვხედავდი თავის სტუდენტობის დროინდელ მეგობარს ხაჩბას თუ ხაჟბას, რომელიც დღესაც მუშაობს რუსეთში საგანგებო სიტუაციების სამინისტროში. შოიგუ აშკარად მეგობრობდა აფხაზებთან და არ მალავდა ქართველებისადმი აშკარა ზიზღს. ერთ დილით აწ განსვენებულმა ჟიული შარტავამ მიხმო — შოიგუ გვეწვია და რაკი საუზმის დროა, დავპატიჟოთო. იქვე, მინისტრთა საბჭოს შენობის სარდაფში ჩავედით, სადაც პატარა ბუფეტი იყო. შოიგუს იმჯერადაც ხაჟბა თუ ხაჩბა უმშვენებდა გვერდს. ჩვენ სამნი ვიყავით: ბატონი ჟიული, მე და უშიშროების მინისტრი კეშელავა. ეს ის დროა, როცა გაგრა დაკარგულია და რუსულ მხარესთან მოლაპარაკებები მიდის ომის შემდგომი აფხაზეთის მოწყობის შესახებ. ასე რომ, ამნაირი საუზმე-სადილები ხშირად იმართებოდა, მაგრამ ის ერთი განსაკუთრებით იმიტომ დამამახსოვრდა, რომ იმ დღეს შოიგუმ პირდაპირ გამოგვიცხადა — ქართველები მძულხართო(!). ბატონმა ჟიულიმ გაიკვირვა და ჰკითხა, რატომო? — იმიტომ, რომ სტალინმა დედაჩემი ლენინგრადიდან იალტაში გადაასახლა, სადაც მან მამაჩემი გაიცნო. სტალინი კი ქართველი იყოო. შარტავა შეეცადა „სტუმრის“ ეს განცხადება ხუმრობაში გადაეტანა და უთხრა — თუ ასე იყო, შენ სტალინისა და ქართველი ერის მადლობელი უნდა იყოო, მაგრამ უშედეგოდ.

ამ დროს უკვე არსებობდა კონფლიქტის დარეგულირების ერთიანი გეგმა, რომელსაც საქართველოს მხრიდან ხელს აწერდა ბატონი ალექსიძე. გეგმის თანახმად, აფხაზეთის ტერიტორიაზე უნდა შექმნილიყო პოლინაციონალური პოლიცია და ამ საქმის მოგვარება მე მევალებოდა. იქმნებოდა ასეთივე შინაგანი ჯარი, რომელსაც გენერალი ჩიქოვანი განაგებდა. ჩვენ, შემსრულებლებს, ეს გეგმა ხელთ გვქონდა და მართალია, მასში იმაზეც იყო ლაპარაკი, რომ ლტოლვილები გაგრაში უნდა დაბრუნებულიყვნენ, მაგრამ ისიც გარკვევით იკითხებოდა, რომ 1993 წლის 26 სექტემბერს ვლადისლავ არძინბა სოხუმში, თავის პოსტს დაუბრუნდებოდა. ეს კი ჩვენი მხარისთვის მაინცდამაინც სასურველი არ ყოფილა. რაკი არძინბას დაბრუნების თარიღი დაკონკრეტდა, ე. ი. ქართველი ლტოლვილები მანამდე, ანუ აგვისტოს თვეში უნდა დაბრუნებულიყვნენ გაგრაში. მაგრამ სოჭში, მორიგ შეხვედრაზე, შოიგუმ საკმაოდ პათეტიკურად წაგვიკითხა აფხაზ უხუცესთა კრების ოქმი, რომლითაც გავიგეთ, რომ აფხაზებს და ქართველებს ამიერიდან ერთად აღარ ეცხოვრებათ და მათი გაგრაში დაბრუნება დაუშვებელიაო. მოშხამულები დავბრუნდით სოჭიდან. თვითონ განსაჯეთ, როცა რუსის მაღალჩინოსანი გიცხადებს, შენს სახლში აღარასოდეს დაბრუნდებიო, რა გრძნობა დაგვეუფლებოდა.

— *ჰო, მაგრამ მაშინ აფხაზეთის დიდ ნაწილს კვლავაც ჩვენ ვაკონტროლებდით. მაშასადამე, პირობის წაყენებაც შეგვეძლო.*

— ფორმალურად კი, ფაქტობრივად — არა. პირობები რომ წამოაყენო, რაღაცის იმედი, ზურგი უნდა გქონდეს. ჩვენ კი რა გაგვაჩნდა? ის დაჟანგული საბრძოლო ტექნიკა, რომლითაც მეტ-ნაკლებად ვაკავებდით მოწინააღმდეგის წინსვლას ჩვენი ხელისუფლების ნებართვით, ანუ დროებითი მშვიდობის სანაცვლოდ, გაგვატანინეს აფხაზეთის ტერიტორიიდან. ჩვენები იმ იარაღის ზუგდიდში გადმოტანას აპირებდნენ, რაც აუცილებლობისას აფხაზეთის ტერიტორიაზე მისი დაუყოვნებლივ გადასროლის შესაძლებლობას მოგვცემდა. არაფრის მტკიცებას არ ვაპირებ, ვერც ექსპრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას შეიარაღებულ ფორმირებებს დავდებ ბრალს, რადგან საამისო საბუთი არ გამაჩნია, მაგრამ ის კი ითქვა, ქობალიამ და მისმა ხალხმა არ გამოგვატარესო ენგურს აქეთ. ამით კი რუსებმა ისარგებლეს. შოიგუ, რომელსაც მეც დავყვებოდი ხოლმე, გამალებით ეძებდა და ნახულობდა ჩვენს შეიარაღებას, რაზეც ალბათ შესაბამისი ინფორმაციებიც ჰქონდა აფხაზებისგან. მერე კი შოიგუმ აფხაზეთის სანაპიროს რუსული ბორნები მიაყენა, ქართველებს ტრანსპორტირების ფული გადაგვახდევინა და ფოთში გადაყარა მთელი ჩვენი შეიარაღება. ერთადერთმა, აწ გარდაცვლილმა გენერალმა გენო ადამიამ შეძლო რამდენიმე ერთეული მძიმე ტექნიკის გადამალვა, მაგრამ განახლებული ომის პირობებში ეს უკვე აღარაფერს ნიშნავდა. გენო ადამია იყო ის კაცი, ვინც პირველმა გაბედა და თქვა, რომ რუსები გვატყუებენ, რომ მიმდინარეობს ქართველების განიარაღება და ჩვენ განწირული ვართ დამარცხებისთვის. ჟიული შარტავა და გენო ადამია, ეს ორი დიდი პატრიოტი, გამუდმებით ერთსა და იმავეზე დაობდნენ. ბატონ ჟიულის სჯეროდა, რომ რუსები არ გვატყუებდნენ, გენო კი, როგორც გითხარით, საწინააღმდეგოს ამტკიცებდა და საუბედუროდ, მართალიც გამოდგა.

— *კი, მაგრამ მძიმე ტექნიკისა და იარაღის გატანა აფხაზურ მხარესაც ხომ ევალებოდა?*

— დიახ, თუ გატანაში ის იგულისხმება, რომ მათი ტექნიკა თავს იყრიდა ჩრდილოეთით, ეშერის, ანუ გუმისთისა და სამხრეთით, ჭლოუს, ანუ კოდორის ბაზებში, ხოლო მათ საკეტებს (Затвор) რუსები იბარებდნენ. საოცარია — ადამიანმა, ვინც ამ შეთანხმებას მოაწერა ხელი, ან გეოგრაფია არ იცოდა, ან უეჭველია დიდ ზეწოლას განიცდიდა. ასე რომ, ჩვენივე ნებით დავთანხმდით სოხუმის ალყას ორივე მხრიდან — ანუ შემოსასვლელში და გასასვლელში მოწინააღმდეგე და მისი ტექნიკა იდგა, შუაში კი განიარაღებული ქართველები.

სექტემბრის დასაწყისში სოხუმში თათბირი მოიწვია შოიგუმ. აფხაზებიც იქ ჩამოიყვანა და ტურბაზასთან, სამხედრო სანატორიუმში შევიკრიბეთ. თათბირს ესწრება არძინბას მთავრობის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე აგრბა, რომელიც აფორიაქებული დაძუნძულებდა დარბაზის ერთი კუთხიდან მეორემდე. კიდევ ერთხელ ჩავიკითხეთ ზემონახსენები ჩვენი დამღუპველი ხელშეკრულება და შოიგუმაც შეგვახსენა 26 სექტემბერს არძინბას სოხუმში დაბრუნების აუცილებლობა. პასუხად ჟიული შარტავამ განაცხადა, ამის წინააღმდეგი არაა ქართული მხარე, ოღონდ მას შემდეგ, როცა ლტოლვილები გაგრაში დაბრუნდებიანო. შოიგუ გაცეცხლდა — აჰ, ასე არ გინდათ? მაშინ მე აფხაზებს იარაღის „ზატვორებს“ დავუბრუნებ და ვნახავ, როგორ იომებთო. ეს იმდენად გამაოგნებელი განცხადება იყო, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ქართველების მოძულე პასტუხოვმაც კი გაიკვირვა, ეს როგორ შეიძლებაო. შოიგუმ თავხედურად უთხრა — შენ არავინ გეკითხება, შენთვის იჯექიო. აგრბამ კი დაამატა — ნებით არ გვიშვებთ ხომ, მაშინ ძალით შემოვალთ ოცდაექვსშიო და მოვიდნენ კიდეც.

— *ჩვენი სამხედრო ძალები რას აკეთებდნენ მანამდე? სხვა შეიარაღება ხომ ჰქონდათ, თუნდაც ავტომატი და სხვა...*

— სადღა იყო სამხედრო ძალები?! მას შემდეგ, რაც შერიგება გამოცხადდა, პურსაც კი აღარავინ აწვდიდა ჩვენს ბიჭებს. ეს კი იმას ნიშნავდა, ომი დამთავრდა და შინ წადითო და ბევრი წამოვიდა კიდეც. აქა-იქ დარჩენილებს, მშივრებს როგორ უნდა ეომათ და მთელი სიმძიმე პოლიციას დააწვა. ასე იყო თუ ისე, ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებები არ მიმდინარეობდა და ასეთ „მშვიდ დღეებში“ დილაადრიან, ძველი ჩვეულებისამებრ ზღვაში ვბანაობდი და შემდეგ მივდიოდი სამსახურში. იმ დღესაც გზად მიმავალი ვხედავ, ავტობუსებიდან, რომელიც დრანდის მხრიდან მოდის, ვიღაც მთელი ტანით გადმოწოლილა ფანჯარაში და გაჰყვირის:

— ომი დაიწყო, აფხაზები თავს დაგვესხნენ, თავს უშველეთ, ხალხოო... ტანსაცმლის გამოცვლის დრო სადღა იყო, პირდაპირ სამინისტროში გავვარდი და მეც ვიყვირე, ომი დაიწყო-მეთქი. არავინ არაფერი იცოდა. ეს იყო 1993 წლის 16 სექტემბერი. შემზარავი სურათი იყო — სოხუმზე წამოსული მტერი უკანდახეული ქართული სამხედრო შენაერთების ნაფლეთებს მოერეკებოდა. ბიჭებს იარაღი თოხებივით გაედოთ მხრებზე და ერთმანეთს ასწრებდნენ. ასეთ დროს დარტყმას თავზე იღებენ შედარებით უფრო მობილიზებული პოლიციის დანაყოფები, მაგრამ ომი მათი საქმე არ არის. ისინი ამისთვის არავის მოუმზადებია. მახსოვს, სოხუმის პოლიციის სამმართველოს უფროსის კაბინეტში შევედი. მაგიდასთან ზის პოლკოვნიკი რაფავა. წინ უდევს დურბინდი, სხვადასხვა იარაღი და ჩანთაში აწყობს. ვეკითხები — საომრად მიდიხარ? — და საცოდავად მპასუხობს: — მივდივარ, მაგრამ რომელი მეომარი მე ვარო. იმ დღეს რამდენიმე ათეული პოლიციელი წაიყვანა რაფავამ გუმისთის ქვემო ხიდის მიმართულებით და მას შემდეგ აღარც ის, არც ამ ბიჭების ნახევარზე მეტი არავის უნახავს. იქვე ჩახოცა მტერმა, ნაწილმა კი ძლივს გამოაღწია მძიმე ჭრილობებით. შუადღისას მე და ქალაქის პროკურორმა ვცადეთ გუმისთის პოზიციების დათვალიერება, მაგრამ რამდენიმე კილომეტრის რადიუსზე მიახლოებაც კი წარმოუდგენელი იყო. შოიგუმ დანაპირები შეასრულა. აფხაზებს მძიმე ტექნიკის საკეტები მისცა და ახლა ისე გამეტებით იბრძოდნენ, რომ ირგვლივ ყველაფერი დუღდა. ყველაფერი ეს თავდაპირველად გუმისთის მხარეს ხდებოდა, ნაშუადღევს კი ჭლოუდანაც დაიძრა აფხაზთა მძიმე ტექნიკა და ქალაქი ბლოკადაში მოექცა. ორჯერ დავურეკე შარტავას, ალყაში ვართ-მეთქი. მოგვიანებით ამას ისიც დაემატა, რომ მტერი ახლა სოხუმის ფუნიკულორიდან, მაიმუნების საშენიდან და თამარის ხიდის მხრიდანაც, ანუ ქალაქის მთიანი ფერდობიდან დაეშვა, სადაც რუსებმა ჯერ კიდევ მშვიდობიან დღეებში სამანქანო გზა გაჭრეს ეშერის მხრიდან. ამაზე იმთავითვე გავაფრთხილე ჩვენი ხელისუფლება, მაგრამ ვხედავდი, იგი უძლური იყო წინ აღსდგომოდა იმ მშენებლობას, რომელსაც რუსი გენერალიტეტი აწარმოებდა. ამ გზით გადმოსულმა შოიგუს გენერლებმა ისეთი ნიაღვარი დაგვატეხეს, რომ გუმისთა და კოდორი მონაგონი იყო. თავქვე გამოქცეულ ქართველ ჯარისკაცებს ჯაბა იოსელიანის მიერ ციხიდან გამოყვანილი ასორმოცდაათკაციანი კოლონა, კრიმინალური დაჯგუფება აკავებდა, მაგრამ არც აქედან გამოვიდა არაფერი. ჩვენი შტაბის ირგვლივ გვამებს დაეფარათ ტერიტორია, სად — ხელი ეგდო, სად — ფეხი, სად — ნახევარი კაცი. არ ვიცი, რამ გადამარჩინა. ამასობაში ჩვენი სამინისტროს წინ, სამედიცინო განყოფილების ეზოშიც ჩამოცვივდა ბომბები და ხალხი დაგვიხოცა. ეს უკვე 26 სექტემბერი იყო, სოხუმის დაცემის დასაწყისი. თუმცა უსისტემო ბრძოლები ორ დღეს კიდევ გაგრძელდა. ბოლოს და ბოლოს, მივხვდით, რომ წინააღმდეგობას აზრი არ ჰქონდა და სოხუმის დატოვება გადავწყვიტეთ, მაგრამ სად წავსულიყავით, კოდორს აქეთაც აფხაზები იდგნენ, მათ ზურგში კი როგორც ამბობდნენ, ქობალიას რაზმები. იმავე დღეს, 26-ში, კელასურთან ველოდით შემოტევას. იქ გადმოინაცვლა გია გულუამაც თავისი რაზმით, რომელიც აქამდე რკინიგზის მიდამოებში იბრძოდა. ერთბაშად სუბტროპიკული ინსტიტუტის მიდამოებიდან დაგვარტყა მტერმა. მოკლეს გენო ადამია და ათობით ჩვენი თანამებრძოლი. გულუამ შემომთავაზა, კოდორი გადავცუროთ და ოჩამჩირის გავლით წავიდეთო. მე სვანეთის გზა ვარჩიე. გიამ და გენერალმა გივი კვანტალიანმა კი მდინარე გადაცურეს და გიამ შვეულმფრენის გამოძახებაც შეძლო. შვეულმფრენი კი მოფრინდა, მაგრამ იქიდან ლოთი ქობალია გადმოვიდა და იქვე დააპატიმრა გია გულუა. კვანტალიანმა მიმალვა მოასწრო, კიდევ კარგი, მას არ იცნობდა ქობალია. გულუა კი ზუგდიდის ციხეში ჩასვა და დახვრეტა მიუსაჯა(!). დახვრეტდა კიდეც, მაგრამ გია ციხიდან გაიქცა. ამით შეურაცხყოფილმა ქობალიამ პისტოლეტის ტყვიებით ფეხები დაუცხრილა პატიმრის იზოლაციაზე პასუხისმგებელ პირებს. მე კი ასობით და ათასობით ლტოლვილთან ერთად სვანეთით, ანუ ქართველების გოლგოთით გამოვედი სამშვიდობოს...

— *მერე თქვენ ზუგდიდის პილიციის სამმართველოს უფროსად დაგნიშნეს. არადა, მაშინ აქეთაც ომი იყო, არ გაგიჭირდათ?*

— ზუგდიდში მაშინ ერთი მხედრიონელიც დანიშნეს ქალაქის კომენდანტად, მაგრამ გამომიცხადა, აქ მე ვერაფერს გავაკეთებო და გამექცა. წარმოიდგინე, რა დღეში ვიქნებოდი. მაგრამ გავუძელი და ორ წელიწადში 2.500 ავტომატი ამოვიღე მოსახლეობიდან. ეს იმ დროს, როცა რაიონში წესრიგის დასამყარებლად ჩამოსულ დაცვის პოლიციის ათასხუთასკაციან შენაერთს სულ თორმეტი ავტომატი ჰქონდა. ჰოდა, იმ ხალხს ჩამონართმევი იარაღი დავურიგეთ და ნელ-ნელა წესრიგი დავამყარეთ.

— *ცნობილი ტერმინი რომ მოვიშველიოთ, თქვენ წარმატებით გაიარეთ შინაგან საქმეთა ორგანოებში საქმიანობის მეორე წრეც, რაც თქვენს ფიზიკურ და სულიერ სიმტკიცეზე მეტყველებს. გარდა იმ ცნობილი მოვლენებისა, კიდევ რაზე გწყდებათ გული?*

— ჟიული შარტავას დაკრძალვაზე რომ შოიგუ დავინახე, კინაღამ ჭკუიდან შევიშალე. უხამსობა გამიგია, მაგრამ ეს ყველა ზღვარს სცილდებოდა. იარაღს მივწვდი, მაგრამ ჩემმა მეგობრებმა დამიშალეს და მეც იმან შემაკავა, რომ მისი მოკვლით ახალ თავსატეხს გავუჩენდი ჩემს ქვეყანას... გულიც იმაზე მტკივა, რომ ამის გაკეთება არ შეიძლებოდა, თორემ...

**ვაჟა გავაშელი**

# „თუ აბაშიძე არ განიარაღდება, თავისი ტანკები ვერ დაიცავენ“

(დასაწყისი იხ. გვ. 5)

**— თუ კულუარულ ხმებს დავუჯერებთ, 6 თვეში ახალარჩეული პარლამენტის დათხოვას უნდა გეგმავდეთ. ამბობენ, სააკაშვილი იძულებული იყო ისეთი ხალხი შეეყვანა სიაში (რევოლუციაში მონაწილეობის გამო), რომლებიც თავადაც არ ეპიტნავება. მათი თავიდან მოცილება რომ უნდოდა, ამიტომ შეიტანეს საკონსტიტუციო ცვლილებებში პუნქტი, რომელმაც პრეზიდენტს პარლამენტის 6 თვეში დათხოვის უფლება მისცაო.**

— პრეზიდენტს არ შეუძლია საკუთარი ინიციატივით პარლამენტის დათხოვა. ახალი საკონსტიტუციო მოდელის თანახმად, სანამ პარლამენტი 1 წლის განმავლობაში კედელზე თავს არ ურტყამს, პრეზიდენტი მას ვერ დაითხოვს. ახალარჩეული პარლამენტი არ ჩანს ისეთი, ეს გააკეთოს. ახალი პარლამენტი აქამდე არსებულთაგან თავისი შემადგენლობით ყველაზე პროფესიული პარლამენტია. მიმაჩნია, რომ მასში კარგი ხალხი მოხვდა. ნინო ბურჯანაძესთან შეიძლება კარგი და მჭიდრო თანამშრომლობა. ის პრინციპული და ერთგული ადამიანია. 4-5 კაცზე შეიძლება ყოველთვის გეთანაღრებოდეს გული, მაგრამ ესენი ძირითადად ჩვენი კი არა, მაჟორიტარული სიით არიან პარლამენტში გასულები. რამდენიც უნდა ილაპარაკონ საკონსტიტუციო ცვლილებებზე, წინა პარლამენტთან შედარებით ამ პარლამენტს აქვს გაცილებით ფართო უფლებამოსილებები. მას შეუძლია მთავრობის დათხოვა. რუსეთში პარლამენტს მთავრობის დათხოვა არ შეუძლია, ჩვენთან კი შეუძლია. პრინციპში, საქართველოს პარლამენტი გერმანულ და ფრანგულ პარლამენტებზე ბევრად ძლიერია. დღეს პრეზიდენტს ნაკლები უფლებამოსილება აქვს, ვიდრე შევარდნაძის დროს ჰქონდა. მაგრამ ეს ხელს მაძლევს, რადგანაც შემიძლია ძირითად თემებზე მოვახდინო კონცენტრაცია და არ ჩავერიო მთავრობის ყოველდღიურ საქმიანობაში. თუმც მთავრობამ იცის, რომ ხალხთან ერთად მეც ვადევნებ თვალყურს მის საქმიანობას და მაქვს მისი დათხოვის ბერკეტი. სახელისუფლებო შტოებში დღეს ბალანსი დაცულია და ეს ძალიან კარგია.

**— როგორი პერსპექტივა ექნებათ ოპოზიციურ პარტიებს, რომლებიც პარლამენტს მიღმა დარჩნენ, მათმა დრომ ჩაიარა თუ ისევ მიეცემათ პოლიტიკური აქტიურობის შანსი?**

— არა მგონია, მათ დროს ჩაევლოს... მომავალ წელს ადგილობრივი არჩევნებია და დარწმუნებული ვარ, წარმატების შანსი აქვთ. საქართველოში ყველა გამგებელი უნდა არჩეულ იქნეს. მომავალ წელს უნდა ავირჩიოთ თბილისის მუნიციპალიტეტი. წელს კი თბილისის მთავრობის დანიშვნა გვიწევს. პრემიერობის კანდიდატი ბიძინა ბრეგვაძეა.

**— ჩვენი მკითხველი ხშირად გვეკითხება, როდის დაფასდება საქართველოში მიღებული განათლება. მათ არ მოსწონთ, როდესაც საკადრო გადაწყვეტილებების დროს უცხოურ დიპლომებს ენიჭება პრიორიტეტი.**

— ყველა განათლებული ადამიანი ფასდება და მცდარი აზრია, თითქოს უცხოეთიდან ჩამოგვყავდეს ხალხი და მათ ვასაქმებდეთ. ჩვენი მთავრობის 99%-ს ქართული განათლება აქვს მიღებული. უცხოური განათლება მათ შემდგომ მიიღეს. ჩვენი მთავრობის წევრებს, ძირითადად, საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი აქვთ დამთავრებული — მთავრობაში ჩვენ ეროვნული კადრები გვყავს. აბსურდია, როდესაც ამბობენ, — 40 წელს გადაცილებულ ხალხს სამსახურებიდან ათავისუფლებენო. შემცირებები იქნება იქ, სადაც კადრები უსაშველოდ იყო გაბერილი (საბაჟოში, საგადასახადოში), მაგრამ გამოცდილი, კომპეტენტური ადამიანები სამსახურს შეინარჩუნებენ. სხვათა შორის, უზნეობად და უსინდისობად მიმაჩნია, როდესაც ჩვენს მთავრობას ზოგიერთები კომპეტენტურობას უწუნებენ. უმჯობესია, ძველი მთავრობები გაიხსენონ. შეხედეთ სალომე ზურაბიშვილს, გელა ბეჟუაშვილს ან გიორგი ბარამიძეს — სად არიან პოსტსაბჭოთა სივრცეში ასეთი მინისტრები?

**— მაგრამ არის რამდენიმე ისეთი პირიც, რომელთა მთავრობაში ყოფნაც ნამდვილად არ ადგება აღმასრულებელი ხელისუფლების იმიჯს.**

— ერთი-ორი მინისტრი მართლაც სუსტად მუშაობს. გულწრფელად გეტყვით, ეკონომიკურ ბლოკში ჩავარდნა გვაქვს (ფინანსთა სამინისტროს გარდა) კადრების სიმცირის გამო, ის, ვინც ძველ მთავრობაში კარგი იყო, გაისვარა. ეს ჩვენი პრობლემაა, მაგრამ ამასაც მოვუვლით. მთავარია, მთავრობამ კონტაქტი არ დაკარგოს ხალხთან. ფართო საზოგადოება უნდა იყოს მთავრობის ყველა გადაწყვეტილების თანამონაწილე და ჯერ კიდევ ბოლომდე ჩამოსაყალიბებელია ეკონომიკის მთავარი ხედვა. მიმაჩნია, რომ მთავარი ამოცანა ორია. პირველი — ეკონომიკის ლეგალიზაცია, რაც ნიშნავს საკუთრების უკეთეს დაცვას, კორუფციის მოსპობას და კონტრაქტების აღსრულებას. ე. ი. კარგ საინვესტიციო კლიმატს და მეორეა — სოციალური ინვესტიციები — ყველაზე დაუცველთა დაცვა და ინვესტიციები განათლებაში.

**— მოსახლეობაში დიდ ინტერესს იწვევს პენსიების საკითხი. მხოლოდ თბილისში გაიზრდება პენსია თუ მთელ საქართველოში?**

— მთელ საქართველოში პენსია 3 ლარით გაიზარდა, მაგრამ საკრებულოს გადაწყვეტილებით, თბილისში 17 ლარამდე უკვე იყო გაზრდილი. მომდევნო 3 თვეში 3 ლარი ყველა პენსიონერს მოემატება — მომავალში პენსია მთელ საქართველოში 20 ლარი გახდება. არ არის საჭირო სარჩელების შეტანა სასამართლოებში. ხელისუფლება ყველა ვალდებულებას აღიარებს და ძველ დავალიანებებს უეჭველად გაისტუმრებს. კარგად ვიცი, რომ საკმარისი არც 20 ლარია, მაშინ, როდესაც საარსებო მინიმუმი 116 ლარს შეადგენს. საარჩევნო დაპირებას, რომ პენსიას გავაორმაგებდით, წლის ბოლოსთვის შევასრულებთ — წლის ბოლოსთვის პენსია 28 ლარი გახდება.

***იზო რიკაძე***

# მთავრობის სხდომაზე განწირული ხმით ვიღრიალე. ცრუობს ეგ კაცი-მეთქი

(დასაწყისი იხ. გვ. 6)

**— ჩვენ ვაპირებთ ზესტაფონში ჩასვლას. ფეროს თბილისის ოფისის წარმომადგენელი დაგვპირდა, რომ აუცილებლად დაგვათვალიერებინებს ქარხანას და ინტერვიუსაც მოგვცემს.**

— იქნებ თქვენ მაინც შეგიშვან ფეროში, მეხუთე საამქროში და გადაუღეთ ფოტოები იაპონურ ღუმელებს. არ დაგავიწყდეთ, აუცილებლად მოსთხოვეთ აგროფაბრიკისა და ბრიკეტების საამქროს ჩვენება და ნახავთ, ძარცვის რა მასშტაბებთან გვაქვს საქმე... მაგრამ არა მგონია, გარისკონ და ქარხანაში შეგიშვან. შეეშინდებათ, ისეთ რამეს არ წააწყდეთ, რაც მათ დანაშაულებრივ ქმედებებს ახდის ფარდას. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ, ქართველ მეცნიერ მეტალურგებს, დავით შალიკაშვილმა და მისმა კომპანიონებმა დიდი ხანია ფერო ჩაგვირაზეს.

**— მე მაინც ვერ ვხვდები, რატომ გაყიდეს ჯართად იაპონური ელექტროღუმელები? რაც მეტ შენადნობს გამოუშვებდნენ და გაყიდდნენ, ხომ უფრო მეტ ფულს ჩაიჯიბავდნენ?**

— მადნის ის მცირე რაოდენობა, რომელსაც „ჭიათურმანგანუმი“ („ჭიათურმანგანუმის“ პრობლემებს „კვირის პალიტრამ“ რამდენიმე სტატია მიუძღვნა გასულ წლებში. — ზ. ჩ.) დღეს მოიპოვებს, ყოფნით ჯიბეების გასასქელებლად და სახელმწიფო ინტერესები არ ადარდებთ. არ ადარდებთ ისიც, რომ თუ თვეში 17 ათას ტონაზე მეტი მარგანეცის კონცენტრატი არ მიეწოდა ფეროს, მაშინ „ჭიათურმანგანუმი“ არარენტაბელურია და იგი გაკოტრდება. ამით ორ კურდღელს იჭერენ — ზესტაფონის ფეროსაც ხელში ჩაიგდებენ და მას „ჭიათურმანგანუმსაც“ მიაყოლებენ...

თითქმის ორი კვირის განმავლობაში „მევაჭრებოდა“ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის თბილისის ოფისის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების თანამშრომელი გიორგი ბახტაძე ქარხნის დათვალიერებისა და ხელმძღვანელებთან შეხვედრის ორგანიზების თაობაზე. **გიორგი ბახტაძემ** დაუფარავად მითხრა:

— ქარხნის ხელმძღვანელებს იმ შემთხვევაში შეგახვედრებთ, თუ ჩვენთან „მჭიდროდ“ ითანამშრომლებთ. იმის გარანტია უნდა მოგვცეთ, რომ ისეთ სტატიას დაწერთ ფეროზე, როგორიც ჩვენ ხელს გვაძლევს. გამოქვეყნებამდე სტატია წავიკითხოთ და მისი კორექტირებაც გავაკეთოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენი ურთიერთობა არ გამოვა.

სხვა რა გზა მქონდა, დავთანხმდი გიორგი ბახტაძეს, მაგრამ ქარხანაში მაინც ვერ შევაღწიე. საბედნიეროდ, ქარხნის გენერალურ დირექტორთან, **ნიკა ჩიქოვანთან** მოვახერხე გასაუბრება.

**— რატომ გადმოგეცათ ფეროს აქციების საკონტროლო პაკეტი პირდაპირი მიყიდვის გზით?**

— არ ვიცი, ალბათ ასეთი გადაწყვეტილების მიღება „დეკომეტალის“ ავტორიტეტმა განაპირობა.

**— თურმე ქარხანაში ქართველ მეტალურგ თეორეტიკოსებს არ უშვებთ...**

— ქარხანა კერძო საკუთრებას წარმოადგენს და ქარხნის პატრონის ნებაა, ვის შეუშვებს ქარხანაში და ვის — არა. თუმც სწორედ ორი კვირის წინ იყვნენ ჩამოსულები მეტალურგიის ინსტიტუტისა და ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლები და ერთი კვირის განმავლობაში აკვირდებოდნენ ელექტროღუმელთან დნობის პროცესებს (ეს ინფორმაცია ჩვენ გადავამოწმეთ მაზმიშვილსა და ნიკოლაიშვილთან, მაგრამ მეცნიერებს ჩიქოვანის მტკიცება სასაცილოდ არ ეყოთ. — ზ. ჩ.).

**— იქნებ „დეკომეტალის“ ზესტაფონის ფეროში შესვლის შემდეგ მიღწეულ შედეგებზე გვესაუბრა.**

— თუ მანამდე ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა თვეში საშუალოდ, მაგალითად, 2.400 ტონა სილიკომანგანუმს აწარმოებდა, ჩვენ მარტში ეს რაოდენობა 9.000 ტონამდე გავზარდეთ. დაახლოებით ასეთივე შედეგები გვქონდა გასულ თვეებშიც. წარმოების მოცულობის ზრდამ საშუალება მოგვცა მილიონი დოლარით შეგვემცირებინა ვალი, რომელიც „დეკომეტალს“ დახვდა 15 მლნ დოლარის ოდენობით. საცაა ექსპლუატაციაში გავუშვებთ ორ ელექტროღუმელს. სამწუხაროდ, ორი იაპონური ელექტროღუმელი გაძარცული დაგვხვდა, თუმცა მისი აღდგენა შესაძლებელია. ქარხანა პროდუქციას სარფიანად ყიდის, ანუ საწარმო რენტაბელური გახდა.

**— რა ფასად ყიდით 1 ტონა მანგანუმის შენადნობებს?**

— ეს კომერციული საიდუმლოებაა. დაახლოებით ძველი ფასის ფარგლებში იყიდება(?!), რადგან მსოფლიო ბაზარზე მანგანუმის შენადნობებზე ფასი არ შემცირებულა(?!).

**— რა ფასად ყიდულობთ „ჭიათურმანგანუმიდან“ მადანს, ხოლო საბითუმო ბაზრიდან ელექტროენერგიას?**

— მადანს ძველი ფასით ვყიდულობთ, მაგრამ გაითვალისწინეთ, ამ ბოლო პერიოდში რამდენი რამ გავაკეთეთ. მაგალითად, ს/ს „ჭიათურმანგანუმს“ ვუყიდეთ ტექნიკა, ტრანსპორტი და სხვ. 1კვტ/სთ ელექტროენერგიას 1,88 ცენტად ვყიდულობთ...

P.S. ამ ყოველივეს შემდეგ ერთი კითხვა ჩნდება, ხომ არ მოვიდა უკანონოდ გასხვისებულ-მითვისებული სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე საწარმოების ნაციონალიზაციისა და მათი კვლავ სახელმწიფო საკუთრებაში დაბრუნების დრო? რა თქმა უნდა, ყველა საერთაშორისო წესებისა და ნორმების დაცვით...

***ზვიად ჩაკვეტაძე***

# „ვერ შევეგუებით დაპატიმრებებსა და საწარმოების დახურვას“

(დასაწყისი იხ. გვ. 7)

რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესების მომხრე ვარ, მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს საქართველოს ინტერესების ხარჯზე და მის საზიანოდ. ასევე მინდა შევეხო ქვეყნის უსაფრთხოების საკითხსაც. ქვეყნის უსაფრთხოების განმტკიცებისთვის მხოლოდ ლაპარაკი და ჯარისკაცებთან პრეზიდენტის ტრაპეზი არ კმარა. ამისთვის სერიოზული დაფინანსებაა საჭირო. კარგია, რომ თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო პირი ხელმძღვანელობს, მაგრამ მოვითხოვ, რომ ეს სტრუქტურა უფრო გამჭვირვალე იყოს და მასზე სამოქალაქო კონტროლი გაძლიერდეს. თუ ნატოში მართლა გვინდა გაწევრება, თავდაცვისთვის მთლიანი შიდაპროდუქტის 2% მაინც უნდა იყოს ბიუჯეტში გათვალისწინებული. ჩემი ინფორმაციით კი თავდაცვის სამინისტროს ისევ 69 მილიონი ლარით აფინანსებენ, რაც მთლიანი შიდაპროდუქტის 1%-საც არ შეადგენს.

**— რამდენად მოსალოდნელია, რომ ოპოზიციას ვიცე-სპიკერის პოსტს ისევ არგუნებენ. კულუარებში ამ პოსტზე თქვენ მოგიაზრებენ.**

— მე ნამდვილად არ ვიქნები ვიცე-სპიკერი. პარტია გადაწყვეტს, ვინ იქნება ამ პოსტზე. ოპოზიციას გარანტირებული უფლებები უნდა ჰქონდეს ნორმალურად ფუნქციონირებისათვის. ვგულისხმობ სპიკერატში 1 ადგილს, კომიტეტის მოადგილეების თანამდებობებს, ოპოზიციური უმცირესობის სტატუსს, რომელიც უზრუნველყოფს სიტყვის თავისუფლებას, ინფორმაციის ხელმისაწვდომობას და განსაზღვრულ პრივილეგიებს...

თუ ხელისუფლება უარს იტყვის ჩვენთვის კუთვნილი უფლებების მონიჭებაზე, ეს ისევ ამ უმრავლესობის თავსატეხად და პრობლემად იქცევა. ამას მუდმივად წამოვაძახებ მათ პარლამენტშიც და საერთაშორისო საზოგადოების გასაგონადაც.

ვიცი, ეს ინტერვიუ თქვენი გაზეთის სააღდგომო ნომერში იბეჭდება და მინდა მთელ საქართველოს მივულოცო ქრისტეს აღდგომის დღესასწაული. ამ დღესასწაულს ყოველთვის ამაღლებული განწყობით, მარხვითა და შემდგომ ზიარებით ვხვდები. განსაკუთრებულად ვემზადები ამ დღისთვის. შაბათ საღამოს, 11 საათისთვის, ტაძარში მივდივარ ხოლმე, ვესწრები ლოცვას, ვეზიარები. შინ მობრუნებული წითელ კვერცხებს ვურტყამთ მეუღლე და ჩემი შვილები. ამ დღისთვის ყოველთვის მაქვს ხოლმე მოხარშული რაჭული ლორი. ლორით, სააღდგომო პასქითა და წითელი ღვინით მიყვარს გახსნილება. მეორე დღეს კი მეგობრები ერთმანეთს ვხვდებით და ხანგრძლივი მარხვის შემდეგ, ჩაქაფულსა და მწვადებს შევექცევით ხოლმე...

***მარი ზანდუკელი***


# სიმშვიდე, მხოლოდ სიმშვიდე

ჩვენ მოგვიწია ცხოვრება ცხოვრებისეული სტერეოტიპების ეპოქაში, საუკუნეთა გასაყარზე. ცხოვრების თავბრუდამხვევი რითმი ტოტალურ სტრესს გვახვევს თავს, თავის წესებს გვკარნახობს, სულ ახალ და ახალ სიურპრიზებს გვიმზადებს. რევოლუციები, კატასტროფები, ტერორისტული აქტები. . .



დისონანსები სამსახურსა და სახლში. . . სულს დასვენება სწყურია. . . ბავშვებთან ურთიერთობით, მაგრამ გარშემო გაბატონებულ მოუთმენლობისა და ნევროზულ ატმოსფეროს ისინიც ღრუბელივით ისრუტენ.

წელიწადის დრო? - თბილი, ნათელი, მზიანი დღეების შესახებ სულ დაგვავიწყდა. გასაკვირი არ არის, რომ თითქმის ყველა ჩვენგანს დროდადრო უჩნდება სურვილი იმისა რომ იყვიროს: „გააჩერეთ სამყარო – უნდა ჩავიდე!“




ნუ ჩქარობთ. რაც შეეხება სტრესს. . . მისგან საჭიროა აკადემიურად დავიცვათ თავი.

ანტისტრესული ფორმულა **„სუპერ B–კომპლექსი“** - შესანიშნავი ზოგადგამაჯანსაღებელი ნატურალური საშუალებაა მათთვის, ვინც ცაიტნოტის მდგომარეობაში, განიცდის მაღალ ფსიქოემოციურ დატვირთვას, ე.წ. „მენეჯერის სინდრომს“, რომელთანაც ასევე ასოცირებულია დატვირთვით გამოწვეული შაკიკის შეტევები, თავის ტკივილი და სხვ.

**„სუპერ B–კომპლექსი“** - ამერიკული კომპანია **„შიფ“**-ის მიერ წარმოებული ბიოპრეპარატია. **„შიფ“**-ი ერთ-ერთია იმ მცირერიცხოვან კომპანიებს შორის, რომელთა პროდუქციაც სერტიფიცირებულია GMP-ის მკაცრი საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით.

**„სუპერ B–კომპლექსი“** - ყოველდღიური დაცვა სტრესებისგან ერთ კაპსულაში.

**„ჯეოვიტი“ - თქვენი ჯანმრთელობის თანამგზავრი**

ჯეოვიტი
GEOVIT

**ამერიკული კომპანია „შიფ“-ის ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში კომპანია „ჯეოვიტი“**
**მის: ილია ჭავჭავაძის 41 (ვაკის პარკის პირდაპირ),**
☎29-20-91; 899 10-99-20; 899 14-35-56 ყოველდღე, შაბათ-კვირის ჩათვლით
**www.schiffvitamins.com**

Schiff 60


CMYK

# როგორ გვინახავდნენ საქართველოს

## „თუ ჭკუით იქნებით, ყოლიფერს დეიბრუნებთ“

იმისთვის, თუ როგორ იცხოვროს ადამიანმა, მზა რეცეპტი არ არსებობს. ყველა ისე ცხოვრობს, როგორც თავისი არჩევანი კარნახობს. თუმცალა ყველა საზოგადოებისთვის არსებობს დაუწერელი კანონები, რომლებსაც ესა თუ ის ერი ემორჩილება. ჩვენს წინაპრებსაც ჰქონდათ ასეთი დაუწერელი კანონები, რომელთა გავლენას, შეიძლება არც ისე მძაფრად, მაგრამ ჩვენც განვიცდით. ყოველ შემთხვევაში, როგორებიც ვართ, ისეთები რომ ვართ, ამ დაუწერელი კანონების გავლენაა... გვინდა თუ არა, უნდა ვაღიაროთ, რომ იმ წესებით, რომლებითაც ჩვენი წინაპრები ხელმძღვანელობდნენ, ზნეობრივი საზოგადოება შეიქმნა... რაღა შორს წავიდეთ, ჩვენი უახლოესი წინაპრების, ბებია-ბაბუების ცხოვრების წესებიც პირველ რიგში ტრადიციების დაცვას, მიწა-წყლის შემონახვასა და ზნეობრივი კოდექსის მორჩილებას მოითხოვდა. ამიტომაც, რაც კარგი გვქონდა, ერთი მისხალიც არ დაგვიკარგეს... როგორ მოახერხეს ეს, რა წესით ცხოვრობდნენ ქართული ოჯახები, ეგებ, ამის ცოდნა ჩვენც გამოგვადგეს. ბოლოს და ბოლოს, ჩვენც ხომ უნდა გადავცეთ რაღაც მომავალს. უხუცესი გურული მომღერალი და თამადა **ვალოდია ჯინჭარაძე** გვიამბობს...

### როგორი იყო ოჯახი...

რაფერი იყო და სიამტკბილობა უნდა ყოფილიყო შიგნით! რაღა შორს წევიდე, ჩემს ოჯახზე მოგიყობით: ექვსი დედმამიშვილი ვიყავით, ერთი ვაშლი რომ გვენახა, ექვსად გოვუყოფდით ერთმანეთს. ჩოხატაურში ბუკისციხე რომაა, იქინე დევიბადე. ერთი პატარა ოდა გვქონდა და უშველებელი ეზო. ეზო იმფერი მოწკრიალებული უნდა ყოფილიყო, ბუკის მატლი რომ გვენახა, ისიც უნდა შეგვემჩნია და მოგვეშორებინა იქაურობისთვის... ჭიშკართან სტუმარი რომ დაიძახებდა, ნამზადს უკვე სტოლს შლიდა დედაჩემი... თუ მამა შინ არ იყო, თვითონ შეეგებებოდა. შვედიდა მამა და თვალებში მიეფერებოდით ბალნები, — აბა, რას ინატრებით... ცოტა ხუმს რომ მეთქვენდა და სტუმარსაც ღვინის შესამევდა, დაგვიძახებდა შვილებს, შემოგვისხამდა და ავანსუროდა „ხასანბეგურას“, ჩვენ ვალ „კრიმანჭულს“ აიძყვეტებდით. იმფერი წკრილი ხმა ჰქონდა, ერთი გორიდან მეორეზე ისმოდა. ხან ვგიდა სულ არ ენლერებოდა მამას, მარა ყველ სალამოს სიმღერა მაინც გადიოდა ჩვენი სახლიდან — ჭიშკართან კაცი რომ ჩვივლიდა, უნდა გახარებოდა — აქანე ხალხი კარგად არისო... მერე და, სიმღერა ხომ უნდა გვესწავლა ბალნებს?!.. ვენახშიც რომ წაგვიყვანდნენ და ყანაშიც, იქინეც ვმღეროდით... ცოლიკაური გვედგა ბევრი. დალოცვილად ისხამდა. მამა თავს აკლავდა ვენახს, იმდენი ღვინო მოგვდიოდა, წუღებს და ტანსაცმელს ყიდულობდა ჩვენდა, სკოლაში ყველას გვატარებდა. უსწავლელი კაცი ცოდვააო, ამბობდა. ასე იყო სოფლის უმეტესობა. ხალხი ჭამას მიიკლებდა და ბაღანას სკოლას არ დათხოვდა. მასწავლებლები გვყავდა იმფერი, სუ ზეპირად გვასწავლეს ქართველი მწერლები. კი მომყვა აქამდე იმათი ნასწავლი ლექსები და მწერლების სიყვარული. 90 წელს მივუკაკუნებ აწი და ამ ხალხზე აგერ კედელზე რომ მიკიდია — ვაჟაზე, ილიაზე, აკაკიზე, უკეთესი არავინ მყავს.

### მეზობლები...

— შოლტივით ხალხი იზრდებოდა სოფელში... ახლა ამბობენ, აკვანი ტანს აფუჭებსო. თუ აფუჭებს, იმფერი წერწეტი ქალები და კაცები რაფერ გამოდიოდნენ? დადიოდნენ კაცები აზიაცკებით, ყაბალახით და გალიფე შარვლით კოხტად. ქალებს ჩითის კაბები მზესავით ადგათ ტანზე. ერთად რომ იდგნენ, ერთ რამედ ღირდა იმათი ნახვა. გოუგებარი ლხინი კი არ ვიცოდით, იმფერ სიმღერას ვიტყოდით, ცაში ფრინველი ინაბებოდა. ბევრი კაი მომღერალი



ვარლამ ბერძენიშვილი, ნოდარ სალუქვაძე, ისაკ ჯინჭარაძე

იყო მაშინ ჩოხატაურში. სოფელ დაბლაციხეში ლადიკო ჯინჭარაძეს მომღერლების ცნობილი გუნდი ჰყავდა... ვარლამ ბერძენიშვილი რომ სიმღერას წამეიწყებდა, რაც არ უნდა კაი მომღერალი ყოფილიყავი, ტანში შიში დაგივლიდა, ამას რაფერ შევწდობიო... ნამეტანი კარგად მღეროდნენ ნოდარ სალუქვაძე და ისაკი ჯინჭარაძე. რას შობოდნენ იცი? — ბაღნებს საგანგებოდ დაგვიძახებდნენ და მათთან ერთად გვამღერებდნენ ყოლიფერს. ჭირში და ლხინში თავს იკლავდნენ ერთმანეთიზა მეზობლები. თუ ვინმე ობოლი იყო, ქვრივი ან ავადმყოფი, ყველა ოჯახს წესად ჰქონდა, ხელი გაემართა... დიდად კი არავის ულხინდა, მარა დღე და ღამე შრომობდა ხალხი და საჭმელ-სასმელი არ გვაკლდა... ძროხა ბევრი გვყავდა, ღორი და თხა... ცხენები — რამდენიც გინდა. მისდღემჩი ჩოხატაურლები ვიგებდით ბახმაროს დოლში, აბა, მეგრელებს რავა გავატანდით ჯილდოს? ერთი მათე ჯინჭარაძე გვყავდა, სანამ ცხენზე ჯდომა შეეძლო, ლელოს თასი ჩოხატაურიდან არ წასულა. ამფერი ხალხი ვიყავით, — გვრცხვენოდა წაგება. ის კი არადა, მამაჩემმა ჭიდაობაც კი მასწავლა, ვინმე რომ დაგეჭიდოს, სოფელს თავი არ მოჭრა, არ დამარცხდეო...

### ლელობურთი...

ლელოს თამაში სოფელში ყველამ ვიცოდით ბიჭებმა... აი იმფერი თამაშია, შეიძლება ხელფეხდამტვრეული მოხვიდე შინ, მაგრამ მაინც არც ერთი არ ვერიდებოდით... დეეტაკებოდა ლელოზა სოფელი სოფელს, კუთხე კუთხეს და იყო მშვენიერი სანახაობა.

მაშვინ, ასე 30-იანი წლების ამბავს გიყობით, ქობულეთს ყავდა ძლიერი ლელოს გუნდი. შეგვეხვეწა ჩვენი რაიკომის მდივანი, — თქვენ თუ ქობულეთს მოუგებთ, რაც გინდა, მთხოვეთო... მოვუგეთ. ამ სოფლელ ბიჭებს ძვირფასი კაბარდინის საკოსტუმეები გვიყიდა და რესტორანშიც დაგვპატიჟა. იმ პურმარილის გემო დღესაც მახსოვს. კაი მოგეცა, კაია სიტყვაპასუხიანი, პურმარილიანი „სტოლი“. ამის გარეშე არ ვარგვართ ქართველები. „სტოლში“ იმფერ რამეს გეტყვის და გადღიგრძელებს კაცი, თავი ლომი გეგონება... მარა ყველაზე ლამაზი და სამახსოვრო მაინც ქორწილი ვიცით გურულებმა.

### ქორწილი...

საშუალება რომც არ გვქონოდა, ქალს ქორწილის გარეშე რაფერ გავათხოვებდით?! გააფრთხილებდა სიძე-პატარძლის ოჯახი მომღერლებს, აბა, თქვენ იცით, სხვაგან არსად წახვიდეთ, ნეფე-დედოფალი უნდა დაგვიმშვენოთო და მერე ქორწილის სამზადისს შეუდგებოდა. პირველ რიგში, პატარძლისთვის ცხენი უნდა მოემზადებინათ. ჩოხატაურში ყველა ქალმა იცოდა ცხენზე ჯდომა... მერე იმართებოდა ქორწილი თავის წესით და რიგით... ახლა რომ იციან ერთმანეთის გინება, ამას რავა აკადრებდნენ მაშვინ ოჯახს? კი, შეიძლებოდა ერთმანეთი დაელურჯებინათ, მარა ასე იოლად ქალებთან არ შეიგინებდნენ... თანაც ქორწილში ჭკვიან კაცს ირჩევდნენ თამადად, რომ გადახედავდა ვინმე აქოჩრილი იყო, ისე მიეფერებოდა, იმ წუთში გეისუსხებოდნენ ხოლმე... ვის ჭიროდა მარტო სმა? თამადა მჭევრმეტყველი კაცი უნდა ყოფილიყო პირველ რიგში... მერე, სირცხვილი იყო, რამდენიც არ უნდა გესვა, სუფრა რომ დაგეტიებინა და გარეთ გასულიყავი. მეც კაი თამადა ვიყავი ერთ დროს — დიდმა მომღერალმა, ცხონებულმა ლადიკო ჯინჭარაძემ მასწავლა თამადობა.

### თამადა...

თამადას ასე, 7-8 ლიტრა ღვინის დალევა მაინც უნდა შეძლებოდა. მარტო შეძლებაზე კი არ იყო საქმე, კაი სიტყვა-პასუხიც უნდა მიგეგებებინა ხალხიზა. თანაც, რაც მეტს ვსვამდით, უფრო ვილხენდით. სირცხვილი იყო თამადა ბარბაცით რომ გეივლიდა... ერთხელ ერთმა აჭარელმა კაცმა შემომიტია — სმაში გევეჯიბროთო. კი, ბატონო, ჯერ ნეფე-დედოფლის სადღეგრძელო მათქმევინე და ამის შემდეგ რასაც დავლევთ, იი ვიანგარიშოთ-მეთქი. გამოუთქვი მაშინათვე ლექსი სიძე-პატარძალს: სანამ მზის სხივთა გუმბათის ანთება თანაბარია, მომხიბლავ მთვარის ნაშუქზე სულდგმულობს მთა და ბარია, მანამდე იმხიარულეთ, ცოცხლობდეთ, გაგიხარიათ... კაი პოეტობა გცოდნიაო, — აჭარელმა, აბა, ვნახოთ, სმაში რა ბიჭი ხარო... 8 ლიტრა დავლიე ამფერი ლექსების გამოთქმით. იმან — 7. მეტი აღარ შემიძლიაო, მარა შენ კაი კაცი ყოფილხარ და ვერ დაგკარგავო... იმის შემდეგ ჩემი ძმადნაფიცი გახდა. სამეგრელოშიც ხშირად მპატიჟობდნენ თამადად — ახლოა ჩვენთან, ხან იქიდან მოგვყავდა ჩოხატაურში რძლები, ხან ჩვენ ვათხოვებდით იქინე ქალებს. გამოგვატანდნენ მეგრელები გზაში პურმარილს და მოვდიოდით ცხენებით... იმფერ ლამაზ სოფლებს გამევივლიდით, თვალი უკეთესს რას ნახავდა. არ ვიცი, რაფერ ჩერდება აქედან წასული ხალხი საზღვარგარეთში. მეც კი ვყოფილვარ ჩემი მომღერლობისას იქინე, მარა ჩვენისთანა ლამაზი სოფლები და ხალხი არსად მინახავს, არც ამისთანა სტუმარმასპინძლობა იციან არსად... ჰოდა, იმას გეუბნებოდი, ამ მეგრელების გამოტანებულ პურმარილს რომელიმე მდინარის ნაპირზე ჩამოვცლიდით და ვლოცავდით ღვინის დამწურავს და დამლევსაც... კიდო სხვა რამესაც ვლოცავდით, მარა ამ ჩვენ მიწა-წყალს — განსაკუთრებულობით... კი მევიდა ჩვენი ლოცვით აქამდე. ახალგაზრდებს რომ გაგეჭირვებინათ და ჩვენსავით მოფრთხილებოდით, ეგება ამ მიწაში სხვაი ვერ შემცილებოდა... რაც არი, არი. თუ ჭკუით იქნებით, ყოლიფერს დეიბრუნებთ... უფრო ვარესებიც მოგვსვლია, მარა კი ვართ აგერ და მტრის ჯინაზე, კიდო დიდხანს ვიქნებით...

*ეთერ ერაძე*




## რას გვეტყვი, მამაო?

**— აღდგომის მომდევნო კვირა დღეს კვირაცხოვლობის დღესასწაული დგება. გთხოვთ განგვიმარტოთ, რას ნიშნავს კვირაცხოვლობა.**

— კვირაცხოვლობა აღდგომის დღესასწაულის განახლებას ნიშნავს. ამ დღიდან მოყოლებული, — ყოველი კვირა დღე სიმბოლურად აღდგომის დღესასწაულია. სწორედ ამიტომ ვიკრიბებით კვირაობით ეკლესიაში.

კვირაცხოვლობას სხვანაირად თომას კვირასაც უწოდებენ, რადგან ეს დღე წმინდა მოციქულ თომას სახელთან არის დაკავშირებული. თომა ერთადერთი იყო, ვინც ჯიუტად არ დაიჯერა ქრისტეს აღდგომის სასწაული — სანამ ნალურსმნევს არ ვნახავ და ნალურსმნევში თითს არ ჩავყოფ, არ ვიწამებო... აღდგომიდან რვა დღის შემდეგ, როცა თომა სხვა მოციქულებთან ერთად იყო, უფალი ეჩვენა და უთხრა: „თომა, მოიტა შენი თითი, ნახე ჩემი ხელები, მოიტა შენი ხელი და ჩადე ჩემს ფერდში“... თომამ შეხედა ცოცხალ იესოს და თქვა: „უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი“ — მან იწამა აღდგომა უფლისა. იესომ კი მიუგო: „შენ მირწმუნე იმიტომ, რომ მნახე, ნეტარ არიან ისინი, ვისაც არ ვუნახივარ და სწამთ“...

**— რაც წმინდა ღვთისმშობლის ხატი მინახავს, ყველგან დედა მარიამს იესო მარჯვენა ხელით უჭირავს. რამდენიმე დღის წინ საეკლესიო მაღაზიაში ისეთი ხატიც ვნახე, სადაც ღვთისმშობელს იესო მარცხენა ხელში ჰყავს. მაინტერესებს, გამყიდველი შეცდომაში ხომ არ არის შეყვანილი. მართლმადიდებლურია ასეთი ხატი?**

— საპატრიარქოს საეკლესიო მაღაზიაში ყველა სიწმინდე ეკლესიის კურთხევით იყიდება. ეს ნიშნავს იმას, რომ ეს ნივთები კანონიკურია. რაც შეეხება იმ მოსაზრებას, რომ წმინდა დედას წმინდა ყრმა მაინცდამაინც მარჯვენა ხელით უნდა ეპყრას, სწორი არ გახლავთ. საფიქრებელია, რომ წმინდა ღვთისმშობელს, ისევე, როგორც ყოველ დედას, ორივე ხელით ეპყრა შვილი. და საერთოდ, ისეთი მართლმადიდებლური ღვთისმშობლის ხატებიც არსებობს, სადაც ღვთისმშობელი ყრმის გარეშეა გამოსახული.

**— ეკლესიაში შევიძინე ჯვარი და ფსალმუნი, რომლებზეც მითხრეს, რომ ნაკურთხია. გთხოვთ მიპასუხოთ, შესაძლოა ეკლესიაში უკვე ნაკურთხი ჯვრები გაიყიდოს?**

— სამწუხაროდ, თქვენ კონკრეტულად არ მიუთითებთ, ვინ მოგცათ ასეთი პასუხი. თუ ასე ეკლესიის მსახურმა გითხრათ, ჯვრები მართლაც ნაკურთხი იქნება. ხანდახან რომელიმე მოძღვარი ტაძარში გასაყიდად გამოსატან ჯვრებს წინასწარ აკურთხებს ხოლმე. ჯვარი ნაკურთხიც რომ არ იყოს, თუკი რწმენით მიმართავთ, მფარველად მოგევლინებათ, ეს არის ჯვრის წმინდა სიმბოლოს დიდი ძალა. საეკლესიო კურთხევა კი მას მადლს ანიჭებს...

**— ამას წინათ ჟურნალში ვნახე მოსაქარგი ღვთისმშობლის ხატის ნიმუში. ძალიან მინდა, რომ ეს ხატი ამოვქარგო. ეს შესაძლოა?**

— საქართველოში ხატწერის რამდენიმე სკოლა არსებობს. ყოველ ეპარქიასაც აქვს ხატწერის ცენტრები, რომლებსაც ხატწერასთან დაკავშირებული ყველა საკითხის შესახებ მიმართავენ. შეგიძლიათ, მიბრძანდეთ თქვენი საცხოვრებელი ადგილის მახლობლად მდებარე ასეთ ცენტრში და აჩვენოთ კონკრეტულად, რისი ამოქარგვაც გნებავთ... ისინი შეაფასებენ ნახატს და რჩევას მოგცემენ... თუ ამ სამუშაოს შესრულება შესაძლებელია, გაესაუბრეთ თქვენს მოძღვარს და კურთხევა მისგან მიიღეთ, ნებისმიერ სამუშაოს, მით უფრო ღვთისმშობლის ხატზე მუშაობას, ლოცვა-კურთხევა სჭირდება.

**— საჭიროა თუ არა ყოველ წელიწადს საფლავთა კურთხევა?**

— საჭიროა. საფლავი ერთგვარი სიმბოლოა იქ დაკრძალული ადამიანისა. ეკლესიისგან საფლავების კურთხევის დღედ ოფიციალურად დადგენილია აღდგომის მეორე დღე, ორშაბათი. საერთოდ, კი საფლავის კურთხევა ნებისმიერ დღეს შეიძლება. საფლავის კურთხევისას ეკლესია შესთხოვს უფალს, რომ მან დაიცვას მიცვალებული, რათა ბოროტ ძალთა სამკვიდრო არ გახდეს. მეორედ მოსვლის დროს უფალი ყოველ მიცვალებულს იმ სხეულით აღადგენს, რომელიც მას ღმერთმა მისცა და, გადმოცემით, თითოეული თავისი საფლავიდან აღდგება. ამიტომაც საფლავი ყოველთვის მოვლილი უნდა იყოს.

*თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 36.*

*მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებენ მართლმადიდებელი მამები.*

# რას ნიშნავს საზოგადოებრივი ტელევიზია?



## კიდევ ერთი, ტელევიზიის გადასახადის ქვითარიც მოგივათ...

ჭორებს თუ დავუჯერებთ, მე-9 არხის მოულოდნელი დახურვის შემდეგ საქართველოში მალე ორად ორი არხი დარჩება, მათ შორის ერთი — პირველი არხია. თუ ასე მოხდა, საერთაშორისო თანამეგობრობისკენ და ევროკავშირისკენ მიმავალ გზაზე საქართველოს სერიოზული პრობლემები ელის. დემოკრატიისა და სიტყვის თავისუფლების საერთაშორისო სტანდარტებით, სახელმწიფოში უნდა არსებობდეს არა ერთი და ორი, არამედ რამდენიმე სატელევიზიო და ბეჭდვითი მედიის ორგანო. სანამ ჭორმართალი გარკვეულა, სახელმწიფო ტელერადიოდეპარტამენტში და კერძოდ პირველ არხზე, დიდი მზადებაა. როგორც ამბობენ, რეფორმების განხორციელება დაიწყო. ამ ყველაფრის შესახებ საუბარი ვთხოვეთ ტელერადიოდეპარტამენტის თავმჯდომარეს **ზაზა შენგელიას.**

— **ბატონო ზაზა, ვარდების რევოლუციამდე, თქვენი გადადგომისთანავე გავრცელდა ჭორი, რომ მე-9 არხის გენერალური დირექტორი უნდა გამხდარიყავით. ამ არხის დახურვის შემდეგ კი ამბობენ, ბიძინა ივანიშვილი დააფინანსებს პირველ არხსო. სინამდვილეში რა ხდება?**

— პირველ რიგში მინდა აღვნიშნო, რომ მე-9 არხი იყო აშკარად დახვეწილი და ზომიერი არხი, რომელსაც ტელებაზარზე თავისი ადგილი ეჭირა. ამიტომ ჩემთვისაც ძალიან მოულოდნელი იყო მისი დახურვა და მიზეზები დღესდღეობით ნამდვილად არ ვიცი. გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს მე-9 არხი იმიტომ დაიხურა, რომ ივანიშვილი ფულს პირველ არხში ჩადებსო, აბსურდულია. ეს რომ სიმართლე ყოფილიყო, ძალიან მადლობელი ვიქნებოდი. სასიამოვნო იქნება, თუ ვინმე ფინანსურად ან ტექნიკურად შეეწევა პირველ არხს. მოგეხსენებათ, რეფორმა საკმაოდ რთული პროცესია, ბიუჯეტიდან კი მის დასაფინანსებლად მწირი თანხები გამოიყოფა. გავრცელებული ჭორი რომ მართალი იყოს, ბატონ ბიძინას ნამდვილად დიდ მადლობას მოვახსენებდი.

— **ბოლოს და ბოლოს, რას ნიშნავს საზოგადოებრივი ტელევიზია?**

— კომუნისტების პერიოდში, როცა ერთადერთი პირველი არხი იყო, როცა კერძო არხების არსებობას კანონი კრძალავდა, როცა ტელერადიოკომიტეტის თავმჯდომარეს ხელისუფლება ნიშნავდა, ტელევიზია იყო იდეოლოგიის და პროპაგანდის ორგანო. ასეთი ტელევიზიები სხვა სახელმწიფოებშიც არსებობდა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, დემოკრატიული პრინციპების გათვალისწინებით, სახელმწიფო ტელევიზიის ალტერნატივად შეიქმნა საზოგადოებრივი ტელევიზიები, სადაც სამეთვალყურეო საბჭო მართავს ტელევიზიას და არა ტელერადიომინისტრი ან სხვა ხელისუფალი. სამეთვალყურეო საბჭოს, გარკვეული პროცედურების გავლის შემდეგ, ამტკიცებს პარლამენტი. შემდეგ კი ეს საბჭო მეთვალყურეობას უწევს ტელევიზიის მუშაობას, რათა დაცული იყოს პლურალიზმი, დემოკრატია, გამოირიცხოს ტენდენციურობა. ერთი სიტყვით, იგი უნდა ემსახურებოდეს ხალხს, ე.ი. საზოგადოებრივი ტელევიზია იმართება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. მას აფინანსებს ხალხი და პროგრამებიც იქმნება ხალხისთვის. ამიერიდან თავმჯდომარეს, პრეზიდენტის ნაცვლად, დანიშნავს სწორედ ეს საბჭო. აღარც ბიუჯეტიდან დავფინანსდებით. ტელევიზია იქნება ფასიანი ანუ ის, ვინც პირველი არხის ნახვას მოისურვებს, გადაიხდის გადასახადს, ისევე როგორც ეს ხდება სხვა ქვეყნებში.

— **ეს როდის მოხდება? საეჭვოა დღეს საზოგადოების დიდ ნაწილს მოეწონოს კიდევ ერთი გადასახდელი ქვითრის მიღება.**

— ეს რამდენიმე წლის შემდეგ მოხდება. დღეს გადასახადის დაწესება გაუმართლებელია, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ პირველი არხი არ არის მიმზიდველი, მეორეც — მოსახლეობის სოციალური ყოფა მძიმეა. ამიტომ 7-10 წელი იქნება გარდამავალი პერიოდი. ახლა ძირითადად მსჯელობის საგანია, როგორ უნდა დაწესდეს გადასახადი. არსებობს რამდენიმე ვარიანტი. შეიძლება იურიდიულ პირებს დაუწესდეთ ეს გადასახადი ან საგზაო ფონდის მაგვარ სტრუქტურას დაეკისროს და ა.შ. ხალხის სურვილია, რომ მათი ფულით დაფინანსებული ტელევიზია უკეთესი იყოს, რისთვისაც ბევრი მუშაობა მოგვიწევს.

— **თქვენ ამბობთ, რომ საზოგადოებრივ ტელევიზიაში პროგრამები ხალხისთვის გაკეთდება. რას ნიშნავს ეს, დღეს ვისთვის მუშაობს პირველი არხი?**

— ტელევიზიაში აქამდე იყო რედაქციები, რომლებსაც არ ჰყავდათ კონკურენტები. უხარისხო პროდუქციაც რომ გაეშვათ, ეთერში გასვლა მაინც გარანტირებული ჰქონდათ, რადგან არ არსებობდა ალტერნატივა. ეს ანაქრონიზმია, უამრავი კერძო არხის არსებობის ხანაში. დღეს ჩვენ კონკურენციის პირობებში გვიხდება მუშაობა, რაც არ ესმის ბევრ ჩვენს თანამშრომელს და ისევ იმ დროში ცხოვრობს, როცა პულტზე მხოლოდ ერთი ღილაკი არსებობდა. ამიტომ ითხოვენ გარანტირებულად ეთერს და სიცოცხლის ბოლომდე შტატში ყოფნას. არადა, მოსაწყენმა, ერთფეროვანმა და თითქმის უსიცოცხლო ეთერმა, პირველი არხის ყველაზე მომთმენი მაყურებელიც კი გააცხარა, მათი სატელეფონო ზარები, წერილები მკაცრი საყვედურებითაა სავსე, ნუთუ ჩვენი პენსიებიდან და ხელფასებიდან ამიტომ გაფინანსებთო? დემოკრატიის პირობებში საზოგადოებრივ ტელევიზიაში ყოველწლიურად უნდა ტარდებოდეს კვლევა — რა მოსწონს მაყურებელს და რა არა. მათი ინტერესების გათვალისწინებით უნდა შეიქმნას პროგრამები და ეთერში მოსახვედრად პერიოდულად კონკურსები უნდა იმართებოდეს. ადრე ხარისხზე არ იყო ლაპარაკი, უნდა შეგესრულებინა გეგმა, რომლის გამკითხავი არავინ იყო, მაგრამ დღეს მაყურებლის მოთხოვნა თუ არ გაითვალისწინე და ორიენტაცია არ აიღე ხარისხზე, არავინ ჩართავს შენს არხს.

— **რატომ ამდენი ხნის მანძილზე ვერ მოახერხეთ ამ რეფორმების გატარება. თქვენ ხომ უკვე წლებია, რაც ამ პოსტზე ხართ?**

— მიუხედავად იმისა, რომ პირველი არხის საზოგადოებრივ ტელევიზიად გარდაქმნის ვალდებულება ძველმა ხელისუფლებამ ჯერ კიდევ 90-იანი წლების ბოლოს მიიღო, ვერ განხორციელდა, რადგან არ იყო ხელისუფლების ნება. გარდა ამისა, წინააღმდეგობას სწევდა ტელევიზიის რეტროგრადულად მოაზროვნე კონტინგენტი. ამის შემდეგ ბევრი პროფესიონალი წავიდა ტელევიზიის პირველი არხიდან. მსურს ისინი დავაბრუნო. თავის დროზე რომ გაგვეტარებინა რეფორმები, ჩვენი ტელევიზია დღეს სანიმუშო იქნებოდა და გული მწყდება, რომ ამდენი დრო დავკარგეთ. მე კი უშედეგო ბრძოლის გამო უამრავი შეურაცხყოფა და ცილისწამება გადავიტანე ამ ხნის მანძილზე.

# „კიკალა“ „რუსთავი-2“-ს ტოვებს?



*ხმა გავრცელდა, „რუსთავი-2“-ის ცნობილი სახე, „კურიერის“ წამყვანი,* ***დათო კიკალიშვილი*** *სამსახურიდან წამოვიდა და „რუსთავი-2“-ში აღარ დაბრუნდებაო. კონფლიქტის მიზეზად კიკალიშვილსა და ეროსი კიწმარიშვილს შორის წარმოქმნილი კონფლიქტური სიტუაცია სახელდება. ისიც ითქვა, „კიკალა“ პირველ არხს დაუბრუნდება სექტემბრიდანო. სიმართლის დასადგენად ჭორის ადრესატს მივმართეთ.*

— **დათო, „რუსთავი-2“-დან წამოსულხარ, ხელმძღვანელებთან კონფლიქტური სიტუაციის გამო.**

— არა, ეს არ არის მართალი. მსგავსი ჭორები „რუსთავი-2“-ის შესახებ, თითქმის ყველა ახალი სატელევიზიო სეზონის დაწყების წინ ვრცელდება. არავისთან არ მქონია კონფლიქტი, არც ტელეკომპანიიდან წამოვსულვარ. უბრალოდ, ზაფხულში სტაჟირებაზე ვაპირებ ინგლისში წასვლას. თუმცა, ეს ჯერჯერობით საბოლოოდ არ გადამიწყვეტია. ერთ კვირაში დანამდვილებით შემეძლება რაიმეს თქმა. ახლა დეტალებს ვარკვევ.

— **საკუთარი ინიციატივით გადაწყვიტე ეს თუ „რუსთავი-2-ის“ იდეაა.**

— ჩემი სურვილიც არის და იმედი მაქვს, ტელეკომპანიიდანაც დამეხმარებიან.

— **ე.ი. სტაჟირების შემდეგ ისევ „რუსთავი-2“-ზე გამოჩნდები და არა პირველ არხზე, როგორც ითქვა?**

— „რუსთავი-2“-ზე ვიქნები, პირველი არხი რა შუაშია.

— **ინგლისში ნიკა ტაბატაძესავით დიდი ხნით მიდიხარ?**

— ორი თვით წავალ. ნიკამ სამეცნიერო მოღვაწეობა დაიწყო მენეჯერობის განხრით. მე კი სუფთა სატელევიზიო ტრენინგი უნდა გავიარო იმ პროგრამიდან გამომდინარე, რომელიც შეიძლება მომავალში გავაკეთო. ჩანაფიქრის ასასრულებლად სპეციფიკის გაცნობა მაინტერესებს და ამიტომ მივდივარ.

— **ე.ი. სტაჟირების შემდეგ ძველი ფორმატის გადაცემებში აღარ იმუშავებ?**

— რაღაც ცვლილებებია არხზე დაგეგმილი, ამის შესახებ ჯერ არ შემიძლია ლაპარაკი.

— **ნიკა თუ აპირებს საერთოდ დაბრუნებას?**

— არ ვიცი, მასთან კონტაქტი არ მაქვს ამჟამად და ვერც ინგლისში ვნახავ, რადგან ის უკვე აშშ-ში იმყოფება. ჩემს მომავალ გეგმებზეც ერთი კვირის შემდეგ უფრო დაწვრილებით შემეძლება გიამბოთ.

— **ერთი კვირის შემდეგ შეგეძლება თქვა, რომ „რუსთავი-2“-დან მიდიხარ?**

— (ეცინება). არა, არა, ახლა მეტი არაფრის თქმა არ შემიძლია.

P.S. ჩვენი მხრიდან გვინდა დავამატოთ, რომ დათოს საბოლოო პასუხი ძალიან ჰგავდა იმ კაცის პასუხს, რომელიც ორჭოფულ სიტუაციაში იმყოფება და ჯერ ვერ გადაუწყვეტია გადაჭრით თქვას, „ჰო, მივდივარ“. იქნებ ვცდებით, მაგრამ საუბრიდან ასეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა.

***გვერდი მოამზადა ეკა ლომიძემ***







# მიხეილ სააკაშვილის ბრიუსელური „ასპირანტურა“

დასრულდა საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის ორდღიანი ვიზიტი ბრიუსელში, სადაც ის ევროკავშირისა და ნატოს ხელმძღვანელობას შეხვდა. 7 აპრილს მიხეილ სააკაშვილმა ალიანსის შტაბბინაში წარადგინა საქართველოს ნატოში შესვლის პროგრამა, რომელიც მოიწონა ნატოს გენერალურმა მდივანმა იაპ დე ჰოპ სხეფერმა. მანვე განაცხადა, რომ ორივე მხარე ყველა ღონეს იხმარს, რათა საქართველო რაც შეიძლება მალე



იქნეს ინტეგრირებული ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში.

აღინიშნა, რომ საქართველომ წარმატებით გაიარა ნატოში შესვლის მოსამზადებელი პერიოდის პირველი ეტაპი — ძალზე მძიმე პირობებში მოახერხა ნატოს სტანდარტებთან მიახლოებული არმიის მომზადება. საქართველოს თავდაცვის მინისტრმა გელა ბეჟუაშვილმა განაცხადა, რომ საქართველოს მიერ ალიანსისთვის წარდგენილი დოკუმენტი ითვალისწინებს გეგმა-ვალდებულებებს, რომლებიც ეხება რეფორმებს შეიარაღებულ ძალებში, ჰუმანიტარულ და ეკონომიკურ სფეროებს და დემოკრატიის გაღრმავებას. მინისტრმა აღნიშნა, რომ ნატოს ხელმძღვანელობისათვის წარდგენილ გეგმას უფრო პოლიტიკური ხასიათი აქვს, ვიდრე სამხედრო და დასძინა, — ამ დოკუმენტს საბოლოო სახით გავაცნობთ ნატოს სამიტს ივნისის ბოლოსო.

ქართულ არმიაში კვლავ ბევრი გადაუწყვეტელი პრობლემაა, რაზედაც ბრიუსელში წასვლის წინ, მთავრობის სხდომაზე ილაპარაკა გელა ბეჟუაშვილმა. მაგალითად, სამხედროთა ალჭურვილობის საკითხი მხოლოდ ახლა მოგვარდა. იტალიის მთავრობის მიერ მოცემული 10 მლნ ევროს წყალობით, წლის ბოლოსათვის საქართველოს არმია ჩაცმულ-დახურული იქნება. მინისტრის აზრით, კიდევ ერთი პრობლემაა ინფრასტრუქტურაში არსებული გაუგებრობა. გაურკვეველია, რომელ უწყებას ეკუთვნის ესა თუ ის ობიექტი.

სამხედრო ექსპერტი კობა ლიკლიკაძე ამბობს, რომ სააკაშვილმა ამ ვიზიტით მარჯვედ შეახსენა ყველას იმ კურსის შესახებ, რომელიც ჩრდილოატლანტიკური ალიანსისკენ არის მიმართული. „ჩვენ შეგვიძლია წლის განმავლობაში გავხდეთ ნატოს „ასპირანტები“, ახლო მომავალში ამ ალიანსში შესვლის პერსპექტივით.

თუმცა მანამდე საქართველომ უნდა მიაღწიოს მოსკოვთან მოლაპარაკებას — ახალქალაქიდან და ბათუმიდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანის თაობაზე. ნატოს შტაბბინაში მიაჩნიათ, რომ მოსკოვმა და თბილისმა სასწრაფოდ უნდა განაახლონ მოლაპარაკება ამ საკითხზე. სწორედ ამაზე გაამახვილა ყურადღება 8 აპრილს მოსკოვში ჩასულმა ნატოს გენერალურმა მდივანმა იაპ დე ჰოპ სხეფერმა: „მე მივმართავ საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს და რუსეთს: მოდით, სასწრაფოდ დავიწყოთ ეს მოლაპარაკებები, რათა გარკვეულ გადაწყვეტილებამდე მივიდეთ“.

თბილისში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ კიდევ ერთ ბრიუსელურ ახალ ამბავს — ევროკომისიის პრეზიდენტთან, რომანო პროდისთან შეხვედრის შემდეგ მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ საქართველო შეყვანილია ევროსაბჭოში შემსვლელ სახელმწიფოთა სიაში.

— რაც არ უნდა დიდი დრო დაგვჭირდეს, ჩვენ მაინც ყველანაირად ვეცდებით ევროსაბჭოში შესვლას, — უთხრა საქართველოს პრეზიდენტმა ჟურნალისტებს.

გაზეთ „სუარისთვის“ მიცემულ ინტერვიუში მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, — მოსკოვში, ვლადიმირ პუტინთან შეხვედრისას, მივხვდი, რომ სავსებით შეცვლილია განწყობა საქართველოს მიმართ. რუსეთში საქართველოს უკვე აღარ მოიხსენიებენ, როგორც „ჩეჩენ ტერორისტთა თავშესაფარს“. ახლა ჩვენ ამ დარგში თანამშრომლობას ვაპირებთ.

საქართველოს პრეზიდენტმა პუტინი შეაფასა, როგორც „გულღია, მშვიდი, ცივი და პრაგმატული სახელმწიფო მოღვაწე, რომელსაც მშვენივრად ესმის, რომ მეზობლების მიმართ პოლიტიკის შეცვლაა საჭირო. ჩვენ ვეთანხმებით რუსებს — ყველა საკითხის გადაწყვეტა შეიძლება, თუკი ერთმანეთის მიმართ კორექტულები ვიქნებით. ამ მიმართებით პროცესი უკვე დაწყებულია; მაგალითად, მოსკოვმა ნეიტრალური მხარე დაიკავა ჩვენს დავაში აჭარასთან, არადა ამ პროვინციის ხელმძღვანელობას რუსეთის იმედი ჰქონდა. პუტინი ის კაცია, რომელიც ჯერ ფიქრობს, ხოლო შემდეგ დაპირებას იძლევა; დაპირებას ასრულებს და ამით ამაყობს“.

კითხვაზე, თუ როდის გავლენ რუსეთის სამხედროები საქართველოდან, პრეზიდენტმა დააიმედა ყველა — ეს საკითხი მშვიდობიანად გადაწყდება. ჩვენ ახლა რუსეთთან ნამდვილი პარტნიორული ურთიერთობა დავიწყეთ, კავკასიაში საერთო ინტერესები გვაქვს, კერძოდ, სტაბილურობა და ბრძოლა სეპარატიზმსა და ტერორიზმთანო.

და დასძინა, — რუსები რომ ისევე დაგვეხმარებოდნენ ეროვნული არმიისა და პოლიციის შექმნაში, როგორც ამერიკელები გვეხმარებიან, ამ ამბავს სიხარულით შევხვდებოდითო.

***რუსული პრესის მიხედვით***

# გენერალი იოლად გადარჩა



თბილისში თავს დაესხნენ ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების დაჯგუფებების მეთაურს, გენერალ ალექსანდრ სტუდენიკინს. გამოძიების ერთი, ნაკლებსავარაუდო ვერსიით, ეს იყო ჩეჩენ „ბოევიკთა“ შურისძიება — სტუდენიკინი რამდენიმე თვე ჩრდილო კავკასიაში მსახურობდა. მეორე ვერსიით, რუსეთს მიანიშნეს, რომ მისი ჯარების საქართველოში ყოფნას ყავლი გაუვიდა. თანაც საამისოდ მომგებიანი მომენტი შეირჩა — პრეზიდენტი ბრიუსელში გაფრინდა საქართველოს ნატოსთან თანამშრომლობის ინდივიდუალური პროგრამის წარსადგენად, ხოლო ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელები მოსკოვში ჩავიდნენ ტერორიზმთან ერთობლივი ბრძოლის ხერხების დასამუშავებლად. „ეს პროვოკაცია საქართველო-რუსეთის ურთიერთობის საწინააღმდეგოდაა მიმართული,“ — ამბობს საქართველოს შს მინისტრი გიორგი ბარამიძე.

მესამე ვერსიაა ძალისმიერი ზეწოლა რუსეთის ბაზების ბათუმიდან გაყვანის დასაჩქარებლად. აჭარაში რუსეთის სამხედროების ყოფნა შემაფერხებელი ფაქტორია საქართველოს პრეზიდენტისთვის, რომელსაც აჭარის ცენტრისთვის დამორჩილება უნდა. ურჩ ასლან აბაშიძეს ეტყობა, იმედი აქვს, რომ თბილისთან ურთიერთობის გართულების შემთხვევაში რუსეთის სამხედროებს თუ არა, მათ იარაღს მაინც გამოიყენებს, რომლის მიღებაც მაინცდამაინც არ გაუჭირდება. ბათუმის ბაზაზე 80% აჭარული წარმოშობის რუსეთის მოქალაქე მსახურობს, ამაზე უკვე დაუფარავად ლაპარაკობს რუსეთის გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე იური ბალუევსკი. თუ საქართველოსა და აჭარას შორის კონფლიქტი მოხდება, ისინი ავტონომიის დასაცავად დადგებიან. 1991 წელს აფხაზებმა რუსული არსენალი მიიტაცეს და მოიგერიეს ქართველი სამხედროები. თუმცა ჯერაც გაურკვეველია, ეს იარაღი მართლა მიიტაცეს თუ მოსკოვმა ყველაფერი იღონა, რათა იარაღი აფხაზებს ჩავარდნოდათ ხელში.

ქართული მხარე თვლის, რომ სტუდენიკინზე თავდასხმა არ უნდა აღვიქვათ, როგორც რუსეთის ჯარების საქართველოდან განდევნის პოლიტიკის ნაწილი, არც აჭარის მოვლენებს უნდა დავუკავშიროთ და არც იქ სტუდენიკინის შესაძლო გამგზავრებას. დაველოდოთ გამოძიების შედეგებს.

***იზვესტია №63***

# საქართველოში აზერბაიჯანულ სკოლებს ხურავენ?

საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელები აღშფოთებული არიან ქვემო ქართლის რწმუნებულის განცხადებით, ვითომდა მუსლიმანებით დასახლებული რაიონების სკოლებში მუსლიმანური ფუნდამენტალიზმის პროპაგანდას ეწევიან. ეს განცხადება უსაფუძვლოა, — განაცხადა საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელთა მოძრაობა „ჰეირათის“ თავმჯდომარემ ალიბაბა ასკეროვმა. მან აღნიშნა, რომ საქართველოში მზადდება განათლების რეფორმა, რის მიხედვითაც ხელისუფლება იმ სკოლების ლიკვიდაციას აპირებს, რომლებშიც სწავლება ეროვნული უმცირესობების ენებზე მიმდინარეობს. ხელისუფლებამ უკვე განაცხადა, — ეროვნულ უმცირესობათა სკოლების ფუნქციონირება მხოლოდ თვითდაფინანსებით იქნება შესაძლებელიო.

***რეგნუმ. რუ***

***მოამზადა თინათინ მარგველაშვილმა***






ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!

კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებ-ში შემოგთავაზოთ.



# პატარები გვიამბობენ

4 წლის **რატი ნიკოლეიშვი-ლის** ბაბუამ კროსვორდში ჩაწერა შე-საბამისი სიტყვა „ქრისტიანი“. რატი ეკითხება:

— რა არის ბაბუ ქრისტიანი?

ბაბუამ აუხსნა. რატი კვლავ დაინ-ტერესდა:

— ბაბუ, შუქს რომ არ გვაძლევენ, ისინიც ქრისტიანები არიან?

***

4 წლის **ჯაბა ოდიშელაშვილი** მიჰყავთ დასასვენებლად მანგლისში. ბიჭმა გაკვირვებით იკითხა:

— მერე მანგლისური რომ არ ვიცი?

***

8 წლის **ხვიჩა ლაფერაშვილმა** ახლახან გაიგო, რომ მის პაპას მიშა ერ-ქვა და აღტაცებულმა ჰკითხა ბებოს:

— ბებო, ბებო, შენი ქმარიც პრეზი-დენტი იყო?

***

4 წლის **ნატუკამ** სტუმრად მისულ მეზობლის გოგონას, თამთას, სალეჭი რეზინი მიაწოდა. თამთამ — ჯერ შენ აიღე, პატარა ხარო. ნატუკამ მიუგო:

— ჯერ სტუმარმა უნდა აიღოს, მერე უსტუმრომ (უსტუმროში თავისი თავი იგულისხმა).

## III

**რა და რა ცხოველებისგან შედგება ეს არსება?**



## I



შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელ ჰორიზონტა-ლურ რიგში მიიღებ შემდეგი გამოცანის პასუხს: ***„სააღდგომო“ მცენარეა, განზე იდგამს ფესვებს, ფუნჯი სულაც არ სჭირდება, ისე ღებავს კვერცხებს.“***




## II

**იპოვე ორი ერთნაირი ცოცხი**

## IV ანა, გამოიცანი

**1) ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ვინ არ აღესრულა მოწამებრივად?**

ა) ქეთევან დედოფალი; ბ) გიორგი V ბრწყინვალე; გ) დემეტრე II თავდადე-ბული; დ) თევდორე მღვდელი.

**2) რისი სახელებია: მიქლიო, შავჩოხა, არყისძირა, ირემა, მანჭკვ-ალა.**

ა) თევზის; ბ) სოკოს; გ) ვაშლის; დ) მსხლის.

**3) რომელია ზედმეტი?**

ა) შმაგი; ბ) გააფთრებული; გ) გამძ-ვინვარებული; დ) მშვიდი.

**4) რომელ თვეს ეძახიან ჭირვეულს?**

ა) თებერვალს; ბ) მარტს; გ) აპრილს; დ) ოქტომბერს.

**5) რა ეწოდება ეკლესიაში ნა-კურთხ წყალს?**

ა) აიაზმა; ბ) საკმეველი; გ) მირო-ნი; დ) ნელსაცხებელი.

**6) რომელი მწვერვალი არ არის საქართველოში?**

ა) შხარა; ბ) თეთნულდი; გ) ჯო-მოლუნგმა; დ) უშბა.

**7) რომელ ტაძარშია დასვენებ-ული უფლის კვართი?**

ა) სიონის; ბ) გელათის; გ) ქაშუე-თის; დ) სვეტიცხოვლის.

**8) ვინ შეხარის მშობლიურ ზეცას სიტყვებით: „შეხედე რა ცაა! ესაა, რაცაა!“**

ა) გალაკტიონ ტაბიძე; ბ) შოთა ნიშნიანიძე; გ) ლადო ასათიანი; დ) მურმან ლებანიძე.

**9) რომელი გამოთქმა ნიშნავს „გაყოყოჩდა“?**

ა) თავზე ხელი აიღო; ბ) თავი მოიქრა; გ) თავში აუვარდა; დ) თავი გაიმეტა.

# ქრისტე აღსდგა!

## ბიბლიური მოთხრობა

საიდუმლო სერობაზე იესომ თავის მოწაფეებს გაანდო, რომ მალე ერთ-ერთი მათგანი გასცემდა მას. შემდეგ ნიშ-ნად იმისა, თუ როგორ უყვარდა ისინი და როგორ უნდა ჰყვარებოდათ მათ ერთმანეთი, ყოველ მათგანს ფეხები და-ბანა და უთხრა: „თქვენ მე მოძღვარს და უფალს მეძახით. მართალი ხართ. თქვენი უფალი და მოძღვარი ვარ, მაგრამ ფეხები დაგბანეთ. თქვენც ასევე უნდა ემსახუროთ ერთმა-ნეთს. ამით მაგალითი მოგეცით. გიყვარდეთ ერთმანეთი! გიყვარდეთ ერთმანეთი ისე, როგორც მე თქვენ შეგიყვ-არეთ... მე დიდხანს აღარ დავრჩები თქვენთან, მაგრამ ნუ შეშინდებით. გწამდეთ ღმერთი და გწამდეთ ჩემი“.

შემდეგ იესო სალოცავად გაემართა. მოწაფეებიც გაჰყვნენ. მოძღვარმა უთხრა მათ: „ილოცეთ, რათა არ ჩავარდეთ საცდუნებელში“.

ვიდრე იესო მოწაფეებს ესაუბრებოდა, ბაღში მღვდელმთა-ვართა და ფარისეველთა მსახურნი შემოვიდნენ. მათ იუდა ისკარიოტელი მიუძღოდა წინ. იგი იესოსთან მივიდა და ეამბორა. ამით ანიშნა ფარისეველთ, — კაცი, რომელსაც ვემთხვიე, ქრისტე არისო. იესომ ჰკითხა: „იუდა, ამბორით გინდა გამცე?“

ჯალათებმა შეიპყრეს იესო. მეორე დღეს ხალხის წინამძღოლებმა იგი რომაელ მმართველ პილატეს მიჰგ-ვარეს და მას ბრალი დასდეს: — იგი ხალხს უმტკიცებს, რომ მესიაა, მეფეაო. იესო პილატეს მიუბრუნდა: — ჩემი მეუფება ამქვეყნიური არ არის, თორემ ჩემი მოწაფეები ჩემთვის იბრძოლებდნენ. მე მეფე ვარ და მოვედი ამ ქვეყ-ნად, რათა ჭეშმარიტება დავადასტურო. მიუხედავად იმი-სა, რომ პილატემ ვერაფერში დასდო ბრალი იესოს, ხალხმა მოისურვა, რომ იგი ჯვარს ეცვათ, რადგან მან თავის თავს ღმერთის ძე უწოდა. პილატე იძულებული შეიქნა, იესოსთვის ჯვარცმა მიესაჯა.

იესომ თავადვე ატარა თავისი ჯვარი გოლგოთამდე, სა-დაც უნდა ეწამებინათ. გოლგოთაზე ჯვარი აღმართეს და ზედ გააკრეს იესო.

საღამოს იოსებ არიმათიელმა, რომელიც ებრაელთა შორის მეტად გავლენიანი კაცი იყო, პილატესგან ნებართვის აღების შემდეგ, იესოს სხეული ჯვრიდან ჩამოხსნა, ტილოში გაახვია, კლდეში გამოკვეთილ სამარხში დაასვენა და სამარხის კარი დიდი ლოდით ამოქოლა.

კვირას, განთიადისას, მარიამ მაგდალელმა, იაკობის დედა მარიამმა და სალომემ განიზრახეს, იესოს საფლავთან მის-ულიყვნენ და მესიის სხეულისთვის ნელსაცხებელი ეცხოთ.

სამარხთან მისულებს ლოდი გადაგორებული დახვდათ. ქალები შევიდნენ გამოქვაბულში და მარჯვენა მხარეს თეთრი სამოსით მოსილი კაცი დაინახეს. ეს ანგელოზი იყო, რომელ-მაც აუწყა მენელსაცხებლე დედებს: „ნუ გეშინიათ. თქვენ ეძებთ იესო ნაზარეველს, რომელიც ჯვარს აცვეს. ის აქ არ არის. იგი აღდგა მკვდრეთით. გაბრუნდით უკან და უთხარით მის მოწაფეებს და კერძოდ, პეტრეს, რომ წაგიძღვეთ წინ, გალილეისკენ. იქ იხილავთ მას, როგორც გაუწყათ თქვენ“.

ქალები სწრაფად გამოვიდნენ სამარხიდან და გახარე-ბულნი გაიქცნენ მოწაფეებთან, რათა ეუწყებინათ მათთვის ქრისტეს მკვდრეთით აღდგომა.

**პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე**

**გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა**

„კვირის პალიტრის“ „ზღაპრების სახლმა“ უკვე 50 ქართული და უცხოური ზღაპარი გამოსცა. შეამოწმეთ, არის თუ არა ყველა ზღაპარი თქვენს კოლექციაში. ის ზღაპრები, რომლებიც წაკითხული გაქვთ, აღნიშნეთ ასე: — ⊕ და სია აჩვენეთ მშობლებს

1. ◯ მელია და მწყერჩიტა
2. ◯ ქალთევზა
3. ◯ ნაცარქექია
4. ◯ მძინარე მზეთუნახავი
5. ◯ კომბლე
6. ◯ ირმისა
7. ◯ ჩიპოლინო
8. ◯ წითელქუდა
9. ◯ ფიფქია და შვიდი ჯუჯა
10. ◯ ხუთკუნჭულა
11. ◯ მაკნატუნა
12. ◯ თოვლის დედოფალი
13. ◯ ბრემენელი მუსიკოსები
14. ◯ ალიბაბა და ორმოცი ყაჩაღი
15. ◯ სამი გოჭი
16. ◯ თორმეტი თვე
17. ◯ სიზმარა
18. ◯ მაუგლი
19. ◯ ჩექმებიანი კატა
20. ◯ მგელი და შვიდი თიკანი
21. ◯ ნამცეცა
22. ◯ ნახევარქათამა
23. ◯ სამი ფორთოხალი
24. ◯ გოგონა და ურჩხული
25. ◯ წიქარა
26. ◯ ალადინი
27. ◯ ღორების მწყემსი
28. ◯ მძლეთამძლე
29. ◯ ქოჩორა რიკე
30. ◯ უფლისწული ბაყაყი
31. ◯ ბულბული
32. ◯ რიკი-ტიკი-ტავი
33. ◯ კონკია
34. ◯ მახინჯი იხვის ჭუკი
35. ◯ კატა, მამალი და მელა
36. ◯ ცეროდენა
37. ◯ გაუცინარი პრინცესა
38. ◯ ველური გედები
39. ◯ გაქვავებული სამეფო
40. ◯ გოგონა და სამი დათვი
41. ◯ წითელი ფეხსაცმელები
42. ◯ მოჯადოებული კატა
43. ◯ მეჩონგურე
44. ◯ თხისყურებიანი მეფე
45. ◯ ბურატინოს თავგადასავალი
46. ◯ ლომი და კურდღელი
47. ◯ მოჯადოებული ტყე
48. ◯ არვიტას ამბავი
49. ◯ ჯიუტი სპილუკა
50. ◯ შრომის ფასი

ერთი წიგნი-ზღაპარი + გასართობი გვერდები 1 ლარი და 20 თეთრი ღირს

ზღაპრების შეძენა შეგიძლიათ „კვირის პალიტრის“ საგაზეთო ჯიხურებში, აგრეთვე პრესის სხვა გამავრცელებლებთან და წიგნის მაღაზიებში

# მოსკოველი ქალებისა და უსურიული ვეფხვების გულთამპყრობელი

ძნელი ყოფილა რაიმეს დაწერა პიროვნებაზე, რომელსაც არა მხოლოდ ჩემს ქვეყანაში სცემენ თაყვანს... სამწუხაროდ, პირადად არ ვიცნობდი. ამიტომაც შესანიშნავი მომღერლისა და პიროვნების **ზურაბ ანჯაფარიძის** გახსენება მისი მეგობრების, ახლობლებისა და მეუღლის მონათხრობის მიხედვით გადავწყვიტე.

უფლისწულივით ლამაზი, კეთილშობილი და ყველას მოსიყვარულე უზომოდ ჰყვარებიათ რუსეთშიც და მალე მისი ხსოვნის პატივსაგებად მომღერლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მოსკოვში გამოსცემენ წიგნს, რომელსაც უბრალოდ „Зураб" ერქმევა. გამოცემის ინიციატორებსა და ავტორებს ეს გადაწყვეტილება ასე აუხსნიათ ზურაბ ანჯაფარიძის ქვრივის — მარინა მაჭავარიანისთვის — ის ერთადერთია, მისი სახელი აღარ ითხოვს არაფრის დამატებას, თქვენ გყავთ მისი პატარა მემკვიდრე, მეორე ზურაბ ანჯაფარიძე, ის კი უბრალოდ, განუმეორებელი ზურაბიაო...

...მოსკოვში, „მცირე თეატრის" საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილ კონცერტში მონაწილეობა უთხოვიათ დიდი მომღერლისთვის. ანჯაფარიძე კონცერტის დაწყებამდე მისულა თეატრში. კულისებში დადიოდა თურმე დროის მოსაკლავად. ერთ ოთახში უზარმაზარ უსურიულ ვეფხვს გადაჰყრია. შიშისაგან გონებადაკარგული ვეფხვების ცნობილ მომთვინიერებლებს, ცოლ-ქმარ ნაზაროვებს მოუყვანიათ გონს და დაუმშვიდებიათ — კატასავით უწყინარი მოთვინიერებული ვეფხვისა ნუ შეგეშინდებათო და, იქვე საინტერესო იდეაც შეუთავაზებიათ — ვეფხვი და ანჯაფარიძე ერთად შეასრულებდნენ საკონცერტო ნომერს. რეპეტიციებიც დაიწყეს თურმე და მოკლე ხანში „დაძმაკაცებულან" „ვეფხი და მოყმე" ნაზაროვების სცენარის მიხედვით. სცენაზე სიმღერის დამთავრების შემდეგ ზურგიდან წამოჰპარვია მხეცი მომღერალს. ამტყდარა დარბაზში წივილ-კივილი. ანჯაფარიძეს კი ნოტები უსვრია ვეფხვისთვის, რომელიც კუდამოძუებული გამქრალა კულისებში. ბრავომ და ტაშმა დაანგრია დარბაზი. კონცერტის გაგრძელება შეუძლებელი გამხდარა თურმე. ამის შემდეგ თაყვანისმცემელი ქალბატონები ბარათს ბარათზე უგზავნიდნენ მომღერალს წარწერით: „Покорителю сердец всех московских женщин и усурийских тигров."

1984 წლის შემოდგომაზე მოსკოვში, გეორგიევსკის ტრაქტატთან დაკავშირებით, დიდ თეატრში საქართველოს დღეებზე ჩასულ ანჯაფარიძეს ჩაბნელებული დახვედრია თეატრის სცენა. ამ დროს ის უკვე 14 წლის წამოსული ყოფილა დიდი თეატრიდან. უხუმრია: — ეს რა მოსვლიათ, როგორ ჩაბნელებულან ჩემი წასვლის შემდეგო. სცენაზე მიუცილებიათ, მერე კი პროჟექტორები აუნთიათ და ნახევარი საათის განმავლობაში გაჭედილი დარბაზი დამარცვლით გაიძახოდა თურმე მის სახელს...

განსაკუთრებული იუმორის მადლით ცხებულის ცხოვრებას უამრავი უცნაური თავგადასავალი ავსებდა. ზურაბს ისეთი რაღაცის გაკეთება შეეძლო, რასაც იშვიათად მოიფიქრებდა კაცი, — იხსენებენ მეგობრები. მოსკოვში ცხოვრებისას ანჯაფარიძესთან შუაღამისას მილიციიდან დაურეკავთ: თქვენი მანქანა მოუპარავთ, ერთ-ერთ ჩვენს თანამშრომელს უპოვია და შეგიძლიათ წაიყვანოთო. ბატონი ზურაბი დავით გამრეკელთან და ცნობილ ქირურგ, პროფესორ კოტე მიქელაძესთან ერთად მისულა შემთხვევის ადგილზე. ქურდებს მანქანის გაძარცვა ვერ მოესწროთ, მხოლოდ საბარგულიდან წაუღიათ კონიაკების შეკვრა, ღვინით სავსე ჟანგბადის ბალიში კი ხელუხლებლად დაუტოვებიათ. ამ ამბით აღფრთოვანებულ ანჯაფარიძეს ჭიქის უქონლობის გამო ბოდიში მოუხდია მილიციელებისთვის და რიგრიგობით ასხამდა თურმე პირში ბალიშიდან არაჩვეულებრივ კახურ ღვინოს...

მიუხედავად იმისა, რომ ზურაბ ანჯაფარიძე ყველას უყვარდა, მტერი და მოძულეც ბევრი ჰყოლია, მაგრამ ბოროტებას სიყვარულით პასუხობდა, გულში კი უამრავ ტკივილს ატარებდა. — თავისი პოპულარობა არასოდეს გამოუყენებია სათავისოდ, — იხსენებს მომღერლის ქვრივი, ქალბატონი მარინა, — მახსოვს, „ვოლგის" ყიდვა უნდოდა ძალიან. მაშინ ეს საქმე მინისტრის დონეზე წყდებოდა. ზურიკო არაფრით არ წავიდა სათხოვნელად, თანაც ფულიც არ გვქონდა სრულად. მინისტრთან მე შევედი და ვუთხარი, თანხა არა გვაქვს და განვადებით მოგვყიდეთ „ვოლგა"-მეთქი. გაგიჟდა მინისტრი — „ვოლგა" განვადებითო? მაინც გაგვიკეთეს ეს საქმე. ზურიკო თავისი ხელფასიდან ყოველთვიურად მაშინდელ 500 მანეთს იხდიდა, თან ჩემზე ეცინებოდა, ჯადოქარი ხარო.



ამ „ანგელოზის", როგორც თავად ეძახდა მეუღლეს და დიდი მომღერლის სიყვარულის ამბავი მშვენიერ ზღაპარს ჰგავს. მაყვალა ქასრაშვილისა და ლელი ჯაფარიძის გამოსაშვებ საღამო-კონცერტზე კონსერვატორიაში დედასთან ერთად მისულ 15 წლის მარინა მაჭავარიანს პირველად ეცვა მაღალი და წვრილქუსლიანი ფეხსაცმელი. შიშით თრთოდა — ფეხი არ გადამიბრუნდესო. ანტრაქტის დროს კიბის მოაჯირთან მდგომს თურმე ცალი ფეხსაცმელი წაძვრა და კიბეზე ჩაგორდა. დაბნეულა, გაწითლებულა. ამ დროს კიბეზე ამოსულა მომხიბლავი ზურაბ ანჯაფარიძე „კონკიას ქოშით" და ღიმილით გამოუცხადებია — ვისაც ამ ფეხსაცმელს მოვარგებ, ჩემი ცოლიც ის გახდებაო. როცა „კონკია" უნახავს, თითქოს დანანებით უთქვამს — ეჰ, ეს სულ ბავშვი ყოფილა, ა, ბიძიკო, ჩაიცვი შენი ფეხსაცმელიო. მიუხედავად ამისა, მალე მისი მშობლებისათვის ქალიშვილის ხელი უთხოვია, მაგრამ ასაკის გამო უარი უთქვამთ. თუმცა, მოგვიანებით განგებამ ისინი მაინც შეახვედრა ერთმანეთს. მაშინ, მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტი ზურაბ ანჯაფარიძე (1959-1977 წწ.) უკვე თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორი გახლდათ. „კონკია" კი თავისი პატარა ქალიშვილისთვის საახალწლო კარნავალზე ჩასაცმელი კოსტიუმის წამოსაღებად მისულა ოპერის თეატრში. წაუღია კიდეც. რამდენიმე დღეში ანჯაფარიძეს შეუთვლია — „გატაცებული" კოსტიუმი დააბრუნეთო. აქედან დაწყებულა რომანი. 1980 წლის 12 აპრილს დაქორწინებულან. საკრალური გამოდგა ეს რიცხვი მომღერლისათვის. 12 აპრილს დაიბადა, 12 აპრილს დაქორწინდა. 12 აპრილს შეეძინა მემკვიდრე, პატარა ზურა ანჯაფარიძე და 12 აპრილს გადავიდა მარადისობის საუფლოში.

უამრავი მეგობრისა და ახლობლის უზარმაზარი გარემოცვის მქონე ზურაბ ანჯაფარიძის ოჯახში საღამო არ ჩაივლიდა სტუმრის გარეშე. ერთხანს მეზობლები გაკვირვებულებიც კითხულობდნენ თურმე — ნეტავ რა სიმდიდრე უძლებს ანჯაფარიძეების ოჯახში ამდენი ხალხის სტუმრობასო. — მე როიალთან ვიჯექი, ზურიკო სუფრის თავში. ჩემი დედამთილიც იქვე, შვილის გვერდით, თავისი არაჩვეულებრივი ხმით ამაყად გვაძლევდა ბანს, — იხსენებს ქალბატონი მარინა. სიმღერაში შემოათენდებოდათ ხოლმე ანჯაფარიძეებს. სხვათა შორის, ზურაბის ქალიშვილი პირველი ქორწინებიდან, ქ-ნი ეთერი, საქვეყნოდ ცნობილი მუსიკოსი გახლავთ, ამჟამად იგი ნიუ-იორკში მოღვაწეობს.

„როდესაც სცენაზე დგახარ და მღერი, უნდა დააჯერო თავი, რომ ღმერთებს ელაპარაკები", — წერდა ზურაბი თავის დღიურში და ყველა, ვისაც ერთხელ მაინც მოუსმენია მისი ღვთაებრივი ხმისთვის, ერთხმად აღიარებს, რომ ანჯაფარიძე მართლაც ელაპარაკებოდა სიმღერით ღმერთებს. განსაკუთრებული სიყვარული და ღიმილი ემეტებოდა ყველასთვის — ოჯახის წევრების, ნაცნობ-მეგობრებისთვის. ამის მაგალითად, ბავშვობის მეგობრის, ნიკოლოზ ხატიაშვილისადმი მიწერილი წერილების ფრაგმენტებს შემოგთავაზებთ. ყოველი მათგანი ასე იწყება და მთავრდება: „სალამი, ძმაო ნიკუშ!.. გკოცნი ბევრს, შენი ძმა ზურიკო, თავჯირკა ან თავგასიებული".

„გწერს შენი, ურალში გადასახლებული ძმა, ზურიკო ანჯაფარიძე. როგორ ხარ და როგორ არის რესპუბლიკის ჯანმრთელობის საკითხები. მე ვარ ჯანმრთელად, მაგრამ მომკლა ამ ხეტიალმა, თან ვჯავრობ, თან ვფიქრობ, მერე რაღა ვქნა, რომ აღარ დამიძახებენ? მართალია, ძნელია სცენისთვის თავის დანებება, მაგრამ ასე სულ სახლის გარეთ ყოფნამ დამღალა. რანაირად გარბის დრო... ადრე ჩემს წერილებში შენდამი სულ სხვა ქარი და ნიავი ქროდა. ახლა უკვე დაღლილობა და დასვენების სურვილი შემეპარა..."

„ვიცი, რომ შენ პირველი არასოდეს მომწერ და ამიტომ ყოველთვის მე უნდა მოგწერო. რომ იცოდე, როგორ მენატრებით სუყველა. ხომ იცი, თუ ვინმესგან რაიმე კარგი მახსოვს — ყველაზე მეტი თქვენი ოჯახისგან. ამას პლუს ჩემი და შენი მეგობრობა ძალიან დიდმნიშვნელოვან ჯამს ქმნის... მომენატრე, ჭიპლაყ, ძალიან, აბა, რა ვქნა — აქ ისეთ მოდაში ვარ, რომ მგონი ახალგაზრდობისას არ ვყოფილვარ ასე"...

მეგობრისადმი უდიდესი სიყვარულის გამომხატველია სულ რაღაც ორსტრიქონიანი წერილი: „ეს ჩემი ხელია. ასე იცოდნენ ბავშვებმა და მეც, როგორც პატარა ბიჭი, გიგზავნით ჩემი ტორის ანაბეჭდს".

ახლა მეგობრებისადმი მიწერილ ანჯაფარიძისეულ უსტარ-ლექსებსაც გადავხედოთ. „მოსკოვს მოვდივარ პოეზდით, ათ რიცხვს დავტოვებ გრუზიას, ვაგონთან მოდით თხუთმეტთან, თუ გქვიათ ჩემი „დრუზია". „დიეტაზე ვარ — აფერს ვჭამ, ბიჭი ვარ, როგორც კვირტი. მოსკოვისათვის მჭირდება, წამომაშველეთ სპირტი". არადა, პროფესიიდან გამომდინარე, სასმელი ეკრძალებოდა თურმე და იშვიათად სვამდა. სამაგიეროდ, მოქეიფე ძმაკაცებთან ერთად გრძნობით თვრებოდაო, — უთქვამს ანჯაფარიძის მეგობართაგან ერთერთს. ზოგი კი, მაგალითად, ნოდარ ტაბიძე იგონებს — „ჩვენ მეგობრები არ ვყოფილვართ, კარგი ნაცნობობა გვაკავშირებდა... ის იყო პოეზიის მოსიყვარულე და სიტყვაკაზმულ მწერლობაში ჩახედული...

მაგონდება, ბათუმში ვართ. შებინდებისას რესტორან „ინტურისტს" ვესტუმრეთ... კუპეში ფეხზე ამდგარი პათეტიკურად ვსვამ ზღვის სადღეგრძელოს და უცებ, ჭიქა ხელში შემეყინა — დიდ დარბაზში „მრავალჟამიერი" აგუგუნდა. ვიცანი ზურაბის ხმა... ზურაბის ხმა ბროლის ჭაღებს ანანავებს. შემნიშნა და მიმიხმო. არც მომსალმებია, ისე დაიწყო: „გადმოფრენას ეს ყორანი მადათოვზე აპირებს, გაანათებს რესტორანი ტივებიან ნაპირებს". გულგახსნილი კაცი გახლდათ. გაბმულ ლხინსაც არ გაურბოდა. მე იგი მაგონებს „ათას ერთი ღამის" იმ პერსონაჟს, რომელსაც ოქროები მხოლოდ იმიტომ უნდა, რომ დაარიგოს, სხვები გაახაროს და თავადაც ამაღლდეს. ზურაბიც ასე უშურველად ფანტავდა თავის სიმდიდრეს — ხმას. ერთხელ ვუთხარი, ამითაც ჰგავხარ ვანო სარაჯიშვილსმეთქი (სარაჯიშვილის ძეგლის დადგმის ჯავრი იმ ქვეყნად გაჰყვა დიდებულ მომღერალს. — ე.ლ.) და გალაკტიონის ნაამბობი გავიხსენე: „ოპერის დამთავრების შემდეგ ვანო, მე და პავლიაშვილი (იყო ასეთი ჟურნალისტი) ვორონცოვისაკენ გავუტევდით. იქ ნაცნობი მედუქნე უზარმაზარი კასრის თავზე სუფრას გაგვიშლიდა, შევუტევდით... მერე დაიწყებდა ვანო და ავყვებოდით ჩვენც. მედუქნე განგებ ტოვებდა კარს ღიად, რათა სიმღერა უფრო შორს ანაკადებულიყო... და იჭედებოდა მოედანი ხალხით"... ზურაბ ანჯაფარიძის ცხოვრება ერთი დიდი წიგნია, წიგნი დაწერილი ასომთავრულით".

მართლაც წიგნია, თანაც დაუსრულებელი, რომელსაც ერთ საგაზეთო წერილში ვერანაირად ჩატევ... ვიფიქრე, აქ შევწყვეტ თხრობას-მეთქი, მაგრამ კიდევ ერთ გახსენებას შემოგთავაზებთ: სიკვდილის წინ სამი რამ დაუბარებია ანდერძად: პირველი — დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში არ დამასაფლავოთ. იქ გადატვირთულია სასაფლაო. იმდენი ღირსეული ადამიანია ერთი-მეორის მიყოლებით დასაფლავებული, არა მგონია, ჩემთვის ადგილი გამოინახოს. სხვის გულზე დასვენებას, ჩემი კაი ძმის გვერდით, ვერის დიდსა და ტევად სასაფლაოზე მირჩევნია ყოფნაო. მეორე თხოვნა — ოპერიდან არ გამასვენოთ. არ მინდა ხალხმა იმ სცენაზე წაქცეული მნახოს, სადაც რამდენიმე ხნის წინ მხნედ დავაბიჯებდიო. მესამე თხოვნა — ქელეხი არ გადამიხადოთო. თვითონაც არასოდეს რჩებოდა ვინმეს ქელეხზე, თუ ძალიან ახლობელი არ იყო გარდაცვლილი. ამბობდა თურმე: ვერ ვიტან ისეთ სუფრას, სადაც ზოგს ეტირება, ზოგს კი ეცინებაო. ჭირისუფალი ცრემლისგან იხრჩობა, მის გვერდით კი ვიღაც ანეკდოტს ჰყვება და მასავით სულელს აცინებსო. ანდერძის შემდეგ სიმღერით გამომშვიდობებია მომღერალი ყველას. ირგვლივმყოფთ უჩვენა მაგალითი, როგორ კვდებიან ნამდვილი ვაჟკაცები.

ვერ აუსრულეს ანდერძი, ოპერისა და ბალეტის თეატრის ეზოში დაკრძალეს გენიალური სარაჯიშვილისა და ზაქარია ფალიაშვილის გვერდით. ოპერისა და ბალეტის თეატრიდან გამოასვენეს, მაგრამ არავინ ფიქრობდა იმ დღეს წაქცეულ ანჯაფარიძეზე. საყვარელი მომღერალი ყველაზე მეტად ამაღლდა იმ დღეს თავის ხალხში. ვერც უქელეხოდ დაემშვიდობნენ მეგობრები, უზარმაზარი სუფრა გაშალეს „უფლისწულის" შესანდობრის სათქმელად და იმ დღეს, იმ ქელეხში არავის სცხელოდა ღიმილისთვისაც კი. ყველანი ცრემლთან ერთად სვამდნენ შესანდობარს.

***ეკა ლომიძე***





# ოსკაროსანთა ოჯახი



ფრენსის ფორდ კოპოლა, მისი ქალიშვილი სოფია და ძმისწული ნიკოლას ქეიჯი

ფრენსის ფორდ კოპოლა 33 წლისაც არ იყო, პირველი „ოსკარი" რომ მიიღო სცენარისთვის „შენაერთი". ერთი წლის შემდეგ „ნათლიაში" მისი ქალიშვილის, პაწაწინა სოფიას დებიუტი შედგა — მან ჩვილი მაიკლის „როლი" ითამაშა. 33 წელიც არ გასულა და ახლა უკვე სოფია იღებს პირველ ოსკარს — საუკეთესო სცენარისთვის „თარგმანში დაკარგული".

სოფია კოპოლა პირველი ამერიკელი ქალია, რომელიც „ოსკარზე" იყო ნომინირებული, როგორც „საუკეთესო რეჟისორი". და არც არის გასაკვირი — რეჟისორობა ქალის ხელობა არ არის, ხოლო ის ქალები, ვინც კინოს გადაღებას ცდილობენ, შორს არიან ქალურობის იდეალისგან. თუმცა, ეს სოფიას არ ეხება — ის კოხტა, ნატიფი, ლამაზთმიანი ქალია. სანამ რეჟისორი გახდებოდა, ე.წ. ქალური პროფესიებიც მოსინჯა, იყო მსახიობი, მოდელი, ტანსაცმლის დიზაინერი, მაგრამ ყველგან ხელი მოეცარა — კრიტიკოსები უვარგის მსახიობად მიიჩნევდნენ, სამოდელო ბიზნესში ცხვირს უწუნებდნენ — გრძელი აქვსო, არც მისი დიზაინით შექმნილი სამოსი საღდებოდა მაინცდამაინც. და აი, სოფიამ კინოს გადაღება გადაწყვიტა. მისი პირველი ფილმი, „თვითმკვლელი ქალწულები", სავსე იყო სინათლითა და ჰაერით, ნაზი მუსიკითა და ანგელოზებივით გოგონებით. ფილმი მაყურებელმა კარგად მიიღო. მეორე ფილმი, „თარგმანში დაკარგული", თითქოს წინა ფილმის გაგრძელებააო — ფილმის გმირი გოგონა წამოიზარდა და პირველი სიყვარულიც ეწვია, მაგრამ როგორც ხშირად ხდება — უიღბლო. „თარგმანში დაკარგული" შეიძლება ღრმა ფილმი არ არის, მაგრამ ძალიან გულწრფელია.



სოფია კოპოლა და სპაიკ ჯოუნსი

სოფია რომ ხელოვნებას გაჰყვა, არ არის გასაკვირი, რადგან მამის მხრიდან მისი წინაპრები ხელოვნების გზას ადგნენ. მაგალითად, ბაბუამისი, კარმონ კოპოლა, გამოჩენილი კომპოზიტორი იყო და შვილის, ფრენსის ფორდის ფილმებისთვის წერდა მუსიკას. ამ კაცს მთელი სიცოცხლე ერთი ქალი უყვარდა, თავისი მეუღლე იტალია პენინო, რომელმაც შეიძლება ხელოვნებაში დიდი ვერაფერი კვალი დატოვა, მაგრამ უბედნიერესი ქალი იყო — აღზარდა ორი ვაჟი — ფრენსის ფორდი და ავგუსტი და ერთი ქალიშვილი ტალია, შვილიშვილები და საერთოდ, ეს ქალი ნამდვილი სიყვარულის ეტალონად ითვლებოდა. კვიცი გვარზე ხტისო, სწორედ მამა-შვილ კოპოლებზეა ნათქვამი — ფრენსის ფორდ კოპოლა ჰოლივუდისთვის სრულიად გასაკვირი წესით ცხოვრობს. ის და მისი მეუღლე ელეონორი უკვე ორმოც წელზე მეტია ეწევიან ოჯახის ჭაპანს. ფრენსის ფორდ კოპოლა ჰოლივუდის ერთ-ერთი გავლენიანი ადამიანია: ჯორჯ ლუკასის, მარტინ სკორსეზეს, აკირა კუროსავას და მარიო პიუზოს უახლოესი მეგობარი, საკუთარი საპროდიუსერო კომპანიის მფლობელი, რეჟისორი ფილმებისა — „ნათლია" და „აპოკალიფსი დღეს". ადვილი წარმოსადგენია, ცხოვრებაში რამდენი ცდუნება შეხვდა, მაგრამ ელეონორი მუდამ ერთადერთი ქალი იყო მისთვის. ის შვილებს ზრდიდა — სოფიას, რომანს და ჯიოს. ელეონორი დოკუმენტურ ფილმებს იღებდა. 1975 წელს ფრენსის ფორდმა სან-ფრანცისკოს ახლოს ვენახები შეიძინა. ელეონორიც იქ გადასახლდა და ახლა ღვინოს უშვებს, სახელწოდებით — „რუბიკონი".

## ახალი თაობა

კოპოლების ახალი თაობა მარტო შვილები კი არ არიან, არამედ დისშვილ-ძმისშვილებიც. ნიკოლას ქეიჯის შესახებ (ავგუსტ კოპოლას ვაჟი), თითქმის ყველაფერია ცნობილი. მისი ძმა, კრისტოფერ კოპოლა, მეტსახელად მგელი, დამოუკიდებელი რეჟისორია, 8-მილიმეტრიანი კამერით იღებდა ფილმებს და მთავარ როლში ყოველთვის ძმა, ნიკოლას ქეიჯი ჰყავდა. მეორე ძმა, მარკ კოპოლა ნიუ-იორკის ერთ-ერთი კლუბის დიჯეი და თავისი ბიძის უცვლელი მსახიობია. ტალიას ვაჟი ჯეისონ შვარცმანი — კინოოპერატორი, მსახიობი და რეჟისორია. სოფიას საყვარელი ძმა რომან კოპოლა ცოტ-ცოტა ყველაფერია — მსახიობიც, პროდიუსერიც და სცენარისტიც. ის დას „თვითმკვლელი ქალწულებისა" და „თარგმანში დაკარგულის" გადაღებისას ეხმარებოდა. გარდა ამისა, რომანს უამრავი კლიპი აქვს გადაღებული. სწორედ მან გააცნო დას კლიპმეიკერი სპაიკ ჯოუნსი, რომელსაც სოფიასავით რეჟისორობა სურდა.

## სიყვარული

ისინი ერთმანეთს 1992 წელს, ვიდეოკლიპის გადაღებაზე შეხვდნენ. მაშინ სოფია 21 წლის იყო, ადამ შპიგელი (სპაიკ ჯოუნსის ნამდვილი სახელია) — ორი წლით უფროსი. შემდეგ იყო შვიდწლიანი რომანი. ამასობაში ბევრი რამ მოხდა. ჯერ ერთი, ადამი სპაიკად გადაკეთდა — ეს სახელი უფრო ლამაზად ჟღერდა, მეორე — მან კლიპმეიკერის ნამდვილი კარიერა გაიკეთა. სოფია ყოველთვის სადღაც მის სიახლოვეს იყო, შიგადაშიგ სხვადასხვა პროფესიას ეუფლებოდა, მაგრამ ძირითადად, იყო სპაიკის მუზა და საცოლე. ბოლოს და ბოლოს, ისინი 1999 წელს დაქორწინდნენ. ქორწილში კოპოლების კლანი სრული შემადგენლობით იყო წარმოდგენილი. ჯოუნსის აქციებმა საგრძნობლად აიწია. მან პირველი ფილმი გადაიღო — „იყო ჯონ მალკოვიჩი", რომელიც წლის სენსაციად იქცა. სოფიაც არ ჩამორჩა ქმარს და „თვითმკვლელი ქალწულები" გადაიღო. ერთი ტორონტოში იღებდა, მეორე ლოს-ანჯელესში. იმ დროისთვის, როცა ჯოუნსმა მეორე ფილმი „ადაპტაცია (2202)" გადაიღო, ცოლ-ქმარი სულ უფრო იშვიათად ხვდებოდა ერთმანეთს. მათი აგენტები ირწმუნებოდნენ, არაფერი საგანგაშო არ ხდებაო, მაგრამ, ეტყობა, რაღაც მაინც ხდებოდა. გავრცელებული ჭორებით სპაიკს კამერონ დიასთან ჰქონდა რომანი გაჩაღებული, მაგრამ ჭორი ჭორად რჩება. ერთი კი ფაქტია, რომ სოფიამ ბებია-ბაბუის და მშობლებისგან განსხვავებით, განქორწინება მოითხოვა.

სოფია ძლიერი ქალია, ყოველთვის აღწევს იმას, რაც უნდა, თანაც ზურგს ასეთი ოჯახი უმაგრებს, აქვს ფასეულობები და ტრადიციები, რომელიც სათუთად ინახება.

„ოსკარის" ცერემონიალზე სცენაზე მდგარ სოფია კოპოლას თვალებში სევდა იგრძნობოდა, სევდა, რის მიღმაც გაბზარული გული იმალება. მაგრამ სამაგიეროდ, მგონი, მასზე მეტად ეს გამარჯვება მამამისს, ფრენსის ფორდ კოპოლას, ძმებს და ბიძაშვილ-მამიდაშვილებს უხაროდათ. სპაიკ ჯოუნსი? კაცმა არ იცის, რა უნდოდა მას. შვილები რომ არ უნდოდა, ცხადია. კოპოლების ოჯახის მთავარი სიმდიდრე კი სწორედ შვილებია.

სოფიას ბებიის დევიზი აქ სრულიად მართებულია — სოფიას განქორწინება პირველი და უკანასკნელი უნდა იყოს ჩვენს ოჯახშიო!

# ჯად ლოუ მუშტი-კრივზეა გადასული

31 წლის მსახიობი ჯად ლოუ თავისი შემოქმედების მწვერვალზეა და უკვე „ოსკარზეც" იყო წარდგენილი. თუმცა, მის სამსახიობო კარიერას მარცხი ემუქრება განუწყვეტელი სკანდალების გამო.

დღეს ლოუ იმით არის დაკავებული, რომ ცდილობს სამი შვილი და ქონება გაუყოს თავის 37 წლის მეუღლეს, სედი ფროსტს. სედი, რომელიც თავის ახალგაზრდა საყვარელთან, „ფლამენკოს" გიტარისტ ჯექსონ სკოტთან ერთად ცხოვრობს, ყველაფერში ქმარყოფილს ადანაშაულებს — ბრალს დებს იმაში, რომ ლოუ ძალიან ბევრ დროს უთმობდა კარიერას და ცოლისგან ყველგან და ყოველთვის თანადგომას მოითხოვდა.

თავის მხრივ, ლოუ ხვდებოდა, რომ ცოლს ვერ მოსწყვეტდა ლონდონის ბოჰემურ ცხოვრებას, მეგობრებს — სტელა მაკარტნისა და კეიტ მოსს და გაუთავებელ წვეულებებს, რომლებიც ლოთობით იწყებოდა და დებოშებით მთავრდებოდა. ბრიტანული პრესის ფურცლები თითქმის ყოველდღე აჭრელებული იყო უგონოდ მთვრალი სედი ფროსტის ფოტოებით. ლოუმ არაერთხელ სთხოვა ცოლს, გონს მოეგე, შინ იყავი და შვილებს მიხედეო, მაგრამ ამაოდ...

სედი ფროსტთან გაყრის პროცესში მსახიობს მისი ცოლყოფილის მიერ ოდესღაც გაგდებული ძიძა ეხმარება. მოსამართლეები მისი დღიურის ჩანაწერებით გაიგებენ, როგორ ლოთობდა სედი. თავის მხრივ, სედი ფროსტმაც მოიმარაგა ფოტოები, რომლებზეც იგი თავპირდალურჯებულია დაფიქსირებული, ზოგზე კი — გასისხლიანებულიც. სედი გაიძახის, ლოუ ხშირად მცემდაო. მსახიობი კი ირწმუნება, ყოველივე მისი ლოთობის ბრალია, ისე გაილეშებოდა ხოლმე, ფეხზე ველარ იდგა, ხან სად ეცემოდა და ხან — სადო.



ნაცნობი-მეგობრები თურმე ადრეც ამჩნევდნენ ცოლ-ქმარს შორის გაჩენილ ბზარს, მით უმეტეს, რომ ხშირად ორივე საზოგადოების თვალწინ უშვერად ლანძღავდა ერთმანეთს. სედი ქმარყოფილს დღემდეც საშინელი ეპითეტებით ამკობს და ამასთან, საცოდავ მსახიობს უწოდებს...

# ვარსკვლავური დაავადება ეროტიკული გართულებით



„ჰარლი აუტანელია, მასთან მუშაობა შეუძლებელია", — ირწმუნება რეჟისორი დუნკან როი, რომლის ახალ ფილმში მთავარ როლს ლიზ ჰარლი ასრულებს.

„თავი უდიდესი მსახიობი და მზეთუნახავი ჰგონია. ერთი განახვათ, უმაკიაჟოდ როგორი სანახავია!" — შესჩივლა რეპორტიორებს რეჟისორმა. ეტყობა, ლიზ ჰარლიმ იმდენად განარისხა დუნკან როი, რომ მან უმთავრესი ეთიკური კოდექსი დაარღვია, რომლის მიხედვით რეჟისორს ეკრძალება მსახიობის ნაკლზე ლაპარაკი. ყველაზე მეტად გამაღიზიანებელი მუშაობისას ჰარლის არაადეკვატური რეაქციაა — უბრალო შენიშვნასაც კი მტკივნეულად განიცდის. აქვითინებული გადასაღები მოედნიდან გარბის და გადამღები ჯგუფი ელის, როდის ინებებს გამობრძანებას. საერთოდ, ახალგამომცხვარი ვარსკვლავის გულის მოგება ძალზე ძნელია: არ მოსწონს მზარეულები, გრიმიორები, ასისტენტები, ამინდი და საცხოვრებელი ვაგონი. სხვათა შორის, ვაგონის არაკომფორტულობა ლიზს ხელს არ უშლის თავის საყვარელთან, არუნ ნაიართან ერთად ძალზე „ხმაურიანი" სექსით დატკბეს და იქაურობა ვნებიანი კვნესით გააყრუოს. გარდა ამისა, ფანჯრებიდან კარგად ჩანს ტემპერამენტიანი წყვილის „ანცობანი". ამან ალაგზნო ეტყობა მსახიობის ურცხვი საქციელით აღშფოთებული რეჟისორი.

# ბრედის გასაჭირი

მიუხედავად დიდი ლოველასის სახელისა, ბრედ პიტს არაერთხელ უთქვამს, ძალიან მორცხვი ვარ და დიდ ჰონორარადაც არ გავშიშვლდები კამერის წინო. ახლა ტაბუ დაარღვია.

თანხა, რომელიც ბრედ პიტს გაშიშვლებისთვის გადაუხადეს, იმდენად დიდია, რომ პროდიუსერებმა კონტრაქტში დამატებითი პუნქტი შეიტანეს: თანხის ოდენობა საიდუმლოა. მათი სიფრთხილე სავსებით გასაგებია: რა მოხდება, ყველა ვარსკვლავი თუ მორცხვობას მოიმიზეზებს და იმ ფასად აღარ გაშიშვლდებიან, რაც აქამდე იყო ჰოლივუდში დაწესებული?

ბრეტ პიტი ახალ ფილმში, „მისტერ და მისის სმიტები", მთავარ როლს ითამაშებს. სასიყვარულო სცენებში მას პარტნიორობას ანჯელინა ჯოლი გაუწევს. თავდაპირველად, ჯოლიმაც დაიმორცხვა, მაგრამ პიტის მაგალითითა და დიდი ჰონორარით მოხიბლული, გათამამდა. ფილმი სენსაციური ალბათ იმიტომ იქნება, რომ ჯოლი პირველად მოიშიშვლებს მკერდს კამერის წინ, ბრედ პიტი კი ფანატებს დედიშობილა ეჩვენება.

ჭაბუა ამირეჯიბი
„გორა მბორგალი"
ჟურნალ „რეიტინგის"
ყოველ ნომერში (გაგრძელებით) იხილავთ ჭაბუა ამირეჯიბის რომანს „გორა მბორგალი"



რეიტინგი გამოდის ორშაბათობით

# სააღდგომო



ახლა კი ნამდვილად ასე უნდა დავიწყო: „იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა!...“

ცხრა მთასა და ცხრა ზღვის იქით კი არა, აქვე ჩვენ გვერდით, ერთ პატარა სოფელში, ერთი პატარა გოგო ცხოვრობდა... ანგელოზს მიუგავდა ცასავით უძირო თვალები. მზისფერი, ოქროსავით მბრწყინავი თმა კი სულ გაშლილი და აწეწილ-აბურდული ჰქონდა. ქარს უყვარდა ამ თმის თამაში და ხვევნა-ალერსით ისე აუწეწდაუწეწავდა, სავარცხელი გზას ვეღარ იკვლევდა. თმის ღერებს უნებურად აწყვეტდა, ტკივილისგან კიოდა პატარა გოგო, მაგრამ თბილხელებიანი დედა არ ჰყავდა გვერდით, რომ ფრთხილად დაევარცხნა, მოჰფერებოდა... ჰოდა, „თმაპუწია“ შეარქვეს გოგოს, მისი ლამაზი სახელი თითქმის დაივიწყეს, რომელიც დედამ სახსოვრად დაუტოვა თვალით უხილავ შვილს: „ცისმარი“...

დედა მშობიარობას გადაჰყვა — პატარა გოგოს სიცოცხლეს ანაცვალა თავისი...

როცა გააცნობიერა, რომ ყველა მის ტოლს დედიკო ჰყავდა, მაშინ მოიკითხა თავისი — უთხრეს, მოკვდაო!..

— სიკვდილი რა არისო?! — იკითხა გაკვირვებულმა და როცა ვერაფერი უპასუხეს, მიხვდა, სიკვდილი ძალიან ცუდი რომ იყო, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ გააცნობიერა და იკითხა: — სად არის დედა, ვერ მიმასწავლით? მე წავალ მასთანო...

— დედა ცაშია, ღმერთმა თავისთან წაიყვანაო! — უთხრა მამამ და ზურგი აქცია, თავისი საქმე და სადარდელი ეძახდა...

...ამის შემდეგ სულ ცას შესცქეროდა პატარა და ღმერთს ევედრებოდა: — დამენახე და დედიკოც მანახვეო.

გოგონა თითქოს გრძნობდა, რომ გვერდით ანგელოზად ქცეული ლამაზი დედა ედგა და ცრემლით ჰქონდა სავსე უძირო, ცისფერი თვალები...

— თუ გინდა, ჩვენთან, ზეცაში ამოგიყვანთ შენს გოგონასო... — უთხრეს უფლის ანგელოზებმა ერთხელ დედას.

— არაო! — მძიმედ გადააქნია თავი დედამ.

— ხომ იცი, წუთისოფელში უამრავი ტკივილი, დამცირება, ცრემლი ელოდება, ამოვიყვანოთ, ისიც ანგელოზად ვაქციოთო!.. — არ იშლიდნენ თავისას ანგელოზები...

— არა, არა!.. დატოვეთ, ნახოს თავისი წილი ჭირიც და ლხინიც, ნუ დაუკარგავთ თავის ბედს.

მეტი რა გზა ჰქონდათ, დათანხმდნენ, თუმცა ვერ გაუძლეს გოგონას ხვეწნას და ანგელოზ დედას ნება დართეს სიზმრად სტუმრებოდა შვილს!...

...ღმერთო, რა საოცარი სიზმარი იყო!

დედა მზესაც ჰგავდა, მთვარესაც, მის საყვარელ ატმის ყვავილებსაც, მინდვრის ღიღილოებსაც... საოცრად თბილი და რბილი ხელები ჰქონდა... იმ ღამით პირველად გათბა ცივი საწოლი... ეფერებოდა დედა და ამხნევებდა: — არაფრის შეგეშინდეს, გახსოვდეს, ყოველთვის შენთან ვარო...

ამქვეყნად ყველაფერსა აქვს დასასრული. ის ლამაზი სიზმარიც დასრულდა... გაახილა გოგონამ თვალი და... ისევ დახუჭა, ეგონა სიზმარს დააბრუნებდა, მაგრამ დასრულდა სიხარული...

მამამ დაუძახა: — გამოდი, დედიკო მოგიყვანეო!..

მუხლი წაართვა მოულოდნელმა სიხარულმა. ძალა მოიკრიბა და ღია კარში გაიჭყიტა: — სად... სად არის ჩემი დედიკო?...

— აი, დედაო! — გვერდით მდგომზე მიანიშნა და სთხოვა მიახლოებოდა. გოგონას თვალი ცრემლით აევსო: — არა, ეგ არაა ჩემი დედიკო! ჩემს დედიკოს, თბილი, ცისფერი თვალები აქვს, ეგ ქალი ჩემი დედა არ არის!.. — გაიმეორა ჯიუტად და მამისკენ გაიწია, ეგონა შეცდომაში დაარწმუნებდა, მაგრამ კაცმა არც მოუსმინა:

— ეგ შენი დედიკოა, გულს ნუ ატკენ, მოეფერე.

პატარა გოგო ღმერთს ეხვეწებოდა, წაიყვანე ეს ქალი და ჩემი დედიკო დამიბრუნეო, მაგრამ..

— ცისმარს მამამ დედინაცვალო მოუყვანაო! — ხმა გავარდა და გოგონა მიხვდა, რაღაც ცუდი რომ მოხდა...

დედინაცვალს ცივი და უხეში ხელები ჰქონდა, ვარცხნისას აწიწკნიდა კულულებს, ქარი იტაცებდა მათ და ჩიტებთან მიჰქონდა... ისინიც ბუდის კედლებზე აკრავდნენ. კულულები მზის სხივებივით ანათებდნენ მათ სამყოფელს...

დედინაცვალმა ცისმარს მაგრად შეუკრა ნაწნავები, თავზე უხეში თავსაფარიც მჭიდროდ მოახვია: — ამის გვერდით ჩემს ნახშირივით შავ გოგოს ვიღა დაინახავსო! — ცისმარის ტოლი გოგო მოეყვანა, მაყვალა ერქვა... გვერდით დაუყენა: — შენი დაა და პატივი ეციო!

— შენი მამიკოც ღმერთმა წაიყვანაო?! — ჰკითხა ცისმარმა მაყვალას თანაგრძნობით.

— დედა ამბობს, ეშმაკებმა წაიღეს მისი თავი და ტანიო...

— მოკვდა?!

— სხვა ქალთან წავიდა, დედას უთხრა — შენთან გიჟის მეტი ვინ დარჩებაო!.. — მერე მაყვალამ ხმას დაუწია — დედაჩემს ყველანი ეშმაკის ფეხს ეძახიან, მეც მეშინია მისიო!..

...საკუთარ შვილს რომ სისხლს უშრობდა, გერს რა ხეირს დააყრიდა... ცისმარს ცისკენ ცქერაც გადაავიწყდა, მზის სილამაზეც და სიზმარში ნანახი საოცრებებიც. დღე და ღამე საქმეს არ ულევდა დედინაცვალი გერს და როგორც არ უნდა გაეკეთებინა, მაინც ყველაფერს უწუნებდა...

ერთხელ სიცხიანი გაუშვა ტყეში ფიჩხის მოსატანად. მარტი იდგა, ციოდა, სუსხი სჯაბნიდა მზის სუსტ სხივებს... ფიჩხი მოაგროვა, მაგრამ თავბრუ დაეხვა და წაიქცა. ეცადა, მაგრამ ძალა არ ეყო. თვალი დახუჭა და სუსტი, უცნაური შავოსანი არსება შენიშნა თავის გვერდით. მისი ძვლების ჟღარუნი უსიამოდ ჩაესმა ყურში და... მიხვდა:

— შენ სიკვდილი არა ხარ?

— მეც გიცანი!.. — უთხრა სიკვდილმა. ჩაიმუხლა და გოგონას თავი კალთაში ჩაიდო. — ის პატარა გოგო არა ხარ, დედაშენი რომ სიკვდილის კარში გამყავდა, შენ რომ სიცოცხლის კარში შემოიჭყიტეო!...

— ე-ეჰ, რატო მეც თან არ წამიყვანეო!..

სიკვდილს რაღაც გაახსენდა და დარცხვენილმა თავი დახარა...

*სიკვდილმა ჩამოიარა,*
*ობოლი დახვდა წინაო:*
*სიკვდილო, თან წამიყვანე,*
*ობლობა მომეწყინაო!..*

— რა იყო?! — ჰკითხა ცისმარმა.

— არაფერი! — ვერ გაამხილა სიკვდილმა, სულსწრაფობას რომ ნანობდა. დროის მობრუნება რომ შესძლებოდა, ამ პატარა გოგოს დედას არ წაართმევდა. მიხვდა, როგორ უჭირთ პატარებს უდედობა...

— წავედი, მეჩქარება!.. — წამოიწია სიკვდილი.

— სად მიიჩქარი? — ჰკითხა ცისმარმა.

— შენი ბოროტი დედინაცვლის წასაყვანად ვარ მოსული!..

— არა, ოღონდ ეგ არა ქნა, მაყვალაც ჩემსავით დაობლდება, დაუტოვე დედა, ცოდოა!...

— მართალი ხარ!.. — თავი მოიქექა სიკვდილმა და ისევ ჩაიმუხლა. ცისმარს ყურადღებით დააცქერდა, — შენ მართლა კარგი გოგო ყოფილხარო! მერე ზეცას ახედა და ღმერთს შეჰღაღადა: — ღმერთო, ისევ მაჯობე და არა მწყინს, მიხედე პატარას, უპატრონეო!..

...ღმერთს დედამიწაზე ჩამოსვლა არ შეეძლო. მას შემდეგ, რაც ადამიანებმა ჩასაქოლად გაიმეტეს, ცასა და მიწას შორის გადებული ხიდი მოიშალა...

— ოღონდ გვიბრძანეო! — ნაბიჯი წინ წარდგეს მზემ, ქარმა, მთვარემ, ვარსკვლავებმა და ღრუბლებმა.

ღმერთს იმედით მიაცქერდა დედა ანგელოზიც...

უფალმა თანხმობის ნიშნად მძიმედ დააქნია თავი!..

...მიწაზე დაგდებული გათოშილი გოგონა მზემ თავის თბილ სხივებში გაახვია, ქარმა ხელში აიტაცა მისი სიფრიფანა სხეული, რბილ ღრუბელზე დააწვინა და მსუბუქად უბიძგა. ღრუბელს წინ მთვარე გაუძღვა, უკან ვარსკვლავები გაჰყვნენ. ცაში აიტაცეს პატარა, უფლის საბრძანებელში მიიყვანეს...

თვალი გაახილა და... მაშინვე იცნო ანგელოზად ქცეული დედიკო, გაიქცა და გულში ჩაეკრა...

ალერსით გული რომ იჯერეს, დედამ უკან მიახედა და თუმცა არასოდეს ენახა, მაშინვე იცნო ღმერთი, მივიდა და მუხლებში ჩაუვარდა. უფალს ნაიარევი ხელებიდან და ფეხებიდან ისევ სისხლი სდიოდა, შუბლზეც აშკარად ჩანდა ეკლის გვირგვინის კვალი და თუმცა გოგონა ძალიან პატარა იყო, მაინც მიხვდა, რატომაც აწვალებდა ეშმაკი ადამიანებს — მათ ხომ თითქმის არასოდეს ახსენდებოდათ ღმერთის ტკივილები... დაიხარა და ნაზად ემბორა ნაიარევ მარჯვენაზე.

ღმერთს თვალში ცრემლი გაუბრწყინდა, ეს სიხარულის ცრემლი იყო, რადგან ადამიანებს მაინც მასთან ერჩივნათ ყოფნა და ეშმაკი ვერ ახერხებდა მათ საბოლოო გადაბირებას!...

უფალმა ხელი მოჰკიდა ცისმარს და ფანჯარასთან მიიყვანა, წინ გაახედა, საიდანაც მოცისფრო-მომწვანო ვარკვლავად ქცეული დედამიწა მოჩანდა. მერე ჭოგრიტში გააჭყიტა და ახალგაზრდა ქალი დაინახა ცისმარმა, რომელიც ჩვილს ძუძუს აწოვებდა.

— ეს რა არისო?! — იკითხა გაკვირვებულმა.

— ეს სიცოცხლეა... აღდგომაა... შენი მომავალიაო!... — უთხრა ღმერთმა და გაუღიმა...

უცებ წამით დაბნელდა ყველაფერი და მის ყურთასმენას მამის განწირული ხმა ჩასწვდა:

— მიშველეთ, ხალხოო!..

ვიღაცამ გულში ჩაიკრა მისი გაცივებული ხელები და შეევედრა: — ოღონდ არ მოკვდეო!..

თვალი გაახილა და მაყვალა დაინახა, თავისი დაიკო... იქვე გულწასულ დედინაცვალს აბრუნებდნენ მეზობლის ქალები:

— ნუ გეშინია, ცოცხალია, ღმერთს არ გაუწირავხართო! — აიმედებდნენ მამამისს.

...დიდხანს იავადმყოფა ცისმარმა, თავს ევლებოდნენ მამა და საოცრად შეცვლილი, სინანულში ჩავარდნილი დედინაცვალი, რომელიც სულ უფრო და უფრო ემსგავსებოდა... დედას!...

...მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, მრავალი წელიწადი გავიდა და მრავალი აღდგომა...

გაიზარდნენ ცისმარი და მაყვალა.

ღმერთისკენ სავალ გზას დაადგნენ მამა და დედად ქცეული დედინაცვალი...

„პატარა თმაპუწია“ ცისმარი, ოქროსფერი თმა თოვლივით თეთრით რომ შეცვლია, თვალები კი ისევ უძირო ცისფერი დარჩენია, 5 შვილის დედა და 14 შვილიშვილის ბებიაა... ღმერთს ყოველდღე სანთლებს უნთებს, მადლობას ეუბნება მზისთვის და მთვარისთვის, წვიმისთვის და ქარისთვის... სიცოცხლისთვის!...

— დეიდა ცისმარ, როგორი იყო ღმერთი?!

— ვერ გეტყვი, შვილო, სიტყვებით ამის გადმოცემა ძნელია, შეუძლებელი... ერთი შეხედვით, ნაცნობიც არის, ახლობელიც, თითქოს ყოველდღე შეხვედრიხარ, მოგფერებია, გამოგლაპარაკებია და მაინც, ნისლივით მსუბუქად ჩაუვლია, უხმოდ, შეუმჩნევლად...

— სიკვდილიც გინახავთ, ის როგორიღაა?!.

— არც ისე ბოროტი და უგულო, როგორც ჰგონიათ. მასაც შეუძლია ტირილი, სიბრალული, ბევრის დათმობაც... განა თავად კი სურს, მაგრამ სიკვდილია და რა ქნას, რაც დაავალა განგებამ, იმას აკეთებს.

— ღმერთს მართლაც სდიოდა სისხლი ჭრილობებიდან?

— არც შეუჩერდება, სანამ ბოროტება იქნება ადამიანებს შორის...

— ალბათ არც დაგვიბრუნდება ჯერ...

— მოვა! ადრე თუ გვიან აუცილებლად მოვა ღმერთი, რადგან მას ძალიან უყვარს ადამიანები!

— როდის, დეიდა ცისმარ?!

— როცა საბოლოოდ უარვყოფთ ეშმაკს და აღვსდგებით დაცემულნი...

— გამოდის, აღდგომაა მაინც ყველაზე დიდი სასწაული.

— რა თქმა უნდა, შემოგევლეთ, რა თქმა უნდა!... დიდება უფალს!.. — პირჯვარი გადაიწერა დეიდა ცისმარმა, ლამაზად გაწყობილ სუფრასთან მიგვიწვია და სანამ „მამაო ჩვენო“ არ ჩავამთავრეთ, პური არ გაგვიტეხია!..

ჰო, ახლა როგორც წესია, ისე დავამთავროთ ჩვენი „ზღაპარი“:

*ლხინიც იქ იყო და სიხარულიც,*
*მადლიერებაც და სიყვარულიც!*
*რაც მთავარია, იქ იყო ღმერთი*
*— ჩვენი იმედი, რწმენა და ბედი!..*

**ინგა ჯაყელი**

ვიტამინები თქვენს ბავშვებთან ერთად იზრდებიან





# სკანვორდი ფრაგმენტებით




1. ესპანური წარმოშობის ფრანგი მხატვარი
2. ფრანგი მომღერალი და მსახიობი
3. სანაკეთობო ქვა
4. შეხვედრა უმაღლეს დონეზე
5. დიდნისკარტა ფრინველი
6. დაზიანება სპორტში
7. ბრიტანეთის უშიშროების სამსახური ... – 5
8. იაპონური ფირმა
9. მარტო მყოფი
10. ამერიკული თოჯინა
11. აბუ ალი ... სინა
12. ჩაიკოვსკის ბალეტი „... მზეთუნახავი“
13. იგივეა, რაც ბიძა
14. ნაბოკოვის რომანი
15. სახელმწიფო აფრიკაში
16. მტკვრის შენაკადი
17. ყარაბახის სახანოს ცენტრი
18. შიიზმის მიმდევარი
19. ბეთჰოვენი „მთვარის ...“
20. გუმბათიანი მრგვალი ნაგებობა
21. რუსული სამხედრო თვითმფრინავის მარკა
22. ჩინური გამაჯანსაღებელი ფიზკულტ.
23. რუსი ქიმიკოსი, აკადემიკოსი (1802–1850)
24. ძველებური ინგლისური ოქროს ფული
25. აზერბაიჯანის დედაქალაქი
26. მწერის განვითარების ბოლო სტადია
27. პრიმატების ჯგუფის ცხოველი
28. „ფანტომასი“ (მსახიობი)
29. კურორტი სირიაში
30. „რიგოლეტო“ (ჟანრი)
31. შხამიანი გომბეშო
32. მდინარე იტალიაში
33. სიმღერა ოპერაში
34. ჯიმ კერი ფილმში „... ვენტურა“
35. ჰეიერდალის პაპირუსის ნავი
36. მხალი
37. ცხენების ჯოგი
38. მსახიობი ჯეიმს ბონდის როლში
39. საჭმლის ჩამონათვალი
40. მეტყველების ორგანო
41. იაპონური ვალუტა
42. განთქმული მევიოლინე ვანესა ...
43. ზღვა აპენინისა და ბალკანეთის ნ/კუნძ. შორის
44. პარფიუმერიულ მაღაზიათა ქსელი
45. იგივეა, რაც ზუთხი
46. ... ფარულავა
47. მდინარე შუა აზიაში
48. შიშველი სხეული მხატვრობაში
49. ფრანგი ფერმწერი (1780–1867)
50. ბუსუსები ქსოვილის პირზე
51. ცხენის კუდი
52. დამიანეს მიერ მოხატული ეკლესია
53. ფრანგული ავტომობილი
54. ისტ. ოლქი მთავარი ქალაქი ათენი
55. მომცრო საზიდარი
56. ... პუგაჩოვა
57. კლიმატი
58. დროებითი იზოლაცია ეპიდემიური დაავადებისას
59. ბიბლიური პერსონაჟი
60. ალმოდოვარის ფილმი





**წინა სკანვორდის პასუხები:** 1. დოდე; 2. პრიზი; 3. ვერონა; 4. ეზო; 5. დრაჟე; 6. რონა; 7. ნუს; 8. ტარა; 9. ალტაი; 10. აგრა; 11. მადონა; 12. ქვის; 13. ლია; 14. დეგა; 15. „დეფა“; 16. გრუზა; 17. რონე; 18. ვეჟო; 19. ალ; 20. საუნა; 21. რადა; 22. ტუ; 23. ელია; 24. რემბო; 25. ბათა; 26. აზეფი; 27. ლიე; 28. ბეცი; 29. ილია; 30. მბაო; 31. ტორი; 32. ჭა; 33. ბჭე; 34. გოია; 35. ტოტი; 36. რიდე; 37. ბრა; 38. როი; 39. ლინო; 40. ნერგი; 41. ლეო; 42. თეო; 43. ია; 44. სინი; 45. ერგი; 46. პენ; 47. სი; 48. ვიაგო; 49. რაინი; 50. ელ; 51. უთო; 52. კუ; 53. რონინი; 54. რუ; 55. დინგო; 56. ცოდო; 57. ფალანგა; 58. რიკული; 59. ზეცა; 60. კომანდო; 61. ანა; 62. სტადიონი; 63. სანტანა.

1. პატარა დეგუსტატორი; 2. სანამ ქმარი მოვიდოდეს; 3. გუარნერის შედევრი — პაგანინის ვიოლინო; 4. აფრიკული თაგვი მწვადად; 5. საკონტროლო სროლა ალბათ აუცილებელია.

პასუხები მოცემულია სკანვორდში მითითებული ნომერაციის მიხედვით, ქვედა ხაზზე მოცემულია ფოტოების პასუხები

შეადგინა რამაზ ალანიამ

# მე მინდა, რომ პასპორტში ქართველი მეწეროს. მეამაყება ეს...



***ბუბა კიკაბიძეს ხალხის სიყვარული არასდროს აკლდა. სილაღე, იუმორი, არტისტულობა, მეგობრობის გრძნობა, ეს ყველაფერი ნიჭიერებასთან ერთად ერთი-ორად მომხიბვლელს ხდიდა მას. ერთი შეხედვით მხიარული ბიჭის თვალებში ყოველთვის დიდი სევდა იდგა. მისი შემჩნევა ყველას არც შეეძლო, მაგრამ ის მაინც არსებობდა და ძალიან ღრმა ფესვებიდან საზრდოობდა კიდეც — მისი ტრაგიკული ბედის წინაპრებისაგან. დღეს მათი სურათები მისაღებ ოთახში უწყვია ბატონ ბუბას.***

— აქ ხუთი თაობის ფოტოები მაინც არის — ბაგრატიონების, აბაშიძეების, ქებაძეების ოჯახებიდან. საუბედუროდ, ბევრი რამ დაიკარგა. ახლა ისეთი დროა, რომ ხალხი ეძებს, თუკი რამ გადაურჩათ, აგროვებენ. მეც ასე ვიქცევი, — გვითხრა მასპინძელმა.

— **თუ არსებობდა თქვენთვის გმირი, რომლის მაგალითზეც გზრდიდნენ, რომლის შესახებაც გიამბობდნენ?**

— ჩვენს დროსო, — რომ ამბობდნენ ხოლმე უფროსები ჩემს ბავშვობაში, მეცინებოდა, რას ეძახის ეს ხალხი თავის დროს-მეთქი. ახლა მეც ასე უნდა დავიწყო... ჩვენს დროს ბავშვებს უფლებას გვაძლევდნენ, იმ ოთახში შევსულიყავით, სადაც სტუმრებისათვის სუფრა იყო გაშლილი. ჩვენთან სულ ხალხმრავლობა იყო. პაპაჩემთან — კოტე ბაგრატიონთან, ბიძაჩემთან — ჯანოსთან, დეიდასთან — თამარ მიწიშვილთან რამდენი სალხინო სუფრა მინახავს, ვინ მოთვლის. ღამის 3 საათამდე ისხდნენ და მუსაიფობდნენ. იქიდან მთვრალი გასულიყო ვინმე, არ მახსოვს. ჩვენ — ბავშვებს, შეგვეძლო სუფრის მომსახურებაში დავხმარებოდით უფროსებს და თან მოგვესმინა სადღეგრძელოები, საუბარი. მეც ვუსმენდი მათ მსჯელობას პოლიტიკაზე, ცხოვრებაზე, სიყვარულზე, ხელოვნებაზე, მეგობრობაზე, მეზობლობაზე. ამიტომაც ვიცი ჩემს გვარზე და წინაპრებზე ყველაფერი, მოსმენილი მაქვს. მე ამ ნაამბობზე ვიზრდებოდი...

— **თქვენთვის ეცალათ და განებივრებდნენ კიდეც?**

— ჩვენ ძალიან დიდ გაჭირვებაში ვცხოვრობდით. დღეს რომ ვთქვა, შეიძლება ვინმემ არც დაიჯეროს, — ასეთ მდგომარეობაში მხოლოდ ლტოლვილები ცხოვრობენ. 1938-დან 1954 წლამდე თოთხმეტმეტრიან ოთახში ვცხოვრობდი ყოფილი ძერჟინსკის ქუჩაზე, იმ სახლში, სადაც ახლა კოტე მარჯანიშვილის მემორიალური დაფა კიდია. დედას ფული არ ჰქონდა, რომ იატაკი დაეგო და ბეტონის იატაკი გვქონდა. იქიდან მოყოლებული, ფეხები ახლაც მაწუხებს. ის ხალხი, ვისზეც ზემოთ გესაუბრებოდი, რეპრესირებულები იყვნენ. ბევრ მათგანს ოჯახის წევრები გადასახლებული და დახვრეტილი ჰყავდა, ხალხის მტრებად ითვლებოდნენ. ყველანი ისეთ პირობებში ცხოვრობდნენ, როგორშიც ჩვენ. დედაჩემის უფროსი და — თამარ ბაგრატიონი, ძმა — ჯანო, უმცროსი და ნატო... როცა „ცისფერყანწელებს“ დაერივნენ, ნიკოლო მიწიშვილიც, დეიდა თამარის მეუღლე, წაიყვანეს, თავად კი გადაასახლეს. თამარი ისეთი ლამაზი ქალი იყო, რომ უჩა ჯაფარიძემ თამარ მეფის პორტრეტი დახატა მისი სახის მიხედვით. ღია ბარათებზეც კი დაიბეჭდა. ჩამოვიდა გადასახლებიდან (მაგადანიდან) დაკოჭლებული. ხის გადამუშავებაზე უმუშავია 7-8 წელი და იქ მიუღია ტრავმა. ძია ნიკოლო კი საერთოდ გაქრა — ველარაფერი გავიგეთ მისი. ძია ჯანო — ცნობილი ქორეოგრაფი იყო. სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი მიდიოდა გასტროლებზე ინგლისში, ის თვითმფრინავიდან ჩამოსვეს წარმომავლობის გამო... ჩემს ახლობლებს უჭირდათ, მაგრამ სულით არ გატეხილან. ასეთ ხალხში ვიზრდებოდი. თოთხმეტმეტრიანი ბინიდან მერე სხვა ბინაში გადავედით. პირველ ბინას „სამზარეულო-ბინას“ ვეძახდი, იმიტომ, რომ სამზარეულოში ვიყავით შესახლებულები. მეორეს — „დერეფანი“ დავარქვი, 8 კვადრატული მეტრი იყო, ოღონდ ხის იატაკი ჰქონდა და ამით ბედნიერები ვიყავით, სიგანე — 2,5 მეტრი ჰქონდა... ნეტავ რანაირად ვეტეოდით? ერთი ლოგინი გვედგა, მეორეს ველარ ვატევდით. ამიტომ ვიყიდეთ „ლეჟანკა“ და დედა იმას იშლიდა ხოლმე. 3 კარი გვქონდა, ერთ-ერთი — ფანჯრის მაგივრობას გვიწევდა. ამიტომ განებივრებასთან დაკავშირებით ვერაფერს გეტყვით. ამ პირობებში ეს შეუძლებელიც იყო. ისეთი მშიერი ბავშვობა მაქვს გამოვლილი, დღემდე გამომყვა ერთი ჩვევა, — სუფრას რომ ვშლი, მინდა ბევრი საჭმელი „დავყარო“. მეკითხებიან: ამდენი საჭმელი რად გინდა, სულ ოთხი კაცი ვართ, ან შვიდი კაცი ვართო... მე კი სულ მგონია, რომ ვიღაცას რაღაც არ ეყოფა, დააკლდება.

— **განებივრებაზე რომ გკითხეთ, სიყვარულსა და ყურადღებას ვგულისხმობდი...**

— სიყვარულით განებივრებული ვიყავი, იმიტომ, რომ მეც ყველა მიყვარდა. გულკეთილი ვარ. დამნაშავე უნდა დაისაჯოს, მაგრამ მერე მტკივანზე ფეხი არ უნდა დააჭირო... მე ასე ვცხოვრობდი. პატიება ვიცი. ეს იშვიათი თვისება ყოფილა, თურმე ყველას არ შეუძლია. ეს დედის მხრიდან გამომყვა. დედა მორწმუნე იყო და 40 წელიწადზე მეტხანს ეკლესიაში გალობდა. სკოლიდან ეკლესიაში შევირბენდი ხოლმე, დედას შევუვლიდი. სკოლაში რომ მეკითხებოდნენ, დედაშენი სად მუშაობსო — ეკლესიაში-მეთქი, ვპასუხობდი. ეკლესიას დიდი ძალა აქვს. იქ ისეთი სიწყნარეა, ცუდი კაცი დიდხანს ვერ გაჩერდება... თავის თავთან პირისპირ დარჩენა გაუჭირდება... მახსოვს, კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე: თეთრი, გამჭვირვალე კანი ჰქონდა და უსპეტაკესი წვერი... ძალიან ლამაზი იყო. რამდენჯერმე მომეფერა კიდეც... რომ გითხრათ, ახლაც ეკლესიურად ვცხოვრობ, ყოველდღე ტაძარში დავდივარ-მეთქი, ტყუილი იქნება, მაგრამ მე ღმერთით ვცხოვრობ... ეკლესიასა და ღმერთზე რომ ვლაპარაკობ, ესე იგი, რაღაცის იმედი მაქვს. როცა გულნატკენი ვარ ან ვიღაც გარდამეცვლება, ტაძარში შევდივარ, რომ მარტო დავრჩე, ჩავფიქრდე, რაღაც ვუთხრა ჩუმად გარდაცვლილ ახლობელს. ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ვისაც ეს უგრძნია, სისაძაგლეს ვერ ჩაიდენს.

— **ადამიანობაც ეს არის, ტაძარში საკუთარ თავთან დარჩენას და მერე კეთილი საქმის კეთებას რომ მოგთხოვს სული. ასე არ არის?**

— ადამიანად იმიტომ იბადები, რომ გიყვარდეს სამშობლო, მოყვასი, ოჯახი, მეგობარი, მეზობელი... პატრიოტიზმზე რომ ლაპარაკობენ ხოლმე, სულ ერთი რამ მახსენდება: რეზო თაბუკაშვილმა თქვა არეულობის დროს: — ხალხნო, პატრიოტობა პროფესია არ არისო! ეს მეტად შინაგანი რამ არის... ჩემიანები სულ მეუბნებიან: — ოჯახი ყველაზე ბოლო ადგილას გაქვს დაყენებული, სამშობლოს, მეგობრების, მეზობლების შემდეგო... მომწონს ასე... მე ყველა მათგანისათვის შემიძლია თავი დავდო. ადრე, „წითლების“ დროს, იდეოლოგიურ მუშაობას რომ ეწეოდნენ, გვეცინებოდა, ახლა რომ საერთოდ არ არის იდეოლოგია, შეიძლება? ამას ვგულისხმობ, რომ ვამბობ, ახალგაზრდებზე არავინ ფიქრობს-მეთქი. ბავშვმა უნდა მოისმინოს და დაინახოს ის, რაზეც ჩვენ ვსაუბრობთ, თორემ ნელ-ნელა ყველაფერი დაავიწყდება, თვით სამშობლოც კი. ამერიკაში ცხრაჯერ ვარ ნამყოფი. ამერიკელებს ვიცნობ. მათ არ იციან, რა არის ეროვნება. რომ ავუხსენი, მითხრეს: ბებიაჩემი ირლანდიელი ყოფილაო, ან ბაბუა — რუსიო, თვითონ ამერიკელია. გუშინ მე და ჩემი მეუღლე ვსაუბრობდით. პირადობის მოწმობა გამოსაცვლელი მქონია. მეუღლემ მითხრა, — არ მინდა გამოვცვალოო. რატომ-მეთქი? აქ ქართველი მიწერია, ახალში არ წერენო. ჩვენ ცოტანი ვართ. შეიძლება პოლიტიკურად გამართლებულია, რომ ეროვნება არ ჩაიწეროს, მაგრამ რა ვქნა... მე მინდა, რომ ქართველი მეწეროს. მეამაყება ეს. მინდა ახალგაზრდებსაც ეამაყებოდეთ.

— **მეზობლები ახსენეთ რამდენჯერმე — ძველ მეზობლებთან ისევ გაქვთ კავშირი?**

— როგორ არა. ბოლო წლებში დედა ვერაფრით ვერ გადმოვიყვანე მთაწმინდის სახლიდან აქეთ. ბინაც კი მისცეს ცალკე და უარი თქვა, უმეზობლებოდ ყოფნა არ შემიძლიაო. შესანიშნავი ქალბატონი გვყავდა მეზობლად — ციალა. როცა მთაწმინდაზე ის სახლი დაანგრიეს, ყველამ დაიწყო ბინის ძებნა, რომ დროებით ექირავებინათ. დედაჩემმა გამომიცხადა: მე ციალას ვერ მოვცილდებიო. მაშინ ვიქირავეთ ბინა, სადაც დედაჩემი და ციალა თავისი ოჯახით ერთად იცხოვრებდნენ... აქვე გიამბობთ მეორე ამბავს: რუსეთში, ჩემს მეგობარს მეუღლე გარდაეცვალა. ჩავფრინდი დაკრძალვაზე, როგორც წესია, სასახლის სახურავი სადარბაზოში იდო. ჩამოვიდა ერთი მეზობელი და ერთი ამბავი დააწია: შეიტანეთ სახლში, ჩემთან სტუმრები უნდა მოვიდნენ და ამისი დანახვა არ ესიამოვნებათო... ჩვენთან ჭირში ყველა კარი იღება... კიდევ ერთ ამბავს გიამბობთ და მიხვდებით, რას ნიშნავს მეზობლობა თბილისელი კაცისთვის. ეს ჩემი მეგობრის, ომარ მხეიძის მონაყოლით ვიცი: — ცოლი რომ ვითხოვე, ჩემს პატარა ბინაში ქორწილის გადახდა შეუძლებელი იყო, რესტორნის ფული კი ჩვენ არ გვქონდაო... მეზობლებმა კედელი გაანგრიეს და ჩემი ოროთახიანი ბინა ხუთოთახიანი გახდა, ქორწილიც გადავიხადეო.

ახლა წიგნს ვწერ ჩემს ცხოვრებაზე, რუსებმა შემიკვეთეს. ეს ამბავი მოთხრობილი მაქვს იმ წიგნში.

— **წიგნს ქართულად წერთ თუ რუსულად?**

— რუსულად ვწერ. რუსული სკოლაში არ მისწავლია. ჩვენს ეზოში იყო დეიდა რაია, არ ვიცი, საიდან ჩამოვიდა, განათლებული ქალი იყო. მან მიმაჩვია წიგნსაც და რუსულ ენასაც. დღემდე მომყვება მისი ნასწავლი. ჯერ რუსეთში გამოვა ჩემი წიგნი, მერე — ვეცდები, საქართველოში გამოცემის უფლებაც მოვიპოვო.

— **რა გაქვთ ყველაზე ძვირფასი?**

— წმ. ნინოს ორდენი, რომელიც დედაჩემს პატრიარქმა გადასცა...

— **რაიმე ნივთი თუ გაქვთ, რაც თქვენს შემოქმედებით წარმატებასთანაა დაკავშირებული?**

— ძალიან მინდოდა მქონოდა, „არ იდარდოში“ რომ „პროპოშნიკია“. არ მომცეს, რეკვიზიტებში იყო აღრიცხული. შემეძლო, მომეპარა, მაგრამ...

— **ეს ფილმი განსაკუთრებით გვიყვარს ყველას...**

— ამ ფილმში ჩემი შერჩევა საინტერესოდ მოხდა. გია დანელიას სცენარი მზად ჰქონდა, მე არც მიცნობდა. მისი დედა — ვერიკო ანჯაფარიძის და იყო. მას უთქვამს შვილისთვის — თბილისში არის ერთი ბიჭი, ბუბა კიკაბიძე, ის ნახეო. ჩამოვიდნენ და მიმიწვიეს სინჯებზე. მივხვდი, არ მოვეწონე გია დანელიას. მეც არ მომეწონა. მაშინ სიყვითლე ახალი გადატანილი ჰქონდა, საშინლად გამოიყურებოდა... კვირა დილა იყო, მახსოვს. მითხრა: — იყვირეო! რატომ უნდა ვიყვირო, ხალხი გაიღვიძებს, უხერხულია-მეთქი. მომაჩეჩეს ხელში სცენარი და დაგირეკავთო. სცენარი მომეწონა, მაგრამ გმირი, ვისზეც მსინჯავდნენ, იყო სქელი, ღონიერი, წითური, მსმელი კაცი, მე კი მას სულაც არ ვგავდი. დედამისისთვისაც უთქვამს გია დანელიას ჩემზე, არ მომეწონაო. მას გაუპროტესტებია: — არ შეცდე, სწორედ ეგ ბიჭი გამოგადგებაო. ვერ გავიგე, რატომ მეუბნებოდაო, — მითხრა მოგვიანებით გია დანელიამ, — თანაც მას რომ უქებენ ვინმეს, არ მოსწონს. მეორე დღეს თავის ნათესავებთან წამიყვანა სტუმრად, ჩამოვიარეთ ოჯახები. თურმე მაგისი „სინჯები“ ეგ იყო, მაგ „სინჯებით“ ამირჩია. „არ იდარდოს“ შემდეგ წამოვიდა და წამოვიდა შემოთავაზებები, გული მწყდება, რომ საქართველოში არ მათამაშებდნენ ფილმებში. გია დანელია „მოსფილმში“ იღებდა...

— **როცა იღლებით, გული საით გიწევთ?**

— თბილისში. ეს ქალაქი ჩემთვის ცოცხალ არსებასავით არის, უმისოდ დიდხანს ვერსად ვჩერდები, ყველგან მბეზრდება, ცუდად მძინავს, ეს უნიკალური ქალაქი იყო. დღეს ვერ ვიტყვით ამას, ჩვენდა საუბედუროდ, დღეს გაუგებარი ქალაქი გახდა. გერმანელები მყავდნენ სტუმრად. ქალაქში გავასეირნე, გავაცანი მხატვრები, პოეტები... ერთმა თქვა: დიდი კოლბა უნდა იშოვოთ და დაახუროთ თბილისს, რომ არავინ ხელი არ ახლოს, არ დაამახინჯოსო. ჩვენ კი გავაფუჭეთ უკვე. მენატრება ის თბილისი, რომელშიც რკინის კარი არავის ჰქონდა. არც გისოსებს აკეთებდნენ, არც ჩახლაფორთებული ინგლისური საკეტები ეყენათ. შუაღამისას ღიღინი შემომესმებოდა. გავიხედავდი — გოგო-ბიჭები ჩაივლიდნენ მხიარულად... დააკაკუნებდი, კარს გაგიღებდნენ, წყალს დაგალევინებდნენ. ახლა „გლაზოკებში“ ვიყურებით. დღეს ქუჩაში ბიჭები კარგ გოგოს აღარ უყურებენ, ყველას თავისი დარდი აქვს, თვალები აქვთ ჩამქრალი. ერთი ნარკომანი იყო თბილისში, დიდუბეში ცხოვრობდა, გაგებული გვქონდა სახელი, ბიჭები სანახავად წავედით... გვინდოდა გვენახა, როგორი იყო. ახლა რა ხდება, რამდენია ნარკომანი... ეს ტრაგედიაა.

— **სცენაზე გასვლის წინ ისევ ღელავთ?**

— ღელვა მოგვიანებით ვიცი, როცა კონცერტი უკვე დამთავრებულია. ერთი რამ გამომიმუშავდა: დარბაზში კონცერტამდე საათ-ნახევრით, ორი საათით ადრე მივდივარ. დავდივარ სცენაზე, ყველაფერს ხელს ვკიდებ. ასეთი ჩვევა მაქვს. კარგად უნდა ვიცოდე, სად ვარ. ჩემს ახალ სახლშიც კი სამი თვე ვერ დავიძინე, დღისით აქ ვიყავი, ღამით ჩემს ძველ, დანგრეულ სახლში ვიძინებდი... ვერაფრით დამტოვეს აქ. ფართს ვერ შევეჩვიე. სამი თვის შემდეგ მაგრად დამათვრეს და დამტოვეს.

— **ცოტა ხნით დაბრუნდით თქვენს 15 კვმ-იან ბინაში. მაშინ თუ იფიქრებდით, ამხელა პოპულარობას რომ მიაღწევდით და ასე იცხოვრებდით?**

— ცუდად არ გამიგოს მკითხველმა. რატომღაც დარწმუნებული ვიყავი ჩემში. ფილარმონიაში რომ მივედი და არ მიმიღეს, მაშინაც გამიკვირდა, — სულელები ხომ არ არიან, მე როგორ არ მიმიღეს-მეთქი? ახლა არ მომწონს, მაგრამ რა ვქნა, ასე ვფიქრობდი და... დარწმუნებული ვიყავი, ესტრადას ვჭირდებოდი. ოც წელს გადაცილებული ვიყავი, როცა მივხვდი, რომ უნდა მემღერა... ამის მერე წარმატება არ გამკვირვებია. ათი წელი დამჭირდა. ჩემი სიმღერისთვის რომ მიმეგნო — ეს „მეფაიტონე“ იყო. ყოველთვის კარგი პოეტების ლექსებზე ვმღეროდი. დღეს არ არსებობს შეზღუდვა და, საუბედუროდ, ვინ რას მღერის, ვერ გაიგებთ. სცენაზე გამოსვლის უფლება თუ მოგცა ღმერთმა, რაღაც უნდა მოიტანო ისეთი, რომ მაყურებელმა წაიღოს თან. ეტყობა, ვფიქრობდი, რაღაც მეც უნდა მომეტანა და მჯეროდა ამისი...

***ლელა ჯიყაშვილი***



# ᲘᲡᲘᲜᲘ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲮᲜᲘᲗ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ

## ომეხი ჩემი ბედისწერაა!



ამ რამდენიმე ხნის წინ მეხივით გავარდა ხმა: სამართალდამცველების მიერ ჩატარებული ოპერაციისას აფრასიძეები დაიხოცნენო. აფრასიძეების ოჯახი რომ წლების მანძილზე „აუღებელი ციხე“ იყო, ყველამ კარგად იცოდა. მათ უკან მრავალი გახმაურებული თუ გაუხმაურებელი დანაშაული იმალებოდა...

რატომ და როდის ხდება ადამიანი დამნაშავე — ეს დაზუსტებით არავინ იცის. იქნებ მაშინ, როცა დაუმსახურებლად შეურაცხყოფენ, გამზრდელს შეუგინებენ და სულში ჩააფურთხებენ, ან იქნებ მაშინ, როცა საკუთარი თავის ან ოჯახის გადასარჩენად იარაღს აიღებს ხელში, ან სულაც მაშინ, როცა არქონისა და უკმარისობის გრძნობა გულში ბოროტებას ჩაუბუდებს და სხვისი სიხარული აღარ უხარია.

ახლა სულაც არ ვაპირებ აფრასიძეთა კლანის და ცხოვრების განხილვას. უბრალოდ, მინდა მათი ნაბოლარა ვაჟის — ომეხის სიყვარულზე გიამბოთ. ამის გამომზეურების უფლებას ვერასოდეს მივცემდი თავს, რომ არ ყოფილიყო ჩემი მეგობრის ნებართვა.

დიახ, ჩემს მეგობარ ნინოს და ომეხს ერთმანეთი უყვარდათ.

მართალია, მათ შარშან გაიცნეს ერთმანეთი, მაგრამ განა, დიდი გრძნობა დღეთა სიმრავლით აიწონება? ადამიანის სიცოცხლეში ერთმა მცირე მონაკვეთმა (დღემ, თვემ ან წელიწადმა) შეიძლება დაჩრდილოს მთელი მისი ცხოვრება და სიკვდილამდე ის პერიოდი ისე ახსოვდეს, როგორც ალმაფრენა.

მე მათი გრძნობის დაბადებაც მახსოვს და გაღვივებაც. ნინო ხომ ომეხთან ყოველ შეხვედრას და საუბარს აღტაცებით მიყვებოდა.

მართალი გითხრათ, გულში მიკვირდა კიდეც, ნეტავ, რა დაინახა ბანდიტად შერაცხულ ადამიანში ამ ნათელმა გოგომ-მეთქი. ორი, ურთიერთსაწინააღმდეგო აზრი ფუთფუთებდა ჩემს გონებაში: დრო თავისას გააკეთებს, ან დააშორიშორებს მათ, ან სიყვარული იძალებს და სულ სხვა გზაზე დააყენებს „სახელგანთქმულ“ აფრასიძეს-მეთქი, ამიტომაც ასეთ ვითარებაში გულის გამაწვრილებელი რჩევა-დარიგებისგან თავს ვიკავებდი, ყურადღებით ვუსმენდი ნინოს და მოუთმენლად ველოდი მათ კითხვადქცეულ მომავალს.

ნოდარ დუმბაძეს უთქვამს: „ადამიანი ფრესკა არ არის, რომ ერთ სიბრტყეში უყურო. ადამიანს, როგორც ქანდაკებას, ისე უნდა შემოუარო გარშემო და იმ კუთხიდან უმზირო, რომლიდანაც ყველაზე ლამაზად იმზირება“.

დარწმუნებული ვარ, ამქვეყნად არ არსებობს ბოლომდე ცუდი ადამიანი, თითოეულს გააჩნია რაღაც ნათელი წერტილი. მთავარია, გვქონდეს ნიჭი იმისა, რომ ერთმანეთში „ნათელი წერტილები“ აღმოვაჩინოთ. ნინომ ეს შეძლო და ამ „აღმოჩენით“ უსაზღვროდ ბედნიერი იყო.

რაც დრო გადიოდა, ვატყობდი, რომ ნინო უფრო და უფრო მეტს „პოულობდა“ სისასტიკით განთქმულ ომეხში. „იცი, რა ყურადღებიანია?“ „ისეთი თავაზიანი და მორიდებულია, ვერც კი წარმოიდგენ,“ „ძალიან გულჩათხრობილი და სევდიანია, მაგრამ ვატყობ, ჩემთან სურს ხოლმე გულის გადაშლა“, — მიყვებოდა ნინო და ვგრძნობდი, იგი უკვე იმ „კუთხიდან“ უმზერდა საყვარელ ადამიანს, რომლიდანაც მართლაც „ყველაზე ლამაზად იმზირებოდა“.

რახან მეგობრისგან თანხმობა მივიღე, თხრობასაც თავიდან დავიწყებ:

ნინოს ბევრი ახლობელი ჰყავდა სვანეთში, ყოველთვის ეპატიჟებოდნენ თავისთან და სთხოვდნენ, ცოტა ხნით მაინც მოეცალა და წასულიყო მათთან სტუმრად. როგორც იქნა, მანაც გამონახა დრო. ჩასვლისთანავე, პირველივე დღეს ნახა ომეხი, ოღონდ ეს შეხვედრა შემთხვევითი იყო. ნინოს ბევრი რამ გაეგონა აფრასიძეებზე, მათ უმცროს ბიჭზე, მაგრამ პირადად არც ერთს არ იცნობდა. როცა მასპინძლებმა ჩასჩურჩულეს, ესაა ომეხიო, მის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. ნინოს წარმოდგენაში ომეხ აფრასიძე ტიპური სვანი, მთებში გაზრდილი, უფრო ასაკოვანი და გოლიათური აღნაგობის უნდა ყოფილიყო. მის წინ კი მაღალი, გამხდარი, გემოვნებით ჩაცმული, შავ ტანსაცმელში გამოწყობილი, შავსათვალიანი და ხელჯოხიანი 32 წლის ახალგაზრდა კაცი იდგა... ნინოს მასპინძლები და ომეხი მეგობრები იყვნენ. ომეხმა ყველა თავისთან მიიპატიჟა მეორე დღეს, რადგან იმ საღამოს ერთ-ერთ ოჯახში უკვე სუფრა იყო გაშლილი და ელოდებოდნენ.

მეორე დღეს ეცერში ისევ სხვის ოჯახში სტუმრად მყოფ ნინოს და მის სამეგობროს მოულოდნელად მიაკითხა ომეხმა. უცებ გაიბა ნინოსა და ომეხს შორის უხილავი სიმები. ცოტა ხანში ვაჟმა გოგოს ხელი მოჰკიდა და მანქანაში ჩაისვა. გულგახეთქილმა მასპინძელმა წინააღმდეგობის გაწევა ვერ შეძლო, მაგრამ შეშფოთებით მაინც იკითხა: სად მიგყავსო? „ჩემთან, სახლში!“ — მოკლედ მოუჭრა ომეხმა და მანქანა მოწყვეტით დაძრა ადგილიდან. რა ხდებოდა ამ დროს ნინოს გულში? მას ეშინოდა და ხმის ამოღებას ვერ ბედავდა, თუმცა შინაგანი ხმა ჩასძახოდა, რომ ამ სიტყვაძვირი კაცისგან არანაირი საშიშროება არ ელოდა.

ეზოში ომეხის დედა, ქალბატონი დოდო შემოეგებათ (ნინო დღემდე დიდ პატივს სცემს ამ გულთბილ და სტუმართმოყვარე ქალს). მერე სუფრასთან მიიწვიეს სტუმარი, მაგრამ დიდხანს არ გაჩერდნენ და აივანზე განმარტოვდნენ. დიდხანს, ძალიან დიდხანს ისაუბრეს. საოცრად დარდიანი ეჩვენა ნინოს ომეხი. საღამო ხანს, მანქანით მესტიაში ჩაიყვანა ომეხმა ნინო... ისინი ხშირად არ ხვდებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ ყოველი შეხვედრისას ომეხი განსაკუთრებულ ყურადღებას ამჟღავნებდა ნინოს მიმართ. ყველა ატყობდა, რომ ომეხს ახალგაცნობილი გოგო რაღაცით იზიდავდა. მას მხოლოდ ძალიან ახლო მეგობრები უბედავდნენ გახუმრებას. ომეხ, რაშია საქმე, ფრანგული ოდეკოლონის სურნელს რომ აფრქვევო? თბილისში ჩამოსულ ნინოს თითქმის ყოველდღე, ზოგჯერ კი დღეში სამჯერ ურეკავდა. მოგვიანებით, აწ განსვენებული გია ლომია (ომეხის მეგობარი) ნინოს უყვებოდა: ხომ იცი, ეცერში ან ეცერიდან ჭირს მობილურით დაკავშირება. ამიტომ, მე და ომეხი შენთან დასარეკად სად აღარ ავდიოდითო.

სვანეთში მეორედ 28 ივლისს წავიდა ნინო. ამ დღეს ომეხის დაბადების დღე იყო. იმ პერიოდში უფრო დიდხანს გაჩერდა იგი მეგობრის ოჯახში. მისი და ომეხის შეხვედრები კი გახშირდა.

თბილისში დაბრუნებულმა ნინომ შემომჩივლა: — ყველაფერს ვაკეთებ იმისთვის, რომ ომეხს „წამალზე“ უარი ვათქმევინო, როგორმე გადავაჩვიო. ვატყობ, ცუდადაა და არ შემიძლია ასეთს ვუყუროო. ერთხელ მითხრა კიდეც: ამდენს რომ მეჩიჩინები, მიკვირს, რატომ რისკავ? ამდენ ლაპარაკს ვერავინ მიბედავს, შენ კი რატომღაც გისმენო. მე შენში გარეგნობა იმდენად არ მხიბლავს, როგორც ხასიათის სიმტკიცე. შენ არასოდეს იხევ უკან და პირში მეუბნები სიმართლეს. აქამდე მეგონა, მხოლოდ დედას შეეძლო ჩემი დაშოშმინება, აგრესიის განელება, ახლა კი მივხვდი, — ეს შენც შეგძლებიაო.

ნინო რომ თბილისში იყო, ომეხი ერთხელ მეც მელაპარაკა მობილურით: ვიცი, ნინო გიყვართ და ვისაც ჩემი ნინო უყვარს, ის ჩემი და არისო.

როცა ომეხისგან შორს იყო, მონატრება კი გაუსაძლისი ხდებოდა, ნინო დღიურს მიმართავდა ხოლმე. აი, რამდენიმე ჩანაწერიც:

*„2004.30.I. ხანდახან ვფიქრობ, რომ ჩვენი ურთიერთობა ბედისწერას ჰგავს. ერთი ვერ გავიგე, ომეხია ჩემი ცხოვრების ბედისწერა, თუ მე — მისი?*

*რატომ ცდილობს, იყოს სასტიკი და დაუნდობელი, როცა ბუნებით სულაც არ არის ასეთი? ჩემზე კარგად მას ხომ არავინ იცნობს? ხანდახან მასში ისეთ ფაქიზ სულს აღმოვაჩენ, რომ მეც მიკვირს. ამას წინათ, იმდენი მელაპარაკა დედაზე, სახტად დავრჩი. ყველა ქართველ ბიჭს უყვარს დედა, მაგრამ ომეხივით, მე მგონი — არავის. იგი აღმერთებს დედამისს, საფიცრად ჰყავს. გული იმაზე ეთანაღრება, რომ ბევრჯერ შეუგნებლად ვაწყენინეო...*

*ჩემნაირები გმირები არასოდეს იქნებიანო, — მითხრა ერთხელ. საინტერესოა, რა ჰქონდა მხედველობაში?“*

*„20.II. ერთი კვირაა ომეხისა არაფერი ვიცი. ჩემთვის ყველაფერი აუტანელი ხდება.*

*ხანდახან საოცარი შიში მიპყრობს. მისი არყოფნა ჩემთვის წარმოუდგენელია. ხშირად მახსენდება მისი საუბარი, სიარულის მანერა, მისი სიცილი. ნუთუ ეს ყველაფერი უნდა გამახსენდეს?*

*რაღაც უნდა გავაკეთო. ასე ყოფნა, გაჩერება არ შეიძლება. მეგობრები მეუბნებიან, რომ მას ჩემი დახმარება არ სჭირდება. ჩემი ნერვიულობის მიზეზი კი მისდამი სიბრალულია და მეტი არაფერი. რა სამწუხაროა, რომ ვერ ხვდებიან — ეს სიბრალული კი არა, სიყვარულია, რომელსაც ნამდვილად არ ველოდი. მე მიყვარს ომეხი და რახან მიყვარს, უნდა ვიბრძოლო სიყვარულისთვის. მის გვერდით უნდა ვიყო, რომ დავიცვა ნებისმიერი განსაცდელისაგან“.*

*„17.III. ძალიან, ძალიან გახარებული ვარ. მართლა დაუნებებია „წამლისთვის“ თავი. ცოტა ფერზეც მოვიდა, მაგრამ, სამაგიეროდ, სვამს და ახლა ეს მადარდებს. აღარ დავლევო, — დამპირდა, მაგრამ ვატყობ, მატყუებს. ადრინდელზე თბილი და ყურადღებიანია.*

*მიყვარხარ და ძალიან გთხოვ, არ მიმატოვოო, — მითხრა ამას წინათ. სახტად დავრჩი. ჩვენ ხომ ასე აშკარად სიყვარულზე არასოდეს გვილაპარაკია. ომეხის მიტოვებას ფიქრადაც ვერ გავივლებ, მაგრამ ეს რომ მითხრა, უფრო მეტი პასუხისმგებლობა ვიგრძენი მის მიმართ. მერე ჩემი მობილური გამომართვა და ჩაწერა „გახსოვდეს ომეხი“. რატომ აქვს ამოჩემებული „არ დაგავიწყდე“, „გახსოვდე“ ან „არ მიმატოვო“? ეს წინათგრძნობაა თუ... ვატყობ, რაღაც ავის მოლოდინშია, მაგრამ თავს მაინც ბედნიერად გრძნობს“.*

ბოლო ხანს, როცა ანტიკრიმინალური ოპერაციისათვის მზადება გახმაურდა, ნინო ეცერში წავიდა და სთხოვა ომეხს სამართალდამცველებს ჩაჰბარებოდა. ომეხი და დედამისი ამ აზრის მომხრენი იყვნენ. ევგენიმ და გოჩამ კი ნინოს რჩევა იუკადრისეს. იგი იძულებული შეიქნა აფრასიძეების ოჯახი დაეტოვებინა და მეგობრებთან წასულიყო მესტიაში.

თვალცრემლიანი გოგო მოგვიანებით უფრო დეტალურად იხსენებდა ბოლო დღეებს: „ომეხს ვუთხარი, მთელი ცხოვრება ხომ არ შეიძლება იარაღით ხელში იყოთ, შფოთავდეთ და ღამეები არ გეძინოთ. ჩაჰბარდით, რაღაცები გათვალისწინებული იქნება-მეთქი. კარგა ხანს ჩუმად მისმენდა. მივხვდი, რაღაც ხელ-ფეხს უბორკავდა. მეტ ლაპარაკს აზრი არ ჰქონდა. ავდექი და წამოვედი. ათასი ფიქრი ფუტკარივით ზუზუნებდა. გული დამიმძიმდა. კარგს აღარაფერს ველოდი. შორიდანვე დავლანდე მისი მანქანა. ომეხი შინ ვერ გაჩერდა და უკან გამომყვა. გზაზე მარტო ჩამომჯდარი რომ დამინახა, წყნარად მკითხა: აქ რატომ ზიხარო? — მესტიაში მივდივარ, ავტობუსს ველოდები, აბა, აქ რაღა დამრჩენია, მტერი გგონივარ-მეთქი. გადმოვიდა, ხელი მომკიდა და ჩუმად ჩამსვა მანქანაში. გზაში დუმდა. ბოლოს მითხრა: ნინო, იცოდე, ძალიან მიყვარხარ და მაინც, მიუხედავად ამისა, ორივეს ჩვენ-ჩვენი გზით გაგვიმარჯოსო. ყველაფერს მივხვდი — ომეხი მემშვიდობებოდა. თავი დავუქნიე, კარგი-მეთქი. მას არ დავანახვე ცრემლები, მეგობრებთან მისულმა კი ბევრი ვიტირე. ხომ თითქოს დამემშვიდობა, არა? მეორე დღესვე ჩამოვიდა მესტიაში. მე აღარ გამოვჩნდი. აფორიაქებული იქნებოდა და მის დამშვიდებას ვუცდიდი. რა ვიცოდი, რამდენიმე დღე თუ იქნებოდა დარჩენილი იმ ოპერაციამდე?.. რა ბედნიერი ვიქნებოდი, ომეხი რომ ცოცხალი გადარჩენილიყო!

ომეხი მართლაც ჩემი ცხოვრების ბედისწერა აღმოჩნდა, ისევე, როგორც მე — მისი. ძალიან მიჭირს მის გარეშე. არც კი ვიცი, ამიერიდან რაიმე თუ გულით გამახარებს. დასანანია, რომ ბევრი (სამწუხაროდ, მისი ახლობლებიც) ვერ უგებდა მას, ვერ ხვდებოდა, რაოდენ ფაქიზი სული იმალებოდა ერთი შეხედვით მკაცრი გარეგნობის მიღმა“.

P.S. ალბათ ამ სიტყვების მერე აღარც ღირს ჟურნალისტის ბოლოთქმა. დავძენ მხოლოდ ერთს: ისინი მცირე ხნის მანძილზე ამ სიყვარულით მართლაც ბედნიერები იყვნენ.

**მარინა ბაბუნაშვილი**

# ᲩᲔᲜ ᲒᲕᲬᲔᲠᲔᲜ ᲡᲐᲓᲐ ᲮᲐᲠ, ᲩᲔᲛᲝ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲑᲘᲭᲝ?

ამ წერილს გვწერს 80 წელს მიტანებული კაცი — ეძებს ნაბოლარა შვილს, რომელიც ბედის უკუღმართობით გააშვილა. წერილი მძიმე წასაკითხი აღმოჩნდა: „სადა ხარ, ჩემო პატარა ბიჭო? არ გენატრება შენი სოფელი, სადაც დაიბადე და ფეხი აიდგი ღარიბ ოჯახში? სულ უკან დამდევდი, მეძახდი... ახლა მე გეძახი. სად ხარ, ვისთან ხარ, დედით ობოლო შვილო?!.

ერთი სოფლელი, მშრომელი ბიჭი ვიყავი. ადრე დავოჯახდი. პირველი ბიჭის მერე ცა ქუდად არ მიმაჩნდა, დედამიწა — ქალამნად. ცოლი კარგი და თბილი ადამიანი იყო. ერთმანეთის მიყოლებით შეგვეძინა ხუთი ვაჟი და ერთი ქალი...

ჩემი ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა — ცოლი ხელიდან გამომეცალა. ოჯახის მთელი სიმძიმე კისერზე დამაწვა. ბავშვები პატარები იყვნენ, საქმეში ვერ შემეხიდებოდნენ... ახლობლები მიჩიჩინებდნენ: ჩვენ ჩვენი საზრუნავი გვყოფნის. მოიყვანე ცოლი და ცოტას ამოისუნთქავო. დავყევი მათ ნებას. მეორეც კარგი ადამიანი აღმოჩნდა. ჩემი შვილები გულით შეიყვარა და მეშვიდე შვილიც გამიჩინა, ნაბოლარა რამაზი. კვლავ გამიჩნდა იმედი, მაგრამ კაცი თუ ბედმა გაწირა, მისი საშველი არ იქნება. ერთი წლის მერე მეორე მეუღლეც გამომეცალა ხელიდან. ჩვენი გამკითხავი და მომხედი არავინ იყო. წვიმასა თუ ქარში, თოვლსა თუ ყინვაში გულში ჩაკრული დამყავდა ჩემი პატარა რამაზი. ველარ გავწიე მარტოხელამ ულეღი. ფარ-ხმალი დავყარე, მშობლებიც დამეხოცა და ძნელი გამოდგა შვიდი შვილის მოვლა-პატრონობა. ჩემი ასეთი მდგომარეობით ისარგებლა ერთმა თანასოფლელმა ქალმა. მოსვენება აღარ მომცა: კარგ ოჯახში „ჩავაგდებ“ შენს ნაბოლარას, საჭმელ-სასმელი არ მოაკლდება და ჩასაცმელ-დასახური, შენც საზრუნავი შეგიმცირდება. თანაც როცა გინდა, მაშინ მოინახულებ შენს შვილსო... ისეთი სასოწარკვეთილი ვიყავი, ალბათ დავეთანხმე. როცა გონს მოვედი, ჩემი რამაზი აღარ იყო ჩემთან. მერე და მერე გავაცნობიერე და აღვიდგინე ის დღე, რამაზის წასაყვანად რომ მოვიდა ის ქალი. ახლაც ყურში ჩამესმის ჩემი ბიჭის გულსაკლავი ტირილი, — შენთან მინდა, მამიკოო...

მახსოვს, მიწაზე დავეცი და ვღრიალებდი, მერე გონება დავკარგე და... უბედურზე უბედური ვარ იმ დღის შემდეგ. დრომ ვერ გაანელა ის უსაშველო დარდი. ახლაც მიკვირს, როგორ დავრჩი ცოცხალი. ვეცადე მომეძებნა, მაგრამ ის ქალი, ვინც რამაზი გულიდან გამომგლიჯა, თითქოს ცამ ჩაყლაპა. კარგა ხანს იმედი მიბჟუტავდა გულის კუნჭულში — რამაზი გაიზრდება და თვითონ მომძებნის-მეთქი, მაგრამ ძალიან დიდი დრო გავიდა, ჩემი შვილი კი არ გამოჩნდა. სიკვდილამდე რაღა დამრჩენია?

შვილო, რამაზ, წლებმა წაიღო ჩემი სიცოცხლე და სიხარული. გული ლოდინმა დალია... ეგებ მაღირსო შენი ნახვა. გთხოვ, აპატიო შენს უგუნურ და უბედურ მამას. დავითი“.

# ᲩᲣᲛᲐᲓ, ᲡᲔᲠᲘᲐᲚᲘ ᲘᲬᲧᲔᲑᲐ!..

*ამბობენ, ქართულმა ტელესერიალებმა ლათინურ-ამერიკული „საპნის ოპერები“ დაჩრდილეს, მაყურებელი ტელეეკრანს მიაჯაჭვესო. ისიც ითქვა, ბევრ სერიალომანს აღიზიანებს ახალი ქართული ტელესერიალები და მეტისმეტად მკაცრადაც აფასებსო. ყურით გაგონილს თვალით ნანახი სჯობს. ამიტომაც ვცადე, უშუალოდ მაყურებლისგან გამეგო, ვის რა მოსწონს და ვის რა არა — ქართული ტელესერიალებიდან.*

**ნელი (58 წლის):** — მე, როგორც პედაგოგი, თანდათან ვრწმუნდები, რომ ტელესერიალები მაყურებლის ტვინის უჯრედებს განვითარების საშუალებას არ აძლევს და უარყოფით შედეგებს იწვევს. ჩემმა მეორეკლასელმა მოსწავლეებმა ლამის ზეპირად იციან ყველა ტელესერიალი, სამაგიეროდ, გაკვეთილების სწავლა უჭირთ. ამ ბავშვების გონება მთლიანად სანახაობაზეა ორიენტირებული. თანაც ბავშვისთვის არასასურველზე. ამას წინათ გაკვეთილს ვუხსნიდი. ერთი უცებ წამოხტა, ჩანთა ძირს გადმოაგდო, იქიდან სათამაშო ავტომატი ამოიღო და მთელ კლასს დაუწყო ყვირილი: — დაწექით, თორემ ყველას დაგხოცავთო. აღარ გავაგრძელებ, მერე რა მოხდა... გაირკვა, რომ ბიჭუნა ტელესერიალებიდან იღებს ქცევის არანორმალურ წესებს. ნუთუ არ შეიძლება ისეთი რამ გადაიღონ, რაც მაყურებელს მიახვედრებს, რომ ცუდი ამბის განმეორება არ შეიძლება.



**ნათა (42 წლის):** — ამას წინათ ჩემი 5 წლის შვილიშვილი ვატო მეუბნება, წამლის ბარიგა უნდა გავხდეო. ბარიგა ცუდ საქმეს აკეთებს და იჭერენ-მეთქი. მეზობლის 7 წლის ლუკა ჩაგვერია — ცუდ საქმეს კი არა, ფულს აკეთებს და თუ ვინმე დაჭერას დაგვიპირებს, დავბრიდავთო. საიდან ისწავლეთ ეს საძაგლობა-მეთქი. მომიყვნენ იმ სერიალების შინაარსი, საიდანაც დაზეპირებული აქვთ ფრაზები, მოქმედებები. ასეთ ფილმებს არ უნდა უყუროთ-მეთქი. აბა, რატომ აჩვენებენო. ვეღარაფერი ვუპასუხე.

**მაკა (27 წლის):** — ძალიან მომწონს ქართული ტელესერიალები, კარგია თუ ცუდი, რაც ფილმებში ხდება, უცხო არავისთვის არის და მიკვირს, რატომ არ მოსწონთ ფილმებში იმის ნახვა, რასაც სინამდვილეში გულგრილად უყურებენ. იქნებ, სჯობდეს, ასე გამოვიტანოთ სააშკარაოზე ის მანკიერებები, რაც გვანადგურებს. იქნებ ზოგიერთმა გულუბრყვილო მშობელმა მეტი ყურადღება მიაქციოს შვილს და არ დაუჯეროს შინ გათენებისას დაბრუნებულს, მეგობარს უჭირდა და მასთან ვიყავიო. სინამდვილეში კი ღამის კლუბებში ან სადღაც უბედურებაში აკრძალულ ხილს უსინჯავდა გემოს. ვისაც ქართული ტელესერიალები არ მოსწონს, ასე მგონია, საკუთარი შეცდომები დაინახა მათში და ამის აღიარება არ სურს.

**ანა (19 წლის):** — არ მომწონს სერიალები, განსაკუთრებით, ქართული. აღვირახსნილობას და გარყვნილებას უწევენ პროპაგანდას. უცხოური კიდევ კათოლიციზმს და მაჰმადიანობას ქადაგებს. არ შეიძლება ქართველებმა სათნოებაზე, სიყვარულზე, ღვთისმოშიშ ადამიანებზე გადაიღონ ფილმები? ჩვენს მეზობლად ჩეჩნები ცხოვრობენ. სანამ ბრაზილიური ტელესერიალი „კლონი“ დაიწყებოდა, ერთ-ერთი მათი გოგონა თავშალს არ ატარებდა. ახლა კი თავწაკოჭილი დადის და ქართველ თანატოლებს ყურანს გვიკითხავს. ეს ჩემი მეზობლებიც, ბრმად, როგორც მოდას, ისე იღებენ მათი ქცევის, ჩაცმის წესს, მუცლით როკვას სწავლობენ და დიდება ალაჰსო, იძახიან. ასე არ შეიძლება. ჩვენს თაობას არც სკოლაში ჰყავდა პატრონი, არც მშობლებს ეცალათ და ტელევიზიამ და საზოგადოებამ მაინც უნდა იზრუნოს ჩვენზე.

**ეკა ლომიძე**

# „პრეზიდენტი“ ვარ, ბოლოს და ბოლოს!..



## „ოქრუაშვილს ამ ინტერვიუს წასაკითხად არ ეცლება“

*ექსპრეზიდენტ შევარდნაძესთან საერთო მხოლოდ ზოდიაქოს ნიშანი აქვს. პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან კი — საოცარი ფიზიკური მსგავსება. თითქმის ერთნაირად დადიან. მის გვერდით უნდა იფრინო. სხვანაირად ფეხს ვერ აუწყობ, უყვარს საუბრის დროს ხელების შლა და ქნევა. და საერთოდ,* ***მამუკა ლომაშვილთან*** *ხუთწუთიანი ურთიერთობაც საკმარისია იმისათვის, რომ დაიბნე და საკუთარ თავს ჰკითხო — ნეტავ, ვინ არის ეს კაცი, ნუთუ პრეზიდენტის ორეული? ფაქტობრივად, ასეა. თანაც მის ოჯახში თურმე კიდევ ერთი პატარა ლომაშვილი იზრდება, მამუკას ძმისშვილი, რომელიც ძალიან ჰგავს ბიძას და ქვეყნის პრეზიდენტსაც, ამიტომაც ბავშვს ნამდვილი სახელის ნაცვლად ყველა პატარა მიშას ეძახის.*

**— მამუკა, მიხეილ სააკაშვილთან შენი გარეგნული მსგავსება ნათელია. მენტალიტეტით, მსოფლმხედველობით, პროფესიით თუ გაქვს მასთან საერთო?**

— დავიწყოთ იქიდან, რომ იურიდიულ ფაკულტეტს ვამთავრებ წელს. ვარ საარჩევნო მენეჯერი და აგრარულ უნივერსიტეტში ჩემი ინიციატივით ჩამოყალიბდა პოლიტიკური დებატ-კლუბი, რომელმაც ბევრი საჭირბოროტო საკითხი მოუგვარა სტუდენტებს.

**— პოლიტიკოსობას ხომ არ აპირებ?**

— წინასწარ ვერაფერს გეტყვი. ამას წინათ ერთ-ერთი საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ ჩატარებულ სემინარზე რუსმა პოლიტოლოგმა ბორის პეტრენკომ, რომელსაც ძალიან დავუახლოვდი, მითხრა: — რა გინდა პოლიტიკაში, თეატრალურზე წადიო. თუმცა, არც ის დაუმალავს, რომ სემინარებზე კარგი შედეგები მქონდა. დრო მიჩვენებს, რაზე ღირს არჩევანის შეჩერება. ისე კი საქართველოში პოლიტიკა ყველა სფეროს მოიცავს, სადაც არ უნდა იყო, მასთან შეხება ყოველთვის გექნება.

**— პრეზიდენტმა რამდენიმე ენა იცის. თითქმის ყველა ეროვნების სტუმარს მის მშობლიურ ენაზე ესაუბრება. ამ მხრივ თუ გაქვს საერთო მასთან?**

— მიუხედავად იმისა, რომ ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში „იუმორინაზე“ ჩინურადაც ვსაუბრობ, პრეზიდენტ სააკაშვილს პოლიგლოტობაში ვერ შევედრები, თუმცა (ეცინება), მაგის ასაკამდე დიდი დრო მაქვს, ჯერ მხოლოდ 22 წლის ვარ, აი, მერე, წლების მერე ნახავთ როგორ „ვიჭიკჭიკებ“.

**— პირველად ვინ აღმოაჩინა შენი და სააკაშვილის მსგავსება?**

— მე-11 კლასში ვიყავი, როდესაც სააკაშვილი პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე გახდა. მაშინ აღმოაჩინეს ჩემმა მეგობრებმა, რომ გარეგნულად ძალიან ვგავდი მას. ზოგი „მლადში სააკაშვილს“ მეძახდა, ზოგიც — პატარა მიშიკოს და ა.შ. ახლა ვცდილობ, მასავით არ ვიარო, ხელებიც ისე არ ვიქნიო, როგორც მას ახასიათებს. არადა, ჩემთვისაც ორგანულია ეს თვისებები. მაგრამ მას შემდეგ, რაც ჩემი ამბავი „გასკდა“, თავს უხერხულად ვგრძნობ და ვცდილობ, პრეზიდენტს მხოლოდ სცენაზე ვგავდე. ერთხელაც მხიარულთა და საზრიანთა კლუბების საუნივერსიტეტო შეჯიბრში სააკაშვილის პაროდია წარმოვადგინე და საზოგადოების მხრიდანაც არ დაახანა შესაბამისმა რეაქციამ. მერე „ღამის შოუში“ მიმიწვიეს, მერე „იუმორინაში“ და ჯერჯერობით პოლიტიკისა რა მოგახსენოთ, მაგრამ სცენაზე მიმართლებს. თუ ჟვანიას „ასამდე“ პაროდისტი ჰყავს, „სააკაშვილი“ მხოლოდ მე ვარ.

**— თვითონ პრეზიდენტს თუ შეხვედრიხარ?**

— არა. მაგრამ ქალბატონი სანდრა იყო „იუმორინაზე“. მგონი კმაყოფილი დარჩა, არაფერი უთქვამს, რას ფიქრობს ჩემზე პრეზიდენტი, მაგრამ თვითონ ძალიან თბილად შემხვდა. ისე, პაროდისტის ამპლუა მეხამუშება, ცნობილი მსახიობების გვერდით ვდგავარ სცენაზე და თავს უხერხულად ვგრძნობ.

**— მიხეილ სააკაშვილი პარლამენტის წევრებიდან ჯერ კომიტეტის თავმჯდომარე გახდა, მერე მინისტრი, საკრებულოს თავმჯდომარე და ბოლოს პრეზიდენტი. იქნებ მსგავსი ამბიციები შენც გაქვს, „იუმორინაში“ არ ეშინიათ შენი?**

— რას ამბობთ, მაგაზე არასოდეს ვიფიქრებ, რადგან ჩემი აზრით, ჯემალ ბაღაშვილიც შეუცვლელია და გივი ბერიკაშვილიც, სანამ თავად მათ არ მოსწყინდებათ ამ „თანამდებობაზე“ ყოფნა. „იუმორინას“ ახალგაზრდული ფრაქციის თავმჯდომარე გია ბატიაშვილიც შესანიშნავი პიროვნებაა. არც მას „ვუპირებ“ გადაყენებას (ეცინება).

**— როგორ ფიქრობ, პრეზიდენტის ცხოვრება იოლია?**

— უჰ, რომ წარმოვიდგენ, პრეზიდენტს რამხელა პასუხისმგებლობა აქვს, სუნთქვა მეკვრის. მის ადგილზე რომ ვიყო, მგონია, გავისრისები. ამიტომაც ვფიქრობ, მე უფრო თავისუფალი ვარ, ვიდრე პრეზიდენტი. თუმცა, მას შემდეგ, რაც მის პაროდირებას ვეწევი, უფრო შებოჭილი გავხდი, ადრინდელი სილაღე თითქოს აღარ მაქვს. „პრეზიდენტი“ ვარ, ბოლოს და ბოლოს!..

**— მიხეილ სააკაშვილი ძალიან ონავარი ბავშვი ყოფილა, შენ როგორი იყავი?**

— აკიმი, აკიმი. ერთხელ, სამი წლისაა, დედას ეზოდან გამოვპარვივარ, ავსულვარ ცხრასართულიანი სახლის სახურავზე და იქიდან გამვლელებს ვუქნევდი თურმე ხელს, ისე, როგორც ჩვენი პრეზიდენტი ესალმება ხალხს. მაშინ სასწაულმა გადამარჩინა. ახლა მეშინია იმ კიბეზე ასვლის, მაშინ თურმე ძირს საბნებს მიფენდნენ, გადმოვარდნის შემთხვევაში რომ გადავრჩენილიყავი.

**— პრეზიდენტი არ მალავს თავის სიმპათიებს სუსტი სქესის მიმართ.**

— მეც ძალიან მიყვარს ქალები. განსაკუთრებით ქართველი ქალები. თუმცა, წინასწარ ვერაფერს ვიტყვი, შეიძლება ცხოვრება არაქართველსაც დავუკავშირო. მარხვაა და მეტს ვერაფერს გეტყვით ამ საკითხზე. ამ დროს ჩემს თავს არშიყობის უფლებასაც არ ვაძლევ, მიუხედავად იმისა, რომ თაყვანისმცემელი გოგონების სიმცირეს ნამდვილად არ განვიცდი.

მამუკასთან საუბრისას მისი მეგობარი და ლექტორიც შემოგვიერთდნენ და საინტერესო ამბებიც მომითხრეს საკუთარ თავზე არცთუ ენაწყლიან რესპონდენტზე.

**თამუნა ლოლაძე:** — ვფიქრობ, ჩვენს პრეზიდენტს ნაფიქრიც კი არ ჰქონდა რევოლუციაზე, როცა მისი პატარა ორეული უკვე აწყობდა რევოლუციებს. აგრარულ უნივერსიტეტში თითქმის ყველა სიახლე მას უკავშირდება. სტუდენტური კავშირის თავმჯდომარის არჩევა მისი ინიციატივით მოხდა. მანამდე ლექტორატი ნიშნავდა. ეს მოხდა 2001 წელს. მის დებატ-კლუბში შესაძლებელია ჩვენი უფლებების დაცვა და პრეტენზიების გამოცხადება. მამუკა სტუდენტურ ცხოვრებაში დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებას ცდილობს. ნამდვილად ჰგავს ჩვენს პრეზიდენტს. ლექსებს მასავით მამუკაც წერს, თუმცა ყველგან არ ამჟღავნებს ამას. პრეზიდენტის ინაუგურაციის დროს მე და მამუკა ერთად გავედით რუსთაველზე, მის გამოჩენაზე ხალხი სიცილით სკანდირებდა — მიშა, მიშა! ინაუგურაციის შემდეგ მერიასთან უნდა მისულიყო პრეზიდენტი. ხალხი ელოდა. ბავშვებს ვარდები ეჭირათ ხელში და ბატონ მიხეილს რომ შეაგვიანდა, მოუთმენელი ბავშვები მამუკას შემოეხვივნენ. ბოლოს მშობლებმა სთხოვეს, — ჩვენს შვილებთან სურათი გადაიღეთ, რახან პრეზიდენტი არ მოდის, მათ დაშოშმინებას სხვანაირად ვერ შევძლებთო. რა თქმა უნდა, მამუკა სიამოვნებით დათანხმდა.

**ნათია კახიძე**, ლექტორი: — სანამ ნაციონალების დროშა ძალიან პოპულარული გახდებოდა, იგი მამუკას უკვე თავის დებატ-კლუბში სამუშაო მაგიდის უკან კედელზე ჰქონდა გაკრული. ამის დამამტკიცებელი ვიდეომასალაც არსებობს. ჩვენმა ერთმა მეგობარმა ბანკეტის მეორე დღეს სამახსოვროების ჩაწერა დაიწყო. მამუკას იმ დროს მიადგა, როცა ის უჯრაში რაღაცას ეძებდა. მოსვენება რომ არ მისცა მეგობარმა, სააკაშვილივით ტყავის ქურთუკში გამოწყობილმა (პრეზიდენტივით მამუკასაც ძალიან ჰყვარებია ტყავის ქურთუკი. — ე.ლ.) „გაიმეორა“ ის სააკაშვილი, რომელიც მთავრობის სხდომაზე კორუმპირებულთა სასახლეების სურათებს აფრიალებდა და ყვიროდა. მაშინ კინაღამ ჩავიკეცე, ისე ჰგავდა მამუკა მიხეილ სააკაშვილს. სხვათა შორის, მამუკა მაშინ ჯაბა იოსელიანის, ლანა ღოღობერიძის და ელენე თევდორაძის იმიტაციებსაც აკეთებდა.

**— ბოლოს მინდა მამუკას ვკითხო, სამომავლოდ რა გაქვს გეგმაში?**

— 22 წლის კაცის გეგმები რამდენად სერიოზულად ჟღერს? მე ოცნებები მაქვს და მინდა ავისრულო. გული მტკივა, როცა ჩემი მეგობრები ტოვებენ სამშობლოს და უცხოეთში მიდიან ბედის საძიებლად. მინდა აქ ვიყო და ამ საშინელ დინებას ხელი შევუშალო. მინდა ქუჩაში გამოსვლისას არ მრცხვენოდეს თბილისის დაკარგული პეწის გამო, არ მინდა უცხო ცივილიზაციებმა გადაგვთელონ და მსურს ისეთ საქართველოში ვიცხოვრო, სადაც ყველას თავისი ადგილი ექნება. თუ ასე არ მოხდა, მოვაწყოთ რევოლუცია ქართული ვარდებით და ეგ იქნება.

**— მამუკა, შენც დაგიჭერენ, მეც დამიჭერენ და ტრიფონიასაც არ დაადგება კარგი დღე. ეს რა თქვი?**

— ნუ გეშინია, ოქრუაშვილს ამ ინტერვიუს წასაკითხავად არ ეცლება, ორშაბათს „პახმელიაზე“ იქნება, სამშაბათიდან კი დაჭერებს გააგრძელებს. ჩვენნაირი „კონტრრევოლუციონერებისთვის“ მაგას სად ეცლება. (ეცინება).

**— უჰ, რომ წარმოვიდგენ, პრეზიდენტს რამხელა პასუხისმგებლობა აქვს, სუნთქვა მეკვრის. მის ადგილზე რომ ვიყო, მგონია, გავისრისები. ამიტომაც ვფიქრობ, მე უფრო თავისუფალი ვარ, ვიდრე პრეზიდენტი. თუმცა, მას შემდეგ, რაც მის პაროდირებას ვეწევი, უფრო შებოჭილი გავხდი, ადრინდელი სილაღე თითქოს აღარ მაქვს. „პრეზიდენტი“ ვარ, ბოლოს და ბოლოს!..**

# — დამახვედრეთ ბევრი სიყვარული



## ისრაელის ტელეეთერში ქართველი წამყვანი გამოჩნდება

*ისრაელის ტელესივრცეში 28 აპრილიდან კიდევ ერთი არხი დაიწყებს მუშაობას. იგი მთლიანად ქართული იქნება. „ჯი TV-ჩენელს“ უკვე მოუთმენლად ელის ისრაელში მცხოვრები ქართულენოვანი მაყურებელი. ამიტომაც უწოდეს მას „არხი, რომელსაც დიდხანს ველოდით“. ცხადია, ეს კიდევ უფრო გაამყარებს ქართველი და ებრაელი ხალხების მრავალსაუკუნოვან ურთიერთობას. ამასთან, არის კიდევ ერთი სასიამოვნო ფაქტორიც — ახალი ტელეარხის ეთერში წამყვანი ახალგაზრდა ქართველი მომღერალი, მომავალი ჟურნალისტი* ***ნეკა სეზისკვერაძე*** *იქნება. ნეკას ისრაელში გამგზავრების წინ ვესაუბრეთ და გზა დავულოცეთ.*

— ძალიან კმაყოფილი ვარ ამ სიახლით. „ჯი TV- ჩენელი“ ყოველდღე ათი საათის განმავლობაში იქნება ეთერში. მე ვიქნები მუსიკალური განყოფილების კოორდინატორი და პროგრამა „ათეულის“ წამყვანი. „ათეულის“ პროგრამა მთლიანად ქართულ სიმღერებსა და კლიპებს დაეთმობა.

**— კონტრაქტი გრძელვადიანია?**

— პირველ ეტაპზე ოთხთვიან კონტრაქტს მოვაწერე ხელი. მინდა მალე დავბრუნდე, თორემ მშობლები და ახლობლები ძალიან განიცდიან ერთადერთი შვილის შორს გამგზავრებას. დედას გამუდმებით ვარწმუნებ, რომ ეს ჩემი, მესამეკურსელის ჟურნალისტური პრაქტიკისთვის შესანიშნავი საშუალება იქნება. 24 აპრილს ეწყობა არხის გრანდიოზული პრეზენტაცია, სადაც მსოფლიოში გაფანტული ცნობილი ქართველი ხელოვანები მიიღებენ მონაწილეობას. მოსკოვიდან სოსო პავლიაშვილი და თამარ გვერდწითელი ჩამოვლენ, შეიძლება მერაბ სეფაშვილიც გვესტუმროს თბილისიდან. კონცერტში მეც მივიღებ მონაწილეობას.

**— მოულოდნელი იყო ეს მიწვევა შენთვის თუ?..**

— ჯერ კიდევ წელიწად-ნახევრის წინ იყო ამაზე საუბარი, მაგრამ რაღაც პრობლემების გამო გაიწელა დრო. შარშან ზაფხულს საცდელ გადაცემაშიც ჩამწერეს, მაგრამ სანამ საბოლოო პასუხი არ მივიღე, არაფერი მითქვამს.

**— ამ არხის დაფუძნების იდეა ვის ეკუთვნის და ძირითადად, რა ხასიათის იქნება იგი?**

— ეს იქნება შემეცნებით-მუსიკალური არხი, საინფორმაციო გამოშვებების გარეშე. აჩვენებენ ქართულ ფილმებს, ქართველ ხელოვანთა შემოქმედებით საღამოებს, ქართულ სერიალებს და ყველაფერს ქართულს. იდეა ეკუთვნის „არტ-მასტერ გრუპს“. ეს არის საპროდიუსერო ცენტრი, რომლის დამფუძნებლებიც ქართველი ებრაელები არიან. ისრაელში ბევრია ქართულად მოლაპარაკე, რომელსაც ამ ენაზე სურს კითხვაც, მოსმენაც და ტელეგადაცემების ნახვაც, ამიტომაც გაიხსნა ეს არხი. მიუხედავად იმისა, რომ იქ სატელიტური გადამცემების საშუალებით „რუსთავი 2“-სა და პირველ არხსაც უჩვენებენ.

**— ნეკა, საქართველოში, სამწუხაროდ, ტელე და რადიოეთერში ერთფეროვანი და ძირითადად უხარისხო მუსიკა ტრიალებს. როგორ ფიქრობთ, ისრაელში რა მოხდება?**

— თქვენ წარმოიდგინეთ, ისეთი პირობებია წამოყენებული, რომ უხარისხო პროდუქცია ამ ტელეეთერში ფაქტობრივად ვერ მოხვდება. მათთვის არა აქვს მნიშვნელობა, კლიპი აქვს თუ არა ვინმეს გადაღებული, ან რამდენი ალბომის ავტორია. ძირითადი კრიტერიუმი იქნება მაღალი ხარისხი.

**— ისრაელში ახალი სიმღერების და კლიპების ჩაწერას ხომ არ გეგმავ?**

— დიახ, ვგეგმავ. მუსიკალური და შემოქმედებითი განვითარების საშუალება თუ არ მექნა, იქ ვერ გავძლებ. თან მიმაქვს რამდენიმე ახალი სიმღერა, რომელთა ჩაწერასაც აქ ვერ ვასწრებ და იქ მინდა დავასრულო. გავმართავ აგრეთვე კონცერტებს, ახალ სიმღერებს ჩავწერ იქაურ მომღერლებთან.

**— არ გეშინია ისრაელში ასეთი დაძაბულობის დროს რომ მიდიხარ?**

— მაგაზე ნაკლებად ვფიქრობ. არც მეშინია, პირველად რომ ვიყავი ისრაელში, მაშინაც ასეთი ამბები ტრიალებდა, მაგრამ იქაურ საინფორმაციო საშუალებებში და ქუჩაშიც ვერაფერს იგრძნობდი, რომ საომარ სიტუაციაში მყოფ ქვეყანაში ცხოვრობდი. მიუხედავად იმისა, რომ ჩასვლისთანავე გაგვაფრთხილეს, ავტობუსებით მგზავრობას, ღამით ქუჩაში სიარულს და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ყოფნას მოერიდეთო, მღელვარება წამითაც არ მიგრძნია. ქვეყნის და ადამიანის უსაფრთხოებას იმდენად დიდ ყურადღებას აქცევენ იქაური სპეცსამსახურები, რომ ხანდახან იქ უფრო დაცულად ვგრძნობდი თავს, ვიდრე ჩემს ქვეყანაში. რომ ჩამოვედი, ჩვენი საინფორმაციოები ისე გადმოსცემდნენ ისრაელის ამბებს, მეგონა, ჩემი წამოსვლის მერე დაიწყო ომი იქ და არეულობა-მეთქი.

**— ნეკა, შენ აქ უკვე სერიოზულ ასპარეზზე ხარ, ხელმძღვანელობ საბავშვო-მუსიკალურ ფესტივალს. რას აპირებ, თანამდებობას ტოვებ?**

— არ ვტოვებ. ოქტომბრამდე ალბათ ჩამოვალ, მაგრამ დროებით. უნდა გითხრათ, რომ მაგ ფესტივალისთვის აქამდე, პოლიტიკის გამო არავის ეცალა. ისრაელიდან შევეცდები, მოვიძიო სპონსორები და ამ საქმეს მართლაც სერიოზულად მივხედო.

**— გაეროს პროგრამით უპატრონო ბავშვებთან მუშაობა დაასრულე?**

— დიახ და ვთვლი, რომ მათთან ურთიერთობა ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩემს ცხოვრებაში. იცით, რა კარგი ბავშვები არიან, როგორი ლტოლვა აქვთ განათლებისკენ? როცა მათ სურვილების გამხელა ვთხოვეთ, უმრავლესობამ გვითხრა, რომ სურთ დიდი ბიბლიოთეკა ჰქონდეთ. რკინიგზელთა კლუბში მათთვის ჩავატარეთ კონცერტი, სადაც ბილეთები გაყიდვის მაგივრად, წიგნებზე იცვლებოდა.

**— წინასაარჩევნო კამპანიის დროს შენ, სხვა კოლეგებთან ერთად, საარჩევნო აგიტაციას ეწეოდი. თვითონ თუ მოასწარი არჩევნებზე მისვლა?**

— (ეცინება) კიდევ კარგი, მოვასწარი... ძალიან მინდა, რომ აქედან არავინ გარბოდეს. ყველას თავისი საქმე ჰქონდეს და პურის ფული არ ენატრებოდეს. ისრაელში წმინდა ადგილებს რომ მოვინახულებ, ღმერთს იქაც შევთხოვ და სანთლებს ავანთებ, რომ ჩემს სამშობლოს ეშველოს. კიდევ ერთი რამ მინდა ვთქვა: ალბათ დროა, გონს მოვეგოთ და ყველანი ერთად დავდგეთ.

**— რა გინდა, რომ დაგახვედროთ?**

— ბევრი სიყვარული დამახვედრეთ, ერთმანეთის მიმართ სიყვარულს ვგულისხმობ. ამდენმა ბოღმამ, შურმა და ბოროტებამ გადამრია. თითქოს აღარც შინაური ვიცით, აღარც უცხო. არ მინდა ისე მოგვივიდეს, რომ მეგობარს მეგობრის ნდობა აღარ ჰქონდეს...

***მოამზადა ეკა ლომიძემ***

## ორშაბათი 12 აპრილი

კვირის პალიტრა

07.30 ალიონი 09.15 მხ. ფილმი „იესო„ 10.30 დოკ. ფილმი „სერგო ზაქარიაძე„ 11.40 საკვირაო გამოფენა 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი „სოლედადი" 13.00 მარკოზის სახარება 13.55 სატ. დოკ. ფილმი „ჰამლეტ გონაშვილი„ 14.30 სატ. ფილმი „კვლავ მიველინებაში„ 15.15 სატ. მხ. ფილმი „არასერიოზული კაცი" 16.30 კონცერტი 17.00 კახი ასათიანი 17.35 „ხსოვნის სალამო„ (თეატრი) 18.30 სერიალი „წვრილვარსკვლავთა ღამე" 19.00 მოკლ. ფილმი „ქორწილი" 19.25 „იმღერე რამე" 21.05 ბასტი-ბუბუ 21.20 სერიალი „სოლედადი" 22.10 „ჯანსულ კახიძე„ 23.30 მხ. ფილმი „ელიზა„

19.00 მულტსერიალი „შავი მეკობრე„ 19.30 კინოსეანსი „რა იცოდა მეზიმ" 21.00 „ძველი ვოდევილები„ - „ძველ სასამართლოში„ 21.30 მოგზაურობა სასიტყვეთში 22.00 მხ. ფილმი „პრინცესა დი„

- სქესობრივი აქტის გაუმჯობესება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:

*პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.*

თბილისი 0186, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11


**გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია C ჰეპატიტის შესახებ. რა არის გენიტალური ჰერპესი? რითი ვლინდება ის?**

***რ. ქოჩიაშვილი, თბილისი***

# C ჰეპატიტი



C ჰეპატიტი კაცობრიობის ერთ-ერთი სერიოზული პრობლემაა. ის სიცოცხლისთვის საშიშ გართულებებს იძლევა.

ჰეპატიტი ღვიძლის ქსოვილის ანთებითი დაავადებაა, რომლისთვისაც დამახასიათებელია კანისა და ლორწოვანი გარსის გაყვითლება.

დღეისთვის ცნობილია დაავადების გამომწვევი 7 ვირუსი, რომელთაგან ყველაზე სახიფათოა B და C ვირუსები. ამასთან, B ვირუსისგან განსხვავებით, C ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა ჯერ კიდევ არ შექმნილა. C ჰეპატიტს „ჩუმ ეპიდემიასაც" კი უწოდებენ. მიზეზთა გამო B ჰეპატიტით დაავადებულთა 85-90% მთლიანად იკურნება, მხოლოდ 10-15% ხდება ქრონიკული. C ჰეპატიტის ვირუსი ღვიძლის ქრონიკული დაავადებების (ქრონიკული ჰეპატიტი, ღვიძლის ციროზი) ფორმირების მიზეზია.

*გადაცემის მექანიზმები:* C ჰეპატიტის გამომწვევი ვირუსის გადაცემის მიზეზი დაინფიცირებული ადამიანის სისხლთან კონტაქტია. ოპერაციების, სისხლის გადასხმის დროს, ნარკოტიკების ხმარებისას, ტატუირების, მანიკიურის გაკეთებისას, კოსმეტიკური ოპერაციების, სქესობრივი კონტაქტის დროს სისხლის ჩაღვრის შემთხვევაში, გაუსტერილებელი სამედიცინო იარაღებით სარგებლობისას შესაძლებელია C ვირუსით დაინფიცირება.

C ვირუსს შეიძლება შეიცავდეს ნერწყვი, ცრემლი, განავალი, შარდი, სპერმა. ისინი იშვიათად, მაგრამ მაინც ხდებიან დაავადების გამომწვევი მიზეზი.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ დედიდან ახალშობილზე ვირუსის გადაცემა ძალზე იშვიათია (100-დან მხოლოდ 1 შემთხვევა). ფიქრობენ, რომ ამის მიზეზია დედისგან ნაყოფზე C ჰეპატიტის საწინააღმდეგო ანტისხეულების გადაცემა. საშიში არ არის დაინფიცირებული დედის რძით ბავშვის გამოკვება, თუ კერტები დაზიანებული არ არის.

C ჰეპატიტი არ ვითარდება კოღოს ნაკბენით, რადგანაც მწერის სხეულში ვირუსის ძალზე უმნიშვნელო რაოდენობა ეტევა.

ოჯახის წევრებს ვირუსი სისხლით გადაეცემა — ბასრი და მჩხვლეტავი იარაღების (საპარსი, პინცეტი, კბილის ჯაგრისი, ფრჩხილების დასამუშავებელი იარაღი და სხვა) საერთო მოხმარებისას.

*სიმპტომები:* C ჰეპატიტი ქრონიკულად მიმდინარე პროგრესირებადი დაავადებაა. ღვიძლის ფუნქციათა მრავალფეროვნების გამო, მისი ქსოვილის ანთება ანუ ჰეპატიტი შეიძლება გამოვლინდეს სიმპტომთა ფართო სპექტრით. ესენია:

— კანისა და ლორწოვანი გარსების გაყვითლება;

— დაღლილობის შეგრძნება;

— კუნთებისა და ძვლების ტკივილი;

— ცხელება და ოფლიანობა;

— გულისრევა;

— ტკივილი მუცლის არეში;

— უმადობა, ცხიმიანი საკვების შეძულება;

— ქავილი;

— წონაში დაკლება;

— გონების დაბინდვა, კონცენტრაციის უნარის დაქვეითება;

— ართრიტები (სახსრების ანთება);

— არასრულფასოვანი ძილი.

არ არის გამორიცხული C ჰეპატიტი სრულიად უსიმპტომოდ ან ძნელად შესამჩნევი ნიშნებით მიმდინარეობდეს.

რაც უფრო ხანდაზმული ასაკისაა C ვირუსით დაინფიცირებული ადამიანი, მით უფრო მძიმედ მიმდინარეობს დაავადება და ნაკლებეფექტიანია მკურნალობა.

ახალშობილებსა და ბავშვებში C ჰეპატიტის სიმპტომები ძლიერ სუსტად ვლინდება.

მძიმედ მიმდინარე ქრონიკული ჰეპატიტის შემთხვევაში ავადმყოფებს უვითარდებათ შემდეგი სიმპტომები: მუცლისა და ქვედა კიდურების შეშუპება, სისხლნაჟღენთების ადვილად განვითარება, გონებრივი ფუნქციების დასუსტება.

გართულებები: C ჰეპატიტის ყველაზე ხშირი გართულებაა — ღვიძლის ციროზი, რომლის დროსაც ხდება საკუთარი ქსოვილის ჩანაცვლება შემაერთებელი ქსოვილით. დაავადება კლინიკურად გვიან ვლინდება და პროგნოზი არცთუ კეთილსაიმედოა. გამოსავალს მხოლოდ ღვიძლის გადანერგვა წარმოადგენს.

*სითხის დაგროვება (ასციტი)* ვლინდება მაშინ, როცა მუცელში დაგროვილი სითხის რაოდენობა სულ მცირე, 2 ლიტრია. ზოგიერთი ვერც კი შეიგრძნობს ამ მდგომარეობას და მუცლის გაბერვას გასუქებას ან უბრალოდ გაზების დაგროვებას აბრალებს.

*სისხლდენა ვარიკოზულად გაგანიერებული ვენებიდან* ერთ-ერთი საშიში გართულებაა. ავადმყოფებს სდით დიდი რაოდენობით წითელი ან შავი ფერის სისხლი, რის გამოც წნევა ეცემა და ხშირად შოკიც ვითარდება.

*ენცეფალოპათია* ასევე საშიში გართულებაა. ამ დროს ირღვევა მეტყველებისა და აზროვნების უნარი.

*დიაგნოსტიკა:* ზუსტი დიაგნოზის დასმა შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი ლაბორატორიული და ინსტრუმენტული გამოკვლევების შედეგად. ასეთებია:

იმუნოფერმენტული ანალიზი (სისხლში ღვიძლის ფერმენტების განსაზღვრა), იმუნობლოტინგი, რომლის დროსაც ისაზღვრება ვირუსის საწინააღმდეგო სპეციფიკური ანტისხეულები, ღვიძლის ულტრაბგერითი გამოკვლევა (ექოსკოპია), კომპიუტერული ტომოგრაფია და ღვიძლის ბიოფსია. თუ აღნიშული მეთოდებით დაავადების დიაგნოსტირება ვერ მოხერხდა, დამატებით ნიშნავენ PCR-ტესტს, რომელიც ყველაზე ინფორმაციულია.

*მკურნალობა:* C ჰეპატიტის სამკურნალოდ უმთავრესად ინტერფერონ-ალფას იყენებენ. ეს პრეპარატი არ ინიშნება:

— სხვა დაავადებებისას;

— ღვიძლის უკმარისობის შემთხვევაში (სითხე მუცლის ღრუში, სისხლდენა გაგანიერებული ვენებიდან, ენცეფალოპათია);

— ქრონიკული ალკოჰოლიზმის დროს;

— ნარკოტიკების გამოყენებისას.

ინტერფერონის გვერდითი მოვლენების თავიდან ასაცილებლად, ინიექციის გაკეთების წინ რეკომენდებულია ტაილენოლის აბების რეგულარული მიღება, აგრეთვე მთელი დღის განმავლობაში დიდი რაოდენობით სითხის სმა.

***მაია მუხიგული***

# როგორ გავიმაგროთ ფრჩხილები?



როგორც ცნობილია, ჟელატინი ამაგრებს ფრჩხილებს. უპირატესობა მიანიჭეთ ლაბასხმულ კერძებს, ხილისა და ბოსტნეულის ჟელეებს. ისინი აღადგენენ არა მარტო ფრჩხილებს, არამედ კარგად მოქმედებენ თმასა და კანზე.

ძალიან სასარგებლოა ჩვეულებრივი ფაფეულიც. წიწიბურას ფაფა უხვად შეიცავს რკინას, რომელიც აუცილებელია ნივთიერებათა ცვლისათვის. ბურღულეული და ყველი შეიცავს თუთიას, შვრიაში ბევრია ცილა, აგრეთვე, მიკროელემენტი და ამინომჟავა.

*ოტდოხნი! №13*

# თმა გიამბობს ალკოჰოლის რაოდენობაზე

ბაზელის (შვეიცარია) უნივერსიტეტის მეცნიერთა ჯგუფმა შეიმუშავა ახალი ტექნოლოგია, რომლის საშუალებითაც განისაზღვრება, თუ რა რაოდენობის ალკოჰოლი მიიღო ადამიანმა ბოლო რამდენიმე თვის მანძილზე.

მეცნიერებმა ადამიანის თმაში აღმოაჩინეს ტოქსინები, რომელთა კონცენტრაცია დამოკიდებულია მიღებული ალკოჰოლის რაოდენობასა და ხარისხზე. თმა თავისებური საწყობია, რომელიც ინახავს ინფორმაციას მიღებული ალკოჰოლის შესახებ საკმაოდ ხანგრძლივად. იმის განსაზღვრაც კი არის შესაძლებელი, თუ რომელი სასმელი (ლუდი, ღვინო, არაყი, კონიაკი ან ვისკი) დალია ადამიანმა.

***ჯენტე***

# მიეძალეთ ზღვის კომბოსტოს



ზღვის კომბოსტო მდიდარია B, A,C,D,E, ვიტამინებით, მარილებით და სასარგებლო მინერალებით. საკმარისია დღეში მიირთვათ 2 სუფრის კოვზი ზღვის კომბოსტი (ან 1 ჩაის ჭიქა ხმელი), რომ ორგანიზმი იოდით შეივსოთ. გარდა ამისა, ლამინარიით სისტემატურად კვება აღადგენს დარღვეულ ნივთიერებათა ცვლას. ზღვის კომბოსტოს ფხვნილის დამატება შეიძლება წვნიანის ან ბოსტნეულის საწებლებისთვის, ხოლო ცოცხალი ან მარინადი — სალათებში პიკანტური გემოსთვის.

ზღვის კომბოსტო არ უნდა შეურიოთ სხვა ჯიშის კომბოსტოს. ამ დროს ორგანიზმს უჭირს იოდის შეთვისება.

ექიმები არ გვირჩევენ ზღვის კომბოსტოს გამოყენებას იმ პაციენტების საკვებში, ვინც დაავადებულია პიელონეფრიტით, დიათეზით, ფურუნკულოზით.

ასე მოამზადეთ ზღვის კომბოსტოს სალათი: დაკონსერვებულ ლამინარიას მოაყარეთ ალყა-ალყა დაჭრილი 1 თავი ხახვი, წმინდად დაჭრილი ნახევარ-ნახევარი კონა ქინძი და კამა, მოაპკურეთ ვაშლის ძმარი ან ლიმონის წვენი.

*ლიზა №15*


ვმკურნალობთ
ქრონიკულ პროსტატიტს
- ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წთ-ში;
- ექოსკოპია იაპონური აპარატურით;
- კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით „ინტრატონი", რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

**მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №7 (სპორტის სასახლის უკან, მარჯვნივ). 10-14 სთ.**

**დიდი ბრიტანეთი**

## ლონდონის მერი: შარონი ციხეში, დანარჩენები — ჩამოახრჩვეთ!

ლონდონის მერი კენ ლივინგსტონი, რომელიც შარშან ფრანგებს ფაშიზმში ადანაშაულებდა — რატომ კრძალავთ რელიგიური სიმბოლოების ტარებასო, — ოცნებობს, რომ ისრაელის პრემიერი შარონი ციხეში ჩასვან. თანაც ნებისმიერ ციხეში კი არა, იუგოსლავიის ყოფილი პრეზიდენტის, სლობოდან მილოშევიჩის გვერდით საკანში, რომელსაც ჰააგის ტრიბუნალი კაცობრიობის წინაშე ჩადენილ გენოციდში ადანაშაულებს. ეტყობა ლონდონის მერს იმის თქმა სურს, რომ შარონსაც იგივე ბრალდება უნდა წაუყენონ, რაც მილოშევიჩს. მან ინტერვიუში ისიც განაცხადა — ახლო აღმოსავლეთში მშვიდობა ვერ დამყარდება, თუ დასავლეთი არ შეიცვლის დამოკიდებულებას პალესტინელთა მიმართ; უნდა ალიკვეთოს აშშ-ის, შეიხებისა და ნავთობმაგნატების კორუფციული კავშირები. ვოცნებობ, ერთ მშვენიერ დილას საუდის არაბეთის სამეფო ოჯახის ყველა წევრი ხეზე ჩამოკიდებული დამხვდეს, ხალხს კი მათი ინტერესების დამცველი მთავრობა ჰყავდესო. საუდის არაბეთის საელჩო არ გამოხმაურებია ლონდონის მერის გამონათქვამებს.

კენ ლივინგსტონის საარჩევნო კამპანია მაისში იწყება. ანალიტიკოსების აზრით, მას კვლავ აირჩევენ მერად. ლივინგსტონის კონკურენტები — სტივ ნორისი და საიმონ ჰიუგსი — აცხადებენ, — ლივინგსტონი ქვეყნისთვის სახიფათო განცხადებებს აკეთებს, შარშან ჯორჯ ბუშის შესახებ თქვა, — იგი პლანეტაზე სიცოცხლეს საფრთხეს უქმნისო.

***ნიუს რუ***

**აშშ**

## კონდოლიზა რაისმა თეთრი სახლის შეცდომები აღიარა

11 სექტემბრის ტერაქტების გამოძიების დამოუკიდებელი კომისიის წინაშე წარდგა ეროვნული უსაფრთხოების დარგში აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველი კონდოლიზა რაისი. ექსპერტთა კითხვებზე მან უპასუხა, რომ იმ პერიოდში ბევრი რამ არ გაკეთდა ტრაგედიის თავიდან ასაცილებლად. მისი თქმით, 11 სექტემბრის ტერაქტებისთვის აშშ იმიტომ არ იყო მზად, რომ ქვეყნის სახელმწიფო ორგანოების სისტემაში, რომელსაც უნდა უზრუნველეყო უსაფრთხოება, არსებობდა „სტრუქტურული პრობლემები“. კონდოლიზა რაისმა აღნიშნა, რომ ბუშის გუნდს და სპეცსამსახურებს არ ჰქონდათ დაწვრილებითი ინფორმაცია, რომელიც დაეხმარებოდათ ტერაქტების თავიდან აცილებაში. მათ მიერ რამდენიმე თვით წინ მიღებული ინფორმაცია უშუალოდ აშშ-ის ტერიტორიას არ ეხებოდა. „იმ დო-



კუმენტში არაფერი იყო ნათქვამი იმაზე, რომ დარტყმა ნიუ-იორკის ან ვაშინგტონის წინააღმდეგ მზადდებოდა და არც დრო იყო მითითებული“. რაისმა ისიც თქვა, — ინფორმაციებში არანაირი მინიშნება არ ყოფილა, რომ ტერორისტები თვითმფრინავებს რაკეტებად გამოიყენებდნენო.

კონდოლიზა რაისმა აღნიშნა, ვგრძნობდით „ალ-ქაიდა“ სერიოზულად გვემუქრებოდა და გლობალურ სტრატეგიას ვამუშავებდითო. ჯორჯ ბუში კონდოლიზა რაისის გამოსვლას თავის რანჩოში ტელევიზიით ადევნებდა თვალს და თქვა, — ძალიან კარგად გამოვიდაო.

ბუშის შეფასება გასაგებია — რაისმა ერთ-ერთ შეკითხვაზე კომისიას უპასუხა, — არ მახსოვს, გადავეცი თუ არა პრეზიდენტს მონაცემები აშშ-ის ტერიტორიაზე „ალ-ქაიდას“ ჯგუფების არსებობის შესახებო.

რაისი მაქსიმალურად ცდილობდა, ბუშისთვის და თეთრი სახლისთვის აეცილებინა ბრალდება. ტერაქტების მსხვერპლთა ნათესავებმა კი პრეზიდენტის მრჩევლის გამოსვლის შემდეგ კვლავ დაადანაშაულეს აშშ-ის ადმინისტრაცია — ტრაგედია თქვენი უპასუხისმგებლობით მოხდაო.

***იზვესტია №64***

## ერაყში შიიტები აჯანყდნენ



ერაყში დაიწყო შიიტების აჯანყება. ისინი ქვეყნის მოსახლეობის 60%-ს შეადგენენ. მათი ლიდერი, მუქთადა სადრი, ცნობილი საზოგადო და რელიგიური მოღვაწეა. ბოლო ხანს დატრიალებულმა მოვლენებმა მისი ავტორიტეტი კიდევ უფრო გაზარდა.

ერაყის დროებითი ადმინისტრაციის მეთაური პოლ ბრემერი იმუქრება, რომ არ დაუშვებს შიიტთა გამოსვლებს და მათი ახალგაზრდა ლიდერი მუქთადა სადრი კანონგარეშე გამოაცხადა.

შიიტთა გამოსვლები ქალაქ ნაჯაფში დაიწყო. მიზეზი გახდა შეიხ მუქთადა სადრის მიერ გამოცემული გაზეთისა და მისი ერთ-ერთი თანამებრძოლის, მუსტაფა იაყუბის დაპატიმრება. მანიფესტაცია ამერიკელ სამხედროებთან შეტაკებაში გადაიზარდა და საოკუპაციო ჯარებმა ცეცხლი გახსნეს. დაიღუპა რამდენიმე ერაყელი. იმავე საღამოს შეიხმა სადრმა გამოაცხადა, — შიიტების მშვიდობიანი პროტესტი უშედეგოაო და მუსლიმებს მოუწოდა — მტერს შეუტიეთო.

რამდენიმე საათში ერაყის ყველა ქალაქში ერთმანეთის მიყოლებით დაიწყო ქუჩის შეტაკებები. მღელვარება მოედო მთელ ქვეყანას. სადრი თავის ავტორიტეტს მამამისს, შიიტთა უმაღლეს აიათოლას, მოჰამედ სადეყ სადრს უნდა უმადლოდეს. სადამ ჰუსეინის დროს შიიტთა სულიერ ლიდერებს ხელისუფლება სდევნიდა და აიათოლა სადრიც ამ რეჟიმის მსხვერპლი გახდა — იგი 1999 წელს მოკლეს, მუქთადა სადრი კი დააპატიმრეს.

ჰუსეინის დიქტატურის დამხობის შემდეგ დევნილი შიიტი ავტორიტეტები დაბრუნდნენ, მათ შორის იყო აბდელ მაჯიდ ალ-ჰოი, რომელიც ამერიკელთა მიმართ ლიბერალიზმით გამოირჩეოდა. აშშ-ს ის შიიტთა მომავალ ხელმძღვანელად მიაჩნდა. ამ გეგმას განხორციელება არ ეწერა — ახალგაზრდა აიათოლა მეჩეთიდან გამოსვლისას მუქთადა სადრის მცველებმა მოკლეს. მალე სადრმა მეორე კონკურენტი აიათოლაც მოიშორა.

რადიკალურად განწყობილ მუქთადა სადრს არ გასჭირვებია შეიარაღებული რაზმების შექმნა. ახალგაზრდა, ენერგიული აიათოლა ერაყელებს მოუწოდებს — ჩვენი სამშობლოს მართვის სადავეები ამერიკელებმა კი არ უნდა გადმოგვცენ, არამედ თვითონ უნდა ავიღოთ ხელშიო.

შიიტთა აჯანყებამ ცხადყო, რომ სადრს ბევრი მომხრე ჰყავს. ისინი აცხადებენ, — ჩვენ უარვყოფთ ოკუპაციისა და ჰეგემონიის ყოველნაირ სახეობას, ყველაფერი ძალიან მალე შეიცვლებაო.

ფაქტობრივად, ერაყში მეორე სამხედრო კამპანია დაიწყო. ამერიკელები ცდილობენ, დაიბრუნონ დაკარგული კონტროლი — დამსჯელი ოპერაცია მთელ ერაყში ხორციელდება. მსხვერპლი ორივე მხრიდან დიდია.

***კომერსანტი №61***

## ალჟირში ბუტეფლიკა იმარჯვებს



წინასწარი მონაცემებით, ალჟირის პრეზიდენტი აბდელ აზიზ ბუტეფლიკა მეორე ვადით აირჩიეს. ოფიციალური მონაცემები ბოლომდე დაზუსტებული არ არის, მაგრამ ამთავითვე ცხადია, რომ მან მნიშვნელოვნად გაუსწრო მეტოქეებს. ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ალი ბენფისმა, რომელიც აგრეთვე პრეზიდენტობისთვის იბრძოდა, განაცხადა, — არჩევნები გააყალბესო. პრეზიდენტის მომხრეები გამარჯვებას ზეიმობდნენ, ოპოზიციონერები კი საარჩევნო უბნებს ესხმოდნენ თავს. წინა არჩევნებს ალჟირში არმია აკონტროლებდა. მასთან შედარებით ახლანდელმა მშვიდად ჩაიარა. ბევრი ამომრჩეველი ბუტეფლიკას დამსახურებად მიიჩნევს მშვიდობას, რომელიც ექსტრემისტებსა და არმიას შორის ათწლიანი სამოქალაქო ომის შემდეგ დამყარდა ალჟირში.

***ბი-ბი-სი***

## პოლონელებს ევროკავშირის უღლისა შეეშინდათ

1-ელ მაისს პოლონეთი და ევროპის კიდევ 9 ქვეყანა ევროკავშირის წევრი ხდება, მაგრამ შესაძლოა, ევროპის გაერთიანების ზეიმს ჩრდილი მიადგეს. საქმე ის არის, რომ პოლონეთის სეიმში წარმოდგენილმა რამდენიმე პარტიამ გამოაცხადა, რომ შეეწინააღმდეგება გაერთიანებულ ევროპაში ქვეყნის ინტეგრაციას. მსგავსი განცხადებები ადრეც გაკეთდა. მათი ავტორები პოპულისტური პარტიები იყვნენ, რომლებიც ევროკავშირს ადანაშაულებდნენ პოლონელების ხარჯზე გამდიდრებისა და მათი დამონების მცდელობაში. ამჯერად ამ პარტიებს უფრო ზომიერი, მათ შორის მემარჯვენე პარტიებიც მიემხრნენ. ოპოზიცია გეგმავს, რომ შემოდგომაზე დაიწყება ევროკავშირიდან პოლონეთის უკან გამოსვლის პროცედურა; მით უმეტეს, თუ ივნისში, ბრიუსელის სამიტზე საბოლოოდ დაამტკიცებენ პროექტს, რომელიც პოლონელ ოპოზიციონერებს ხელს არ აძლევს. ოჯახის ლიგის პარტიის ლიდერმა დაადანაშაულა ევროკავშირთან მოსალაპარაკებლად ჩასული პოლონეთის დელეგაციის ხელმძღვანელი დუნტუ ჰიუბნერი — ევროკავშირის კომისრის თანამდებობის მისაღებად პოლონელი ხალხის ინტერესები გაყიდაო.

ევროსკეპტიკოსების განსაკუთრებულ აღშფოთებას იწვევს ევროპული კონსტიტუციის პროექტი, რომლის თანახმად, ევროკომისიას უფლება ექნება ახალი წევრებისათვის ფინანსური დახმარების რაოდენობა ევროკავშირის სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის კურსის ცვლილების თანახმად შეცვალოს. აქედან გამომდინარე, ინტეგრაციის მოწინააღმდეგეთა აზრით, ყველაფერი პირიქით მოხდება — პოლონეთი კი არ მიიღებს დახმარებას, არამედ ევრობიუჯეტის დონორი გახდება.

***ნიუ ზუიქი***






## მოკლედ

**პენტაგონმა**, შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით, ერაყში დამატებით შეიყვანა ჯარი. იქვე დატოვეს ის ქვედანაყოფები, რომლებიც სამშობლოში უნდა დაბრუნებულიყვნენ. ასე რომ, ამერიკის კონტინგენტი, რომელიც ახლა დაახლოებით 135 ათასი სამხედრო მოსამსახურისაგან შედგება, მნიშვნელოვნად გაიზრდება. აშშ-ის არმია რამდენიმე დღეა, ელ-ფალუჯში ეძებს იმ ხალხს, რომელმაც აკუწა ჰუმანიტარული მისიის 4 ამერიკელი ჯარისკაცი. აშშ-ის სამხედრო კონტინგენტის გაზრდა კიდევ იმიტომაც გახდა საჭირო, რომ კოალიციის წევრები ერაყში მუშაობაზე უარს ამბობენ. იაპონიის მსგავსად, ჰუმანიტარული მისია შეაჩერეს სამხრეთკორეელმა და ნორვეგიელმა სამხედროებმა. იტალიაშიც ალაპარაკდნენ ერაყიდან ჯარის გამოყვანაზე. უკრაინაში კომუნისტები ხელისუფლებისაგან ითხოვენ სამხედროების სამშობლოში დაბრუნებას. ამის მიზეზი გახდა უკრაინელი ჯარისკაცის დაღუპვა.

**საერთაშორისო წითელი ჯვრის** მონაცემებით, აღმოსავლეთ შრი-ლანკის ათასობით მცხოვრები ცდილობს ქვეყნის დატოვებას, რადგან იქ გრძელდება სეპარატისტთა ჯგუფებს შორის შეტაკებები. შრი-ლანკის პარლამენტის დეპუტატებმა მთავრობას მოსთხოვეს, დაუყოვნებლივ დაიწყოს მოლაპარაკება სეპარატისტებთან.

**ერაყელები** ტყვედ აყვანილ უცხოელ მოქალაქეებს ანტიერაყული კოალიციის წევრი ქვეყნების დასაშანტაჟებლად იყენებენ და ერაყიდან სამხედრო კონტინგენტის გაყვანას ითხოვენ.

**სომხეთის** დედაქალაქში ხელისუფლების ოპოზიციურმა პარტიებმა საპროტესტო აქციები გამართეს. მიტინგების ორგანიზატორებს, ბლოკ „სამართლიანობისა“ და „ეროვნული ერთიანობის“ პარტიის მომხრეებს მიაჩნიათ, რომ შარშანდელი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების შედეგები გაყალბდა, ამიტომაც ითხოვენ პრეზიდენტ ქოჩარიანის გადადგომას და საპრეზიდენტო და საპარლამენტო ვადამდელ არჩევნებს.

**ირანმა,** რომელსაც ადანაშაულებენ ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულების დარღვევაში, 2004 წლის 9 აპრილიდან შეწყვიტა ურანის გამამდიდრებელი ცენტრიფუგების წარმოება.

**უკრაინის** პრეზიდენტმა ლეონიდ კუჩმამ ხელი მოაწერა პარლამენტის მიერ მიღებულ კანონს ქვეყნის ტერიტორიაზე ნატოს ძალების თავისუფალი განთავსების თაობაზე. ამიერიდან ალიანსს დაუბრკოლებლად შეუძლია ჯარები არა მარტო განათავსოს უკრაინაში, არამედ გამოიყენოს კიდეც იგი, როგორც სატრანზიტო სახელმწიფო.

**პალესტინის** ხელმძღვანელობა ცდილობს, საყოველთაო არჩევნებში „ჰამასიც“ ჩართოს. ეს ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან „ჰამასმა“ 1996 წელს ბოიკოტი გამოუცხადა ავტონომიის ისტორიაში ჯერჯერობით ერთადერთ არჩევნებს. მოძრაობის მაშინდელმა ლიდერებმა უარი იმით ახსნეს, რომ არ სურდათ რაიმე საერთო ჰქონოდათ ოსლოში მიღწეული შეთანხმების რეალიზებასთან, რომლის შედეგადაც შეიქმნა სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი. პალესტინის ავტონომიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ნაბილ შატმა განაცხადა, — ღაზის სექტორიდან ისრაელის ჯარის გამოყვანა სრულფასოვანი არჩევნების ჩატარების საშუალებას მოგვცემს, რაც ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დასამყარებლად გადადგმული ნაბიჯი იქნებაო.

**აზიის** ოლიმპიურ თამაშებს 2009 წელს ლიბანის დედაქალაქი ბეირუთი უმასპინძლებს. ლიბანის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარემ ტონი ჰურიმ განაცხადა, — „ეს თამაშები მნიშვნელობით ოლიმპიადის შემდეგ მეორე ადგილზეა და ლიბანელები ამით ძალიან ვამაყობთ. გარდა ამისა, ოლიმპიური თამაშები ზრდის ქვეყნის პრესტიჟს და ხელს უწყობს ტურიზმის განვითარებას“.

**შვედეთში** ტაილანდის საელჩომ მუქარის წერილი მიიღო. მასში ნათქვამია, რომ ერაყში ტაილანდის სამხედრო კონტინგენტის ყოფნა ტაილანდს შურისძიების სამიზნედ აქცევს და ქვეყანა ტერორისტულ აქტებს უნდა ელოდეს. წერილს, რომელიც ინგლისურ და არაბულ ენებზეა დაწერილი, ვინმე აბუ ბაშარ მაკავი აწერს ხელს. ამჟამად ერაყში 243 ტაილანდელი სამხედრო იმყოფება.

**ერაყის** ყოფილი ლიდერის სადამ ჰუსეინის პირველი ცოლი საჯიდა ჰეირალა ტალფა კატარში ჩავიდა ადვოკატთა ჯგუფთან შესახვედრად. ინფორმაცია ამის თაობაზე საიმედო წყაროზე დაყრდნობით გაავრცელა ლონდონში გამომავალმა არაბულენოვანმა გაზეთმა. ერაყში ამერიკელთა შეჭრის შემდეგ სადამის ცოლი სირიაში ცხოვრობდა. იქიდან ქმრის ადვოკატებთან ურთიერთობას მხოლოდ სირიის ხელისუფლების წარმომადგენლების საშუალებით ახერხებდა, ამიტომაც კატარში საცხოვრებლად წასვლის ნება ითხოვა, სადაც ამჟამად სადამ ჰუსეინი იმყოფება. ერაყის ყოფილი პრეზიდენტის ორი ქალიშვილი იორდანიაში ცხოვრობს და შესაძლოა, ისინიც დედასთან ჩავიდნენ კატარში, სასამართლოს შემდეგ იორდანიაში დაბრუნდნენ. სხვა ვერსიით, სადამ ჰუსეინს დაიცავს იორდანიელი ადვოკატი მოჰამედ ალ-რაშდანი. ერაყის ყოფილი პრეზიდენტის დაცვის სურვილი ადრე გამოთქვა ცნობილმა ფრანგმა იურისტმა ჟაკ ვერჟემ.

***გვერდი მოამზადა ნანა ანტონოვა-ილურიძემ***

# კვების რაციონი — რას მივირთმევთ

დღეისათვის საქართველოში მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოების ნორმები მნიშვნელოვნად დარღვეულია. დიდი ნაწილი სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს. სასურსათო ბაზარზე წარმოდგენილია მრავალფეროვანი, ძირითადად უცხოური პროდუქცია, მაგრამ მოსახლეობის მსყიდველობითი უნარი საკმაოდ დაბალია. როგორ უნდა ხდებოდეს მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოების დაცვა? — აღნიშნულ თემაზე სასაუბროდ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის სამმართველოს უფროსს, კვების მრეწველობისა და აგროტექნოლოგიის აკადემიის წევრს, ბატონ **შოთა ჩხეიძეს** ვესტუმრე.

**— ბატონო შოთა, რით იკვებება ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა და ხომ არ გვემუქრება შიმშილი?**

— თუ გავაანალიზებთ მოსახლეობის მიერ მოხმარებული სასურსათო პროდუქციის რაოდენობას, მის ფიზიოლოგიურ ნორმებთან შედარებით, აღმოჩნდება, რომ ჩვენი მოსახლეობა სასურსათო უსაფრთხოების თვალსაზრისით საგანგებო მდგომარეობაში იმყოფება. ასეთ მდგომარეობაშია ქვეყანა თორმეტი წლის განმავლობაში. საგულისხმოა, რომ ხორცის მოხმარება (საშუალოდ) საქართველოს მოსახლეობის კვების რაციონში, გამოხატული კალორიებში, 3-5%-ს არ აღემატება. სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობისთვის კი — 1%-ს. მაშინ, როცა განვითარებულ ქვეყნებში, მაგალითად, საფრანგეთში ეს ციფრი 27%-ია. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია პურის მოხმარების საკითხი. სხვადასხვა გამოკვლევისა და ანალიზის შედეგად დადგენილია, რომ ჩვენთან პურისა და პურპროდუქტების მოხმარება ერთ სულზე ფიზიოლოგიურ ნორმაზე (350 გრამი) 2-ჯერ მეტს შეადგენს, მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ეს საკითხი საკმაოდ მწვავედ შეიძლება აისახოს. მაშინ, როდესაც ჩვენი მოსახლეობის დღის რაციონი ღარიბია ხორცით, რძითა და რძის პროდუქტებით, თევზით, ხილით და ბოსტნეულით, რაციონის ენერგეტიკული ღირებულების კომპენსაცია გარკვეულწილად პურის ხარჯზე ხდება (მთელი რაციონის 50-60%). ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს მოსახლეობის დაბალ სოციალურ დონეზე. ყველასათვის კარგად არის ცნობილი, რომ პური საფუარს შეიცავს. ჩვენთან საფუარი კი ძირითადად უცხოეთიდან შემოტანილი იაფფასიანი უხარისხო პროდუქციაა, რომელიც შეიცავს კანცეროგენულ ნივთიერებებს, რაც ხელს უწყობს ონკოლოგიური დაავადებების განვითარებას. გამოდის, რომ პურის ორმაგი ნორმის მოხმარებით, მოსახლეობა ორჯერ მეტ ასეთ ნივთიერებას იღებს. ხოლო საქართველოში ბოლო დროს გავრცელებულ დაავადებათა სტატისტიკას თუ გადავხედავთ, აღნიშნულის დასტურს მივიღებთ.

**— შეუძლია თუ არა ჩვენს ქვეყანას თავად აწარმოოს მოსახლეობისათვის აუცილებელი სასურსათო პროდუქცია?**

— 1990 წლიდან საქართველოში სასურსათო პროდუქციის წარმოება თანდათან მცირდება. კვების მრეწველობის ზოგიერთი დარგის მაჩვენებელი 10-20-ჯერაც კი შემცირდა, ხოლო ისეთი დარგის, როგორიც იყო ჩაის მრეწველობა — 40-ჯერ. 6-ჯერ შემცირდა ხილისა და ბოსტნეულის წარმოება. მახსოვს, ყოფილ საბჭოთა სივრცეში ქართველებს „ბალახის მჭამელ ერს" გვიწოდებდნენ, მაგრამ ამჟამინდელ სტატისტიკას თუ გადავხედავთ, რუსეთში ორჯერ მეტ ბოსტნეულსა და ხილს მოიხმარენ, ვიდრე ჩვენთან. ერთადერთი, რისი წარმოებაც საქართველოში არ შემცირებულა და პირიქით, გაიზარდა კიდეც, მარცვლეულია. ამის ახსნა კი ძალიან ადვილია. როდესაც დადგა ქვეყანაში გლობალური შიმშილის პრობლემა, ხალხმა გადაწყვიტა თავად გამოეკვება საკუთარი თავი და მარცვლეულის მოყვანა დაიწყეს.




**— ამის მიუხედავად, ჩვენთან მაინც შემოდის დიდი ოდენობით იმპორტირებული ფქვილი და ხორბალი.**

— ის, რომ ბოლო წლების მანძილზე, საგრძნობლად გაიზარდა მარცვლეულის წარმოების მაჩვენებელი, სულაც არ ნიშნავს, რომ მისი ოდენობა აკმაყოფილებს პურზე არსებულ მოთხოვნას. როგორც მოგახსენეთ, ჩვენი მოსახლეობა ნორმაზე ორჯერ მეტ პურს მოიხმარს, ანუ 650-700 გრამს დღეში. ამიტომ ადგილობრივი წარმოების გაზრდა ყველა მიმართულებით აუცილებელია, რადგან ეს ერთი მხრივ გაზრდის პროდუქციას ბაზარზე, მოხდება მოსახლეობის დასაქმება, ამაღლდება სოციალური დონე და, შესაბამისად, მოსახლეობა უფრო მყიდველუნარიანი გახდება. ძალზე მნიშვნელოვანია გადამამუშავებელი მრეწველობის აღორძინება. ამ კუთხით საქართველო ოდითგანვე ექსპორტიორი ქვეყანა იყო. არ მესმის, რატომ უნდა შემოდიოდეს ჩვენთან უცხო ქვეყნებიდან შამპანური, ღვინო, კონიაკი, კონსერვები... აღარაფერს ვამბობ ჩაისა და ციტრუსებზე. ექსპორტის გადიდება გაზრდის ბიუჯეტში შემოსავლებს, დღეისათვის კი საქართველოში იმპორტი 4-5-ჯერ აღემატება ექსპორტს.

ჩვენში, მიუხედავად დიდი იმედებისა, ფაქტობრივად ვერ განვითარდა ფერმერული მეურნეობები. საქართველოს მოსახლეობის თითქმის ნახევარი სოფლად ცხოვრობს, ევროპაში ეს რიცხვი არ აღემატება 10%-ს, ამერიკაში კი მხოლოდ 4%-ს შეადგენს. მაგრამ იქ იმდენად მაღალია წარმოების ინტენსიფიკაცია, რომ სოფლის მოსახლეობის ასეთი მცირე ნაწილი უზრუნველყოფს წარმოებული პროდუქციით არა მხოლოდ თავიანთ ქვეყანას, არამედ ექსპორტსაც აწარმოებს. ჩვენს გლეხს კი, რომელსაც მხოლოდ 1-1,5 ჰექტარი მიწა აქვს, ისიც დანაწევრებული და ხშირ შემთხვევაში ურწყავი ან დაჭაობებული, ცოტა ძნელი წარმოსადგენია, ამ პირობებში როგორ უნდა გახდეს იგი ფერმერი. ასევე დიდ პრობლემას ქმნის ზოგ რაიონში ტექნიკის უქონლობა. არის სოფლები, სადაც გუთნით მიწის დამუშავების პრაქტიკას დაუბრუნდა ხალხი.

**— ბატონო შოთა, თქვენ საუბრობთ ადგილობრივ წარმოებაზე, მაგრამ ზოგ შემთხვევაში უცხოეთიდან შემოტანილი პროდუქცია, გაცილებით იაფი ღირს.**

— ხელისუფლებამ გადამჭრელი ზომები უნდა მიიღოს ფალსიფიკაციის წინააღმდეგ. რეალური ბრძოლა უნდა განხორციელდეს ხარისხის კონტროლის მიმართულებით. გამკაცრდეს საგადასახადო პოლიტიკა იმ პროდუქციაზე, რომლის მწარმოებელი ტრადიციულად საქართველო იყო და არის. ალბათ გახსოვთ, სულ რამდენიმე წლის წინ საქართველოში ხორბლის დიდი მოსავალი იყო. ამ დროს კი კერძო პირებმა, ე. წ. კომერსანტებმა, ქვეყანაში ნახევრად კონტრაბანდული ფქვილი შემოიტანეს. ამან გამოიწვია ადგილობრივი მარცვლეულის ჩაწოლა. ვფიქრობ, ხელისუფლებამ უნდა შექმნას სასოფლო-სამეურნეო დაზღვევის სისტემაც.

სასურსათო უსაფრთხოება მნიშვნელოვანწილად გულისხმობს პროდუქციის სრულფასოვნებას საიმედოობის თვალსაზრისით. ანუ, სასურსათო პროდუქცია უნდა იყოს ლიცენზირებული, სერტიფიცირებული და ჰქონდეს გავლილი ხარისხის კონტროლი. ხშირ შემთხვევაში ჩვენს ქვეყანაში შემოდის დაწუნებული, ნორმებს შეუსაბამო პროდუქცია, რომელსაც იმპორტიორი ქვეყანა თავისი მოსახლეობისთვის არ მოიხმარს და ფაქტობრივად კაპიკებში ყიდის. ამით აიხსნება ის ფაქტორი, რომ ფასები ამგვარ პროდუქციაზე ჩვენთან უცხო ქვეყნებთან შედარებით 3-7-ჯერ დაბალია.

**— ჰუმანიტარული სახით შემოსული სასურსათო პროდუქტები ნაწილობრივ მაინც არ უზრუნველყოფდა სასურსათო უსაფრთხოების პრობლემას?**

— ჰუმანიტარული დახმარებების მოწოდება ნამდვილად აღსადგენია, მაგრამ უნდა მოხდეს მისი მიზნობრივი გამოყენება. როდესაც „ნატოს" სურსათის კომიტეტში, სადაც საქართველოს წარმოვადგენ, ამ პრობლემასთან დაკავშირებული მოხსენება წავიკითხე, ბევრი საყურადღებო მოვისმინე, რომ საქართველოში ამა თუ იმ ქვეყნიდან გამოგზავნილი ჰუმანიტარული ტვირთი ადრესატამდე არ მიდიოდა...

როგორც ვხედავთ, ქვეყნის მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოების საკითხი დღესაც მწვავედ დგას. ამდენად, იგი იმ უმთავრეს პრობლემებს განეკუთვნება, რომელთა გადაწყვეტასაც ახლა მაინც მთელი სერიოზულობით უნდა მოეკიდონ კომპეტენტური სამთავრობო სტრუქტურები.

*ემა ტუხაშვილი*

ამერიკა-ისრაელის ერთობლივი წარმოება
● უნივერსალური ●
სასათბურე ფირები
გარანტირებული დაცვა
- მზის მავნე გამოსხივებისაგან
- ვირუსებისა და მწერებისაგან
- ცვარისაგან
- ტემპ. ცვალებადობისაგან
- მოყინვისა და ჩახურებისაგან
- გარანტია = 2 წ; 3 წ
სიახლე
მრავალწლიანი პრაქტიკული გამოცდილებით საქართველოში
შპს შალი, თბილისი, მარჯანიშვილის 5
ტელ: 267888; 969164; ტელ/ფაქსი: 969195;
● მობ: 8.99.569195; 899 931110
ამერიკა-ისრაელის ერთობლივი წარმოება

# საქართველო — მსხვილი კორპორაციების უხარისხო პროდუქციის ბაზარი?!

## ვეძებთ საკვებად გამოსადეგ ბოსტნეულსა და ხილს...



*ეკოლოგიურად დაბინძურების პრობლემა დღეს მსოფლიოსთვის დილემად იქცა. ადამიანის ჯანმრთელობა, სიცოცხლის ხანგრძლივობა დიდად არის დამოკიდებული დედამიწის მცენარეული საფარის სიჯანსაღეზე. ფაქტები მეტყველებენ, რომ მსოფლიოში მოყვანილი ხილის, ბოსტნეულისა და ბალჩეულის უდიდესი ნაწილი ტოქსინებით არის სავსე, შხამ-ქიმიკატები, გენური ინჟინერიით მიღებული თესლი, მომატებული რადიაციული ფონი, ეკოლოგიურად დაბინძურებული მდინარეები — ამ ყველაფრის ფონზე სრულიად უიმედოდ მომზირალი მომავალი კიდევ ერთხელ გვახსენებს თავს, როცა ბაზარში საკვებად გამოსადეგ ბოსტნეულსა და ხილს ვეძებთ. ვპოულობთ კი? პასუხის გაცემა რთულია. 2004 წელს (რომლის მხოლოდ სამი თვეა გასული) საქართველოში 423.281 კგ კარტოფილი შემოიტანეს. სამწუხარო ის არის, რომ დღეს ვერავინ გეტყვით, რამდენად ხარისხიანი კარტოფილი გაიყიდა. შეიცავდა თუ არა იგი ჯანმრთელობისთვის საშიშ ნივთიერებებს, ერია თუ არა მასში გენური ინჟინერიით მოყვანილი პროდუქცია.*

*ვესაუბრებით ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატს, საქართველოს მწვანეთა მოძრაობის გენმოდიფიცირებული ორგანიზმების საწინააღმდეგო კომპანიის კოორდინატორს,* ***გიორგი მაღრაძეს:***

**— ჩვენთან არ არსებობს არც შესაბამისი კანონი და არც სრულყოფილი ინფორმაციის მოპოვების საშუალება იმის შესახებ, თუ როგორი პროდუქცია შემოდის საზღვარზე. არ ხდება მისი კონტროლი და აღრიცხვა. ყურადსაღებია სიმინდის, სოიის, კარტოფილის იმპორტი, მეტნაკლებად პომიდორიც საეჭვოა. საქართველოში ეს პროდუქტები დიდი რაოდენობით შემოდის.**

**— საქართველო სოფლის მეურნეობის ქვეყანაა და ამბობენ, რომ თავად შეუძლია საკმარისი საკვების წარმოებაც. როგორ ფიქრობთ, რატომ ხდება საჭირო ამდენი პროდუქტის შემოტანა, მით უმეტეს, თუ მათ ხარისხს ვერც ვადგენთ?**

— ეს სახელმწიფო პოლიტიკის საკითხია. საქართველოში შეიძლება კარგი ბოსტნეულის მოყვანა. ამიტომ ქვეყანაში სოფლის მეურნეობა პრიორიტეტული უნდა იყოს. მაგრამ დღეს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის გავლენას განვიცდით. ეს ორგანიზაცია სულაც არ არის დაინტერესებული, პატარა ქვეყნებს ჰქონდეთ განვითარებული სოფლის მეურნეობა. მას უნდა თავისი მსხვილი კორპორაციების უხარისხო პროდუქციის ბაზრად იქცეს ასეთი ქვეყნები. მომავალი წლიდან მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შემავალი ქვეყნებისთვის ძალაში შევა კანონი საბაჟო მოსაკრებლების შესახებ. შემოტანილ პროდუქციაზე ბაჟი დაიკლებს და ჩვენი გლეხები კიდევ უფრო კაბალურ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან. მოისპობა ადგილობრივი წარმოება. არადა, ადგილობრივი პროდუქცია გაცილებით მაღალხარისხიანი რომ იქნება, ამაში ეჭვი არავის ეპარება. მთავრობას, რაც არ უნდა ეროვნული იყოს იგი, მაინც მოუწევს გარკვეულ დათმობებზე წასვლა, რადგან მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას ნებისმიერ დროს შეუძლია საჯარიმო სანქციების დადება.

**— სხვა ქვეყნებმა როგორ დააღწიეს თავი ანალოგიურ პრობლემებს?**

— ევროკავშირს აქვს გართულებული ურთიერთობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან. ისინი გენმოდიფიცირებულ პროდუქციას არ უშვებენ, ამიტომ ამერიკამ უჩივლა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში. ევროკავშირი თუ ისევ უარს იტყვის გენმოდიფიცირებულ ბოსტნეულზე, მრავალმილიონიან ჯარიმას დააკისრებენ. იგი ძლიერია და გაუძლებს ზეწოლას, ჩვენ ვერ გავუძლებთ. ესპანეთში შარშან აღმოაჩინეს, რომ მათთან დიდი რაოდენობით გენმოდიფიცირებული სიმინდი ითესებოდა. რთული სიტუაციაა რუმინეთშიც... ამ ქვეყნებში ამერიკის შეერთებული შტატების სასურსათო პროგრამა ხორციელდებოდა.

**— ეს პროგრამა საქართველოშიცაა დანერგილი?**

— დარწმუნებული ვარ, ჩვენთანაც იგივე სიტუაციაა, რაც ესპანეთში იყო.

**— ამბობენ, საქართველოში ისევ ჭარბად დაიწყეს შხამქიმიკატების გამოყენებაო.**

— საბჭოთა კავშირი რომ დაინგრა, რამდენიმე წელი აღარ იყენებდნენ ქიმიკატებს, ახლა ისევ დაიწყეს... დიდი საფრთხეა იმ მხრივაც, რომ ძველი საწარმოების ტოქსიკური ნაშთები ღია ცის ქვეშ დარჩა, წყალსა და ნიადაგს შეერია. კაზრეთში წყალი, რომელიც სარწყავად გამოიყენება, დაბინძურებულია. ასე რომ, ადგილობრივი პროდუქციაც არ არის მთლად დაზღვეული. მიუხედავად ამისა, მაინც ეროვნულ ნაწარმს უნდა მივანიჭოთ უპირატესობა. აქვე გეტყვით, რომ არც ჩვენთან არსებობს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის სტანდარტები.

*გასულ კვირას თბილისში ორდღიანი ბაზრობა გაიმართა, სადაც გლეხებმა თავად წარმოადგინეს კერძო მეურნეობის პროდუქცია. ეს ხილი, ბოსტნეული, ხორცი ყოველგვარი ქიმიური პრეპარატის გარეშეა მიღებული. ბიოლოგიურ მეურნეობებზე ჩვენთან ცოტა რამ არის ცნობილი. მაგალითად, გერმანიაში 3.000-4.000 მაღაზია ვაჭრობს ბიოლოგიურად სუფთა პროდუქციით, სუპერმარკეტებში ბიოლოგიური პროდუქციის კუთხეებია გახსნილი და, ბოლო მონაცემებით, ბიოლოგიური პროდუქცია ევროპის პროდუქციის საერთო რაოდენობის 1-2%-ს შეადგენს. ასეთი საკვები 5-ჯერ, ზოგჯერ 10-ჯერ უფრო ძვირიც ღირს. ქართველი გლეხები ასე ძვირად ვერ გაყიდიან თავის პროდუქციას. შრომაც დიდი უწევთ. ამის შესახებ რამდენიმე მათგანს გავესაუბრე.*

**გიორგი გულაშვილი:** მცხეთის რაიონში მაქვს 2,5 ჰა მიწის ნაკვეთი. ყველაფერი მომყავს ჩაისა და ციტრუსების გარდა. ზოგი რამ მამა-პაპისგან ვიცოდი, ზოგი ახლა ვისწავლე... მართალია, ჩემი მოსავალი უფრო ცოტაა, ვიდრე მეზობელი გლეხებისა, ვინც შხამ-ქიმიკატებს ხმარობენ, მაგრამ ასე მირჩევნია...

**რეზო ცხადაია:** ზუგდიდის რაიონიდან ჩამოვედი. 2,5 ჰექტარი მაქვს. დღე და ღამე ვშრომობ, ლიმონარიუმი გავაშენე, ფუტკარიც მყავს, ბოსტნეულიც მომყავს. ბავშვებმა რომ ჭამონ, არ შემეშინდება.

**გაბრიელ ფირანიშვილი:** წინანდლიდან ვარ. შხამქიმიკატებს არ ვხმარობთ, მაგრამ მოსავალი კარგი მოდის. როცა კარტოფილს კოლორადოს ხოჭო გაუჩნდება, ხელით ვაცლით. როგორ ვუძლებ ამ შრომას? აი, ხელებზე მეტყობა, დაკოჟრილი მაქვს [illegible] ნამდვილად ღირს...

„[illegible]" ფირმის
მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, ნაძვის ხეტყის ფერით, მუხა, მუქი მუხა, მაკაგონი, წითელი ხე და ა.შ.
ჩვენი პროფილი — 3-კამერიანია
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის" გვერდით
☎26-30-50; 34-49-40; 61-32-37; 899-51-51-09; 899-902-091; ფაქსი: 966-779

შპს „პოლიგრაფისტი"
(სტამბა №17) გთავაზობთ:
• ბეჭდვას შოლკოგრაფიით როგორც ქაღალდზე, ასევე სხვა მასალაზე.
• ყველა სახის პოლიგრაფიულ მომსახურებას.
მის: სურამის ქ. №13
(რკინიგზის დეპარტამენტის უკან)
☎95-00-97

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 9 აპრილიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2,0000 |
| ევრო | 2,4363 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | 3,6840 |
| რუსული რუბლი | 0,0701 |
| თურქული ლირა (1.000.000) | 1,4928 |

# ცხოვრებისეული კურიოზები

## 1. „შენი" ჩემია...



70-იან წლებში სამუშაოდ ვიმყოფებოდი საზღვარგარეთ. იმ დროისათვის მუსიკალური ტექნიკა იშვიათობა იყო. საბჭოეთიდან ჩასულთათვის აუცილებლობას წარმოადგენდა ე. წ. მუსიკალური სტერეოკომბაინის შეძენა, რასაც ფრანგულად „შენ"-ს ეძახდნენ (Chaine „ჯაჭვს", „გადაბმულს" ნიშნავს). იმის გამო, რომ კომბაინში ერთად იყო დამონტაჟებული მაგნიტოფონი, ფირსაკრავი და რადიო, საფრანგეთშიც კი ძნელი იყო მისი შოვნა. „შენი" იყიდე? „შენი" ხომ არ გინახავს?.. ეკითხებოდნენ ერთმანეთს „სოვეტიკები" ქალაქის მაღაზიებიდან დაბრუნებისას. არათუ კომბაინი, მაშინ მაგნიტოფონიც კი არ მქონდა და გასაგები უნდა იყოს ჩემი დაინტერესება. მოკლედ, როგორც იქნა, მოვახერხე მისი შეძენა და ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მთელი წლის განმავლობაში (დღეში 3-4 საათი) ვიწერდი სხვადასხვა მომღერალსა და პოპჯგუფს, შევადგინე სპეციალური კატალოგი და წლის ბოლოს ჩემი უმნიშვნელოვანესი შენაძენი წამოვიღე სამშობლოში. „შენი", როგორც უძვირფასესი ნივთი, საბარგოში არ ჩამიბარებია, მუხლებზე დადებული ჩამოვიტანე.

თბილისის აეროპორტში დამხვდნენ ნათესავები, მეგობრები. სანამ აზრზე მოვიდოდი, ერთ-ერთი ჩემი მეგობარი მომვარდა, გადამკოცნა და ყუთზე, რომელიც ხელში მეჭირა, შემეკითხა, ეს რა არისო. მე ვუპასუხე, „შენია"-მეთქი. — ჩემიაო? — სიხარულით შესძახა, სასწრაფოდ გამომართვა ყუთი და განზე გადგა. საოცარი სიცარიელე ვიგრძენი, თავზარი დამეცა. მომცვივდნენ დანარჩენები, მეხვეოდნენ, მკოცნიდნენ, ზოგი რას მეკითხებოდა, ზოგი რას, მაგრამ მე გაოგნებული ვიდექი და ოჯახის წევრებსაც კი ვერ ვამჩნევდი. თვალი ჩემი „შენი"-საკენ გამირბოდა. აეროპორტიდან გამოსვლისას რამდენიმე მანქანიდან ის მანქანა ავარჩიე, რომელშიც ჩემს მეგობართან ერთად ჩემი სანუკვარი ნივთი იდო. მან მძღოლის გვერდით დამსვა და თვითონ „შენ"-თან ერთად დაჯდა. სხვებიც ჩასხდნენ. გზაში მათ შეკითხვებს ვერ ვპასუხობდი, რაღაცას ვლუღლუღებდი. როცა უკნიდან რაღაც ფხაჭუნი და ქაღალდის გახევის ხმა შემომესმა, რაც ჩემი მეგობრის ცნობისმოყვარეობით იყო გამოწვეული, ველარ მოვითმინე, დავძლიე ჩემი ხათრიანობა, მოვტრიალდი უკან და მივახალე: — იცი რა, ჩემო ძმაო, ეს „შენია", მაგრამ ჩემია-მეთქი და დაკარგული ნივთი ხელიდან გამოვგლიჯე.

— ჰოო, შენია? ააა! ეეეჰ! — ბურდღუნებდა გაოცებული მეგობარი.

მას შემდეგ 25 წელი გავიდა, მაგრამ „შენია, მაგრამ ჩემია" ყველა ჩემს ახლობელს ახსოვს და ხშირად იხსენებენ.

***შოთა ჩხეიძე, თბილისი***

## 2. არჩევნების ექო



28 მარტის საპარლამენტო არჩევნებზე ჩემი ძმაკაცი, გია გულხადარაშვილი სოფელში საუბნო კომისიის თავმჯდომარე იყო.

ხმის მიცემის დამთავრების შემდეგ ბიულეტენების დათვლის პროცედურა დიდხანს გაგრძელდა. ამის შემდეგ არჩევნების მშვიდობიანად დამთავრებაც სუფრაზე აღვნიშნეთ და უკვე ღამის პირველი საათი იყო, რომ გიამ და მისმა მოადგილემ გურჯაანის საოლქო კომისიაში მიიტანეს ბიულეტენები. იქ კი უზარმაზარი რიგი იდგა. გია 38-ე იყო და თანაც რიგი ნელ-ნელა მიდიოდა. იფიქრეს — თუ აქ ტემპით წავიდა, დილის რვა საათამდე ბიულეტენებს ვერ მიიღებენო და უკან — კარდანახში დაბრუნდნენ.

მათი წასვლა იყო და რიგი სწრაფად წავიდა, მაგრამ გია იქ აღარ იყო. ატყდა განგაში და კომისიის ერთი წევრი აფრინეს პოლიციის თანხლებით. ვილაცამ მიასწავლა გიას სახლი. გააღვიძეს ეს გია დილის ხუთ საათზე და უთხრეს: — ჩაიცვი, სასწრაფოდ, ყუთები წამოიღე და წამოდიო. ყუთების ხსენებაზე გიას უფიქრია — ორი კვირის წინ გურჯაანის ბაზრიდან შეცდომით ვილაცის ყუთები რომ წამოვიღე, ალბათ პატრონი მოვიდაო და ორი ბანანის ყუთი გამოუტანია სახლიდან. ამის შემხედვარე პოლიციელებს უყვირიათ: — კაცო, ვის აშაყირებ, შენ 38-ე უბნის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არა ხარო?

— თავმჯდომარე კი არა, გლეხი კაცი ვარო! — გაუპროტესტებია გიას, მაგრამ პოლიციელს რომ „დუბინკა" მოუმარჯვებია, მაშინ მოსულა გონს და მთელი ხმით უყვირია, — დამანებეთ თავი, კაცო, თუ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე გინდათ, გზის მეორე მხარეს დაიძახეთ და მე თავი დამანებეთო!..

თურმე, შეცდომით, კომისიის თავმჯდომარის ნაცვლად, მისი ბიძაშვილის სახლი მიუსწავლებიათ, — ისიც გია გულხადარაშვილი იყო...

***თამაზ ლორთქიფანიძე, გურჯაანის რაიონი, სოფელი კარდანახი***

## 3. შემთხვევა ავტობუსში



საირმიდან „პაზის" მარკის ავტობუსით მგზავრობისას უკანა კართან ვიდექი. ავტობუსში ჭეჭყვა იყო. ჩემ გვერდით მოხუცი კაცი იდგა. პირველივე გაჩერებაზე უკანა კარიდან ამოვიდა ასევე მოხუცი მანდილოსანი, რომელსაც ორივე ხელში ჩანთა ეჭირა. საირმის გზაზე საკმაოდ ბევრია მოსახვევი და ყოველ მოსახვევში ეს მანდილოსანი ხან ერთ მხარეზე მიეჯახებოდა, ხან მეორეზე. ბოლოს, რომ გაუჭირდა, ეუბნება მის წინ მდგომ მოხუც მამაკაცს, კაცო, რაღაცაზე მომაკიდებიე ხელიო!.. შენ რას მოგაკიდებიებ ხელს, მე ძლივს ვნახულობო!..

— მაგი რავა მაკადრეო! — გადაირია ქალი, შეიქნა გაწევ-გამოწევა...

***კ. ფურცხვანიძე, ქუთაისი***

# ყურადღება!

## კურიოზების კონკურსი

**„კვირის პალიტრამ" მკითხველის პრემია კურიოზების გვერდისთვისაც დააწესა. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ავტორებმა უნდა გამოგზავნონ რედაქციაში კურიოზები, ახალი სასაცილო ამბები, ანეკდოტები. საუკეთესოები გამოქვეყნდება.**

მიანიჭეთ პრემია საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ავტორს. თუ რომელიმე კურიოზმა ან ანეკდოტმა თქვენი მოწონება დაიმსახურა (ყველაზე მეტად), აღნიშნეთ მისი ნომერი ქვითარში და გამოგვიგზავნეთ. თქვენი ხმა არ დაიკარგება და თვის ბოლოს გადაწყვეტს გამარჯვებულის ვინაობას.

ხმები დაითვლება და თვის განმავლობაში ყველაზე მეტი ხმის მფლობელი კურიოზის/ანეკდოტის ავტორი მიიღებს პრემიალურ — 50 ლარს, მომდევნო — 30-ს, III ადგილზე გასული ავტორი კი — 20 ლარს.

**კურიოზების კონკურსი**

საუკეთესო კურიოზის ან

ანეკდოტის ნომერი ____

**კვირის პალიტრა №15**

*ეს ქვითარი „კვირის პალიტრის" („სიტყვა და საქმის") საფოსტო ყუთში უნდა მოათავსოთ რაიონებში ოთხშაბათის, 14 აპრილის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 15 აპრილის 13 საათამდე.*

## 4. უცნაური ხუმრობა



იმერეთში, ჩემი სოფლიდან, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნამდე 5-6 კმ-ია. 60-იან წლებში, ქარხანაში, ჩვენი სოფლიდან ბევრნი მუშაობდნენ. ზამთარში უჭირდათ გრძელი გზით სიარული, ზაფხულში კი მოკლე, საცალფეხო ბილიკით დადიოდნენ. ეს გზა ყველასთვის მოსახერხებელი იყო, მაგრამ ძველი ხალხის გადმოცემით, მისი ერთი მონაკვეთი ნაძრახ ადგილად ითვლებოდა — ათას უცნაურ ამბებს უკავშირებდნენ, რის გამოც, ღამით მარტო იქ გავლას ყველა ერიდებოდა.

ერთ ზაფხულზე, სტუმრად ჩავედი, ჩვილი ბავშვით, ჩემს სოფელში. ვინაიდან ბავშვი უაკვნოდ არ იძინებდა, დედაჩემმა, ჩემი ძმა, ბადრი გრიგოლაშვილი გააგზავნა ჩემს დასთან მეზობელ სოფელში აკვნის ამოსატანად. უკან დაბრუნებულს შემოაღამდა, გზად ის ნაძრახი ადგილი უნდა გამოევლო. ცოტა შიშმა გულში კი გაჰკრა, მაგრამ სანამ ზუსტად იმ ადგილს მიუახლოვდებოდა — უკნიდან ხმაური მოესმა, მიაყურადა. ჩვენი უბნის ბიჭები იყვნენ, სამუშაოდან ბრუნდებოდნენ. მთვარიანი, კაშკაშა, დღესავით ღამე იყო. ფეხს აუჩქარა, ნაძრახ ადგილამდე მივიდა, ქვაზე ჩამოჯდა, აკვანი წინ დაიდგა და ბიჭებს დაელოდა. როცა ბიჭები მიუახლოვდნენ, აკვანს ნელ-ნელა დაუწყო რწევა. ბიჭები შეჩერდნენ, კარგად დააკვირდნენ, გარკვევით დაინახეს აკვნიანი ქალი, აკვანმა რწევას უმატა — მერე უცნაურად ბოხი იავნანას ხმაც გაიგონეს. აბა ვისმეს დაენახა, ეს ექვსი მუტრუკი ბიჭი როგორ გარბოდა... სიცილისგან ჩაბჟირებული ბადრის მიძახილმა — შოთა, გურამა, თამაზა!.. — ბიჭო, მე ვარ, ბადრია!.. — ვერ გაჭრა. თავიანთი სახელების გაგონებამ კიდევ უფრო მეტად გადარიათ და რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, გარბოდნენ და ერთმანეთს ასწრებდნენ.

***ციური გრიგოლაშვილი, საბერძნეთი, სალონიკი***

## 5. რა შეუძლია სახელს...




კომუნისტების დროა, კულტურის დამსახურებული მუშაკის წოდებაზე წარადგინეს ფეროშენადნობთა ქარხნის კლუბთან სახალხო კინოსტუდიის დამაარსებელი, მთელ იმერეთში ცნობილი კინო და ტელეოპერატორი, ბატონი რუბენ ღავთაძე. მან შეაგროვა ყველა საჭირო დოკუმენტი, დარჩა ერთი, დარგის კურატორის — კულტურის მინისტრის მოადგილის ხელის მოწერა. ამ დარგს კურირებდა ია გამრეკელი. რუბენმაც შეაღო მინისტრის მოადგილის კაბინეტის კარი და... იქ ბრგე მამაკაცი რომ დაუხვდა, უკან გამობრუნდა. დადგა კართან და ლოდინი დაიწყო. თან თვალყურს ადევნებდა, როდის შევიდოდა თავის კაბინეტში ქალბატონი ია, მინისტრის მოადგილე, მაგრამ კაბინეტში ქალის შესვლას საშველი არ დაადგა. ამასობაში მოსაღამოვდა კიდეც, მინისტრის მოადგილის კაბინეტიდან რუბენის ერთი ნაცნობიც გამოვიდა და როცა მან მომლოდინე დამსახურებული მუშაკი შენიშნა, გაუკვირდა — აქ რას აკეთებო. რუბენმაც უამბო თავისი გასაჭირის შესახებ — მინისტრის მოადგილეს, ქალბატონ ია გამრეკელს ველოდებიო. მართალია, კაბინეტის კარი ღიაა, მაგრამ იქ ვილაც კაცი ზისო. ნაცნობი სიცილით გადაბჟირდა, რუბენს მხარზე ხელი გადახვია და მინისტრის მოადგილესთან შეიყვანა (რომელსაც ია ერქვა)... მასაც მოუყვა ეს ამბავი. ბატონმა იამაც ბევრი იცინა...

***ლერი ბიწაძე, ზესტაფონი***

## 6. „მზრუნველი" სიძეები

ქუთაისის ცნობილ კოლორიტს, ექიმ გაბრიელ თურქაძეს 60 წლის იუბილეზე ძმაკაცებთან და თანამშრომლებთან ერთად, თბილისიდან ორი სიძეც ეწვია. წინა საღამოს ზღაპრული პურმარილი გაეწყო რესტორან „ვენეციაში" და კარგადაც მოილხინეს.



მეორე დილით, ქალბატონმა ანიკომ, ბატონი გაბრიელის მეუღლემ, თბილისიდან ჩამოსული სიძეების პატივსაცემად სახელდახელო სუფრა გააწყო აივანზე. წინა დღის ნაქეიფარი ბატონი გაბრიელი „პახმელიაზე" მთლად კარგ ხასიათზე ვერ ჩანდა. ერთ-ერთმა სიძემ, ჩემმა მეგობარმა ლადომ, სცადა სიმამრის გამხიარულება. ეზოში მონადირე ძაღლი დარბოდა. ლადომ სიმამრს მიმართა:

— შალვოვიჩ, რა კარგი ძაღლია, დედალია თუ მამალი?

— დედალი! — მოკლედ მოუჭრა სიმამრმა.

— აუჰ! — საუბარში ჩაება მეორე სიძე, ლევანი. — ზუსტად მაგ ჯიშის მამალი მონადირე ძაღლი ჰყავს ჩემს ძმაკაცს თბილისში და რომ ჩამოვალ, აუცილებლად ჩამოვიყვან.

— გაგვიმარჯოს! — წარბი და ჭიქა ერთად აწია შალვოვიჩმა, — აბა თქვენ იცით, ბიჭებო, არ დაგვიტოვოთ ოჯახში უხმარი არავინ!

***პაატა ბაკურაძე, თბილისი***

# მკითხველის საყვარელი ანეკდოტი



**7.** მიხო მაროს ეკითხება:

— აბა, თუ იცი, შავ ზღვას რატომ დაერქვა „შავი"?

— იმიტომ, რომ დამსვენებლები აქედან თეთრები მოდიან, იქიდანა კიდევა, გაშავებულები ბრუნდებიან!..

***ანიკო, თბილისი***



**8.** სიცოცხლეში პირველად, გურული შევიდა ზოოპარკში. შესვლისთანავე სირაქლემას დაადგა თვალი და მთელი დღე მხრების ჩეჩით კუდში სდია, გვერდიდან აღარ მოსცილებია. უკვე საღამოს თანამშრომლებმა უთხრეს: — გთხოვთ დატოვოთ ტერიტორია, დაკეტვის დროაო. გურულმა ერთი კი მოხედა მათ და კვლავ გააგრძელა დევნა. საჭირო გახდა საქმეში დირექტორის ჩარევა:

— გთხოვთ გახვიდეთო...

გურულმა ერთხელ კიდევ აიჩეჩა მხრები და მიუგო:

— მე კი გავალ, ბიძია, მარა არაა მაი ინდაურიიო!

***ლერი ჭიჭიკაშვილი, თბილისი***

***ავტორის ნახატი***

## მილოცვა

**გვანცა ბზიკაძეს!**

ჩვენო თვალხატულა გოგო, გილოცავთ დაბადების დღეს, დაესწარი მრავალს. გაზრდილიყავი ოჯახისა და ერის სასიქადულო ქალი.

*ციალა, მურადი, გია ბზიკაძეები*



**გოგუცა ჟორჟოლიან-კიბორძალიძეს** ვულოცავთ 82 წლის შესრულებას. იყავი ჯანმრთელი, მხიარული, შენს ოჯახთან ერთად.

გფარავდეს ღმერთი, ამინ!

*შვილი ნატო; სიძე ლერი; შვილიშვილები: ნონა, დათო; რძალი ლელა; შვილთაშვილები: ნატო, გვანცა, ლერი ხინთიბიძეები*

**აკაკი ჩხაიძეს!**

თავისუფლებას და აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს გილოცავთ. გისურვებთ ურყევ ჯანმრთელობას. ცოდნას ვერავინ წაგართმევთ.

*დიდი სიყვარულით, ნაზი წილოსანი*

**ლამარიკო (ლამარა) ქიპაშვილ-კერვალიშვილს!**



ჩვენო საყვარელო ლამარიკო! გილოცავთ დაბადების დღეს. იცოცხლე, იდღეგრძელე, იხარე თქვენი ძვირფასი მეუღლის ოთარისა და შვილების საკეთილდღეოდ.

*ფაქო, თინა, ნანა, მანანა, ეთერი, ნაზი*

**თეონა ბოჭორიშვილს!**

თეო, ჩემო პატარა სულისდგმავ, ჩემო თოჯინა! ქრისტე აღსდგა! გილოცავ აღდგომის დღესასწაულს. იყავი ბედნიერი, ლამაზი და ჯანმრთელი. ძალიან მიყვარხარ და ძალიან მენატრები. ჩემი სულისდგმა ხარ.

*შენი ახი*

## მადლობა

**მადლობა ექიმს!**

იმაზე დიდი ბედნიერება ადამიანისთვის რა არის, რომ შეგიძლია სხვას სიცოცხლე შეუნარჩუნო და გაუხანგრძლივო – მაშინ მისთვის ღმერთი ხდები და სალოცავი.

ასეთ მფარველ ანგელოზად მომევლინეთ, ბატონო ზურაბ, თქვენ და თქვენი ასისტენტი არჩილ ალადაშვილი. ალბათ სიტყვებით ვერ გამოიხატება მადლიერების ის გრძნობა, რასაც თქვენ მიმართ განვიცდი.

ონკოლოგიურ კლინიკაში შესულს რომ მითხრეს, თუ ზურაბ დევდარიანის ხელში მოხვდი, სანერვიულო არაფერი გაქვსო, ჯერ ის იყო ჩემთვის დიდი ძალა და ნუგეში.

ამ პატარა ბიჭში ამხელა მადლი ღვთის წყალობაა. ღმერთმა დაგლოცოს, ჩემო აჩიკო, შენი ოჯახით.

ღმერთი იყოს თქვენი მფარველი და შემწე, ბატონო ზურაბ.

*პატივისცემით, დალი ლომსაძე*

## ბინები

იყიდება 2-სართულიანი ახალი სახლი ოქროყანაში, 11X15, მეტალის კარ-ფანჯრით და თანამედროვე გადახურვით, კაპიტალური გალავნით, აუზით – 4X2X10. I სართ. სამზარეულო 20 კვმ, ბუხრიანი ოთახი 60 კვმ, საკუჭნაო და სააბაზანო მოპირკეთებულია ევროპული მეტლახითა და კაფელით. II სახლი – 6 ოთახი, ორი აივნით. დარჩენილია შიდა და გარე სამღებრო სამუშაოები. ს.ფ. $65000. ტელ: 33-70-36; 899 20-20-36 ირინა; ავთო

ქირავდება 4-ოთახიანი, 130 კვმ ბინა უცხოელებზე, ვაკეში, თამარაშვილის ქუჩაზე, ახალაშენებულ სახლში, მ/დენით, ბ/აირით, თერმექსით, ტელეფონით, III სართულზე. ბინა საჭიროებს კოსმეტიკურ რემონტს. შეთანხმებისამებრ (ხელშეკრულებით) შესაძლებელია პირველი თვეების ქირით გარემონტდეს 20 დღეში. ტელ: 22-78-56; 893 12-25-05; 893 12-70-37

## გთავაზობთ სამუშაოს

18-25 წლამდე გოგონებს ვთავაზობთ გამგზავრებას გერმანიასა და საფრანგეთში 1 წლით, ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტელ: 95-64-18; 7-74-79 (ქუთაისი)

გვაქვს 4 ვაკანსია. სათანამშრომლოდ მივიღებდით განათლებულ, რუსულის მცოდნე ადამიანებს. ვმუშაობთ მსოფლიოში. საუკეთესო თანამშრომლებს ეძლევათ შანსი საზღვარგარეთ მუშაობისა (კომპანიის ხარჯებით). გამომუშავება 200-400$ აშშ სტანდარტებით. მიმდინარეობს შერჩევა. იჩქარეთ! მისამართი. მ. „დიდუბე", „სამთო ქიმიის ინსტიტუტი", I სართ. ოთახი 6. ტელ: 34-02-38; 899 90-54-78; მენეჯერი: ბ-ნი დიმიტრი

ყურადღება!!! მრავალპროფილიან მსოფლიო სავაჭრო კომპანიას ადგილობრივი ტერიტორიიდან აინტერესებს ბიზნესპარტნიორები. შესაძლებელია სხვადასხვა პროფესიის ადამიანების გადამზადება და დასაქმება. ანაზღაურება – მაღალი. გვაინტერესებს რეგიონების წარმომადგენლებიც. ტელ: 52-44-10; 893 33-18-86

ყურადღება! უცხოურ კომპანიაში მიმდინარეობს კადრების შერჩევა. გვესაჭიროება თანამშრომელბი საორგანიზაციო სამუშაოს შესასრულებლად. აუცილებელი პირობებია: უ/გ, ასაკი – 25-55 წელი. ტელ: 30-09-49 (18 სთ-ის შემდეგ); 893 37-33-00

Внимание! Предлагается перспективная работа для врачей. Тел: 72-31-40

## ვეძებ სამუშაოს

ვარ პროფესიონალი მძღოლი ყველა კატეგორიით, თბილისელი, 35 წლის. ვიმუშავებ პირად მძღოლად ან მიკროავტობუსზე. მაქვს საკმარისი გამოცდილება. ტელ: 70-25-11; 899 28-90-88. ბესო

## მომსახურება

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია – 1 სთ – 10 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 3. ტელ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გიორგობიანი

ვაკეთებ რბილი ავეჯის რესტავრაციას – სამეულებზე შალითების შეცვლა, აღდგენა, განახლება, სკამების, მატრასების დარბილება-განახლება. ვღებავ ტყავის სამეულებს. ტელ: 893 96-91-81. ვალერი

## მკურნალობა

თმის დაავადებები: ქერტლი, ქავილი, გამონაყარი, ბუდობრივი ცვენა (ამოდის თმა), ტილები, წილები, ფრჩხილის სოკო; ფეხის ქუსლებზე ნახეთქები; ოსტეოქონდროზი, სკოლიოზი; კოსმეტიკა, ოფლის ლოსიონი. მის: ჭავჭავაძის გამზ. №2/2 (ჩაის სახლთან). სტომატოლოგიური პოლიკლინიკა. 11-18 სთ. ტელ: 30-94-73; 35-32-62; 22-27-95. ციცო მჭედლიძე

პროსტატიტი, იმპოტენცია, სპერმის უხარისხობა, კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლული, ართრიტი, ართროზი, სოკო, ბუასილი, კოლიტი, პარადონტოზი, შარდის შეუკავებლობა, ასთმა, ალერგია, ქრ. ბრონქიტი, წონის კორექცია. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 899 72-39-20. ნოდარი

გთავაზობთ მცენარეულ გამაჯანსაღებელ საშუალებებს, რომლებიც ეფექტურად მოქმედებს შემდეგ ნოზოლოგიებზე: ნევროზი, შიშები, დეპრესია, აკვიატება, თავის ტკივილები, თმის ბუდობრივი ცვენა, ქრ. ბრონქიტი, ჰეპატიტი, რევმატიზმი. ტელ: 899 96-38-92. მზია

გაჯანსაღება უახლესი მცენარეული პრეპარატებით – ანტითამბაქო, ანტიალკოჰოლი, ნევროზები, უძილობა, ინსულტის შემდგომი მდგომარეობა, კოლიტი, ბუასილი, დიფუზური ჩიყვი, თმის ცვენა, ბრონქიტი, პნევმონია, ჰიპერტონია, ვენების ვარიკოზული გაგანიერება, ფსორიაზი. ტელ: 32-39-46; 899 16-44-59. ნათია

ალკოჰოლიზმისაგან გათავისუფლება, კრემლის ყოფილი ლაბორატორიის V თაობის პრეპარატებით (აკად. ლიხარიოვი), ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან გამოწვეული გართულებებისაგან განკურნება; თამბაქოს გადაგდება. პრეპარატები სერტიფიცირებულია, არ გააჩნია უკუჩვენება. მკურნალობა შესაძლოა კლიენტისაგან ფარულად (ოჯახის წევრის მიერ). ტელ: 899 22-63-90. ნინო

ნევროზები, შიშები, დეპრესია, უძილობა, ჰიპერტონია, სისხლძარღვოვანი პრობლემები, ინსულტისა და ინფარქტის შემდგომი რეაბილიტაცია, ვარიკოზები, სისხლძარღვების შევიწროება, კუჭ-ნაწლავის პრობლემები, ბუასილი, კოლიტი, სახსრები, მარილები, პრობლემური კლიმაქსი. ტელ: 53-08-02. ნინო

თამბაქოსა და ალკოჰოლისაგან სწრაფი გათავისუფლება, ორგანიზმის გაჯანსაღება ამ დაავადებების გართულებებისაგან: ჰეპატიტები, უძილობა, აგრესიულობა, „პახმელიის" სინდრომი, მოსკოვის ლაბორატორიებში დამზადებული, სერტიფიცირებული პრეპარატებით, გვერდითი მოვლენების გარეშე. ტელ: 893 36-87-62. ავთანდილი

მკურნალობა აკადემიკოს ლიხარიოვის მეთოდებზე შექმნილი ЛООВИТ-ის პროდუქციით, უმაღლესი შედეგებით: ალკოჰოლიზმი, ნევროზის რთული ფორმა, ჰიპერტონია, ინსულტის შემდგომი მდგომარეობა, მხედველობის დაქვეითება, სკლეროზი, სქესობრივი სისუსტე, პროსტატიტი. ტელ: 893 96-94-51; 35-17-48 (საღამოს)

გაჯანსაღება უახლესი მეთოდით – მაქსიმალურად სწრაფი შედეგით: ანტითამბაქო, ანტიალკოჰოლი, ნევროზი, უძილობა, შარდის შეუკავებლობა, ასთმა, ალერგია, სახსრები, ბუასილი, კოლიტი, კატარაქტა, სოკო, ფსორიაზი. ტელ: 893 96-50-32. მაია

გთავაზობთ გაჯანსაღებას მაქსიმალურად სწრაფი შედეგებით: კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლული, ასთმა, ალერგია, ქრ. ჰეპატიტი, ქოლეცისტიტი, კლიმაქსი, ჰიპერტონია, ინსლულტის შემდგომი პერიოდი, სოკო, ეგზემა, ფსორიაზი, სახსრების მარილოვანი დაავადებები, ვარიკოზი, ბუასილი, კოლიტი. ტელ: 77-71-22; 99-75-90. ლელა

აკადემიკოს ლიხარიოვის მეთოდით! პროდუქცია, რომელიც კურნავს: ნერვოზი, უძილობა, შიშები, თავის ტკივილები, ჰიპერტონია, ინსულტის შემდგომი პერიოდი, ვარიკოზი, ბუასილი, კოლიტი, თვალის დაავადებები, კატარაქტა, ფსორიაზი, კუჭის წყლული, სახსრების მარილოვანი დაავადებები, ანტითამბაქო, ანტიალკოჰოლი, აგრეთვე კოსმეტიკა D.V.V. ტელ: 99-75-90; 899 21-13-66. ლალი

ტრადიციული მეთოდებით მედიცინის მუშაკი მაყვალა ცინცაძე ამზადებს თეთრ მუმიოზე მალამოებს, ხსნარებს და საფენებს. მკურნალობს: ოსტეოქონდროზს (მარილებს), სახსრებს, პოლიართრიტს, სამწვერა ნერვის ანთებას, დისკოზს, კისრის, მენჯ-ბარძაყის, მუხლსახსრის ართროზს. მხოლოდ ჰაიმორიტი იკურნება 8-10 დღეში. განკურნება გარანტირებულია. ტელ: 34-62-51; 899 20-19-66

## ვასწავლი

განათლების სამინისტროს კომპიუტერული ცენტრი „მზიური". კომპიუტერის შემსწავლელი კურსები, თანამედროვე ტექნიკა, საუკეთესო მეთოდიკა, ქართულენოვანი ლიტერატურა, სათანადო სერტიფიკატი. მის: უზნაძის ქ. №70. ტელ: 29-48-61

კომპიუტერული სტუდია „დაჯი" კომპიუტერი გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების, უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიით, სწავლის დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის" უკან). ტელ: 98-44-20; 899 14-03-31

შევასწავლი კომპიუტერზე მუშაობას. საოფისე: Windows, Word, Excel, Internet, E-mail, საგამომცემლო და გრაფიკა: Page Maker, PhotoShop, CorelDraw; Quarkxpress, AutoCAD, Arcicad, 3d-MAX; veb-დიზაინი: Flash, Dreamweaver და პროგრამირების ენები. მის. მ. „რუსთაველთან", რესტორან „სამოთხის" უკან. გაბაშვილის ქ. 7. ტელ. 98-80-23

ფირმა „ქართი" აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე: 1. მასაჟისტი (სამკურნალო, ჰიგიენური, ჩვილ ბავშვთა მასაჟი); 2. კოსმეტიკა (ეპილაცია, მასაჟი, მალამოები), პარიკმახერი (ქალთა და მამაკაცთა ხელოსანი). კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის. აღმაშენებლის №115, კაბ. №20. ტ: 94-01-82; 95-83-18 (სამსახ.); 96-22-89 (ბინა)

საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი ატარებს სასწავლო კურსს – ინგლისური ენა იურისტებისათვის (კონსტიტუცია სამართალი). სწავლა ფასიანია. კურსდამთავრებულები მიიღებენ სერტიფიკატებს. საბუთები მიიღება ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 12-16 სთ, 2004 წლის 15 აპრილამდე. მის: იუსტიციის სასწავლო ცენტრი, რუსთაველის №30 (იუსტიციის სამინისტრო). ტელ: 98-42-69; 75-83-23; ელ. ფოსტა: T.C.@justice.gov.ge

სამეჯლისო სპორტული ცეკვების სტუდია „გრაცია" იწვევს 15-დან 50 წლამდე მსურველებს, საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან, ინსტრუქტორთა შემსწავლელ კურსებზე. დაგეხმარებით კლუბის გახსნით თქვენს რეგიონებში. მის: დ. უზნაძის №59, 23-ე სკოლა. ტელ: 56-61-63; 61-73-18; 93-13-45; 899 55-16-09

## იყიდება

ხეხილის ნამყენი ნერგები, უწამლო ვაზები, ვარდები, როზმარინი, იასამანი, იუკა, ტირიფი, ცაცხვი, ნუში, კაკალი, კვიპაროსი, მოცხარი, ჟოლო, ჟასმინი, ტუია, კედარი, ფიჭვი, ნეკერჩხალი, ლიგუსტრუმი. გვყავს პროფესიონალი მებაღე-დეკორატორი. მის: სანერგე მეურნეობის დასახლება (თბილისის ზღვასთან). ტელ: 69-97-05. გივი; 899 16-93-15. ამირანი

სმენის აპარატები შეღავათიან ფასად, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით. აგრეთვე, ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები, გარანტიით. ტელ: 95-95-22 (10-12 სთ); 93-46-74 (20 სთ-ის შემდეგ); 899 27-38-99

ქალისა და მამაკაცის საგაზაფხულო, საზაფხულო იმპორტული, ზედა ტანსაცმელი. გვაქვს დიდ ზომებიც. ახალი! იაფად! მის: ჯანაშიას ქ. №16. (სასტ. „საქართველოსთან"). ტელ: 91-23-05; 899 56-11-16 (ყოველდღე, 14-19 სთ)

## სხვადასხვა

საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი ადვოკატებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის აწყობს საჯარო ლექციას თემაზე – საპროცესო შეთანხმება, ბრალდებულის დახმარება და თანამშრომლობა გამოძიებასთან; საპროცესო შეთანხმების სამართლებრივი შედეგები. ლექციას ჩაატარებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ნინო გვენეტაძე. ლექცია ფასიანია. ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით: ქ. თბილისი, რუსთაველის №30 (იუსტიციის სამინისტრო). ტელ: 9+8-42-69; 75-83-23

საქართველოს აიკიდოს ფედერაცია იწვევს მსურველებს საქართველოს რეგიონებიდან საინსტრუქტორო ვარჯიშებზე. მომავალში დაგეხმარებით რეგიონალური კლუბების გახსნაში. მის: აღმაშენებლის გამზ. №95 (ორშაბათი-ოთხშაბათი-პარასკევი, 20 სთ-დან). ტელ: 64-28-64; 899 51-85-24

სიახლე საქართველოში! „გაცნობის და დაოჯახების ცენტრი" ახორციელებს პროექტს: „ახალი ოჯახები და ძლიერი საქართველო". სათანამშრომლოდ გამოგვეხმაურონ ენერგიული, საქმიანი და ქველმოქმედებით დაინტერესებული ადამიანები, როგორც თბილისიდან, ასევე რეგიონებიდან. მის: თბილისი, კოსტავას ქ. №14, II სართ. ოთახი 210 (შესასვლელი ჭოველიძის ქ. №2-დან). ტელ: 93-49-72; 899 56-32-59. დათო


law consulting group
საადვოკატო-საკონსულტაციო ჯგუფი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „საადვოკატო-საკონსულტაციო ჯგუფი" – „LCG" (ელ-სი-ჯი)

გთავაზობთ სამართლებრივ მომსახურებას შემდეგ საკითხებში:

- სამეწარმეო-სამართლებრივი საკითხების დარეგულირება;
- კონსულტაციები და ინტერესების დაცვა საგადასახადო და საბაჟო საქმეების წარმოებისას;
- სახელშეკრულებო ურთიერთობების გაფორმება (ხელშეკრულებების პროექტების მომზადება);
- მიწასთან ან სხვა უძრავ ქონებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობების დარეგულირება;
- შრომითი-სამართლებრივი საკითხების დარეგულირება;
- აუდიტორული მომსახურება;
- უფლებების წარმოდგენა და დაცვა სასამართლოსა და სხვა სახელმწიფო ორგანოებში;
- სანოტარო მომსახურება;
- კონსულტაციები სამართლის სხვა დარგებში.

მის: ლესია უკრაინკას ქ. №3
☎ (+995 32) 92 11 60; 98 39 38
ფაქსი: (+995 32) 98 39 38



სამედიცინო ცენტრი „ექიმი გილი"

ნაოჭების გასწორება
ტუჩების კორექცია
მეზოთერაპია
მკერდის კორექცია
კონტურული მაკიაჟი
ეპილაცია
ულტრაბგერითი ლიპოსაქცია

მეზოთერაპია გზა მშვენიერებისაკენ

- ცელულიტის მკურნალობა;
- აკნეს და კანზე არსებული სხვა გამონაყარის მკურნალობა;
- კანის ფერის, ტონუსისა და ტურგორის გაუმჯობესება;
- ნაოჭების გასწორება და სახის ოვალის აღდგენა;
- პიგმენტური ლაქების მოცილება.

კოსტავას 63, ტელ: 212-312, 364-464


## განა არ აჯობებს, უცხოეთიდან შემოტანის ნაცვლად ქართული წამლები გადიოდეს მსოფლიო ბაზარზე?

*საქართველოში საეკლესიო-სამონასტრო მედიცინას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. რუის-ურბნისის მთავარეპისკოპოსის იობის ლოცვა-კურთხევით შეიქმნა სამკურნალო ცენტრი, რომელსაც ბიოლოგი* **ნინო ჟურდაძე** *ხელმძღვანელობს.*

*– რა დრო დასჭირდა უძველეს რეცეპტთა მოძიება-შესწავლას?*

– რეცეპტების მოძიება და მათი პრაქტიკული გამოცდა წლების მანძილზე მიმდინარეობდა. შესაძლებლობის ფარგლებში რეცეპტების პირვანდელი შემადგენლობა მაქსიმალურად აღვადგინეთ.

წამლების დასამზადებლად 70-მდე სახეობის ბალახი გამოიყენება. მათი ნაწილი საქართველოში არ მოიპოვება და რუსეთიდან შემოგვაქვს.

*– ავადმყოფის რა მონაცემებს ითვალისწინებთ რეცეპტის შერჩევისას?*

– პირველ რიგში მისი ჩივილები (ანამნეზი), კლინიკური დიაგნოსტიკა, ექოსკოპიური და რენტგენოლოგიური გამოკვლევებია გასათვალისწინებელი. შეუძლებელია ავადმყოფის მდგომარეობის შეფასების გარეშე წინასწარ მომზადებული ნახარშის გატანება. მაგალითად, სხვადასხვა მჟავიანობის გასტრიტის, ქოლეცისტიტის შემთხვევაში სხვადასხვა წამალი იხმარება. ქოლეცისტიტის დროს თვითნებურად მხოლოდ უკვდავას ხმარობენ, რომელიც ნაღველმდენი ეფექტით გამოირჩევა, ჩვენ მიერ მოძიებულ რეცეპტებში კი გათვალისწინებულია სანაღვლე გზების გამაფართოებელი, ანთებითი პროცესის, სანაღვლე გზებში მოპარაზიტე ჭიების (ლამბლიების), ნაღექის დამარბილებელი და გამომტანი, სისხლის გამწმენდი საშუალებები.

*– იშვიათ შემთხვევებზე ხომ არ გვიამბობთ?*

– ტუბერკულოზის დროს სხვა ხასიათის კავერნებთან ერთად ფიბროზული კავერნებიც ჩაიკირა და შეხორცდა, რაც რენტგენოგრაფიულადაც დაფიქსირდა. სხვა პაციენტებს კი მრავლობითი ეროზიები აღენიშნებოდათ მთელ კუჭ-ნაწლავის ტრაქტში (საყლაპავში, კუჭში, ნაწლავებში). მკურნალობის შემდეგ გამოკვლევებმა დადებითი პასუხი მოგვცა. ეროზიებისა და წყლულის მკურნალობა სამ ეტაპად ხორციელდება. I ეტაპზე ხდება მისი „გარეცხვა", შემდეგ – აღდგენა და ბოლოს – შეხორცება. 1სმ-მდე წყლული საბოლოოდ 1 თვეში იკურნება. შესაბამისი ნახარში ძალიან მოკლე დროში მოქმედებს ბრონქიტზე. ეფექტურია ჰეპატიტის წამალი, რომელიც ღვიძლის ფუნქციებს აღადგენს და იმუნიტეტს აძლიერებს. ჭიების წამალი რამდენიმე სახის პარაზიტზე (ენტერობიოზზე, ასკარიდაზე, მახვილაზე, ლამბლიაზე) მოქმედებს.

შედეგები გვაქვს თირკმელების სხვადასხვა პათოლოგიის (ნეფრიტის, პიელონეფრიტის, გლომერულონეფრიტის) დროს. გლომერულონეფრიტის დროს შეჭმუხნული თირკმელები მკურნალობის შემდეგ ნორმალურ ზომას იბრუნებს, რასაც ექოსკოპიური კვლევით ვამოწმებთ.

იმუნური სისტემის გასაძლიერებლად, პოტენციის ასამაღლებლად საუკეთესო საშუალებაა ყვავილის მტვერი, რომლის შეძენაც შეგიძლიათ ჩვენს ცენტრში.

მისამართი: ქ. თბილისი, გოგოლის ქუჩა №13. მიღება ყოველდღე 10-დან 17 სთ-მდე შაბათ-კვირის გარდა. შაბათ-კვირას – ქ. ხაშური, 9 აპრილის 10. ტელ: 4-10-77; 899 74-41-60; 95-83-47

R



## ჯაბა ბუჯიაშვილი იცოცხლებს მარადჟამს!

*„ცამეტი წლისა ვიყავი, თოთხმეტს აღარც მცალდა რა,*
*რატომ გამწირა იმ ღმერთმა, რა დავაშავე, ნეტავ, რა?!“*

ჯაბა, ჩვენო სიცოცხლე ბიჭო, შენმა დედამ დიდი ლექსი მოისმინა შენზე დაწერილი, ამ ერთ სტროფზე მეტი ვერ გაიხსენა, არც ის ახსოვს, როდის მოისმინა სად, ვისგან...

შენს განადგურებულ ოჯახს, გაუბედურებულ დედას აღარაფრის სჯერა და სწამს. როგორ ვიწამოთ? როგორ შეიძლებოდა შენს ლამაზ სიცოცხლეს ასეთი დასასრული ჰქონოდა, ჩვენო იმედო, ჩვენი ოჯახის გამანადგურებელო ბიჭო, ოჯახში ანგელოზად მოვლენილო, ოჯახის სიმტკიცევ?! სად არის შენი პირობა, – და-ძმას და დედ-მამას რომ ჰპირდებოდი? სად გაქრა შენზე დამყარებული იმედები, სად?..

ჯაბა, შევარცხვინეთ ის სიცოცხლე, რომლითაც ჩვენ ვცხოვრობთ შენ შემდეგ. არეულებივით ვართ, ვერ ვწყნარდებით, შნო და ლაზათი დაკარგა ყველაფერმა. შენ შემოგევლოს მთელი ოჯახი, ჩვენო მერცხალა ბიჭო, სიზმარშიც რომ დამრიგებლად გვევლინები.

ჯაბა, სიცოცხლევ, გვენატრები უზომოდ, არაფერს გსაყვედურობთ. პირიქით, მადლობა იმ ლამაზი ცამეტი წლისთვის, რომელმაც ჩვენი ცხოვრება შინაარსიანი გახადა.

*შენი და-ძმა, დედ-მამა*

## შალიკო (შალვა) კილასონიას გახსენება!



მამა! სამი წელია, 10 აპრილს ტკივილითა და მოგონებებით ვხვდებით. ჯერაც არ მოშუშებულა ის იარა, რომელიც შენი ამ ქვეყნიდან წასვლით დაგვიტოვე შვილებს, დედას, ნათესავებს და ახლობლებს.

ძალიან გვენატრები. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული.

*ოჯახი: მეუღლე ანგელინა, შვილები ვიტალი, ნინო*

## მარინა ჯაშის ხსოვნას!

ჯერ კიდევ ჩვენთან ხარ, ბოლომდე ჯერაც ვერ ვაცნობიერებთ შენთან განშორების სიმძიმეს. რაც უფრო ვულრმავდებით ამ მწარე რეალობას, მით უფრო მძაფრდება შიში, რომ მალე ჩვენთან აღარ იქნები, შენი ღიმილითა და ლამაზი, სიცოცხლით სავსე თვალებით. რაც დრო გადის, მით უფრო ძვირფასი ხდება შენთან გატარებული თითოეული წუთი და ახლა ვხვდებით, რომ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ჩვენ გვიფრთხილდებოდი.

შენ სიყვარულის განსაკუთრებული ნიჭი გქონდა. გვაპატიე, რომ სიცოცხლეში მეტად ვერ გაგიფრთხილდით.

შენ, ჩვენო უკურნებელო ტკივილო და სიყვარულო, უფლის არჩეულო ადამიანო, უხილავო და მუდმივად ჩვენთან მყოფო, ამ იმედით გემშვიდობებით და შენს გაუჩინარებას ანგელოზად გარდასახვით ავხსნით.

*მეგობრების სახელით – ზაირა და ლილი*

## ლევან ქავთარაძის ხსოვნას!



აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს გილოცავთ, ჩვენო საყვარელო და საამაყო მამა! წახვედი მოულოდნელად და დაგვიტოვე გულში მოურჩენელი გულისტკივილი. მამიკო, უკვე მეოთხე აღდგომაა, შენს საფლავთან ვიკრიბებით და მონატრებულები, მხოლოდ შენს საფლავსღა ვეფერებით. მამიკო, ძალიან ძნელია უშენობა, ძალიან აკლიხარ შენს შვილებს, შენს მეუღლეს. უშენობით გამოწვეულ სევდას ვერაფერი გვივსებს, მით უმეტეს შენს ოჯახში ნათლობაც იყო და ქორწილიც, მაგრამ უშენობა ყველაფერს ეტყობოდა. შვილიშვილიც გყავს, მამა – პატარა ანი. შენ რომ იმას მოსწრებოდი, შენს თავს ვფიცავარ, არაფერი მოგივიდოდა, ჩვენ ხომ იმან გაგვიხალისა ცხოვრება. ძალიან, ძალიან გვენატრები, მამა, მაგრამ მხოლოდ ისღა დაგვრჩენია, შენი ლამაზი სულისთვის ვილოცოთ, დაგინთოთ წმინდა სანთლები და შენზე მოგონებებით ვიცხოვროთ.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

*შენი ოჯახი*



## ავთო ოდიშელიძის ხსოვნას!

უშენოდ მოვიდა აპრილი, ავთო, ცრემლიანი, ტკივილიანი. ძნელია დაჯერება იმისა, რომ ჩვენ შორის აღარ ხარ, შენი ლაღი იუმორით, შეუდარებელი სიტყვაკაზმულობით, კაცურკაცობით, ერთგულებით, სისპეტაკით. გიხაროდა სიცოცხლე, უზომოდ იყავი შეყვარებული ოჯახზე, შვილებსა და შვილიშვილებზე. უსაზღვრო სიკეთით აღსავსე, სითბოსა და სიყვარულს გვინაწილებდი ყველას.

ყველას გვიყვარხარ და გვენატრები. მუდამ დარჩება შენი ნათელი ხსოვნა ჩვენს გულებში, როგორც მოურჩენელი ტკივილი.

უფალს შევთხოვთ, ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული.

*თანამშრომლები*

## კოკა ხვედელიძეს!



კოკა! ჩვენო მწვანეთვალება მეგობარო, ძნელია უშენობასთან შეგუება. ყოველთვის გამორჩეულს გარდაცვალებაც იდუმალებით მოცული გეწვია... რატომ? პასუხგაუცემლად დაგვრჩება მუდამ.

კოკა! დედის ალერსს დანატრებულო, მეთვრამეტე აპრილმა დედასთან გაგიტყუა. უამრავი ცრემლი და ურვა დაგვიტოვე. მუდამ მოუსვენარო, შენი წასვლით დარჩენილ სიცარიელეს, გვერწმუნე, დრო ვერ ამოავსებს. მუდამ გვეყვარები ისეთი, როგორიც იყავი და ჩვენთან ერთად თითოეული ჩვენგანის გულში გააგრძელებ სიცოცხლეს.

დაე, ანგელოზების სამყოფელოში გქონდეს სულის სიმშვიდე. გვიყვარხარ... გვენატრები

*შენი თანაკლასელები*

## დათო (ჩიპო) ნაცვალაძის ხსოვნას!



ჯერ სულ რაღაც 5 დღე გავიდა, რაც დაგვტოვე, ჩვენო დათო და უკვე გვენატრები. ძნელია უშენობა. არ ვიცით, როგორ ვანუგეშოთ შენი ანგელოზი ნათია. მას ხომ ახლა სჭირდებოდი, შვილო დათო. ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი და სათნო სული უფალმა.

არასდროს დაგვავიწყდება შენი სახელი, ჩვენო დათო, შენს მშობლებს, დედმამიშვილს, მეუღლეს და შენს ნათიას, მეგობრებსა და ახლობლებს.

*რუსიკო და ნუგზარ ნაცვალაძეები*

## თემურ ძიძიგურის გახსენება



12 აპრილს შენს მეთორმეტე დაბადების დღეს ვხვდებით უშენოდ. გაგრის დასაბრუნებლად წახვედი აფხაზეთში და თვითონაც ვერ დაბრუნდი, სოფელ შრომასთან დაეცი 1992 წელს. შენს მშობლებს ძალიან უმძიმთ უშენოდ გატარებული ყოველი დღე. ერთგულად გიზრდის შენი მეუღლე ორ საუკეთესო ქართველს – სოფოსა და ზეზვას. აფხაზეთიდან დაავადებული ჩამოვიდა შენი დეიდაშვილი თამაზ ჩახვაშვილი და ისიც უდროოდ წავიდა ამ ქვეყნიდან. გვჯერა, ორივენი ნათელში ხართ და იქიდან ლოცულობთ თქვენი ქვეყნისა და ახლობლებისათვის.

*შენი მონატრებული მშობლები*



## როსტომის ხსოვნას!

*ათი წლის წინ ჩაქრა შენი სიცოცხლე, ჩუმჩუმად ელავს შენი სანთელი,*
*შენი სულის სადიდებლად ვილოცებ, იმ ქვეყანას დაგაყენოს ნათელი.*
*დამეკარგე მხოლოდ თვალთა არიდან, მენატრები, გეფერები ზეცაში,*
*შენი სული ისე მაღლა აფრინდა, მინდა მოგეწიო, ვერ გეწევი ვერაფრით.*
*წლები მიდის, მივუყვებით წვალებით, მინდა ისევ, შენთან ჭიქა დავლიო,*
*მეც მინდ მოვალ – ასე არის განგებით, ერთხელ კიდევ შევხვდეთ ერთად ალიონს.*

*შენი ავთანდილი*

## დათო და ნიკო ხადილაშვილების მონატრება





ო, როგორ მენატრები, ჩემო დათო, როგორ მინდა ჩაგიკრა გულში და მოგეფერო. ოცდაცამეტი წელი იყო შენი ამქვეყნიური ცხოვრების დასასრული. ულმობელი ყოფილა წუთისოფელი, შვილო. ბედნიერი დედა და მეუღლე ვყოფილვარ ამ 9 წლის წინ. 18 მაისს 9 წელი სრულდება, რაც შენი მამა მარადისობაშია და შენ 7 წელი გისრულდება, რაც დედის გულს მოსწყდი და მამა ირჩიე. ალბათ ასეთი იყო ღვთის ნება. აპრილის თვე მიყვარდა, შვილო. ხუთ აპრილს ხომ შენი დაბადების დღეა. ფრთამოტეხილი დატოვე შენი მეუღლე ნანა. შენს შვილებს თავდაუზოგავად ემსახურება, შვილო. შენი ნიკუშა და თამუნა ისეთივე თბილები და მოსიყვარულეები გაიზრდებიან, როგორიც შენ იყავი.

მსუბუქი იყოს შენთვის შენი მშობლიური სოფლის მიწა, სოფლის, რომლისკენაც ყოველთვის სიხარულით მიგიწევდა გული, ჩემო დედისერთა ბიჭო.

*შენი გულმოკლული დედა*

## ავთო (ავთანდილ) ტეტიაშვილის მონატრება



როგორ უეცრად გავიდა სამი წელი, დრო – უშენოდ. ყოველი დღე შენს მონატრებაში თენდება და ღამდება, ჩვენო სიცოცხლევ, სამუდამოდ მოურჩენელო ტკივილო. მხოლოდ მოგონებები გვანუგეშებს "შენ მიერ კაცურად განვლილი ცხოვრებიდან. შენი წასვლით იმდენი სიცარიელე და ტკივილი დაგვიტოვე, რომ სასოწარკვეთამ დაისადგურა ჩვენს გულებში, რადგან ღმერთმა ასე გაგვწირა. მაგრამ უფალს რჩეულები ალბათ უფრო ადრე მიჰყავს ამქვეყნიური ჯოჯოხეთიდან. დების თვის თავდადებულო, გულშემატკივარო ძმაო! შენი სიცოცხლით ვხარობდით, დიდი სიმდიდრე იყავი ჩვენთვის, უფალს ვავედრებდით შენს სიცოცხლეს, ჩვენ შორის ყველაზე პატარავ, მაგრამ 2001 წლის 7 აპრილის შემდეგ ყველაფერმა აზრი დაკარგა, ჩვენ ირგვლივ დაიცალა სამყარო. რას ვიფიქრებდით, თუ ასე უცებ, წმინდა სანთელივით დაიწვებოდი, ჩვენო უილბლო ძმაო!

გიხსენებთ და უფრო მეტად გვტკივა შენი უდროოდ წასვლით მოყენებული მოუშუშებელი იარა. ვიგონებთ შენს წარსულს, ხანმოკლე სიცოცხლის ბედნიერებას, სინანულითა და გულისტკივილით. ცრემლი თავისით პოულობს გზას. შენი აჩრდილი თან გვდევს, სანამ ცოცხლები ვართ და შენც ჩვენთან ერთად ცოცხლობ, ჩვენო ხატებავ. მერე კი – ხუთივე, ჩვენს დამბურ სიყვარულთან ერთად მოვკვდებით.

ვეფერებით ქვაში გამოსახულ შენს სახებას, მიწას, სადაც შენ გვეგულები. რას ვიზამთ, ღმერთმა გამოცადა ესოდენ მწარე გაკვეთილით მოგვიწყო დედ-მამის მერე. მაგრამ გვჯერა, უზომოა ღვთის მადლი, ძალა მისი მიმტევებლობისა და გზას გაგინათებს ნათელი სხივი სიყვარულისა, ვედრება ოთხი დისა უფლისადმი. ამ გაუსაძლის ტკივილს მხოლოდ რწმენა გვიმსუბუქებს, რწმენა იმისა, რომ მოვა დრო და ერთად ვიქნებით, ჩვენო ხატად ქცეულო ანგელოზო.

უფალმა მოიხსენიოს შენი ლამაზი სული პატარა დასთან, დედ-მამასთან ერთად, სამუდამო სასუფეველში. დრო მიდის შავბნელი, გაუსაძლისი, ძაძებში.

ნახვამდის!

*ბაბალე, ეთერი, თეო, ელო*



## ათუკა ცუცქირიძის გახსენება

13 აპრილს, ხუთი წელია, რაც ზეცაში გაგვიფრინდი, ჩვენო ცისფერთვალა სიხარულო, კეთილი ზღაპრის გმირივით ლამაზო უფლისწულო. შენი სიცილი, შენი სილაღე და მოუსვენარი ფუსფუსი გვენატრება. შენთან ერთად გატარებული ხანმოკლე ცხოვრების ფურცლებს ვფურცლავთ და გიგონებთ დაუსრულებლად. თვალცრემლიანებს უცბად ისე ლაღად გაგვაცინებ, თითქოს ისევ ჩვენ გვერდით იყო, ანცობდე ბავშურად, შენებურად, ალალად.

შენი ხანმოკლე სიცოცხლით ბევრი სიკეთე დათესე არა მარტო ჩვენი ოჯახისთვის, არამედ ყველასთვის, ვინც კი გიცნობდა.

ვეფერებით შენს სურათებს და გვჯერა, რომ წმინდა სასუფეველში დაიმკვიდრე სამუდამო ბინა. ამისათვის ჩვენ ყველანი ვლოცულობთ. საუკუნო განსვენება მიანიჭე ათუკას, უფალო!

*ოჯახი*

## თემო (ვანო) ხატიაშვილის მოგონება



*როგორ მოვინელოთ შენი ჩვენგან წასვლა, როგორ შევადაროთ ქარს –*
*როგორ დაგეწიო, უკან დაგაბრუნო, რაც ჯერ არ უქნია სხვას?!*
*როგორ დავიტირო ასე ახალგაზრდა, სადამდე ვუმზირო გზას?*
*სით მოგინატრო, საიდან გიყურო –*
*როგორ იცხოვრებ, სად.*
*ბედის ვარსკვლავი როგორ გაგიქროლდა, რა შორს წავიდა, – სად?*
*როგორ ჩამოლამდა შენს წილ ბილიკებზე, როგორ გაიკვლევ გზას?*

*დედა*

## აზა ტარასის ასული აიდარაშვილი-ჩოფიკაშვილის გახსენება



11 აპრილს 76 წელი შეგისრულდებოდა. ცრემლებით, მოგონებებით, მონატრებით გილოცავთ დაბადების დღეს, დედა..

ეს ის ტკბილი მოგონებებია, სადაც შენ იცოცხლებ. უშენობით გამოწვეული ტკივილი არ განიკურნება. ძნელია, აღარ გყავდეს დედა, რომლის სიცოცხლის მთავარი მიზანი იყო სიყვარული, სიმშვიდე, სულგრძელობა, მოთმინება... ლხინშიც და ჭირშიც ადამიანთა გვერდით დგომა, ობლების გაზრდა.

ყაზბეგში დაბადებული თბილად ჩაგიკრა ქიზიყის მიწამ.

ნათელში იყავი. გვენატრები, გვიყვარხარ.

*შვილები, შვილიშვილები, ძისშვილები*

## მაია ღურწკაიას მონატრება



შენმა მოულოდნელმა ტრაგედიამ თავზარი დაგვცა შენს მშობლებს, ნათესავებსა და მეგობრებს. რაც დღეები გადის, კიდევ უფრო გაუსაძლისი ხდება ჩვენი ცხოვრება. აი პირველი დაბადების დღეც მოვიდა უშენოდ.

შენ საქართველო, შენი ძირძველი კუთხე აფხაზეთი ძალიან გიყვარდა. იქ დაბრუნებაზე, მის მომავალზე ოცნებობდი. ჯერ კიდევ ახალგაზრდა ჟურნალისტი იყავი, ნიჭი და უნარი არ გაკლდა, ძალას იკრებდი, რომ ცხოვრების ასპარეზზე გამართულად გამოსულიყავი. არ დაგაცალეს. იმ არაკაცმა თავის მეუღლესთან ერთად სასიკვდილოდ გაგიმეტა. იქნებ გშველებოდა რამე – არ მოგეშველნენ; იქნებ რაიმის თქმა გინდოდა – არ გათქმევინეს... დღემდე ყველანაირად ცდილობენ დანაშაულის დაფარვას. ჩვენ გვჯერა, ღმერთი მათ საკადრის სამსჯავროს გამოუტანს.

მაიკო, შვილო, ვერ ეგუებიან შენი ნათლიები, შენი მეგობრები უშენობას. სულ გაკითხავენ, შენზე ჰყვებიან, თანაგვიგრძნობენ. უსაშველოდ გვენატრები ყველას. დღედაღამ ვეფერებით შენს ნაწერებს, შენს სურათებს, შენზე ვლოცულობთ. შენ უსაზღვროდ კეთილი, ისეთი დიდსულოვანი იყავი, არ გვეგონა, ასე ნაადრევად თუ გიმუხთლებდა წუთისოფელი.

ჩვენო მაიკო, ლაშამ ალბათ პირველმა მოგილოცა დაბადების დღე. ჩვენც მოგილოცავთ. იყავით იმ ქვეყნად ჩვენი საგვარეულოს მფარველი ანგელოზები, იყავით ისე, როგორც უფალს უნდოდეს.

შენ ყვავილები გიყვარდა, მაიკო – 17 აპრილს ულამაზესი ყვავილებით შევამკობთ შენს სამყოფელს. სანთლებს აგინთებთ, მოგეფერებით. დაე, ჩვენმა მონატრებამ, შენს სახელზე აღვლენილმა წირვა-ლოცვამ გაგინათოს გზა მარადიულ სასუფეველში.

*შენი ოჯახი, ნათესავები, მეგობრები.*

## მერაბ არაბულს!



ისევ უშენოდ მოვიდა 14 აპრილი, ჩემო მერაბ! მინდა, მოგეხვიო და გითხრა: მონატრება, ტკივილი, ამდენი ცრემლი, როდემდე ასე უშენოდ?.. დღემდე გეძებენ ჩემი თვალები. ყველგან შენ ხარ და მაინც ვერ გხედავ.

რამხელა სიმწარე ჰქონია ცრემლს – სულში ჩაბრუნებულს. 50 წლის იუბილეს და გაზაფხულის მობრძანებას ერთად გილოცავ, მერაბ.

იძინე მშვიდად.

*მარინა*

მამა! განა ყველაფერი იკარგება, განა ყველაფერი ბოლოვდება? შენნაირები ამ ქვეყნიდან ფიზიკურად მიდიან, აქ კი რჩება კვალი ნათელი, სახელი კაცურკაცობისა. 14 აპრილს 50 წელი შეგისრულდებოდა, ჩემო მამიკო, შენი კაცობის სანთელ-საკმეველი მანდაც არ დაკარგავს გზას. აქ კი შენს ოჯახს მაპატიძლად შენი სახელი დაგვიტოვე.

გილოცავთ დაბადების დღეს. გვენატრები, მამა. გეფერებით, გკოცნით.

*შენი ხატია, ზვიადი*

## მერაბ არაბულის გახსენება

შლეგმა წუთისოფელმა ერთი წელი ჩაიმარცვლა კრიალოსანზე, მერაბ. ზურმუხტისფერი ჩაიცვა ბუნებამ... მოახლოვდა შენი დაბადების დღეც. დრომ ვერ განკურნა შენი წასვლით გაჩენილი ჭრილობა. გვენატრები, უსაშველოდ გვენატრები...

დაიბადა პატარა ელენე, დღეებს რომ ითვლიდი და ჯერ კიდევ მუცლად ყოფნისას ეფერებოდი. შენს საფლავზე მოვა, იქნებ თავისი ტკბილი ხმა მოგაწვდინოს იდუმალების სამყაროში. გულზე დაგადგება, ჩამოგძახებს:

*„ელენე ვარ, პაპა!*
*შენს სურათთან კრძალვით ჩამუხლული ბებო,*
*თავდახრილი, ჩუმად, მწარე ცრემლებს ყლაპავს,*
*ვწუხვარ, ბედისწერა ასეთი რომ გერგო, მძიმე სნეულებით დატანჯულო პაპა.*
*ელენე ვარ, პაპა, უნდა მოვეფერო შენს საფლავზე ლურჯად ამოფეთქილ იებს,*
*იქნებ ამათ მითხრან, როგორ გენატრებით, ანდა უჩვენობას როგორ მიეჩვიე.*
*უნდა ვკითხო ახლა ამ გაყინულ ლოდებს, რატომ დაგვატეხეს თავზე გლოვის ზარი,*
*როგორ მხატრობდი და ველარ დამელოდე, დავიბადე, მაგრამ ველარ მოგისწარი...*
*დავიზრდე დედის ხალისად და ფიქრად, ვურჩენ შენი წასვლით გამოწვეულ წყლულებს,*
*დავუბრუნებ ბებოს კვლავ სიცოცხლის ძალას, იქ გაჩნდება, სადაც მტირალს დავუგულებ.*
*ტაძარშიაც ერთად ვივლით მე და ბებო, მეც ვიქნები ერთი პაწაწინა მრევლი,*
*შენს ნათელში ყოფნას შევავედრებ უფალს, მეც ავინთებ სანთელს პაწაწინა ხელით.“*

*ციცო ბიჩელაშვილი*

## ფირუზე იმერლიშვილის მონატრება



13 აპრილი შენი დაბადების დღეა, ჩვენო ლამაზო, თბილო და მოსიყვარულე დედა. ხუთი თვეა, რაც დაგვტოვე, მაგრამ ესეც საკმარისია იმისთვის, რომ შევიგრძნოთ, შენი სახით რა ფასდაუდებელი განძი დაკარგა შენმა ოჯახმა. ძალიან გვაკლიხარ, გვენატრები შენს შვილებსა და შვილიშვილებს. ქედს ვიხრით შენი ამაყი სულის წინაშე და თვალცრემლიანები გილოცავთ დაბადების დღეს.

ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული უფალმა.

*შენი შვილები*

## ტრაგიკულად დაღუპულ მიშიკო და ზურა ზუბადალაშვილებს დედისაგან!





*მიშიკო!*
*ზურა!*
*ზურა!*
*მიშიკო!*
*გეძახით*
*დედა თქვენ*
*ყოველ დილას...*
*– არ შრება*
*ცრემლი... და*
*ეს გოდებაც...*
*იქცა ლოცვებად... ხილვებად იქცა...*
*არის კი ზღვარი? ან ვინ განსაზღვრა, იქ საიქიო... აქ საქიო,*
*თქვენ სულ ჩემთან ხართ, ჩემო ბიჭებო... (თუ ვერ გხედავენ, თავს დაიბრალონ).*
*მიშიკო! ზურა!*
*ზურა! მიშიკო!*
*ზეცასღა სწვდება ჩემი ღაღადი.*
*ღვთის ნებაც თუ ეს ნებისმიერ, არ მინდა, ფერმკრთალ ჩემს ლაღადს*
*არ მაქვს უფლება, არ ვიყო მათთან, რომ უმამობა არ ექნეთ ტკივილად,*
*მერე პირნათლად ერთმანეთს ვნახავთ... ჩემს ერთგულებას გავატან მზითვად...*
*მიშიკო! ზურა!*
*ზურა! მიშიკო!*
*გეძახით დედა, თქვენ ყოველ დილას,*
*– არ შრება ცრემლი... და ეს გოდებაც იქცა ლოცვებად, ხილვებად იქცა...*

## კარლო საათაშვილის მოგონება



ჩვენი ოჯახის დიდო გულისტკივილო, მოუშუშებელო ჭრილობავ, 40 ტკივილიანი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც უცებ გაჩერდა შენი კეთილი გული და რაც დატოვე შენი ტკბილი ოჯახი.

შენ იყავი ცხოვრების ერთგული მეგობარი, ორი ვაჟკაცის კარგი მამა, შვილიშვილების საყვარელი კარლო პაპა.

იყავი შრომისმოყვარე, ოჯახის „ხელმარჯვე ოსტატი“ (ასე გეძახდით), უთქმელი, უპრეტენზიო, უღალატო, ნაღდი თბილისელი, ნაღდი ძმაკაცი, ყველას დამხმარე ჭირსა თუ ლხინში. ბევრს გაუკაფე ცხოვრების გზა...

კარლო საათაშვილი – ყველა დიდი სიყვარულითა და გულისტკივილით მოიგონებს მას, რადგან ის აფრქვევდა დიდ სითბოს, ცოდნას, სადაც კი უმსახურია – საზღვარგარეთ, რუსეთსა თუ საქართველოში.

შენს სახელს დავიწყება არ უწერია. შენ ღირსეული შთამომავლობა დატოვე შენი სახელით.

ღმერთს ვევედრებით, ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული.

*შენი გამწარებული მეუღლე გულიკო დონდუა, შვილები – ხვიჩა და გოჩა ოჯახებით*

## გია ლოსაბერიძის მონატრება



11 თებერვალი მწარე მოგონებად გადაგვექცა შენს ოჯახს. იმ დღეს შენმა სულმა ადგილი მარადისობაში დაიმკვიდრა. უკვე 3 წელი გავიდა, რაც ჩვენგან წახვედი და დაგვიტოვე მოურჩენელი ტკივილი. იყავი სიკეთით სავსე, შინაგანად სუფთა, ყველას მოსიყვარულე.

11 აპრილი – ქრისტეს აღდგომას დაემთხვა წელს შენი დაბადების დღე. 46 წელი შეგისრულდებოდა. მეოთხედ ვხვდებით შენს დაბადების დღეს უშენოდ.

გაუსაძლისი გახდა ეს ცხოვრება, დედიკო, უშენოდ. უზომოდ მენატრები, ენატრები შენს შვილსა და მამიდას. ღმერთს ვთხოვ, შემაძლებინოს შენს ერთადერთ შვილზე ზრუნვა.

დრო მკურნალიაო, – ეს არ არის მართალი. ვერავითარი დრო ვერ მოაშუშებს შენი სიკვდილით მოყენებულ ტკივილს, ჩემო ერთადერთო შვილო. შენზე ფიქრებით ვათენებ და ვაღამებ. ერთი გჯეროდეს: შენს ხსოვნას დავიწყება არ უწერია, მუდამ იცოცხლებ დედისა და ახლობლების გულებში.

11 აპრილს ყველანი მოვალთ შენს საფლავთან, ავანთებთ სანთლებს და ვილოცებთ, რომ ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი და სპეტაკი სული.

*დედა ნინელი, შვილი ბაჩი, მამიდა თინა*



## კაკო ხიბლიშვილს!

დაბადების დღეს გილოცავ, ჩემო კაკო. 14 აპრილს 50 წელი შეგისრულდებოდა. მეხუთედ ვხვდებით უშენოდ შენს დაბადების დღეს და მოგილოცავთ არა შენს ოჯახში, არამედ შენს საფლავთან შენი უახლოესი ადამიანები. უშენოდ დარჩენილს სიკვდილის აღარ მეშინია, რადგან შენ მეგულები იქ, მარადიულ სასუფეველში.

დრო მკურნალიაო, – ეს ტყუილია. ვერავითარი დრო ვერ მოაშუშებს შენი სიკვდილით მოყენებულ ტკივილს. გულს მიკლავს შენი სევდიანი თვალები, სიკვდილის მოახლოებას რომ იგრძენი. როგორ გინდოდა სიცოცხლე. შენ ამშვენებდი ოჯახს, სანათესაოს. კაცურად იცხოვრე ამ ქვეყანაზე და იმედი მაქვს, იმ ქვეყანასაც კაცურად დაამშვენებ.

გვიჭირს უშენობა, ჩემო კაკო. უშენობა უჭირთ შენს საყვარელ შვილებს, რომლებსაც სწორედ ახლა უნდოდათ თავიანთი მოსიყვარულე და ლამაზი მამა.

უშენობით გამოწვეულ დარდს მიმსუბუქებს ერთი მიზანი: ალვზარდო ისეთი შვილები, როგორებზეც ოცნებობდი; მალე დავაქორწინო შენი საფიცარი შალვა და შენს ფუძეზე გაჩნდეს შენი სახელის გამგრძელებელი პატარა კაკო.

ყველა დანაპირებს შეგისრულებ, ჩემო სიცოცხლით გაუმაძღარო კაკო. მართალია, იმ პირობას ვერ გისრულებ – რომ შემპირდი: 50 წლის რომ გახდები, ლამაზი დაბადების დღე უნდა გადაგიხადო-მეთქი...

ისღა დამრჩენია, 50 მიხაკით ხელში მოვიდე შენს წმინდა საფლავთან, სანათესაოსთან ერთად. გწამდეს, შენს სახელს დავიწყება არ უწერია.

*შენი მეუღლე*

## ავთო მახარაშვილის ხსოვნას!



გავიდა ტკივილითა და დარდით სავსე ერთი წელი. შენ 15 აპრილს, სიყვარულის დღეს დატოვე ამქვეყნიური ცხოვრება და წახვედი მარადისობაში. გვიჭირს უშენოდ ცხოვრება, ჩვენო საყვარელო მამავ, მეუღლევ და ბაბუავ. შენ დიდი გულის პატრონი იყავი და დიდი სიყვარული და დარდიც დაგვიტოვე. უეცარმა სიკვდილმა წაგვართვა შენი თავი, მაგრამ შენ ყოველთვის იცოცხლებ შენი ახლობლების გულებში. შენ ყოველთვის ჩვენი საამაყო მამა და მეუღლე იქნები.

ყველას გვენატრება შენი იუმორი, მზრუნველობა და თანადგომა. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული. ყველას ძალიან გვენატრები და გვიჭირს უშენოდ.

*მეუღლე და შვილები*

ამქვეყნად ყველას რაღაც ერგება მემკვიდრეობით: ზოგს — კარ-მიდამო, ზოგს — სამკაული, ზოგს — ბიზნესი. გაგეცინებათ, რომ გეტყვით, — მე მემკვიდრეობით სიზმარი მერგო. თქვენ კი გაგეცინებათ, მაგრამ მე არ მეცინება. ეს სიზმარი ჰქონდა ბაბუაჩემსაც, მამაჩემსაც... ბებია მიამბობდა: ბაბუაშენი რომ დასაძინებლად დაწვებოდა, შემეხვეწებოდა, ჩემზე ადრე ნუ დაიძინებ, რამეზე მელაპარაკეო. მეც ველაპარაკებოდი ამ მთისას, იმ მთისას... ჩაიძინებდა, კვირაში ორჯერ მაინც „იმ“ სიზმარს ნახულობდა და ყვირილით იღვიძებდაო.

დი, კარგი არაფერი მელოდა და გადავწყვიტე, გამოსავალი მომეძებნა. ხომ შეიძლებოდა არსებულიყო რაიმე ახსნა, ან რაიმე გადმოცემა, რომელიც დამეხმარებოდა, თავი დამეხსნა მემკვიდრეობით მიღებული სიზმრისაგან.

ჩემი გასაჭირი ორ მეგობარს გავანდე და იმ უბანში წავედით, სადაც ბაბუა ცხოვრობდა. ქალაქმა, მართალია, ბოლო ათწლეულებში ძალიან იცვალა სახე, მაგრამ ის ძველი უბანი, თავისი კორტოხზე შეფენილი მიფოხილ-მოფოხილი სახლებით, თითქმის უცვლელი დარჩა. ეგ არის, რამდენიმე, მათ

# ჩემი სიზმრის ქალი



მამაჩემის ტანჯვა-წამება მეც მახსოვს. პატარა ვიყავი, მაგრამ ვხვდებოდი, რაღაც ძალიან ცუდი რომ ხდებოდა მის თავს. დაძინების ეშინოდა, მთელი ღამე დადიოდა და ხელებს იმტვრევდა. თუ ცოტა ხნით ჩათვლემდა, ცივი ოფლით ეცვარებოდა შუბლი. ორჯერ გულის ისეთი შეტევა ჰქონდა, სასწრაფო გამოვიძახეთ. ერთხელ, ორი კვირით, ფსიქიატრიულ საავადმყოფოშიც დავაწვინეთ. მახსოვს, ბებია ვიშვიშებდა, დედა და მამიდა რაღაცას ჩურჩულებდნენ... 14 წლის ვიყავი და არაფერს მიმხელდნენ. მუდმივმა სტრესმა მამაჩემი მოქანცა და დაასუსტა. ბოლოს ფეხზე დგომა უჭირდა, სკამამდე ძლივს მიდიოდა, მაგრამ ლოგინში მაინც აღარ წვებოდა, ასე გარდაიცვალა. მერეღა დააწვინეს ტახტზე. და აი, მამის გარდაცვალებიდან ოთხი თვე იქნებოდა გასული, პირველად რომ „ის“ სიზმარი ვნახე: თმაგაწეწილი, სახეშეშლილი ქალი მომიახლოვდა. რუხი ტილოს თუ ჯვალოს კაბა ეცვა, ტალახსა და სისხლში ამოსვრილი. თავი გატეხილი ჰქონდა. სისხლი წვეთავდა, კისერს მოჰყვებოდა და გულისპირში ჩადიოდა. რას მეტყვიო? — მეკითხებოდა. მე გაოგნებული ვიყავი. არ ვიცოდი, რა უნდა მეპასუხა. ვიტანჯებოდი. ის კი უფრო ახლოს მოიწევდა: შენ მაინც რას მეტყვიო, — დაჟინებით მთხოვდა პასუხს. ორ წელიწადში ისე დავითრგუნე, სწავლის გაგრძელება ველარ შევძელი. თვალის უპეები ჩამიშავდა. რაც კი ძალ-ღონე მქონდა შერჩენილი, მოვიკრიბე და დავფიქრდი. ამ სიზმრით იტანჯებოდა ბაბუა, მამა, მეც... ბებიაჩემს, მამიდას ან დედაჩემს მსგავსი არაფერი აწუხებდათ. ერთი ხანობა ისიც ვიფიქრე, ეგება ფსიქიკური აშლილობა გვჭირს, მხოლოდ მამაკაცებს რომ გადაეცემა-მეთქი. მივხვ-

შორის ბაბუაჩემის სახლიც ჩაინგრა. მის ადგილზე ახალი ნაგებობა არავის აუშენებია. უბრალოდ ნანგრევებისაგან ეზო გაწმინდეს... შენობის ცალი კედელი კი, რომელიც დანგრევას გადაურჩა, ისევ ისე დგას. მომიჯნავე სახლი (თუ შეიძლება მას სახლი ეწოდოს), ნახევრად სარდაფია. მითხრეს, კარგა ხანია, აქ აღარავინ ცხოვრობსო. ჩამტვრეული ფანჯრიდან შევიხედე: კინაღამ მუხლი მომეკვეთა. კედელზე ქალი იყო მიხატული — ჩემი მემკვიდრეობითი სიზმრის ქალი, ოღონდ ნახატში იღიმებოდა, სახეც საკმაოდ ლამაზი ჰქონდა. მეზობელი სახლიდან მოხუცი კაცი გამოვიდა, შეგვნიშნა და რას უყურებთო, ეჭვით გვიკითხა.

აქ ვინ არის დახატული-მეთქი, — კითხვითვე ვუპასუხე...

— ეგ ამ უბნის ულამაზესი ქალი ყოფილა, კარის მეზობელს შეჰყვარებია, მაგრამ ის ცოლიანი იყო და გადაუწყვეტიათ, გაქცეულიყვნენ. როცა ეგენი სახლიდან გაპარულან, იმ ღამით თქეში მოსულა, მთა დამეწყრილა და ჩამოწოლილ მიწას ორივე დაუტანია. მშველელებმა ხელ-ფეხდამტვრეული, თავგატეხილი ქალი ამოთხარეს მიწიდან, ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, კაცი — მკვდარი იპოვეს. ამბობენ, იმ დღეს ქალი სულ ერთსა და იმავეს კითხულობდა: — რას მეტყვით, მისი სიკვდილი ჩემი ბრალი იყოო?..

ალბათ მიხვდით, ეს ამბავი ბაბუაჩემის მამას შეემთხვა. მას მერე ისევ ვნახე სიზმარი. მოვიდა განწირული, სახეშეშლილი და მკითხა: — რას მეტყვიო. შენი ბრალი არ არის-მეთქი... გაიღიმა... გაიცრიცა და თითქოს კედელზე მიხატული ქალის სახეში გადავიდა. მას მერე აღარც დამსიზმრებია.

***ბექა ლ. თბილისი***

ჩვენ გვწერენ

# ოჯახს მფარველი დაუბრუნდა



ქალბატონი ელისო ჯერ კიდევ საკმაოდ ახალგაზრდაა, ნამდვილად დაგენანებათ ქვრივობისა და იმ სულიერი ტკივილებისთვის, რასაც მეუღლესთან განშორების გამო განიცდის.

— მე და ზურა თანაკლასელები ვიყავით. ექვსი წლისანი რომ დაგვსვეს ერთ მერხზე, მერე აღარც გაგვიშვია ხელი ერთმანეთისთვის... 20 წლისანი დავქორწინდით. უბედნიერესი ქალი ვიქნებოდი, გვერდით რომ მყავდეს, მაგრამ ბედისწერამ სხვაგვარად ინება — მხოლოდ შვიდი წელიწადი ვიყავით ერთად.

**— ასე ახალგაზრდა რით დაიღუპა?**

— დენმა დაარტყა, ძველი ტელევიზორის შეკეთება მოინდომა. რაღაც ვერ შეაერთა ალბათ, ან შიშველ სადენზე მოუხვდა ხელი. ერთი წამოყვირება მოასწრო მხოლოდ... არ ვიცი. როგორ არ მოვკვდი, ალბათ შვილების საცოდაობამ შემმატა ძალა — უფროსი გოგონა, ნატო, 6 წლისა იყო, უმცროსი მხოლოდ 7 თვის...

1991 წელს გარდაიცვალა ზურა. როცა მიცვალებულს ასაფლავებენ, „ხელის მოსაბრუნებლად“ რაიმე ნივთის ამოღება იციან კუბოდან. ჰოდა, როცა მკითხეს, — რა ამოვიღოთო, ნათლობის ჯვარი-მეთქი. ზურას შევფიცე: არასოდეს გავთხოვდები, ცოცხალიც და მკვდარიც შენი ვიქნები-მეთქი და ამ ფიცის დასტურად მსურდა, ის ჯვარი მეტარებინა, მაგრამ მღვდელმა მთხოვა: — ჯვრის გარეშე ნუ გაუშვებთ საიქიოში, სადაც უამრავი განსაცდელი ელოდება და სწორედ ჯვრის მადლმა უნდა აპოვნინოს უფლის გზაო. მეც დავუჯერე...

40 დღე რომ გავიდა, ტრადიციულად პანაშვიდი გადავუხადეთ და საკურთხის სუფრა გავუწყვეთ. დილის 10-11 საათი იქნებოდა, მერე საფლავზე უნდა გავსულიყავით. სანთლები რომ ავანთეთ და მღვდელმა აუცილებელი რიტუალი ჩაატარა, კარზე დააკაკუნეს, ახალგაზრდა ვაჟი იყო. მე მიკითხა. როცა ვუთხარი — მე ვარ-მეთქი, ხელისგული გაშალა და ოქროს ჯვარი და ძეწკვი გამომიწოდა — სადარბაზოსთან ახალგაზრდა მამაკაცი მელოდება, თავად არ უნდოდა ამოსვლა, მთხოვა, თქვენთვის გადმომეცა — სახსოვრად ჰქონდეს და იცოდეს, რომ სიგიჟემდე მიყვარს, ყველაფრისთვის მადლობელი ვარო!..

ზურას ნათლობის ჯვარი და ძეწკვი შემრჩა ხელთ. გული წამივიდა — სხვები ძირს გაქცეულან, მაგრამ, ცხადია, იქ არავინ დახვედრიათ... სტუმარმა ზუსტად აღწერა ზურას გარეგნობა, მარჯვენა ლოყაზე რომ ნაჭრილობევი აჩნდა, არც ის დავიწყნია. რითაც დავასაფლავეთ, ის ტანსაცმელიც ზუსტად დაგვისურათა... ვიღაცას მოაფიქრდა და გარდაცვლილის სურათი აჩვენეს სტუმარს — კი, ნამდვილად ეს იყოო. და როცა ვუთხარით, რომ დღეს სწორედ მისი გარდაცვალებიდან 40 დღის პანაშვიდი გვქონდა, ახლა ის გაგვიხდა მოსაბრუნებელი... ცოდვაც ვიფიქრეთ — იქნებ მესაფლავეებს წაუცდათ ხელი, მიცვალებულს ჯვარი შეხსნეს, გაყიდეს, მერე შეშინდნენ და ოჯახს დაუბრუნესო, მაგრამ ჩემმა ძმამ — ბოლომდე მათთან ვიყავი და მსგავსი არაფერი მომხდარაო!..

მოკლედ, რა და როგორ არ ვიფიქრეთ, მაგრამ, როგორც გითხარით, ამ ამბის ახსნა ვერავინ შეძლო. მღვდლებიც კი გაოგნებულები შლიან ხელებს და არ იციან, რა თქვან...

...იმ ჯვარს დღემდე ვატარებ და მწამს, განსაცდელისაგან მიცავს... ერთხელ სიზმარში ზურამ გამაფრთხილა: როცა ჩემთან წამოსვლის დრო დაგიდგება, იცოდეს ნატომ, რომ ეს ჯვარი უნდა შეგხსნას და ოჯახში დატოვოს, იგი ჩვენი სახლის მფარველიაო...

თუ გაზეთში დაბეჭდავთ ჩემს მონათხრობს, ძალიან მინდა გამომეხმაუროს ვინმე, ვისაც ამის ახსნა შეუძლია, ან ისინი, ვისაც მსგავსი რამ გადახდენია თავს.

***ინგა ჯაყელი***

### „საზალღო-სალაღო“ გვერდის პასუხები

I. ენდრო.
II. მე-2 და მე-7 ცოცხები.
III. ნიანგისგან, სირაქლემისგან, სელაპისგან და ციყვისგან.

IV. აბა, გამოიცანი:
1) — ბ); 2) — ბ); 3) — დ); 4) — ბ); 5) — ა); 6) — გ); 7) — დ); 8) — ა); 9) — გ).

## ხსოვნა

### სიმონ შარვაძის მონატრება



გაზაფხულსა და აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს ერთად გილოცავთ მთელი ოჯახი. გაუნელებელი ტკივილით გადის დრო. დრო არაფერს ცვლის ჩვენს მწუხარებაში. ჩვენი ოჯახის დიდო ტკივილო, შენს სახელს დავიწყება არ უწერია.

წახვედი და დაგვტოვე გაოგნებული მთელი ოჯახი. ჩუმი სევდა დღემდე არ გამქრალა შენი შვილების თვალებში. ისინი ღირსეულად გააგრძელებენ მამის სახელსა და ოჯახს. კაცურად იცხოვრე ამ ქვეყანაზე და სახელიც კარგი დატოვე, რითიც ვამაყობთ და თავს ვინუგეშებთ. ვაი, რომ ცრემლების, სანთლების, ლოცვისა და ყვავილების გარდა ვეღარაფერს გიძღვნით.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

*შენი ოჯახი*

### მერი (შაფიკო) კვარაცხელია-მესხიას მონატრება



საყვარელო მამიდა, არც ისე ასაკოვანი რა უეცრად წახვედი ამ წუთისოფლიდან. დაგვიტოვე უსაზღვრო მწუხარება, ცრემლიანი მოგონებები. მთელი შენი მიწიერი ცხოვრება მოკრძალებულად, უპრეტენზიოდ გაატარე. იყავი შრომისმოყვარე, სინდის-პატიოსნებით გამორჩეული, ოჯახზე უზომოდ შეყვარებული, მოამაგე დედა.

მეუღლე ადრე გარდაგეცვალა. ოჯახს ღირსეულად გაუძღვი, სასახელო შვილები აღზარდე, რომლებმაც სასახელო ოჯახები შექმნეს. ხარობდი შვილებში, შვილიშვილებსა და შვილთაშვილებში. მაგრამ ვაი, რომ მეტი არ დაგცალდა.

შვილების თანაბრად გყავდი საფიცრად ერთადერთი ძმისშვილი. ყველასთან თესდი სითბოსა და სიყვარულს. არავის დაავიწყდება შენი მეგრული მოფერება „ნანა ქოგგალე“, ამიტომაც ცხარე ცრემლებით მიგაცილეს საფლავის კარამდე.

ღმერთმა ნათელში გვიმყოფოს შენი უკვდავი სული.

*დათო კვარაცხელია*

### ვახო გოჯიაშვილის მონატრება



ჩემო სანატრელო შვილო, უდროოდ დასრულდა შენი ხალისიანი, სიყვარულით აღსავსე სიცოცხლე. წახვედი და დაგვიტოვე სამუდამო, მოუშუშებელი ტკივილი, რომელიც ვერასოდეს განიკურნება. ისევ უშენოდ ვხვდებით აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს, ყველა შენი ახლობელი! გვაკლიხარ, გვახსოვხარ, ძალიან გვენატრები.

ღმერთს შევთხოვ, ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული და გევედრები, ღამით მაინც დამესიზმრე, რომ მოგეფერო.

*თვალცრემლიანი დედა*

### გიორგის მონატრება



გაზაფხული სიცოცხლის საწყისი მეგონა, შენთვის კი დასასრული აღმოჩნდა, შვილო. ერთი წლის წინ შემზარავი და შემაძრწუნებელი 12 აპრილი გაგვითენდა, გიორგი. ინსტიტუტში წასულ 19 წლის წარჩინებულ სტუდენტს ულმობელი ბედისწერა წამოგეწია.

მოფერების სურვილმა სულში ტკივილად დამიარა, ცრემლებმა დაიტირა შენეული ნალოლიავები სახლის კარა, ადგილი, ხე, ყვავილები. ერთი წლის საშინელი ლოდინი, თვალებითა და გულით მაძებარი დედის გაუსაძლისი ტკივილით გავიდა. გიორგი, უშენოდ მხოლოდ თანაგრძნობიანი დარდი შემეხმიანება მამის, მამიდის, შენი დისა და ახლობლების თვალებიდან...

ღმერთის შევედრებული შენი სული ზეციური სასუფევლიდან სიმშვიდეზე მეჩურჩულება და ხმამაღლა მათქმევინებს: მენატრები, გეფერები, ჩემო გიორგი!

### გურამ კირვალიძის ხსოვნას!

პატარა ნიკა და სალომე, მოხუცი ბაბუა, ერთგული მეუღლე და გამზრდელი მამიდა ყოველდღე ელოდებიან, რომ მათი მხიარული, სიცოცხლითა და სიყვარულით სავსე გურამი კარს შემოაღებს, ოჯახის წევრებს სითბოს, მხიარულებას და ჩვეულ იუმორს გაუნაწილებს.

გურამ კირვალიძე მხოლოდ ოჯახის წევრებს როდი ენატრებათ. იგი დააკლდა კლასელებს, მეგობრებს, ნაცნობებს, უბანს.

26 დეკემბერს, დაბადების დღეს მიაბარეს მიწას 26 წლის ბიჭის ნეშტი ჭირისუფლებმა.

მკაცრი განაჩენი არგუნა ბედისწერამ უდანაშაულო ვაჟკაცს. გურამის ხსოვნა მუდამ დარჩება ოჯახის წევრებისა და ნაცნობ-მეგობრების გულებში!

გურამის კეთილი სული მუდამ დაიფარავს და გაუნათებს ცხოვრების გზას თავის უნიჭიერეს და ულამაზეს შვილებს.

### ნოდარ გონაშვილის გახსენება



აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს გილოცავ, ჩემო სიცოცხლევ, რომელსაც ყოველთვის ერთად ვხვდებოდით, ამჯერად კი, თვალცრემლიანი მე და შენი შვილები უშენოდ, ეკლესიაში შევხვდებით. გვენატრები, ნოდარ, გეძებთ ყოველთვის და გელოდებით, როგორც დაგვიბარე. თურმე შენ ავსებდი და ალამაზებდი ჩვენს ოჯახს, მეგობრებს, სანათესაოს; გასცემდი უზომო სიკეთესა და ულევ სიყვარულს.

სულით ლამაზო და ფიზიკურად მშვენიერო ვაჟკაცო, სიცოცხლეში ანთებული სანთელი იყავი, რომელიც ყველასთვის იწვოდა და გვჯერა, ზეცაშიც რჩეულთა შორის იქნები. მადლობელი ვარ უფლის, შენი მეუღლის სახელს რომ ვატარებ.

შენ მიერ დატოვებულ ლამაზ სახლში გრძელდება სიცოცხლე და გვჯეროდეს, ყველაფერი ისე გაკეთდება, შენ რომ გაგიხარდებოდა.

ნათელში ამყოფოს ღმერთმა შენი სული. გვიყვარხარ და მარად გვეყვარები.

*საყვარელი ოჯახი*

### ჯონდო ცენტერაძის გახსენება



გავიდა ტკივილიანი და ცრემლიანი ერთი წელი. შემოგვრჩა შენი სურათები და საშინელი მონატრება. სურათები, საიდანაც შენი სიცოცხლით სავსე თვალები შემოგვყურებს. შენ უზომოდ შეხაროდი ახალგაზრდობას და დაიმკვიდრე კიდეც მარადიული ახალგაზრდობა. ჩვენო სანატრელო ჯონდო, შენ ჩვენს გულებში ხარ მარად, ჩვენი განშორება არ არსებობს. შენი წყალობით უფალმა გვაზიარა იმ ჭეშმარიტებას, რომელსაც სულის უკვდავება ჰქვია. ჩვენ ის გვანუგეშებს, რომ იმ ქვეყნად შენი უმანკო სული სიცოცხლეს აგრძელებს — შენ ხომ ცაზე მოკაშკაშე ერთ-ერთი ვარსკვლავი ხარ.

მუდამ ვილოცებთ შენი ლამაზი სულისთვის და აგინთებთ წმინდა სანთლებს, ჩვენო სანატრელო ჯონდო!

*შენი მეგობრები — თაკო, თიკო და ეკა*

### გივი თურქიაშვილის ხსოვნას!



ოთხი თვე გავიდა, რაც ჩვენ გვერდით აღარ ხარ, ჩვენო საყვარელო მამიკო. ამ ხნის მანძილზე ყოველი დღე შენზე ფიქრით იწყებოდა და შენზე დარდით მთავრდებოდა. გაუსაძლისია უშენობა შენი მეუღლისთვის, დისთვის, შვილებისა და შვილიშვილებისთვის და ყველა იმ ადამიანისთვის, ვინც შენ გიცნობდა. ძნელია შენი არარსებობის დაჯერება. რომ იცოდე, რამხელა სითბოთი და სიყვარულით გიხსენებს ყველა.

ყველა დღესასწაულს პირველი შენ გვილოცავდი. სწორედ ამიტომ, გაზაფხულის მოსვლა გამოუთქმელ ტკივილს გვაყენებს, რადგან შენი გულისხმიერება და ყურადღება გვაკლია.

აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული მობრძანდება, მამა. ღმერთს შევთხოვთ, შენი სული სიმშვიდესა და ნათელში დაემკვიდროს სამარადჟამოდ. გვიყვარხარ, გვენატრები, გვახსოვხარ მარად და მარად.

*მეუღლე და შვილები*

### გიორგი კვერაშვილს!



ჩემო გიორგი, მესამე აღდგომა მოვიდა, შვილო, უშენოდ.

თავი შემძულდა, გიორგი. რა ძლიერი ყოფილა, შვილო, ადამიანი, როგორ ვიტან — შენ მანდ და მე აქ?! შენს სპეტაკ სულს შემოვევლე, გიორგი, შენ ხომ ყველასთვის სიკეთისა და სიყვარულის მომტანი იყავი. ნუ გეშინია, ჩემო გიორგი, შენ წასულად არავინ გთვლის. ნათელა ბებო თბილისიდან გელოდება. დედაშენსა და მამაშენს დიდი დიღმის მეზობლები და შენი ძმაკაცები თავსევლებიან, უშენობას არ აგრძნობინებენ. ვინუგეშებთ თავს. ვაი, ამ ნუგეშს. ლეილა დეიდამ ლევანი უნდა დანიშნოს. მოახლოვდა ოჯახში ბედნიერება და ლეილა დეიდას გული სტკივა. მართლა კი არ სტკივა, შვილო, უშენობა ვერ წარმოუდგენია. შენი და თავის ბინაში გადავიდა. დედამთილ-მამამთილი თავს ევლებიან და ცდილობენ, შენგან ნატკენი გული გაუმთელონ, მაგრამ...

არ გეგონოს, გიორგი, რომ გსაყვედურობდეთ. ჩვენ ყველანი ბედნიერები ვართ, რომ შენები ვართ და შენ — ჩვენი. ყველა ჩვენგანი ნელ-ნელა მოვალთ შენთან და ყველანი ერთად ვიქნებით. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული. ფაფუკი იყოს ეგ უდროოდ დაყრილი მიწა, ჩემო პატარა „კოდელო“.

*შენი ვენერა დეიდა*

### ნიკო (ემზარ) თოდუას მონატრება



უკვე ორმოცი დღეა, რაც ჩვენ გვერდით აღარ ხარ, ორმოცი გაუსაძლისი დღე. წახვედი გულმხურვალე, დიდი, თბილი გულის პატრონი, წარმოსადეგი, აუხდენელი ოცნებებით სავსე. ძნელია დაიჯერო, რომ აწი ვერასოდეს გნახავ, რომ ვერ მოგეფერები, ვერ დავინახავ შენს ლამაზ, სანდომიან და სიკეთით სავსე სახეს. მწარეა უშენობის ხვედრი, უსასრულოა შენზე ფიქრი. რომ იცოდე, როგორ მიჭირს. რამ შეიძლება უშენობა შემივსოს, ჩემო საამაყო, კეთილო, თბილო ძმაო?! ვეფერები შენს შვილებს, შვილიშვილებს, შენს უბედურ დედას, რომელთანაც მსგავსება დიდი გაქვს, მაგრამ ეს მხოლოდ თავის მოტყუებაა. ძმაო ნიკო, ყველაფერს გადავიტანდი მეგონა, როცა ჩემ გვერდით იყავი, ახლა კი მხოლოდ სასოწარკვეთას მიცემული და უიმედოდ დარჩენილი შენი და, მხოლოდ ერთ რამეზე ვფიქრობ: რაც შეიძლება მალე შენ გვერდით აღმოვჩნდე. თავს გვახვევია მეგობრები, ნათესავები, დარდი რომ შეგვიმსუბუქონ. ვფუსფუსებთ შენს უსაყვარლეს ოჯახში, მაგრამ ვაი, რომ არაფერი გვშველის. შენი საბრალო დედა, რომელიც ასე მწარედ გაწირე, შენს თითოეულ ნივთს იხუტებს. რით ვანუგეშოთ საბრალო, ასეთი შვილის დაღუპვის შემდეგ? ძალიან, ძალიან მენატრები, ჩემო უსაყვარლესო ძმიკო ნიკო. შენი შეუბღალავი ცხოვრება სამარადისოდ გაგრძელდება ზეციურ ცხოვრებაში და ეს ცივი, გარინდული მიწა მსუბუქი იყოს შენთვის.

*შენი დები — ცირა და ჯული*

### ეკა ტყეშელაშვილის მონატრება



ეს უკვე მეექვსედ მოვდივართ შენს საფლავთან აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის მოსალოცად. წინ შენი მოსახელე, ანგელოზივით მშვენიერი ეკუნა მოგვიძღვის ყვავილებით და სანთლებით. ეკუნა, შენი ძმისშვილი, შენი ამქვეყნიდან წასვლის შემდეგ დაიბადა და უშენობის ტკივილს მალამოსავით ედება. მაგრამ ძალიან გვიძნელდება შენი გადამდები სიცილის, შენი სითბოსა და სიყვარულის გარეშე. 24 წლისამ სრულიად მოულოდნელად, სიცოცხლითა და სიყვარულით სავსემ დაგვტოვე... დღე არ არის, რომ არ გაგიხსენოთ. ერთმანეთს ახლა უფრო ვუფრთხილდებით, რადგან შენმა დაღუპვამ კიდევ უფრო მძაფრად გვაგრძნობინა ერთმანეთის ფასი.

ნათელში გამყოფოს ღმერთმა.

*დედა ლენა ქიმუცაძე, მამა ალეკო ტყეშელაშვილი და შენი ახლობლები*

### დავით საყვარელიძის, ეთერ შიოშვილი-წულიაშვილის ხსოვნას!





ვარდების რევოლუციამ შემოკლა თქვენი სიცოცხლის ბილიკი, ჩემო დათუნა და ეთერ. სიკვდილმა წამართვა, შვილო დათუნა, შენი თავი და ეთერი დეიდას სიცოცხლეც თან წაიყოლა. აუტანელია სიცოცხლე თქვენ გარეშე. ძლიერ გვენატრებით და ეს მონატრება ყველასათვის დიდი გულისტკივილია. მწარე დაღი დაესვა ჩვენს ცხოვრებას უთქვენოდ.

ლამაზი გაზაფხული — 13 აპრილი შენი დაბადების დღეა, შვილო დათუნა. 23 წელი, ეს ხომ არაფერია სიცოცხლისათვის. იმედის თვლით დანახული მომავალი უეცრად ჩაიფერფლა. ცხოვრებას მოწყურებულნი, მიწის სტუმარნი გახდით.

უშენოდ ვხვდებით შენს დაბადების დღეს, დათუნა, შენი უბედური მშობლები და დაიკო. ნუგეშად ისღა დაგვრჩენია, დაბადების დღე სასუფეველთან თვალცრემლიანებმა მოგილოცოთ. ლოცვასა და ნუგეშს არ მოგაკლებთ, ჩვენი დათუნა და ეთერ. ვილოცებთ თქვენი მარადიული ხსოვნისათვის.

და, გაზაფხულის ეს ყველაზე დიდი დღესასწაული — ბრწყინვალე აღდგომა ყოფილიყოს თქვენი ხსოვნისათვის სინათლისა და სისპეტაკის მომნიჭებელი.

*ოჯახის წევრები, ახლობლები და მეგობრები*

### ომარ ცირეკიძის ხსოვნას!



*„სიკვდილო, კარგის მოკვლისთვის,*
*ნეტავ, ვინ გეტყვის ქებასა?!“*

ომარ ცირეკიძის ხანმოკლე სიცოცხლე საკმარისი აღმოჩნდა პირველობისა და წარმატებისათვის, აღიარებისა და სიყვარულისათვის, იმავდროულად აუტანელი ტანჯვისა და ტკივილისათვის, თუმცა მაშინაც კი, როცა ვხედავდით, ვგრძნობდით, როგორ ემზადებოდა სხეული სულის დასატოვებლად, მაშინაც, იმ უმძიმეს წუთებშიც, ყურად ველოდით სასწაულს...

ჩანს, მკაცრმა ბედმა შენი ფესვი არ გააქრო, შეინახა და მამის სიმხნევის ნიჭმა იხარა ცრემლიან კრაზე: დღეს მზესა და მომავალს ღიმილით შესცქის სოფრიკვანა ანა, რომელსაც მამა არ ახსოვს, მაგრამ ნაცნობ სახეთა მზერაში შუქდება სახელოვანი მამის ცხოვრების ცალკეული ქრონიკები.

წარჩინებული მოსწავლე ტყიბულის №1 საშუალო სკოლაში, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის წარჩინებული კურსდამთავრებული და შემდეგ მშობლიურ ტყიბულში პოლიკლინიკის მთავარი ექიმი და ორდინატურის სრული კურსი კარდიოლოგიაში, იქვე გატაცება კლინიკური მასალების შეგროვებითა და მისი სადისერტაციოდ მომზადება...

იგი ცდილობდა, გული არა მარტო განეკურნა, არამედ გული მოეჩხრიკა, ჯანსაღი ეფექტი შეექმნა მათთვის რეალობისაგან მოსაწყვეტად, რათა ალექსათ პიროვნების როლი თვითგადარჩენის საქმეში.

შენი გადარჩენა კი ვერ შევძელით, თუმცა შენმა სიკვდილმა შენს უახლოეს ადამიანებს, შენს ოჯახს, რომელიც შენი დაკარგვით გამოწვეული სასოწარკვეთილი შენი მშობლების გარდაცვალების შემდეგ კიდევ უფრო დაცოტავდა, არა მარტო გამორჩეული გლოვისა და მწუხარების უფლება მოგვანიჭა, არამედ შენი სულისა და ხსოვნის პატივისცემისა და დაურვების სურვილი გაგვიმძაფრა!

და დღეს, 10 წლის შემდეგ, აღდგომის სასწაული კვლავ შეგვახსენებს, კურთხევა და შენდობა გაგიგზავნოთ იმიერ ქვეყნად!

***შენი ოჯახი***

# ეგვიპტეში ფარაონის პირველი პორტრეტი აღმოაჩინეს

ისტორიაში პირველად, ეგვიპტეში ნაპოვნია ფარაონის პორტრეტი, რომელიც პროფილში კი არ არის დახატული, როგორც იმ დროის ხელოვნებაში იყო მიღებული, არამედ ანფასში.

უცნობ მხატვარს პორტრეტი ხის ფიცარზე ამოუკაწრავს. ხელოვნების ნიმუში აღმოაჩინეს ესპანელმა არქეოლოგებმა რამდენიმე დღის წინ სამარხში, ქალაქ ლუქსორის მახლობლად. მანამდე, მეცნიერები პოულობდნენ ფარაონთა მხოლოდ სკულპტურულ გამოსახულებებს ან მათ ბარელიეფებს. თანაც უსათუოდ პროფილში. ეგვიპტოლოგთა აზრით, პორტრეტზე გამოსახულია მე-18 დინასტიის ფარაონი თუთმოს II (1504-1450წწ ჩვ.წ.აღ-მდე) ან მისი დედა ხატშეფსუტი, ეგვიპტის პირველი ფარაონი ქალი. როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, პორტრეტი გამოყენებული იქნა, როგორც ესკიზი ქანდაკების გამოკვეთის წინ...

*ალ აჰრამი*

# მუზეუმი მუცელში



ფრანგმა ქირურგებმა 62 წლის მამაკაცს კუჭიდან ამოუღეს 5,5 კგ მეტალი. „კოლექციაში“ შედიოდა 350 მონეტა, ნემსები, მძივები, კოვზები, ბეჭდები... ღორმუცელა „რკინისმკვნეტელს“ საკუთარ კუჭში „მუზეუმის“ შექმნა ორი წლის წინ დაუწყია, უიმედო სიყვარულის გამო — ახალგაზრდა მეზობელ ქალს უარით გაუსტუმრებია მიჯნური რაინდი. მას კი, ყურადღების მისაქცევად, „თავი გამოუჩენია“. მთელი ამ ხნის მანძილზე ტკივილები მაწუხებდა, მაგრამ არც ექიმებისთვის მიმიმართავს და არც რენტგენის სურათი გადამიღიაო, — გამოტყდა უბედური ავადმყოფი — მისმა თავდადებამ მაინც ვერ მოულბო გული მეზობლის ქალს — ის სწორედ კაცის ოპერაციის დღეს გათხოვდა!

*მეგაპოლის-ექსპრესი №10*

# პატიოსანთა ქუჩის ამანათი

სამხრეთ გერმანიის ქალაქ დარმშტადტის პოლიციამ უცნაური ბანდეროლი მიიღო. კომპაქტ-დისკი, კოსმეტიკა, საღეჭი რეზინი... რამდენიმე ასეული ევროს ღირებულების საქონელს თან წერილი ახლდა, რომლითაც ანონიმი იტყობინებოდა, რომ ყველაფერი ქალაქის მაღაზიებიდან იყო მოპარული. როგორც ქურდი წერდა, წინასააღდგომოდ ცოდვების მონანიება და ნაქურდლის უკან დაბრუნება გადაწყვიტა. „პატიოსანმა“ ქურდმა პოლიციას საქმიანი რჩევებიც მისცა თავისნაირებისაგან დასაცავად.

გაოგნებულმა პოლიციელებმა მონანიე ქურდის გაცნობა ვერ მოახერხეს — ამანათზე მისამართი ყალბი აღმოჩნდა, მაგრამ ორიგინალურიც. იგი ასეთი იყო — პატიოსანთა ქუჩა №1.

*ეხო პლანეტი №11*

# 283-გრამიანი საოცრება

ამერიკის ქალაქ ნაპერვილში, ედვარდის კლინიკაში ქვეყანას მოევლინა პაწაწინა ქალბატონი ზუ. ეს ამბავი არავის გააკვირვებდა, რომ არა ის, რომ ზუ ფეხმძიმობის 27-ე კვირას გაჩნდა და 283 გრამს იწონიდა. ექიმები დარწმუნებულები იყვნენ, რომ გოგონა არ გადარჩებოდა, მაგრამ საოცრება მოხდა. ზუმ სიცოცხლის დიდი სურვილი გამოიჩინა და გადარჩა. ახლა ის ორი თვისაა და 400 გრამამდე იწონის. გოგონა მესამეა აშშ-ისა და მეცხრე — მსოფლიო ისტორიაში, რომელიც გადარჩა ასეთი ნაადრევი მშობიარობის მერე და ასე ციცქნაა.

*ტაიმი*

# არტურ კონან დოილის ჩანაწერები



ლონდონში სენსაცია მოხდა — მიაგნეს არტურ კონან დოილის პირად არქივს. 40 წელზე მეტია, რაც მწერლის მემკვიდრეობაზე კამათისას ეს ქაღალდები გაქრა. არქივი, რომლის შემადგენლობაში დაახლოებით 3 ათასი წერილი, შენიშვნა და ხელნაწერია, იპოვეს ლონდონის ერთ-ერთ იურიდიულ ფირმაში.

აღმოჩენილ ქაღალდებს შორის ბევრი ძალზე საინტერესოა. მაგალითად, ავტორისეული ესკიზები და ილუსტრაციები თავის ნაწარმოებებზე. აქ არის მწერლის და-ძმის, უინსტონ ჩერჩილის, ოსკარ უაილდის, ბერნარდ შოუს და თეოდორ რუზველტის წერილები მწერლისადმი. ნაპოვნი მასალების დიდი ნაწილი არასოდეს გამოქვეყნებულა.

14 მაისს 2 მილიონ ევროდ შეფასებულ კოლექციას აუქციონამდე 5 დღით ადრე საზოგადოებრიობას უჩვენებენ გამოფენაზე.

*ვლასტი №12*

# მოხერხებული თაღლითი

„მშობლებს არასოდეს რჩებოდათ ფული კანფეტების საყიდლად, მე კი ტკბილეულობა ძალიან მიყვარს“, — განაცხადა სასამართლო პროცესზე დამნაშავემ.

18 წლის თაღლითი, რომელიც თავს დეპუტატად ასაღებდა, ხშირად სტუმრობდა პენსიონერებს (მან ცხოვრებაში მხოლოდ ერთი წიგნი, „თორმეტი სკამი“ წაიკითხა და გადაწყვიტა, დიდი კომბინატორის გზას დასდგომოდა). პენსიონერებთან მისული ყურადღებით ისმენდა მოხუცების საჩივრებს, გულდასმით იწერდა ყველაფერს უბის წიგნაკში და, თან, სხვათა შორის, დაიჩივლებდა ხოლმე: „ახლა ხომ უფულოდ არაფერი კეთდება“. პენსიონერები, როგორც წესი, უკანასკნელ კაპიკებს უთვლიდნენ „დეპუტატს“ უფროსის მოსაქრთამად. ამ ფულით თაღლითი თავისთვის ტკბილეულს ყიდულობდა.

*სობესედნიკი №10*

# მონარქების შთამომავლები ითხოვენ...



კარლ ჰაბსბურგის ოჯახი

100 წლის წინ ევროპაში ყველაზე მდიდარ მონარქებად ავსტრიელი ჰაბსბურგები ითვლებოდნენ. ისინი იყვნენ ციხე-დარბაზების ფასდაუდებელი, უნიკალური სურათების, სასახლეებისა და საგვარეულო ადგილმამულების მეპატრონენი. ამჟამად ჰაბსბურგები ითხოვენ ქონების უკან დაბრუნებას. 160 მემკვიდრის სახელით სასამართლოს საჩივრით მიმართა 42 წლის კარლ ჰაბსბურგმა. იგი ავსტრია-უნგრეთის უკანასკნელი მმართველის, კარლ I-ის, შვილიშვილია. მათი ქონების ღირებულება ჯერ დადგენილი არ არის. სასახლეებსა და ციხე-დარბაზებზე ან სხვა ქონებაზე რომ არაფერი ვთქვათ, მხოლოდ მამულებისათვის ჰაბსბურგები სულ ცოტა, 200 მლნ დოლარს მოითხოვენ.

ისინი პირველნი არ არიან ევროპის სამეფო ოჯახის წარმომადგენელთაგან, რომელნიც თავიანთი ქონების დაბრუნებას მოითხოვენ. 2000 წელს საბერძნეთის მეფე კონსტანტინემ (იგი სამშობლოში არ ცხოვრობს) მოიგო საქმე ადამიანის უფლებების დაცვის ევროპის სასამართლოში და საბერძნეთის მთავრობამ მას უნდა გადაუხადოს წართმეული საგვარეულო ქონების ფულადი კომპენსაცია დაახლოებით ნახევარი მილიარდი დოლარის ოდენობით.

2001 წელს იუგოსლავიის პრინცმა, ალექსანდრემ იუგოსლავიის მთავრობას მოუგო მამამისის, მეფე პავლესეული სასახლე.

*მირ ნოვოსტეი №13*

# იძულების ძალით

კენიის ჩრდილო-დასავლეთით, ქალაქ კაპენგურიში ერთი ფერმერი მეზობლებმა იძულების ძალით აბანავეს. 52 წლის ბერბიჭას, ჯონ კასოკონგს 10 წელია არ უბანავია — მეზობლებმა დიდხანს ითმინეს, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს მოთმინების ფიალა აევსოთ. უბნის ყველაზე ძლიერმა ოთხმა მამაკაცმა სწორედ მაშინ გათოკა „სურნელოვანი“ ფერმერი, როცა იგი სამსახურიდან შინ ბრუნდებოდა. მერე წაიყვანეს და კარგად დაბანეს. განმწმენდ პროცედურას უამრავი ხალხი დაესწრო — თვით ადგილობრივი ბელადიც.

*ოკნა №11*

# ამბავი ჭადრაკის „დედოფლისა“



ჰოლანდიელმა ჭადრაკის ისტორიკოსებმა აღმოაჩინეს, რომ დედოფლის (ლაზიერის) — საჭადრაკო დაფაზე ყველაზე ძლიერი ფიგურის, რეალური წინაპარი იყო დედოფალი იზაბელა კასტილიელი.

როგორც ბრიტანული გაზეთის საიტგვერდი იტყობინება, ჭადრაკმა ესპანეთში არაბებთან ერთად შეაღწია VIII საუკუნეში, მაგრამ XV საუკუნემდე, ჭადრაკის დედოფალი „მამრობითი სქესის“ საკმაოდ სუსტი ფიგურა იყო. ის მხოლოდ ერთ უჯრაზე მოძრაობდა და ერქვა „ალ-ფერზა“, რაც „მოადგილეს“ ან „მოსულს, მნახველს“ ნიშნავს.

1475 წელს, როცა ქვეყანას სათავეში დედოფალი ჩაუდგა, „ალფერზამ“ სქესი შეიცვალა, ქალბატონი გახდა, ხოლო შემდგომ, იზაბელას პოლიტიკური აღზევების პერიოდში, გაიზარდა ფიგურის „უფლებები“ დაფაზე, მას ნებისმიერი მიმართულებით სვლის უფლება მიეცა და „დედოფალიც“ ეწოდა.

მეცნიერთა აზრით, დედოფალმა, როგორც თავად იზაბელამ, მიიღო სამხედრო ძალების ყველა უფლება: ეტლისა — სწორხაზოვანი, კუს და პაიკისა — დიაგონალზე მოძრაობისა.

*ნიუ ზუიქი*

# კატების კუნძული



იგი არც ერთ გეოგრაფიულ რუკაზე არ არის აღნიშნული. მიუხედავად ამისა, ასეთი კუნძული არსებობს. ინდოელმა მეცნიერებმა, რომლებიც ინდოეთის ოკეანეში მიკარგულ კუნძულ ფრაჯოსს იკვლევდნენ, აღმოაჩინეს, რომ მის მოსახლეობას ათასნაირი კატა შეადგენს. როგორ აღმოჩნდნენ ისინი უკაცრიელ კუნძულზე? მკვლევარები დიდხანს იმტვრევდნენ თავს და ბოლოს ამგვარ დასკვნამდე მივიდნენ: შესაძლოა ეს კატები არიან იმ კატების შთამომავლები, რომლებიც 1890 წელს ჩაძირულ გემზე ბინადრობენ. არსებობს ჩანაწერები ამ კატასტროფის შესახებ. ცნობილია, რომ გადარჩენილმა მეზღვაურებმა მიაღწიეს კუნძულს. ახლა ძნელი სათქმელია, რამდენ ხანს იცოცხლეს მათ მაშველთა მოლოდინში. სავარაუდოა, რომ ისინი შიმშილით და სიცხით დაიღუპნენ.

აი, გემზე მობინადრე კატები კი არა მხოლოდ გადარჩნენ, გამრავლდნენ კიდეც და თავისებური „კატური“ სამეფოც კი შექმნეს. ისინი საკმაოდ კომფორტულად გრძნობენ თავს კუნძულზე — კვების რაციონი მრავალფეროვანია — თევზი, ზღვის კუ, ლოკოკინა, კიბორჩხალა და ჩიტები, რომლებიც სანაპიროზე ბუდობენ.

*ნლო №6*

# ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“



**შევსების წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის უჯრებში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში უილიამ შექსპირის სიტყვებს ამოიკითხავთ.**




**კ.** იაპონელთა ტრადიციული სამოსელი; **ვ.** ჯარის უფროსი ძველ რუსეთში; **ი.** უნგრული საავტომობილო ფირმა, რომელიც ავტობუსებით ამარაგებდა მთელ საბჭოთა კავშირს; **რ.** სახელგანთქმული ქართველი მოჭიდავე; **ი.** უწყინარი ხასიათის დამცინავი დამოკიდებულება რაიმესადმი; **ს.** პატარა თევზსაჭერი გემი; **პ.** წამალი, რომელიც თითქოსდა ყველა დაავადებისგან კურნავდა; **ა.** ჯუზეპე ვერდის ოპერა; **ლ.** ხვიარა მცენარე; **ი.** მხატვრული ფილმი „რომაული არდადეგები“ — რა ერქვა ფოტოგრაფს; **ტ.** თვითმფრინავის კიბე; **რ.** სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისას“ უარყოფითი პერსონაჟი; **ა.** რამდენიმე მუსიკალური ბგერის ჰარმონიული შეერთება; **პ.** მდინარე, ზღვა და ქალაქი რუსეთში; **რ.** სია, ნუსხა, ჩამონათვალი; **ე.** ვინ არის ბელზებელი; **ს.** ინგლისელი მომღერალი მამაკაცი; **ი.** ბიბლიური პერსონაჟი, რომელიც საკუთარმა ძმებმა მონად მიჰყიდეს ეგვიპტელებს; **ს.** რაიმე მოქმედებისათვის ხალისის აღმძვრელი მიზეზი; **ლ.** თევზის სასუნთქი ორგანო; **ი.** კუნძული, რომელზეც მდებარეობს ინდონეზიის დედაქალაქი ჯაკარტა; **დ.** ნადირობის ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში; **ე.** უძველესი ქართული სახელმწიფო; **რ.** დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც იბრძვიან მოკრივეები; **ი.** ზაფხულის საძოვარი მთაში; **ა.** ჭუჭრუტანიდან ოთახში შემოსული სინათლის სხივი.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**დ.** დიონისე; **ა.** ანხელი; **ი.** იავა; **ს.** სირიუსი; **ვ.** ვუალი; **ე.** ეპარქია; **ნ.** ნარცისი; **ე.** ეკიპაჟი; **პ.** პესო; **ა.** არშინი; **ლ.** ლევი; **ი.** იკებანა; **ტ.** ტიბრი; **რ.** რეალი; **ი.** იღუმენი; **ს.** სიბილა; **ფ.** ფაეტონი; **ე.** ელდარი; **რ.** რაუნდი; **ე.** ეგრისი; **ბ.** ბრიჯი; **შ.** შოსე; **ი.** იმამატი.

**გამუქებულ უჯრებში იკითხება: ოხვრა არის შვება უბედურისა.**

# კვირის «მინიკალენდარი»

„კვირის პალიტრა“ დაბადების დღეს ულოცავს ამ კვირაში დაბადებულ მკითხველებს. სახელგანთქმული ადამიანების „მინიკალენდარი“ კი ასეთია:



**12 აპრილი:**

**ზურაბ ანჯაფარიძე**, მომღერალი; **მუხრან მაჭავარიანი**, პოეტი; **ენდი გარსია**, მსახიობი; **მონსერატ კაბალიე**, მომღერალი; **ნიკოლაი პრჟევალსკი**, მოგზაური, ცენტრალური აზიის მკვლევარი.

**13 აპრილი:**

**სანდრო ახმეტელი**, თეატრის რეჟისორი; **თომას ჯეფერსონი**, ამერიკის მე-3 პრეზიდენტი; დამოუკიდებლობის დეკლარაციის ავტორი; **გარი კასპაროვი**, მოჭადრაკე, მრავალგზის მსოფლიო ჩემპიონი; **მიხაილ შუფუტინსკი**, მომღერალი.

**14 აპრილი:**

**გიორგი შატბერაშვილი**, მწერალი; **სარა მიშელ გელარი**, მსახიობი; **პიოტრ სტოლიპინი**, რუსეთის იმპერიის სახელმწიფო მოღვაწე, შინაგან საქმეთა მინისტრი.

**15 აპრილი:**

**ლეონარდო და ვინჩი**, ფერმწერი, სკულპტორი (მოქანდაკე), მეცნიერი; **ეკატერინე I**, რუსეთის იმპერატორი; **კლაუდია კარდინალე**, მსახიობი; **ალა პუგაჩოვა**, მომღერალი; **სამანტა ფოქსი**, მომღერალი, ფოტომოდელი.

**16 აპრილი:**

**არჩილი**, მეფე-პოეტი; **ჩარლი ჩაპლინი**, მსახიობი, რეჟისორი, სცენარისტი, კომპოზიტორი.

**17 აპრილი:**

**აკაკი ხორავა**, თეატრისა და კინოს მსახიობი; **ჯონ პ. მორგანი**, ფინანსისტი; **ნიკიტა ხრუშჩოვი**, საბჭოთა კავშირის ცკ-ის გენერალური მდივანი, **ვალერია**, მომღერალი.

**18 აპრილი:**

**ელენე ახვლედიანი**, მხატვარი; **ჯეიმს ვუდსი**, მსახიობი; **ერიკ რობერტსი**, მსახიობი.

# სიტყვათა კონა

**კაბადონი** (ძვ.) — 1. დაწერილი ფურცლის ცალი პირი (საბა), — გვერდი. 2. ცის კაბადონი — ცის კამარა.

**კაბაკუზა** (საუბ.) — კაბები, ქალის ტანსაცმელი საერთოდ.

**კაბაბური** — ბავშვის საბანი.

**კადონი** — განივ გადებული ლატანი (ცხენების დასაბმელი).

**კაეშანი** — დარდი, სევდა, ნაღველი.

**კავკავი** — 1. სიცივისგან კანკალი. 2. ძაღლის ლეკვის ულონო ხმიანობა, — წკავწკავი. 3. წეროს ძახილი.

**კავლი** — ჭარხლის, ბოლოკის და მისთ. ღერო.

**კავური** — ქართული ჭიდაობის ერთ-ერთი ხერხი, — ფეხის გამოდება, შუასარმა.

**კავშა** — თეთრფეხა (ცხენი).

**კავ-შამფური** — თავმოკაუჭებული გრძელი შამფური, რომლითაც თონიდან გამომცხვარ პურს იღებენ.

**კაზმი** (სპეც.) — მადნის, ნახშირის და სხვ. ნარევი, რომლისგანაც ლითონს ადნობენ.

**კაკალა** — პატარა მრგვალი პური, გამტკიცული ფქვილისა.

**კაკანათი** — ჩიტების საჭერი მახე.

**კაკაჩი** — კაშკაშა, მთვარიანი ღამე.

**კაკაჩა** — მტაცებელი ფრინველი შავარდნების ოჯახისა.

**კაკდი** — თოვლზე საცურაო ფიცარი, რომელზედაც დამაგრებულია დიდი რკალები ხელის მოსაკიდად (იციან მთიულეთში), ერთგვარი ციგა.

**კაკილა** — მძივების ასხმულა.

**კაკნატელა** — იგივეა, რაც ხრტილი.

# ვის წიწკნიდა თმას ბავშვობაში პრეზიდენტი?

— ამბობენ, რომ ია ფარულავა და ჩვენი პრეზიდენტი კლასელები იყვნენო. იმასაც ამბობენ, რომ ბავშვობაში ჩვენს პრეზიდენტს ია ჰყვარებია. მაინტერესებს, ამჟამად კარგი ურთიერთობა აქვთ თუ არა და ხომ არ მიუღია იას შემოთავაზება რაიმე წამყვან თანამდებობაზე, თუნდაც კულტურის განხრით.

*მაკო სახოკია*

კითხვაზე უპასუხებს **ია ფარულავა**.



— რაც შეეხება ჩვენს ურთიერთობას, მართლაც თანაკლასელები ვიყავით. ერთად მოვდივართ ნული კლასიდან და ერთ მერხთან ვისხედით. ამდენად, ბავშვობიდან გვაკავშირებს მეგობრობა, რომელიც ამჟამადაც გრძელდება შეძლებისდაგვარად, რაც სატელეფონო ზარებით შემოიფარგლება. ახლა პრეზიდენტს გაცილებით მეტი საზრუნავი აქვს, ვიდრე ბავშვობის მეგობრებთან ხშირი ურთიერთობაა. მე დიდ პატივს ვცემ მიშას, როგორც პიროვნებას, ასევე როგორც ქვეყნის პრეზიდენტს და ნებისმიერ დროს მზად ვარ გვერდით დავუდგე, თუ ეს საჭირო იქნება. რაც შეეხება საქმიანობას, არავითარი შემოთავაზება არ ყოფილა. მე იმ საქმით ვარ დაკავებული (ვგულისხმობ ჩემს სატელევიზიო გადაცემას), რაც მომწონს და მიყვარს. იგი გაცილებით მნიშვნელოვანია ჩემთვის, ვიდრე სამინისტროში ან ნებისმიერ ოფისში ჯდომა. რაც შეეხება ბავშვობის სიყვარულს, კი, რაღაც მსგავსი ბუნდოვნად მახსოვს, მაგრამ მაშინ პატარები ვიყავით. პატარებმა კი რა იციან სიყვარულისა... ხან ვინ უყვართ მათი ჭკუით და ხან ვინ. ამიტომ მიმაჩნია, რომ ეს მხოლოდ ჭორია და მეტი არაფერი... მიშას ჰყავს მშვენიერი მეუღლე, რომელიც ძალიან უყვარს და წარსულში, ბაღისა და სკოლის ასაკში, ვის წიწკნიდა თმას სიყვარულის ნიშნად, რა მნიშვნელობა აქვს...

# ისტორიულ-გეოგრაფიული სახელწოდებების შესახებ

— იქნებ განგვიმარტოთ, ისეთი ისტორიულ-გეოგრაფიული ადგილების სახელწოდება, როგორიცაა, „ურბნისი“, „ოზურგეთი“, ასევე საიდან მოდის მდინარე „ლიახვის“ სახელი.

*შმაგი გეგენავა*

— **ურბნისი** მდებარეობს ქართლში, ქარელის რაიონში. ძველად, ჯერ კიდევ 2500 წლის წინათ, იგი ქალაქი ყოფილა. სწორედ ამაზე მიუთითებს სახელწოდება „ურბნისი“. ლათინურად „ურბს“ ნიშნავს „ქალაქს“, „ურბანუს“ — „ქალაქისა“, „საქალაქო“. ზოგი მას უკავშირებს ფრინველის სახელს — ორბს. მურვან ყრუს შემოსევამ წელში გატეხა ქალაქი და ამის შემდეგ ის სოფლად იქცა.

ქართლში ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ ურბნისი ერთ-ერთ მნიშვნელოვან საეკლესიო ცენტრს წარმოადგენდა. აქ არის V-V სს-ის ბაზილიკური ტიპის ეკლესია. დავით აღმაშენებლის დროს აქ ჩატარდა დიდი საეკლესიო კრება, რომელიც რუის-ურბნისის კრების სახელით არის ცნობილი.

**ოზურგეთი** — ნაწარმოებია ო- პრეფიქსით და -ეთ სუფიქსით ზურგ სიტყვისაგან, რაც კოლხურად „მთის ზურგს“, „გორაკს“, „ბორცვს“ ნიშნავს. კოლხურია ო- პრეფიქსიც, რომელიც ქართული სა-ს ბადალია და დანიშნულებას გამოხატავს. ამრიგად, „ოზურგეთი“ იგივეა, რაც „საბორცვეთი“.

**ლიახვი** — მარცხენა მხრიდან ერთვის მტკვარს ქალაქ გორთან. მას ძველ ქართულ დოკუმენტებში „ლიეხუ“ ეწოდება, სომხურ საისტორიო წყაროებში — „ლეხ“ და „ლეახ“, ოსები კი „ლევახს“ ეძახიან. ეს მდინარე მოედინება ტერიტორიაზე, რომელსაც წინათ დვალეთი ერქვა. დვალები ამჟამად აღარ არსებობენ. მათი ენა, როგორც ფიქრობენ, ჩეჩნურ-ქისტურ ენათა მონათესავე ყოფილა. სწორედ მის მიხედვით შეიძლება აიხსნას ლიახვის სახელწოდება.

ლუო, ლოა, ჩეჩნურად ნიშნავს „თოვლს“, ხი — „წყალს“. ამრიგად, ლიახვი შესაძლოა ნიშნავდეს „თოვლ-წყალს“, „გამლხვალ თოვლს“. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი სიტყვები მოგვეპოვება ქართველურ ენებშიაც. ასე, მაგალითად, „ლი-ლეხუ“ და „ლი-ლხვე“ სვანურად „თოვლის დნობას“, „ლხობას“ ნიშნავს. შესაძლოა მასთან კავშირში იყოს თვით ლხ-ობ-ა ზმნის ძირიც.

# ეკა და კოკა დაბრუნდებიან...

— სად არიან კოკა ყანდიაშვილი და ეკა ხოფერია? კოკა გვპირდებოდა, რომ განაახლებდა გადაცემას და აუცილებლად დაბრუნდებოდა ეთერში. რა ხდება, კარგი გადაცემები აღარ სჭირდება I არხს? ეკაზე კი ამბობენ, ტელეკომპანიიდან საერთოდ წამოვიდაო. ზოგი ამტკიცებს, ეროსი კიწმარიშვილის ადგილზე დაინიშნაო... იქნებ გვითხრათ რას საქმიანობენ ამჟამად ჩვენი საყვარელი ტელეწამყვანები?

*მარიამ ლოლაშვილი*



კითხვაზე უპასუხებს **კოკა ყანდიაშვილი**.

— მე დღესაც არხის თანამშრომელი ვარ და კიდევ დიდხანს ვიქნები. მართალია, პროექტი დავხურე და მის განახლებას ვაპირებდი, მაგრამ საბოლოოდ მაინც გადავიფიქრე. ამჟამად სახელმწიფო ტელეარხზე რეორგანიზაცია მიმდინარეობს. ტელევიზიის ხელმღვანელობას სურს გარდაქმნას და გაათანამედროოს არხი. შესაბამისად, მეც ველოდები, რომ ახალი პროექტი შევთავაზო ტელევიზიასა და მაყურებელს. ამჟამად ვისვენებ, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ არაფერს არ ვაკეთებ. ჩემი სტუდია „პრემიერი“ კვლავაც განაგრძობს მუშაობას სხვადასხვა პროექტზე, მათ შორის არის დოკუმენტური ფილმი, სერიალი და სხვა. ამდენად, ჩემი გაუჩინარება ეთერიდან დროებითია. მიხარია, რომ მაყურებელი ჩემი გულშემატკივარია. ქუჩაში მაჩერებენ და მეკითხებიან, რას ვსაქმიანობ, რატომ არ გავდივარ ეთერში... ამჟამად საბოლოოდ არ გადამიწყვეტია, განვაახლებ თუ არა „რა ხდებას“. მე და ინგა გრიგოლიას ახალი პროექტის წამოწყებაც კი გვინდოდა, მაგრამ რეორგანიზაციის გამო შევჩერდით, ტელეეთერში ალბათ წლის ბოლოს დავბრუნდები, თუმცა ესეც ვარაუდია.



კითხვაზე უპასუხებს **ეკა ხოფერია**.

— მე კვლავაც „რუსთავი-2“-ში ვმუშაობ და ვკურირებ არხის საინფორმაციო პოლიტიკას. არ ვმალავ და „ღამის კურიერის“ დახურვის შემდეგ ძალიან გამიჭირდა იმ აზრთან შეგუება, რომ ეთერში არ უნდა გავსულიყავი. ეს განცდა დაახლოებით ორი კვირის მანძილზე მტანჯავდა და ძალიან მტკივნეული იყო, თუმცა ამჟამად უკვე სხვაგვარად ვფიქრობ. მართალია, მომენატრა ეთერი, მაგრამ 4 წლის მანძილზე ერთხელაც არ დამისვენია, ყოველდღე ვმუშაობდი და კვირაში 5 დღე ღამის ეთერში ვიჯექი. ძალიან გადავიღალე და დასვენებაც მესაჭიროებოდა. ამჟამად დაკავებული ვარ ახალი პროექტის დახვეწაზე. იმდენად სპონტანურად მოხდა მისი განახლება, რომ ბევრი რამ შესაცვლელია. საზოგადოებაში ძალიან ბევრი კითხვა გაჩნდა „ღამის კურიერის“ დახურვის შემდეგ, რასაც დაემატა საინფორმაციო ვაკუუმი, რომელიც სასწრაფოდ უნდა შეგვევსო და ამიტომ ახალი „ღამის კურიერის“ ფორმატი ნაჩქარევად, დაუხვეწავი გავიდა ეთერში. ამჟამად სწორედ ამით ვარ დაკავებული, თუმცა საკუთარ პროექტზედაც ვფიქრობ. კონკრეტული ჯერ არაფერი მომიფიქრებია, მაგრამ არც ახალი ველოსიპედის გამოგონებას ვაპირებ. მინდა პროექტი შეესაბამებოდეს ტელეკომპანიის ფორმატს და საინტერესო იყოს. ეს სექტემბრამდე არც მოესწრება. რაც შეეხება მეორე კითხვას, ჭორები მართლაც უამრავი გავრცელდა. რა გასაკვირია უცხო ადამიანისაგან, როდესაც ძალიან ახლობელი ადამიანები მეკითხებოდნენ სხვადასხვა სისულელეს. მაგალითად: თითქოს ერთ-ერთი მინისტრის მოადგილედ ვინიშნებოდი, ზოგიც, რომელიღაცა სამინისტროს პრესსამსახურის უფროსად მამწესებდა და ა.შ. რომ არ მოგატყუოთ, მე ვიცი ჟურნალისტიკა და საინფორმაციო პოლიტიკა, რაც შეეხება ფინანსურ საკითხებსა და მენეჯმენტს, ჟარგონს ვიხმარ და გეტყვით, გაგებაში არ ვარ.

# ყველაზე ხანგრძლივი ქორწინება

— თუ არსებობს მსოფლიოში ყველაზე ხანგრძლივი ქორწინების რეკორდი?

*ნინო ჩქარეული*





— თანამედროვეთა შორის ყველაზე დიდი ხნის ცოლ-ქმარი 93 წლის მერი და 101 წლის პოლ ონისები არიან. მათ 1917 წელს იქორწინეს და 1998 წლისთვის ქორწინების მე-80 წლისთავი გადაიხადეს. ისინი ამერიკაში, ნაიაგარა-ფოლზში ცხოვრობენ და ქორწინების 51-ე წლისთავამდე საერთოდ არ აღუნიშნავთ შეუღლების თარიღი.

*რუბრიკა მოამზადა რუსუდან ჟორჟოლიანმა*

ძვირფასო მკითხველო, „ანიდან ჰოემდე“ ეცდება თქვენი შეკითხვები უპასუხოდ არ დატოვოს, და ყველა მათგანზე კომპეტენტური პასუხი გასცეს...

CMYK

# საიდან მოვიდა ფეხბურთის ფედერაციის ახალი აღმასრულებელი დირექტორი?

საფეხბურთო საზოგადოების ინტერესი, ფედერაციის ყოფილი გენერალური მდივნის ვალერი ჩოლარიას მემკვიდრის დასახელებასთან დაკავშირებით, მერაბ ჟორდანიამ გასულ კვირაში დააკმაყოფილა. თუმცა, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის მიერ მოყვანილი კადრის გაცნობის შემდეგ, არათუ ინტერესის დაკმაყოფილებაზე, არამედ მის გაღვივებაზე საუბარი უფრო უპრიანი იქნება.


ანდრო აბაშიძე

უწინარესად, რაც თვალში გვხვდება, ანდრო აბაშიძის ასაკია. მერაბ ჟორდანიას ამგვარი „ტრიუკები“ ნაკლებად ახასიათებს, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვით ქვეყნის ახალ ხელისუფლებაზე, რომლის მთავრობასაც, სწორედ რომ მისი წარმომადგენლების ასაკის გათვალისწინებით, „საბავშვო ბაღად“ მოიხსენიებენ. ანუ ამ მხრივ ხელისუფლების მიერ აღებული კურსის გათვალისწინებით, საეჭვოა, რომ ეს ჟორდანიას მიერ მოყვანილი კადრი იყოს.

აქ ვარაუდებს მოვეშვებით და მეტ-ნაკლებად მიმანიშნებელ ნიუანსებს შევეხებით.

ანდრო აბაშიძემ ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ მან არ იცის, ვინ გაუწია რეკომენდაცია მერაბ ჟორდანიასთან და არც ის იცის, მაინცდამაინც ის რატომ აირჩია ფედერაციის პრეზიდენტმა. თანაც, ფედერაციის ახალდანიშნულმა აღმასრულებელმა დირექტორმა თავის მომავალ საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე საუბარს, ჯერჯერობით, თავი აარიდა. „ვფიქრობ, ამ თვის ბოლოსთვის უკვე კონკრეტულად შემეძლება ჩემს საქმიანობასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე საუბარი“, — აღნიშნა აბაშიძემ და იქვე დაამატა, რომ საქმეში უკეთ გასარკვევად, ფეხბურთის ფედერაციის ყოფილ გენერალურ მდივანთან, ვალერი ჩოლარიასთან აპირებს კონსულტაციების გამართვას.

ანდრო აბაშიძის სახელი ამ წარდგენამდე, ფედერაციის დაცვიდან დაწყებული, საფეხბურთო წრეებითა და ჟურნალისტებით დამთავრებული, არავის გაუგია და ვერც გაიგებდნენ, რადგან მისი თქმითვე, ფეხბურთთან მხოლოდ გულშემატკივრის დონეზე თუ ჰქონია კავშირი.

კიდევ უფრო მეტი კითხვები გაგიჩნდება კაცს, როდესაც ფედერაციაში რანგით მეორე პირის ასაკს შეიტყობ — 27 წელი.

მოკლედ, 27 წლის ანდრო აბაშიძე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორი გახდა (დიახ, აღმასრულებელი დირექტორი და არა გენერალური მდივანი. ეს თანამდებობა კი, ჟორდანიას თქმით, ამიერიდან გაუქმებულია). რისთვის დასჭირდა ყოველივე ეს მერაბ ჟორდანიას? თუმცა, იქნებ ჟორდანიას „ეს“ არც არაფერში სჭირდებოდა? ეს შეიძლება დასჭირვებოდა ქვეყნის ხელისუფლებას. რა თქმა უნდა, ამის მტკიცება არცთუ იოლია, მაგრამ რამდენიმე საგულისხმო მომენტზე მაინც შევჩერდებით.

ანუ, ანდრო აბაშიძემ გარკვევით განაცხადა, რომ ამ ეტაპზე „ვერაფერს იტყვის“, მაშინ როდესაც, მისი წარდგენისას, მერაბ ჟორდანიამ ყველას გასაგონად თქვა: „ამ თანამდებობაზე რამდენიმე კანდიდატურა განვიხილე და ბოლოს ანდრო აბაშიძეზე შევჩერდი, რადგან მისი სამუშაო პროგრამა და კონცეფცია ყველაზე მეტად მომეწონა“. ფედერაციის პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა ისიც, რომ აბაშიძე ხელისუფლების მიერ რეკომენდებული კაცი არ არის.

მოკლედ, სავარაუდოა, რომ ან ერთი იქცევა ძალიან თავმდაბლად და ფრთხილად, ან მეორე ტყუის.

წინასწარ რაიმეს მტკიცება ძალიან ძნელია, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ჟორდანიასა და მისი საახლობლო წრის გარდა „სხვისი“ ხელიც გაერია.

**ნიკა ლებანიძე**

# სასწაულის ორი წუთი

## საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ფინალშია

საქართველოს ჭაბუკ კალათბურთელთა ნაკრებმა, რომელსაც თამაზ ოქრუაშვილი წვრთნის, ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზური მოიპოვა. ამ წარმატებას ჩვენმა ნაკრებმა ხორვატიის ქალაქ სისაკში გამართულ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე მიაღწია. ეს იყო ტურნირი, სადაც უძლიერესმა შემადგენლობამ მოიყარა თავი — ხორვატიის ნაკრები ევროპის ჩემპიონია, მათ გარდა ჩვენი მეტოქეები იყვნენ იტალიის, ლატვიის, საფრანგეთისა და ფინეთის ნაკრებები. ხუთი შეხვედრიდან საქართველოს ნაკრებმა სამი უმნიშვნელოვანესი მატჩი მოიგო. დაიკავა მესამე ადგილი და გავიდა ევროპის ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე, რომელიც ესპანეთის ქალაქ სარაგოსაში 9-17 ივლისს გაიმართება.



ქართულ კალათბურთში უნიჭიერესი თაობა მოდის, რომელსაც ევროპულ ასპარეზზე დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. საქართველოს ნაკრებს ფაქტობრივად შეკრებაც არ გაუვლია. გუნდი სრული შემადგენლობით მხოლოდ ხორვატიაში შეიკრიბა და ოფიციალური შეხვედრების დაწყებამდე მხოლოდ ორჯერ მოასწრო სრულფასოვანი ვარჯიში. უმნიშვნელოვანესი იყო შეხვედრა მასპინძელთან, ხორვატიის ნაკრებთან. მასპინძელთა უძლიერეს გუნდთან მარცხის შემთხვევაში საქართველოს ნაკრები კარგავდა მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსს. სწორედ ასეთ დაძაბულ ფონს გაუძლეს ჩვენმა ჭაბუკებმა და შეძლეს ევროპის ჩემპიონების დამარცხება. ფინელებთან მოგება კი მართლაც რომ სასწაულებრივად მოახერხეს — შეხვედრის ძირითადი დროის დასრულებამდე ორი წუთით ადრე 15 ქულას ვაგებდით. სწორედ ბოლო 120 წამი გამოდგა ქართველი კალათბურთელებისთვის ტრიუმფალური — მათ მატჩის ეს მონაკვეთი 18:0 მოიგეს.

ურთულესი იყო ლატვიის ნაკრებთან გამარჯვებაც, სადაც თამაშის ბედი ბოლო მეოთხედში გადაწყდა.

სასიხარულოა, რომ ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ ჟურნალისტებმა ქართველი მანუჩარ მარკოიშვილი დაასახელეს, რომელსაც სპეციალისტები სულ მალე NBA-ში თამაშს უწინასწარმეტყველებენ.

# უსწრაფესი გოლი ფეხბურთის ისტორიაში

ინგლისის ერთ-ერთ დაბალ ლიგაში მოთამაშე ფეხბურთელმა ფეხბურთის ისტორიაში უსწრაფესი გოლი გაიტანა. მარკ ბაროუზი ალბათ სულ მალე გინესის რეკორდების წიგნში დაიმკვიდრებს ადგილს. „თამაშის დაწყებისას ზურგის ქარი ისე უბერავდა, ბურთი ძლივს გავაჩერე ცენტრის ნიშნულთან, მაშინ გამიჩნდა იდეა ბურთი პირდაპირ მოწინააღმდეგის კარისაკენ გამეგზავნა, შევნიშნე, რომ მეტოქის მეკარე წინ იყო გამოსული და მთელი ძალით დავარტყი“ — ჰყვება თავად რეკორდსმენი. ქარისა და ძლიერი დარტყმის წყალობით ბურთი ზუსტად ორ წამში ჩაეშვა ბაროუზის მეტოქე გუნდის კარში.

უსწრაფეს გოლად დღემდე ასევე ინგლისის ერთ-ერთ ლიგაში გატანილი გოლი ითვლებოდა. უწინდელ რეკორდსმენს 2,8 წამში ჰქონდა გოლი გატანილი.

## ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩები

ლიონი — პორტო 2:2 (0:2)
მონაკო — რეალი 3:1 (2:4)
არსენალი — ჩელსი 1:2 (1:1)
დეპორტივო — მილანი 4:0 (1:4)

**ნახევარფინალი**

მონაკო — ჩელსი
პორტო — დეპორტივო

*პირველი მატჩები გაიმართება 20-21 აპრილს, საპასუხო — 4-5 მაისს*

## უეფას თასი. მეოთხედფინალი. პირველი შეხვედრები

ბორდო — ვალენსია 1:2
მარსელი — ინტერი 1:0
სელტიკი — ვილიარეალი 1:1
ეინდჰოვენი — ნიუკასლი 1:1

*განმეორებითი შეხვედრები 14 აპრილს გაიმართება*

# ქართველები ნომინანტთა შორის

უკვე მესამე თვეა, რაც გაზეთ „სპორტ ექსპრესის“ ინიციატივით ტარდება გამოკითხვა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების მასშტაბით საუკეთესო ფეხბურთელის გამოვლენის მიზნით. იანვარსა და თებერვალში ნომინანტთა შორის ქართველი ფეხბურთელებიც იყვნენ, მართალია, მარტის თვის საუკეთესოთა შორის ვერ მოხვდა ვერც ერთი ქართველი, თუმცა წინა თვეების გამოკითხვების გათვალისწინებით სამი ჩვენებურია შესული სამი თვის შედეგების მიხედვით ათ საუკეთესო ფეხბურთელთა შორის.

იანვარ-მარტის მონაცემებით, პოსტსაბჭოთა სივრცის ფეხბურთელთა პირველი ათეული ასე გამოიყურება:

ანდრეი შევჩენკო — 207 ქულა; ვალერი კარპინი — 127; დიმიტრი სიჩევი — 60; ალექსეი სმერტინი — 55; ვიტალი დარასელია — 36; მარის ვერპაკოვსკი — 31; გოგა გახოკიძე — 31; დიმიტრი ალეინიჩევი — 29; მაქსიმ რომაშჩენკო — 28; შოთა არველაძე — 25.

# „ბებერი ქალბატონი“ ბუფონს ვერ ელევა


ჯან ლუიჯი ბუფონი იტალიის ნაკრების მეკარე, „იუვენტუსში“ 2008 წლამდე დარჩება.

ასე გადაწყვიტეს „ბებერი ქალბატონის“ ხელმძღვანელობაში და ისიც დააზუსტეს, რომ ბუფონი შედარებით ნაკლებ გასამრჯელოს მიიღებს, ვიდრე აქამდე იღებდა. ბუფონის ტრანსფერის ვადა 2006 წელს იწურებოდა და ორივე მხარემ აქედანვე დაიჭირა თადარიგი.

„იუვენტუსი“ დიდი კლუბია, — განაცხადა ბუფონმა, — მისი ამბიციები ჩემთვის საკმაოდ დიდი მოტივაციაა, რომ სწორედ ეს გუნდი გამოვარჩიო. მიხარია, რომ კლუბის შეფები ჩემი სახით ხედავენ ადამიანს, ვინც შეიძლება იყოს ასეთი დიდი გუნდის განუყოფელი ნაწილი. ჩემთვის ეს დიდი პატივია და ვეცდები, რომ გუნდის ხელმძღვანელობის ნდობას საიმედო თამაშით ვუპასუხო.“

ჯერჯერობით იტალიის ნაკრებში არ არის გამოკვეთილი, თუ ვინ იქნება ძირითადი მეკარე 2006 წლის ევროპის ჩემპიონატზე. ბუფონის ძირითადი კონკურენტი „ინტერის“ კარის დარაჯი ფრანჩესკო ტოლდოა.

იტალიელები ვარაუდობენ, რომ ჯოვანი ტრაპატონი უპირატესობას სწორედ „იუვენტუსის“ მეკარეს მიანიჭებს.

# რითი ერთობა უცოლოდ დარჩენილი ბექჰემი

პურიტანულ ინგლისურ საზოგადოებაში დევიდ ბექჰემი, ინგლისის ნაკრების კაპიტანი, საკმაოდ კარგი რეპუტაციით სარგებლობს. მისი ერთგულება, ვიქტორია ადამსთან შექმნილი მყუდრო ოჯახური გარემო ბევრისთვის სამაგალითო გახლდათ.



თუმცა, როგორც ამბობენ, მარადიული ამ ქვეყნად არაფერია. შესაბამისად, ვიქტორიასა და დევიდის იდილიურ ურთიერთობასაც შეერყა საფუძველი. მათ ოჯახურ სიმყუდროვეს წინ გადაეღობა მესამე პირი — რებეკა.

ყველაფერი კი ბექჰემის „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ „რეალში“ გადასვლით დაიწყო. მას შემდეგ, რაც დევიდი სამეფო კლუბში ჩაირიცხა, ვიქტორიამ ლონდონში დარჩენა გადაწყვიტა, რათა თავისი საესტრადო კარიერისთვის მიეხედა. და ამ დროს... ფეხბურთის ინგლისელი დიდოსტატი დიდი ცდუნების წინაშე აღმოჩნდა.

როგორც ინგლისური ყვითელი პრესა იუწყება, ბექჰემი მარტოობაში სრულიადაც არ დარჩენილა დიდხანს. მისი სიმარტოვე დაამშვენა 26 წლის რებეკა ლოოუმ, ჰოლანდიელი დიპლომატის შვილმა, რომელიც დევიდმა დაიქირავა ესპანური ენის მასწავლებლად. თუმცა, მათი ურთიერთობა მხოლოდ ესპანური ენის შესწავლით არ შემოფარგლულა. დევიდი და რებეკა პაპარაცებმა „გამოიჭირეს“ ერთ-ერთ მადრიდულ რესტორანში, შემდეგ კი ღამის დისკოთეკაზეც...


რებეკა

თუმცა, მთავარი საბუთი, რასაც სკანდალი მოჰყვა, პრესას ხელში ჩაუვარდა რებეკასთან დაახლოებული პირის მხრიდან. მან ასი ათას გირვანქა სტერლინგად მიჰყიდა გაზეთ „ნიუს ოფ ვორლდს“ ჩანაწერი, რომელიც რებეკას მობილურზე იყო დაფიქსირებული, მასში ბექჰემი არ მალავდა თავის ლტოლვას ჰოლანდიელი ასისტენტისადმი. რებეკა დიდხანს უარყოფდა ამ ჩანაწერს, თუმცა შემდეგ იძულებული გახდა ძმას გამოტყდომოდა, რომ მართლაც აქვს რომანი დევიდ ბექჰემთან. თავად ფეხბურთელმა პრესის მიერ გავრცელებულ ცნობებს სასაცილო უწოდა. თუმცა, მას არ უთქვამს ის, რომ ეს ინფორმაცია არასწორია.

თავად ვიქტორია ამ რომანის შესახებ თავიდანვე ჩააყენეს საქმის კურსში. ისიც საკმაოდ მკაცრ შეტყობინებას ტოვებდა ტელეფონით რებეკას მისამართით. გაზეთებმა გაავრცელეს ვიქტორიას მიერ გაგზავნილი საინტერესო მესიჯი — „ასისტენტის მოვალეობაში სრულიადაც არ შედის ჩემს ქმართან რესტორანში ვახშმობა“...

როდესაც ვიქტორიას მიუტანეს პაპარაცების მიერ რესტორანსა და ღამის კლუბში გადაღებული სურათები, ბექჰემის თანამეცხედრის მოთმინების ფიალა აივსო და... ვიქტორიაც თავის გზას ეწია.

თუმცა, მთავარი „საქმის გარჩევა“ ახლაა მოსალოდნელი, როცა ვიქტორია და ბექჰემი უიქენდზე ერთ-ერთ შვეიცარიულ კურორტზე უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს. როგორი გაგრძელება პოვა რებეკას თემამ, ჯერჯერობით არაფერია ცნობილი.

მანამდე კი, ბექჰემის გარეშე დარჩენილ „რეალის“ ოცნებას — მოეგო წლევანდელი ჩემპიონთა ლიგა, ფრანგულმა „მონაკომ“ ცივი წყალი გადაასხა...

**მოამზადა გიგა ხირსელმა**

## №14 (392) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

მშვენიერება იხსნის კაცობრიობას — ალბათ გენიალური რუსი მოაზროვნის ეს სიტყვები გაახსენდა მიხეილ სააკაშვილს, მთავრობაში დიდი რაოდენობით ქალებს რომ ითხოვდა.

ისე, პირველი ლედის მაგალითით თუ ვიმსჯელებთ, პრეზიდენტს გემოვნება ნამდვილად არ დაეწუნება. ხელისუფლებაშიც მშვენიერი მანდილოსნები მოიყვანა და ახლა ვნახოთ, მისი რჩეული ქალბატონები როგორ შეძლებენ ჩვენი ქვეყნის ხსნას.

**„ვინ არის პრეზიდენტ სააკაშვილის ფავორიტი?“** — ამ კითხვას 522 რესპონდენტი გამოეხმაურა. 5 ბარათი არასწორად იყო შევსებული. კონკურსში მონაწილეობდა 201 ქალისა და 316 მამაკაცის მიერ შევსებული ბარათი.

ჩვენი მკითხველების აზრით, ამ ქალბატონთა შორის პრეზიდენტი ყველაზე მეტად საგარეო საქმეთა მინისტრს — ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს წყალობს. **6,84** საშუალო ქულით იგი პირველ ადგილზეა. ტელეეკრანებიდან ყველას კარგად გვახსოვს აღფრთოვანებული და სიამაყით სავსე პრეზიდენტი, როცა ქალბატონი სალომე საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს წარუდგინა. ამ ფაქტმა და ორმაგი მოქალაქეობის პრეცედენტმა ლოგიკური საბაბი მისცა მკითხველთა 39,5%-ს, მაქსიმალური ქულით შეეფასებინა სალომე ზურაბიშვილი. რესპონდენტთა მხოლოდ 1%-მა დაუწერა მას მინიმალური — 1 ქულა.

მკითხველთა 33,3%-ის აზრით კი, ნინო ბურჯანაძეა პრეზიდენტის უალტერნატივო ფავორიტი. საშუალო ქულით 6,52, ქალბატონი ნინო მეორე ადგილზეა.

მაია ნადირაძე რესპონდენტთა 19,5%-მა შეაფასა მაქსიმალური ქულით და უნდა აღინიშნოს, რომ ქალბატონმა მაიამ დაიმსახურა ყველაზე მცირე რაოდენობის მინიმალური ქულა (0,2%).

მკითხველმა ყველაზე დაბალი შეფასება ხათუნა გოგორიშვილს მისცა — 57,1%-მა დაუწერა მას მინიმალური — ქულა. ასევე დაბალი მაჩვენებლით გამოირჩევა ქალბატონი ელენე თევდორაძეც.

როგორც ჩანს, ჩვენი მკითხველები ფიქრობენ, რომ პრეზიდენტი უპირატესობას ახალ სახეებს ანიჭებს. გამონაკლისი მხოლოდ რევოლუციური სამეულის წევრი ქალია.




საპრიზოს ზუსტად სამი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებულები არიან თბილისელები — 48 წლის **ეთერ ჩუბინიშვილი, ნაზი არჩვაძე** და სენაკელი **დავით სიმონია.**

საპრიზო ფონდი — 100 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 14 აპრილს, 17 საათზე.

## №15 (393) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა“ თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

# 100 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ მკითხველის რეიტინგსა და «მკითხველის პრემიაში».

№15 (393) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მოათავსეთ ოთხშაბათის, 14 აპრილის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 15 აპრილის 13 საათამდე.

© თბილისი

რეიტინგის ბარათები პარალელურად იბეჭდება ჟურნალ „რეიტინგშიც“. თქვენ შეგიძლიათ ამოჭრათ ისინი, შეავსოთ და მითითებულ ვადებში გამოგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. აღნიშნული ბარათებით ისევე მიიღებთ მონაწილეობას კონკურსში, როგორც „კვირის პალიტრიდან“ ამოჭ-

თემა №15(393) — მსახიობი მამაკაცები

**ვინ მიგაჩნიათ ჰოლივუდის საუკეთესო მსახიობად** (ჩამოთვლილთაგან)? დაუწერეთ მას 9 ქულა, მომდევნოს — 8 და ა.შ. 1-მდე.

№15(393) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

| № | მსახიობი | ქულა |
|---|---|---|
| 1 | ჯონ ტრავოლტა | |
| 2 | ბრედ პიტი | |
| 3 | ალ პაჩინო | |
| 4 | რიჩარდ გირი | |
| 5 | ჯეკ ნიკოლსონი | |
| 6 | რობერტ დე ნირო | |
| 7 | ბრუს უილისი | |
| 8 | მელ გიბსონი | |
| 9 | ტომ კრუზი | |

**მკითხველის რეიტინგი**

რომელი ჩინოვნიკის ქონებრივი დეკლარაცია გაინტერესებთ ყველაზე მეტად?

✓ ______________________

**მკითხველის პრემია**

დაასახელეთ ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი

✓ ______________________

______________________
თქვენი სახელი, გვარი

______________________
ქალაქი (რაიონი)

__________ ასაკი __________ ტელეფონი

თუ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე ბარათს ავსებთ, გთხოვთ, „მკითხველის რეიტინგსა“ და „მკითხველის პრემიაში“ მხოლოდ ერთხელ (ერთ ბარათში) დააფიქსიროთ თქვენი აზრი.

**ყურადღება! „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს!**

## დამატებითი კითხვის შედეგები

თქვენი აზრით, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ როგორ შეიცვალა საქართველოში კორუფციის დონე —




1. შემცირდა
2. გაიზარდა
3. იგივე დარჩა
4. მიჭირს პასუხის გაცემა

*დამატებით კითხვას 465-მა რესპონდენტმა უპასუხა*

## ფოტოკონკურსი © ·ფოტოპალიტრა·



აბა, ვინ ვარ ახლა მე?

______________________

მკურნალი, დეპუტატი, ლიდერი — ეს მე ვარ...

**დ.თ.** — მერაბ, გამოგიშვეს?

**მ.ა.** — გამომიშვეს, დავით, მაგრამ, ვაი, ამისთანა გამოშვებას.

***გურამ ხალვაში, თბილისი***

მერაბ ადეიშვილი ატარებს სასწავლო მეცადინეობას თემაზე: „როგორ მოვიქცეთ ოქრუაშვილის ბიჭების გამოჩენის შემთხვევაში...“

***ელგუჯა შალამბერიძე, წყალტუბო***

**მ.ა.** — მეგობარო, შენ კარგი ხმა გაქვს, ჩანს, კეთილი ადამიანი ხარ. დამეხმარე...

**დ.თ.** — დგხმ...ჩმვლ... ბელგ... დგხმ (დაგეხმარები, ჩამოვალ ბელგიიდან და დაგეხმარები).

***კ/ფ „მიმინოს“ მიხედვით. ავთანდილ წერეთელი, თბილისი***

**დ.თ.** — რას მეტყვი კარგს?

**მ.ა.** — 10 უნდა სულ და დამკაში ხარ.

***ჯამბულ დოლაკიძე, რუსთავი***

**დ.თ.** (კრისი)— აბა, შემოჰკარ, ჩიკო!

***ზვიად ვაშაკიძე, თბილისი***

**მ.ა.** — (წამოხტება) არიქა, შუქი მოვიდა, შუქი... უფ! შენ ხარ, კაცო, ისევ? ან ქუდი დაიხურე, ან პარიკი, შევწუხდი, რა...

***პაატა ჩიქოვანი, სენაკი***



დავით თევზაძე, მერაბ ადეიშვილი

**დ.თ.** — ფული მასესხე, მერაბ, ევროპაში ვაპირებ წასვლას.

**მ.ა.** — თავდალმა რომ დამკიდო, ბიჭო, ცენტიც არ გამივარდება, ისე გამატყავა ოქრუაშვილმა.

***სოხუმელი ლტოლვილი, ყოფილი გარემოვაჭრე, დროებით უმუშევარი***

## ფოტო განწყობისთვის



— ეს ჩემი სკამია, თქვენ როგორ შემოსკუპდით...



— მიტო, გაზეთში წავიკითხე, გასუქების წინააღმდეგ საუკეთესო საშუალება ცურვა არისო.
— სისულელეა, ეგე, შეხედე ვეშაპსა!..

12/IV ☾
უკანასკნელი მეოთხედი

მაგნიტური დღეა
16/IV 5-დან 8 საათამდე

## წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. ტარზანი; 4. სერიალი; 6. სალბი; 7. არმია; 8. დინგო; 9. აქცია; 10. ოცნება; 13. შლეიფი; 16. კრასი; 18. მოციონი; 19. ემინემი; 20. არსენ; 22. კოელიო; 23. მარინა; 25. ნეზვი; 27. კარლო; 28. დიეტა; 29. ლიდსი; 30. ანალიზი; 31. ამირანი;

**შვეულად:** 1. ტინტორეტო; 2. ისლანდია; 3. ილუმინაცია; 4. სინაგოგა; 5. „იუნაიტედი"; 11. ნეცკე; 12. ბროლი; 14. „ლეიკა"; 15. ირენი; 16. „კია"; 17. იენ; 21. საზერლენდი; 22. კოსმეტიკა; 24. ალებასტრი; 25. „ნაკადული"; 26. იზოლაცია.







**თარაზულად:** 1. ისტორიულ მოვლენათა ქრონოლოგიური ჩანაწერი; 4. მცენარე, რომლის გიგანტური ფესვის — 3,5მ სიგრძისა და 85 კგ წონის, — სასტარტო ფასი Cristi-ს მომავალ აუქციონზე შეადგენს 850 ათას გირვანქას; 6. ვირტუალური პერსონაჟი ე. შენგელაიას ფილმში „არაჩვეულებრივი გამოფენა"; 7. დროის დიდი მონაკვეთი, რომელიც ხასიათდება ღირსშესანიშნავი მოვლენებით; 8. ქალისა და მამაკაცის მაღალი ჩექმები რბილი ტყავისაგან, გავრცელებული შუა აზიაში, ბაშკირეთსა და თათარსტანში; 9. წლევანდელი ოლიმპიური თამაშების დედაქალაქი; 10. ჩვილის საწოლი; 13. საქართველოს პირველი ლედის სახელი; 16. საქსოვი „ინსტრუმენტი"; 18. სახლს მიშენებული შემინული აივანი; 19. ქვეყანა; 20. ოდისევსის სამშობლო; 22. ფილმი ნიკოლოზ II-ის მეფობის უკანასკნელ დღეებზე; 23. წამყვანი მუსიკალური გადაცემისა „იმღერე რამე"; 25. მომავლის რწმენა; 27. სასროლი იარაღი მძლეოსნობაში; 28. ვედრება ღმერთისადმი; 29. ბგერათა თანაზომიერი პერიოდული მონაცვლეობა; 30. პროვიზორის სამუშაო ადგილი; 31. ილია ჭავჭავაძის პოემა.

**შვეულად:** 1. ყველაზე ძვირად ღირებული კაკალი მსოფლიოში; 2. ფილოსოფიური მოძღვრება ხელოვნების, მშვენიერების ფორმათა შესახებ მხატვრულ შემოქმედებაში, ბუნებასა და ცხოვრებაში; 3. პიროვნება საყოველთაოდ აღიარებული გავლენით; 4. ცხოველური წარმოშობის ცილოვანი ნივთიერება გამოყენებული კულინარიაში; 5. წარმოთქმის მანერა, რომელიც მთქმელის გრძნობას გამოხატავს; 11. სოფიკო ჭიაურელის პერსონაჟი ფილმში „ვერის უბნის მელოდიები"; 12. ლოტარინგიის მთავარი ქალაქი; 14. გლადიატორთა საასპარეზო მოედანი; 15. ჭამის განსაკუთრებული რეჟიმი; 16. უძველესი მატონიზებელი სასმელი; 17. ღამის ლოცვის დრო მუსლიმანებში; 21. აპენდიქსის ანთება; 22. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 24. საკუთარი ხელმოწერა; 25. იუბილეს მთავარი წევრი; 26. ახალი მოვლენა ენაში, უპირატესად მორფოლოგიაში, წარმოქმნილი მოცემულ ენაში მოგვიანებით.

შეადგინა რამაზ ალანიამ

## ცოტა რამ ტრადიციების შესახებ

აშშ-ში სააღდგომო კვერცხებს დაქანებულ გაზონზე აგორებენ. ასეა რუსეთშიც. ეს რიტუალი ამ ქვეყნებში მეტად პოპულარულია. ყველაზე დიდი შეჯიბრება თეთრი სახლის წინ ეწყობა. იმარჯვებს ის, ვინც ყველაზე შორს გააგორებს კვერცხს. გარდა ამისა, აშშ-ში ტრადიციულად იმართება ქუდების აღლუმი, ოღონდ ქუდს კვერცხის ფორმა უნდა ჰქონდეს და აუცილებლად ახალი უნდა იყოს — ის ხომ ახალი ცხოვრების სიმბოლოა!

ესპანეთში ეწყობა სააღდგომო აღლუმი დაფდაფების თანხლებით.

საბერძნეთში სააღდგომო გამოფენაზე გამოაქვთ ფერადი კვერცხებით დამშვენებული ბატკნის ფორმის პასქები.



**ყურადღება: „კვირის პალიტრის" (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©**

## 15 უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი

სიტყვა და საქმე

*გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება*

№15 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის" ყუთებში ჩააგდეთ 15 აპრილის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

*„კვირის პალიტრის" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში – მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ბაღდათი, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ონი, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო.*

***„კვირის პალიტრისა" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.***


გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

**რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.**

**მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი**

**მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი**

**სარედაქციო კოლეგია**

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ: **რედაქცია:** 33-39-54
**რეკლამა, ფაქსი:** 33-50-32; 98-74-44

news@kvirispalitra.com
www.opentext.ge/kvirispalitra

**სარეგისტრაციო ნომერი © 1518**

**„კვირის პალიტრა" გამოდის ორშაბათობით**

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში".


შავი ყვითელი ლურჯი წითელი